

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

შესავალი შორეული  
აღმოსავლეთის ხალხთა  
სამართლებრივი აზროვნების  
ისტორიაში



ლეონიდ-ლუკა კაზანჯი  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ ხონელიძე  
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

## შესავალი შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში

2021

# სარჩევი

შესავალი.....	3-4
ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია.....	12-44
ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია.....	44-82
იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია .....	89-105
მონღოლი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია.....	106-128
ტიბეტელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია.....	1369-134
კორეელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია.....	135-139
ბოლოთქმა .....	140-143
გამოყენებული ლიტერატურა:.....	144-146

## რეცენზია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯის სამეცნიერო ნაშრომზე- „შესავალი შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში“

სარეცენზიოდ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი მოიცავს 146 გვერდს, რომელიც ეხება შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი აზროვნების ისტორიას, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ამიტომ, წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული სამართლებრივი სივრცისთვის. საქართველოში იურიდიული იდეებისა და კონცეპციების შესწავლის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს სამართლებრივი რეფორმა, რომელმაც არსებითად უნდა შეცვალოს სამოქალაქო თანაცხოვრება. წარმოდგენილი ნაშრომი ახლებურ გააზრებებსა და ავტორისეულ მსჯელობებზეა აგებული, რომელიც მას გამოყენებად ასპექტებს ანიჭებს.

ნაშრომში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ინდოეთის სამართლებრივი აზრის ისტორია, რომელიც მრავალათასწლოვან ისტორიას მოიცავს, ინდურ სამართალში აშკარად იგრძნობა რელიგიისა და ფილოსოფიური აზროვნების შერწყმა, რომელიც სამართლებრივი სივრცის სტაბილურობას განაპირობებდა. აგრეთვე, ნაშრომში სიღრმისეულად არის განხილული სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობის საკითხები ძველ ინდოეთში, რომელიც თანამედროვე ეპოქაშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიას, რომელიც მოიცავდა რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათა მძლავრ ურთიერთბრძოლას. ჩინური სამართალი ვითარდებოდა დროსა და სივრცეში, რომელიც სამართლებრივი კონცეპციების სახით ყალიბდებოდა და იურიდიულ აზროვნებას პროგრესირების საშუალებას აძლევდა. ჩინური სამართლებრივი სივრცე თავისი ფუნქციონალური თვითმყოფადობით გამორჩეული იყო, რომლის ფორმირების პროცესზე დიდ ზეგავლენას ახდენდა ბუდიზმი და ჯაინიზმი. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ჩინურ სამართალში ყოველთვის იგრძნობოდა რელიგიური სისტემის გავლენა, რომელიც აერთიანებდა ინტელექტუალურ ინტუიციას და ემპირიულ ფაქტოლოგიას.

ნაშრომში გამოკვეთილად არის შეფასებული იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია, რომელიც მოიცავს უმძლავრეს აზრობრივ ნაკადებს. ავტორი, სამართლიანად მიიჩნევს, რომ იაპონური სამართალი გამოირჩეოდა თავისი კონსერვატიზმით, რომელიც მთელი იურიდიული აზროვნებისთვის იყო დამახასიათებელი.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მონღოლი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიას, ავტორი გამოკვეთს მონღოლთა რელიგიურ-ფილოსოფიური

შეხედულებების როლს ნაციონალური იურიდიული სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში.

ნაშრომში საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ტიბეტელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიაზე, რომელიც აერთიანებს ორი ლიდერის-დალაი ლამასა და პანჩენ-ლამას შეხედულებებს, ამ შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონია შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი კულტურის ფორმირებაში.

ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა კორეელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიას, რომელიც კორეული სახელმწიფოს განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა. ავტორი მიიჩნევს, რომ კორეული სამართალი აერთიანებს აზიურ და ევროპულ სამართლებრივ ტრადიციებს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ეპოქაში.

დასკვნის სახით, მიგვაჩნია რომ ნაშრომი ისტორიულ-სამართლებრივ მსჯელობებზეა აგებული და თავისი აქტუალობით ძალზე გამოყენებადია, მიზანშეწონილია მისი გამოყენება სამოქალაქო სივრცის რაციონალურობის პროცესსა და სამართლებრივ-საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტობისათვის როგორც სახელმძღვანელო მასალა, ვფიქრობთ, ამ პრობლემით დაინტერესებულ პირებსა და ინსტიტუციებს სასარგებლო დახმარებას გაუწევს სამართლებრივი კულტურის გარდაქმნისა და ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრებაში.

ზურაბ ხონელიძე

პროფესორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

10. 05. 2022

## რეცენზია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯის ნაშრომზე-„შესავალი შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში“

ბოლო ათწლეულის განმავლობაში შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სამართლებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესწავლა საგრძნობლად ინტენსიური კვლევითი მიმართულება გახდა. სწორედ ამ ინტელექტუალური დისკურსის კონტექსტში ლეონიდ-ლუკა კაზანჯის ნაშრომი წარმოადგენს პირველ მასშტაბურ მცდელობას ქართულ მეცნიერებაში შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი სისტემების ისტორიულ-ფილოსოფიური კვლევის მიმართულებით. ავტორი იყენებს ისტორიულ-გენეტიკურ ანალიზს, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას და კულტუროლოგიურ მიდგომებს, რომლებიც ნაშრომს ინტერდისციპლინურ ღირებულებას ანიჭებს.

ასეთი სამგანზომილებიანი ანალიტიკური ჩარჩო-სამართლის ისტორია, ფილოსოფია და კულტურული ანთროპოლოგია-უკიდურესად იშვიათია ქართულენოვან სამართალმეცნიერულ ლიტერატურაში. სწორედ ამიტომ ნაშრომის ორიგინალურობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი მისი ინტერდისციპლინური მიდგომაა.

ლუკა კაზანჯი სამართლებრივ ინსტიტუტებს განიხილავს არა როგორც იზოლირებულ დოქტრინულ ფორმებს, არამედ როგორც ღრმა მენტალურ, კულტურულ და მითოლოგიურ პროცესთა შედეგს. ამგვარად, შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი აზროვნების ევოლუცია წარმოჩენილია ერთიანი კულტურულ-სამართლებრივი კონტინუუმის სახით, რომლის ფესვებში საერთო ფსიქომენტალური და აქსიოლოგიური საფუძვლები იკვეთება.

კვლევა მოიცავს ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, მონღოლეთის, ტიბეტისა და კორეის სამართლებრივი აზროვნების დეტალურ ანალიზს.

ინდურ სამართლებრივ ტრადიციაზე საუბრისას ავტორი აჩვენებს დრავიდული და ინდოარიული კულტურების თანაფარდობას, მათ ფსიქოგენეტიკურ საფუძვლებზე გავლენას.

ჩინური სამართლის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფილოსოფიურ სკოლებსა და მათ მიერ შექმნილ სამართლებრივ-ნორმატიულ კონცეპციებს.

იაპონური, მონღოლური და ტიბეტური სამართლებრივი აზროვნება გაანალიზებულია ფილოსოფიურ, ლოგიკურ და ისტორიულ ჭრილში, რაც სისტემურ შედარებასა და შიდა კავშირების გამოკვეთას უზრუნველყოფს.

კორეული სამართლის ანალიზი აჩვენებს იმ კონცეპტუალური ნიშნებისა და ტრადიციების კონსოლიდაციას, რომლებიც რეგიონს საერთო კულტუროსოფიურ სივრცედ წარმოაჩენენ.

ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური ელემენტია ავტორის მიერ განვითარებული თეორიული ჰიპოთეზა შორეულ აღმოსავლეთში იბერიული ფილოსოფიური კვალის შესაძლო არსებობის შესახებ, რაც ნაშრომს დამატებით ინტელექტუალურ განზომილებას სძენს და მკითხველს ახალი მიმართულებებით ფიქრისკენ უბიძგებს.

ეს არის სრულიად ავტორისეული, ინტელექტუალური ექსპერიმენტი, რომელიც მკაფიოდ წარმოადგენს ორიგინალურ თეორიას. ნაშრომი არა მხოლოდ ავსებს ქართულ იურიდიულ-ფილოსოფიურ მეცნიერულ ტრადიციას, არამედ განსაზღვრავს ახალ ინტელექტუალურ ჰორიზონტს შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი აზროვნების კვლევის სფეროში.

10/2025წ.

მარიამ ცაცანაშვილი-

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## რეცენზია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯის ნაშრომის „შესავალი შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიის“ შესახებ

ლეონიდ-ლუკა კაზანჯის ნაშრომი „შესავალი შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში“ 146 კომპიუტერულად ნაბეჭდი გვერდისგან შედგება და შესავლისა და ბოლოთქმის გარდა 6 პარაგრაფს მოიცავს. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში ავტორი ხაზს უსვამს შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის მნიშვნელობას, კერძოდ იმ ფაქტს, რომ „შორეული აღმოსავლეთის ერებმა შექმნეს მონუმენტური სამართალი, რომელმაც განაპირობა მსოფლიო ხალხთა იურიდიული აზროვნების ახალ სიმაღლეზე ასვლა“ და უაღრესად საინტერესო როლი შეასრულა მსოფლიო სამართლის ისტორიაში (გვ. 3). აღნიშნულის საფუძველზე ავტორი თვლის „შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების შესწავლა საუკეთესო გზაა იურისპრუდენციის ემპირიულ-ანალიტიკური შემეცნებისთვის“ (გვ. 4).

ნაშრომის ძირითად ნაწილში, რომელიც 6 პარაგრაფად არის დაყოფილი, ავტორი კომპაქტური დესკრიფციების საშუალებით თანმიმდევრულად განიხილავს ინდოელი, ჩინელი, იაპონელი, მონღოლი, ტიბეტელი და კორეელი ხალხების სამართლებრივი აზროვნების ისტორიული განვითარების პერიპეტიებს. მიუხედავად თითოეული ამ საკითხის თეორიული სპეციფიკისა და ქრონოლოგიურ-ისტორიული მასშტაბურობისა, ახალგაზრდა მკვლევარი ენთუზიაზმით ცდილობს სხვადასხვა ხასიათის არსებითი მომენტების გათვალისწინებით მაქსიმალურად სრულად მოიცვას თითოეული აღნიშნული თემა.

ამის ნათელი დასტურია უკვე პირველი პარაგრაფი, რომელშიც ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების დახასიათებაა მოცემული. ისტორიული კონკრეტიკის გათვალისწინების მიზნით აქ ავტორს თავისი მსჯელობის არეში ისეთი ქვესაკითხებიც შემოჰყავს, როგორცაა მერგარჰის უძველესი (ადრესამიწათმოქმედო) კულტურა, დრავიდული ტომობრივი კავშირები და მათი სამართლებრივი ტრადიციები, დრავიდთა სიბრძნის ამსახველი ძეგლი - „პიტოპადეშა“, ჰარაპის ცივილიზაცია, ინდოარიელები, შრუტების რანგში აყვანილი პოემები - „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“, ვედური პერიოდი, რიგვედა, და თუმცა ყოველივე ეს არ არის კვლევისთვის ძირითადი ინტერესის საგანი, მათი მოზომილი ექსპლიცირება საჭირო ისტორიული ფაქტაჟით აღჭურავს ანალიზს. სწორედ ამ კონტექსტში იკვეთება ინდურ სამართლებრივ აზროვნებასთან უშუალოდ დაკავშირებული თემები და საკითხები, იქნება ეს მანუს კანონები, ბრაჰმანი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუციის აღმოსავლური ნაირსახეობა, ბრაჰმინური სამართალი, უპანიშადების სამართლებრივი პრინციპები, სისხლის სამართლის ინდურ მოდელში დანაშაულის გამომწვევი მიზეზის კვლევა, ინდური სანივთო სამართალი, პოსტვედური სამართალი, ჯაინიზმის სამართლებრივი მოძღვრება,

ბუდისტური სამართლებრივი აზრი და სხვ. მათი განხილვის საფუძველზე ახალგაზრდა მკვლევარი ასკვნის, რომ ინდურმა სამართალმა ისტორიული განვითარების გზაზე თავის თავში „გააერთიანა დრავიდული, ინდოარიული, ელინური, მაურიული, ისლამური და ინგლისური იურიდიული ტრადიციები და სათავე დაუდო მსოფლიო ერთა იურიდიული თვალსაზრისით გაერთიანების პროცესს“ (გვ. 33).

ისტორიულ-ემპირიული და თეორიული ანალიზის მსგავსი სინერგიის გზით ცდილობს ავტორი, შორეული აღმოსავლეთის სხვა ხალხების სამართლებრივი ტრადიციების კვლევასაც. აქედან გამომდინარე, დანარჩენ 5 პარაგრაფში ორგანიზებული ანალიზებიც პირველი პარაგრაფის ფარგლებში განხორციელებული ანალიზის ანალოგიური ანტურაჟითა და სტრუქტურით ხასიათდება: მათშიც შესაბამისი სამართლებრივი აზრის სპეციფიკის გამოვლენა კონკრეტული ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით ხდება.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ კვლევის დიდი ნაწილი ინდოელი, ჩინელი, იაპონელი და მონღოლი ხალხების სამართლებრივი აზრის კვლევას ეთმობა. ხოლო ტიბეტელი და კორეელი ხალხების სამართლებრივი ტრადიციების კვლევას მოცულობის თვალსაზრისით, შედარებით მცირე ადგილი ეთმობა.

ბოლოთქმაში ავტორი თავს უყრის და აჯამებს მის მიერ განხორციელებული კვლევის ძირითად შედეგებს. ამასთან, ამ უკანასკნელთ ის გარკვეული სახის ზოგად დახასიათებასაც აძლევს, სახელდობრ ახალგაზრდა მკვლევარის სიტყვებით, იგი ნაშრომში გამოთქმულ თავის მოსაზრებებს „ისტორიულ-ფილოსოფიური აზრობრივი ნაკადებისა და იურიდიული უნივერსალური კონცეპტუალური ხედვების“ ანალიზზე აფუძნებს.

ვითვალისწინებთ რა საკვლევის პრობლემის მასშტაბურობასა და სირთულეს, ასევე იმ გარემოებას, რომ ნაშრომის ავტორი ახალგაზრდა მკვლევარია, წიგნს მთლიანობაში დადებითად ვაფასებთ. კერძოდ, პოზიტიურად უნდა გამოვხეხმაუროთ ისტორიულ-ემპირიული და თეორიული პლანების ორგანიზების მცდელობას, რომელიც მთელ ნაშრომს მსჭვალავს. გამოსაყოფია ავტორის მიერ მრავალმხრივი ისტორიული ფაქტაჟით უნარიანად ოპერირებაც, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი პირველ სამ პარაგრაფშია. თუმცა, რა თქმა უნდა, ნაშრომს აქვს ისეთი მხარეებიც, რომლებიც ახალგაზრდა მკვლევარისგან მათ გადამუშავებასა და კორექტირებას მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს მაგალითად კვლევაში არაერთხელ ფიგურირებადი შეფასებითი ხასიათის მსჯელობები და სიტყვათშეთანხმებები (მაგალითად: „ნათელი მომავალი“, „იაპონური სამართალი ფოლადის ხმალს ჰგავს, რომლის წინაშე უძღურია ადამიანური გონება, „უძლიერესი დემოკრატიული სამართლებრივი მოდელი“ და ა. შ.). ვფიქრობთ, მომავალში კვლევაში უფრო ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი და გაანალიზებული წმინდა სამართლებრივი ძეგლები და დოკუმენტები. ეს, სულ მცირე, მეტ კონკრეტულობას მიანიჭებდა მთელ რიგ მსჯელობებს და უფრო მყარი არგუმენტაციული ბაზით უზრუნველყოფდა ნაშრომისათვის არსებითი ხასიათის დაკვირვებებსა და დასკვნებს. ავტორის მისამართით გვინდა გამოვთქვათ შემდეგი

ხასიათის რჩევაც: ალბათ, მან არ უნდა იჩქაროს ზოგიერთი დასკვნის ფორმულირება (მაგალითად, „ჩინური იურიდიული სისტემის გავლენა აისახა მსოფლიო ერთა სამართლებრივი აზროვნების განვითარების მრავალსაუკუნოვან პროცესზე“) და მეტი სიფრთხილით მოეკიდოს „კავკასიელ ასპერელ ანუ მთიელ ქურუმთა მიერ ზეციური სამყაროდან მიღებული სიბრძნის მატერიალური შემეცნების გზით მთელ მსოფლიოში გავრცელების“, „ინდუსტურ სამართალზე იბერიულ-კავკასიური რასის გავლენის“ და რიგვედაში კოლხურ-იბერიული კვალის თაობაზე მტკიცებებს.

აუცილებლად გვესახება იმის ხაზგასმაც, რომ გამოყენებული ლიტერატურა, ჯერ ერთი, შევსებას და, მეორეც, შესაბამისი აკადემიური სტანდარტების დაცვით ფიქსირებას საჭიროებს. ამასთან, რადგან საქმე გვაქვს სამეცნიერო კვლევასთან, ნაშრომში მათი მოშველიება-მითითებებიც უნდა გვხვდებოდეს.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ლეონიდ-ლუკა კაზანჯის მითითებულ გამოკვლევას მთლიანობაში დადებითად ვაფასებთ და მისი ზემოთ მითითებული სახით გადამუშავება-კორექტირების შემთხვევაში ნაშრომის დამხმარე ლიტერატურის რანგში გამოყენებასაც ვუშვებთ.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო  
ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი მამია სურმავა

## შესავალი

სამართლის ისტორია უმნიშვნელოვანესი მეცნიერებაა, რომელიც სახავს მსოფლიო იურისპრუდენციის განვითარების ორიენტირებს და ხელს უწყობს სამართლებრივი პრობლემატიკის გადაჭრის პროცესს. სამართლის ისტორია სწავლობს იურიდიული მეცნიერების განვითარების ისტორიულ თავისებურებებს და აანალიზებს მსოფლიო ხალხთა სამართლებრივ იდეათა მახასიათებლებს ისტორიულ ჭრილში. სამართლის ისტორია იურისპრუდენციის ალმა-მატერი<sup>1</sup> გახლავთ. სამართლებრივი აზროვნება ვითარდება ისტორიულ და ლოგიკურ კონდიციათა მიხედვით. სამართალი არის მეცნიერება იურიდიული იდეებისა და კონცეპციების დეონტური<sup>2</sup> განვითარების შესახებ. სამართლის ისტორია გახლავთ ერთგვარი ბაზისი თანამედროვე იურისპრუდენციის განსავითარებლად. აღნიშნული მოძღვრება წარსულს უკავშირებს აწმყოს და ქმნის საფუძველს ნათელი მომავლისთვის. ზოგადად სამართალი გახლავთ ნორმატიული რეგულატორი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ქმნის განვითარების ნორმალურ პირობებს. სამართლის ისტორია გახლავთ უნიკალური დარგი მსოფლიო მეცნიერებისა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ-გენეტიკურ ასპექტებს ანალიზებს ფუნქციურ-სტრუქტურულ დონეზე. სამართლის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი აზროვნების ერთი შეხედვით გაუვალ ლაბირინთებში გზის გაკვალვა. სამართლის ისტორია გასაოცარი სფეროა იურიდიული აზროვნებისა. იგი მოიცავს უზარმაზარ ანალიტიკურ კაპიტალს, რასაც მოწმობს მსოფლიო ხალხთა მისწრაფება იურიდიული მეცნიერების სილოგურ<sup>3</sup> სიღრმეთა წვდომისკენ. სამართლებრივი აზროვნება ურთულესი ფენომენია, იგი ყალიბდება ისტორიულ-სამართლებრივი მეხსიერების სახით და გარდაიქმნება სამოქალაქო მართლშეგნების დესკრიფციულ<sup>4</sup> საწყისად. იურისპრუდენცია აზრთა ბრძოლაა, რომელიც რელატიურ<sup>5</sup> ჭეშმარიტებას წარმოშობს. სამართლის ისტორია კონცეპტუალური მეცნიერებაა, რომელიც უაღრესად საინტერესო როლს ასრულებს კაცობრიობის მრავალმხრივ პროგრესირების პროცესში. სხვადასხვა ეთნოკულტურული კავშირი განსხვავებულად აღიქვამს სამართლებრივ ევოლუციას<sup>6</sup>. ამ მხრივ გასაოცარია შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორია. თავისუფლად შეიძლება განვაცხადოთ- სწორედ ეს რეგიონი გახლდათ აზიური ცივილიზაციის განმავითარებელი აზრობრივი წყარო. შორეული აღმოსავლეთის ერებმა შექმნეს მონუმენტური სამართალი, რომელმაც განაპირობა მსოფლიო ხალხთა იურიდიული აზროვნების ახალ სიმაღლეზე ასვლა. ინდოელი,

<sup>1</sup> მაცოცხლებელი დედა

<sup>2</sup> იურიდიული ლოგიკა

<sup>3</sup> იურიდიული აგებულება ნორმატიული საზრისისა

<sup>4</sup> აღწერილობით

<sup>5</sup> ფარდობით

<sup>6</sup> თანდათანობით განვითარება

ჩინელი, იაპონელი, ტიბეტელი და კორეელი ხალხები აზიის კულტუროტროპულ მოძღვრებად მოგვევლინენ. აზიური სამართალი მკვეთრად კოსმოცენტრული<sup>7</sup> გახლდათ. აღნიშნულმა ხალხებმა უაღრესად საინტერესო როლი შეასრულეს მსოფლიო სამართლის ისტორიაში. მაგალითად ინდური სამართალი გარდაიქმნა ჰინდუსური ტომების ერთიან სახელმწიფოდ გამაერთიანებელ ძალად. აღნიშნვას იმსახურებს ერთი საინტერესო ფაქტიც-ჩინურმა სამართლებრივმა აზროვნებამ დიდი ფუნქცია შეითავსა კარმელუკური და მონღოლოიდური ტომობრივი კავშირების გაერთიანების ურთულეს პროცესში. იაპონელთა იურიდიულმა აზროვნებამ საფუძველი შეუქმნა იაპონიის იმპერიის შექმნას. ტიბეტელმა ხალხმა კი მათი ეროვნული რელიგია-ბონი და სწავლება-მონგჩენი ერთ სიბრტყეში გააერთიანა და სათავე დაუდო აღმოსავლურ ღვთიურ სამართალს. კორეელებმა შექმნეს ჩონგსანის იმპერია, რომელმაც შვა პუიოს და კოგურიოს იმპერიები-შესაბამისად ხელი შეეწყო კორეულ ტომობრივ გაერთიანებათა შეკვრას სოციოკულტურული თვალსაზრისით. აღნიშნულ ხალხთა სოციოკულტურულ ერთობას საფუძვლად უდევს ეთნიკურ ფასეულობათა ორმხრივი ინფილტრაციის<sup>8</sup> შედეგად წარმოქმნილი პოლიეთნოგენური<sup>9</sup> კულტურის იდენტური ღირებულებები. სოციოკულტურული თვალსაზრისით სამართალი აღმოსავლეთში წამყვანი მეცნიერება გახლდათ. დასავლურმა გნოსტიკურმა ცივილიზაციამ საბოლოო ჯამში ვერ შეძლო აღმოსავლური ცნობიერი სამყაროს ათვისება და ფაქტობრივად დამარცხდა არიულ ჰიმნოსოფისტიკასთან<sup>10</sup> ბრძოლაში. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს აღმოსავლური სამართლის კვლევას და ამ გზით მსოფლიო იურისპრუდენციის განვითარების სწორ მიმართულებათა განსაზღვრას. ეს მოკრძალებული ნაშრომი ერთგვარი ნაბიჯია ურთულესი იურიდიული მეცნიერების-სრულყოფილად შემეცნების შრომატევად გზაზე. დგება ჟამი ინტელექტუალური ევოლუციისა და ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი სწორედ სამართლის ისტორიას უჭირავს. შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების შესწავლა საუკეთესო გზაა იურისპრუდენციის ემპირიულ-ანალიტიკური შემეცნებისთვის.

<sup>7</sup> ეყრდნობა კოსმიურ და თეისტურ საწყისებს.

<sup>8</sup> განწმენდა

<sup>9</sup> მრავალმხრივი მრავალფეროვანი

<sup>10</sup> იოგა და ზოგადად კოსმიური სიბრძნე

## I თავი

### ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია

ინდოეთი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციაა, რომელიც გახლდათ უძველეს დრავიდულ ტომთა და არიელ ხალხთა შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ეთნოგენური<sup>11</sup> კავშირი. ინდოეთის ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება-კერძოდ, პირველი ინდური ცივილიზაცია გახლავთ ძვ.წ მეშვიდე ათასწლეულში ჩამოყალიბებული სამეურნეო კულტურა-ინდისა და სარასვატის ხეობებში, რომელიც ხასიათდებოდა განვითარების მაღალი დონით და წარმოადგენდა აგრარულ ცივილიზაციას. აგრარულ კულტურებში კი მაღალი გახლდათ სამართლებრივი განვითარების ხარისხიც. ნებისმიერი ცივილიზაცია ეფუძნება მყარ სამართლებრივ ბაზისს. სამართლებრივი კულტურა ყოველი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მერგარჰის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში განვითარდა მეურნეობა, ჩაისახა მონადირეობა და მიწათმოქმედება. მაგალითად, მიწათმოქმედების განვითარებამ წარმოშვა ჭარბი პროდუქტი, რაც იქცა ვაჭრობის განმავითარებელ საწყისად. ამ პროცესმა კი შექმნა სამართლებრივი კულტურის, როგორც ამ ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა მომწესრიგებელ ნორმატიულ რეგულატორთა ჩამოყალიბების სასიცოცხლო აუცილებლობა. ვაჭრობის პროგრესი ხშირად ერთგვარი მასტიმულირებელი მოვლენა გახლდათ სამართლის განსავითარებლად. მერგარჰის კულტურა უძველესი ინდური კულტურა გახლდათ, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინდოეთის ისტორიაში. მერგარჰის კულტურა სამიწათმოქმედო კულტურა იყო. ზოგადად ინდოეთში პირველი დასახლება დაფიქსირებულია ბჰიმბეტკის გამოქვაბულში-უტარა პრადემის შტატში. ინდოეთი მაღალი სამართლებრივი კულტურის ქვეყანა გახლდათ. ინდური კულტურის პირველშემოქმედნი დრავიდები არიან. ისინი იქცნენ წინაანტიკური ინდური კულტურის მთავარ შემოქმედებად. ინდოეთში დრავიდები ცხოვრობდნენ ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად ძვ.წ მეშვიდე ათასწლეულიდან, რაც დასტურდება არქეოლოგიური მასალებითაც. დრავიდულ ტომებს ჰყავდათ ბელადები და ქურუმები, რომლებიც აკონტროლებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და აღასრულებდნენ სამართალს. სამართლის განვითარების მისია დრავიდულ ტომობრივ გაერთიანებებში ძირითადად ქურუმებს ეკისრებოდათ. დრავიდული ტომობრივი კავშირები მრავალეროვან გაერთიანებებს წარმოადგენდნენ, შესაბამისად მათ მიერ შექმნილ სამართლებრივ ტრადიციებში ირეკლებოდა სხვადასხვა ხალხთა იურიდიული იდეები და კონცეპტუალური სისტემები. დრავიდების სამართალი

<sup>11</sup> ნაციონალური

რელიგიური ხასიათის გახლდათ, რაც დასტურდება მათ შორის ვედიზმის წმინდა ტექსტებითა და ინდოელი ხალხის სინსოკოსმიურ<sup>12</sup> მეხსიერებაში შემონახული ტრადიციებით. დრავიდებმა სამართალი რელიგიურ მოძღვრებად წარმოაჩინეს და მეტაეთიკურ<sup>13</sup> ჭრილში განავითარეს. დრავიდული ტომები ხშირად ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. დრავიდების კულტურის ცენტრი ძირითადად ჩრდილოეთ ინდოეთი გახლდათ. სწორედ აქედან გავრცელდნენ ისინი მთელი ინდოეთის ტერიტორიაზე. დრავიდებმა ინდისა და განგის ნაპირებზე შექმნეს უძლიერესი ცივილიზაცია-მაღალმხატვრული ლიტერატურითა და უმდიდრესი სამართლებრივი კულტურით. დრავიდებმა ფაქტობრივად შექმნეს წინაანტიკური ინდური კულტურა და სათავე დაუდეს მსოფლიო მნიშვნელობის ინდურ ლიტერატურას. მაგალითად პიტოპადეშა-კეთილი დარიგების წიგნი-დრავიდთა სიბრძნის ამსახველი ძეგლია, რაც დასტურდება თავად სიტყვა -პიტოპადეშით-პიტუაპადეშარაჰ-ძველ ინდურ ენაზე-ანუ დრავიდულად კეთილ მასწავლებელს ნიშნავს. პოემა მაჰაბჰარატაც მოიცავს დრავიდულ კულტურულ ელემენტებს-კერძოდ მისი მთავარი პერსონაჟი-უცნობი პატრიარქია-რომელსაც ჰყავს სამი ვაჟი-დჰირიტირაშტრა პანდარა და ვიბურა. დჰირიტირაშტრასგან იშვნენ კაურავები სხვა ვერსიით ვიბურასგან ხოლო პანდავები-პანდარასგან. კურუკუშტრას ველზე გამართულ ბრძოლაში 15-მა პანდავმა დაამარცხა 100 კაურავი. 1 და 5 დრავიდული ისტორიულ-სამართლებრივი ტრადიციის მიხედვით აღნიშნავს 4 მხარეს ანუ ჰორიზონტის მხარეებს-ციფრი 5 კი მათი აზრობრივი გაერთიანების სიმბოლოა. 1 და ორი 0 კი აღნიშნავს ბოროტების განხორციელების მცდელობას ყოველთვის მარცხით მთავრდება ორივე იდეურ სივრცეში-ამქვეყნიურ და სულებით სამყაროშიც. აქ სახეზეა დრავიდული აზრობრივი გავლენა, ასევე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება-მაჰაბჰარატა შესდგება ზუსტად 300 ათასი სტრიქონისგან. დრავიდულ მითოსში კი 300 და 1000 სამართლებრივი აზროვნების გამომხატველ ღვთაებათა გამომხატველი იზოფსეფიური<sup>14</sup> რიცხვებია. გავიხსენოთ პოემა-რამაიანა-აქ ერთმანეთს ებრძვის რამას დარაშატის ჰანუმანის ლაშქარი და რავანას-ლაქშმას ბოროტი მეფის რავანას ურდო. ეს პოემა სამართლებრივი ტრაქტატიც გახლავთ. იგი შედგება 7 ნაწილისგან-ბალა კანდა-წიგნი რამას ბავშვობაზე-აიოდია კანდა-წიგნი აიოდის ბრწყინვალე სასახლის შესახებ, 3-არანია კანდა-წიგნი რამას ცხოვრებაზე უდაბნოში, 4-კიშკინდა კანდა-წიგნი რამას კავშირზე მაიმუნთა მეფე კიშკინდასთან, 5-სუნდარა კანდა-ბრწყინვალე წიგნი-ბოროტ მეფე რავანას მიერ სიტას, რამას სატრფოს გატაცების ამბავი, 6-იუდა კანდა-რამას კეთილი ლაშქრისა და რავანას ბოროტი ჯარების ბრძოლა, 7-უტარა კანდა-საბოლოო წიგნი. ამ პოემაში აღწერილია არა

<sup>12</sup> რელიგიურ-ინტუიციური აზროვნება

<sup>13</sup> ისტორიულ-ეთიკური აზროვნება

<sup>14</sup> ჰემატრიული ანუ მათემატიკური

მხოლოდ სიყვარულის ისტორია არამედ ბრძოლა ტირანიასა და სახალხო მმართველობას შორის. რამა განასახიერებს დრავიდულ სამართლებრივ მოდელს-დემოკრატიას რომელსაც საფრთხეს უქმნის ინდოევროპული ტირანია-რავანას სახით.დრავიდები ასიმილირდნენ ინდოევროპულ ტომებში, თუმცა მათ დატოვეს რწმენა-დრავიდული სამართლებრივი მოდელის აღდგენისა რაც რეალიზდა და აისახა ინდურ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.დრავიდთა ინდოეთი დემოკრატიის აღმოსავლური სამშობლოა. შესაბამისად ინდოეთი აღმოსავლეთის ათენად მოგვევლინა.დრავიდებმა შექმნეს მონუმენტური კულტურა, რომელმაც ასახვა ჰპოვა ინდოელი ხალხის ცნობიერ სამყაროში.დრავიდული სამართლებრივი კულტურა მოიცავდა რელიგიურ და ინტუიციურ საწყისებს. სამართლებრივი ინტუიცია პირველად აღმოსავლეთში სწორედ დრავიდულ ინდოეთში განვითარდა.დრავიდები დაუშვებლად თვლიდნენ ტირანიასა და აბსოლუტურ მონარქიას, ისინი პოლიტიკური და იურიდიული ბალანსირების მომხრეები გახლდნენ. დრავიდებმა შექმნეს სამეფო ხელისუფლების ორმაგი დანაწილების მოდელი,რომლის თანახმად ძალაუფლება ნაწილდებოდა უმაღლეს ქურუმსა და საერო ხელისუფალს შორის. შესაძლებელია განვაცხადოთ -დრავიდთა ინდოეთი უაღრესად მძლავრი ცივილიზაცია გახლდათ. დრავიდულმა ინდოეთმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინდური კულტურის განვითარების ურთულეს პროცესში. დრავიდებმა შეძლეს ინდურ მატრიანებში წარუშლელი კვალის აღბეჭდვა, რასაც ცხადყოფს ინდური ლიტერატურა და ისტორიოგრაფია. დრავიდებმა შექმნეს ინდის იგივე ჰარაპის ცივილიზაცია,რომელმაც მეტად საინტერესო ფუნქცია შეითავსა ინდური კულტურის განვითარების პროცესში. აღნიშნული კულტურა მოიცავდა ბელუჯისტანსა და თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიასაც. აშენდა ბრწყინვალე ქალაქები, მაგალითად მოჰენჯო-დარო და ხარაპა. ჩამოყალიბდა საქალაქო მმართველობის იურიდიული სისტემა. აღნიშნულ ქალაქებში მოსახლეობა იზრდებოდა. შესაბამისად ვითარდებოდა სამართლებრივი ტრადიციების დესუნქციურ<sup>15</sup>ი სამყაროც. ამ ქალაქებში ცივილიზაციის განვითარების ნიშნულმა მკვეთრად აიწია. აღნიშნულმა ქალაქებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ინდური კულტურის განვითარების ზეეპოქალურ პროცესში. აღსანიშნავია ინდის ცივილიზაციის ყოვლისმომცველობა და მრავალმხრივობა. ზოგადად ინდოეთში საქალაქო ცხოვრება სწორედ ამ პერიოდში განვითარდა. საქალაქო ცხოვრების განვითარებამ ასახვა ჰპოვა სამართალზეც, კერძოდ მის ისტორიულ მახასიათებლებსა და ფილოსოფიურ თავისებურებებზე. სოფლის მეურნეობა და საქალაქო ცხოვრება მაშინდელ ინდოეთში წამყვან ორიენტირებად იქცნენ-საზოგადოების განვითარებისთვის ბრძოლაში. ეს სრული ასახვაა იმდროინდელი ინდური რეალობისა.

---

<sup>15</sup> ერთობლივი

ინდოეთის ისტორია ფაქტობრივად სამართლებრივ შეხედულებათა ბრძოლაა, რაც საწინდარია ინტელექტუალური პროგრესისა. ინდური სამართლებრივი აზროვნებისა და ფილოსოფიის კვლევის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან აზრს ავითარებს ნ.ვ. მარჩენკო<sup>16</sup> სტატიაში- ძვ. ინდოეთის სამართლის შესწავლის კომპლექსური მიდგომის შესახებ. მარჩენკოს აზრით ძველი ინდოეთის სამართლებრივი სისტემა მოიცავდა სოციალურ-პოლიტიკურ და კულტუროტროპულ ელემენტებს. ძველი ინდური სამართლებრივი სისტემის არქაულობა არ წარმოადგენდა ინდური კულტურის დროსა და სივრცეში კონცენტრირების შემაფერხებელ ფაქტორს. ძველი<sup>17</sup> ინდოეთის ინდის ცივილიზაციამ ინდოეთი შორეული აღმოსავლეთის გამორჩეულ<sup>18</sup> ქვეყნად აქცია.

ინდური სამართლის შესწავლისას თანამედროვე მეცნიერება მცდარ და არაობიექტურ მეთოდოლოგიას იყენებს-მარჩენკოს<sup>19</sup> აზრით. ინდური სამართლებრივი აზროვნების კვლევა სისტემური მსჯელობის გარეშე დაუშვებელია, ვინაიდან, დრანიკის<sup>20</sup> კულტურა ინდოეთში გულისხმობს სხვადასხვა კულტუროგენურ<sup>21</sup> სისტემათა ურთიერთქმედების კუმულაციურ<sup>22</sup> განხილვასა და აქსიოგენურ<sup>23</sup> შემეცნებას. ძველი ინდური სამართლებრივი კულტურა როგორც მსოფლმხედველობრივი სისტემა საჭიროებს სისტემურ განსჯას და კონკრეტულ ელემენტთა ფსიქოსოფიურ<sup>24</sup> ენტრომენტულ<sup>25</sup> შესწავლას.

ძველი ინდური სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს ვედები-წმინდა წიგნები, რომელიც ეფუძნება სასულიერო ფილოსოფიას, მეტაფიზიკურ ცოდნასა და თეოსოფიურ<sup>26</sup> სიბრძნეს. ვედები უაღრესად ღრმა კავსირს ავლენს ძველ აღმოსავლურ ასტროსოფიურ<sup>27</sup> მოძღვრებებთან-მაგალითად, ენოსთან<sup>28</sup> აგენასთან<sup>29</sup> და ოპესთან<sup>30</sup>. მარჩენკო<sup>31</sup> ვედური სამართლის შესასწავლად კომპლექსური მიდგომის არარსებობას გაუმართლებელ მეთოდოლოგიურ შეცდომად თვლის. ვედების შესწავლისას

<sup>16</sup> რუსი მეცნიერი.

<sup>17</sup> ნ. ვ. მარჩენკო- სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის მაცნე გვ.1.

<sup>18</sup> ნ.ვ. მარჩენკო სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის მაცნე.

<sup>19</sup> გვ.1.

<sup>20</sup> დრავიდები.

<sup>21</sup> კულტუროგენეტიკურ.

<sup>22</sup> ერთობლივ.

<sup>23</sup> აქსიოგენეტიკურ.

<sup>24</sup> ფსიქოგენური.

<sup>25</sup> აზრობრივ.

<sup>26</sup> ზესულიერ.

<sup>27</sup> ზესულიერ.

<sup>28</sup> სულიერი მედიტაცია.

<sup>29</sup> მჭვრეტელობითი პრაქტიკა.

<sup>30</sup> აზრობრივი მედიუმი.

<sup>31</sup> გვ.2

აღნიშნული ტექსტის ნაწილები უნდა განვიხილოთ ერთობლივად და არავითარ შემთხვევაში ურთიერთ გათიშვის გზით. არსებობს მოსაზრება ვედების ნაწილთა სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერის შესახებ-ჩემი მოკრძალებული ხედვით ვედები შექმნილია არა ერთი რომელიმე კონკრეტული ადამიანის აზრებზე დაყრდნობით არამედ უმძლავრესი ძველადმოსავლური იდეოლოგიური მოძრაობის იდეურ-საგნობრივ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებით. ვედები უმძლავრესი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების საოცარი სისტემაა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინდოელი ხალხის თეოსოფიური და მეტაფიზიკური აზროვნების მრავალმხრივ განვითარების ურთულეს პროცესში. ვედები სავსებით შესაძლებელია განვიხილოთ ლიტერატურული კორპუსის ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ<sup>32</sup> ბაზისად-უშუალოდ, ჩემი ხედვით, მარჩენკოს აზრი მეტ სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს-ვინაიდან, ვედური სამართლებრივი კულტურა უძველეს დრავიდულ-გუნჯორულ ცივილიზაციათა მსოფლმხედველობის სისტემური შემკვიდრეა და დაუშვებელია აღნიშნული წიგნების განხილვა მხოლოდ კონკრეტულ კულტუროსოფიურ<sup>33</sup> ეპოქაში ჩაკეცილი. ვედები სავსებით შესაძლებელია სამართლებრივ-მსოფლმხედველობრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაშიფვრის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად მივიჩნიოთ.

ვედები წარმოადგენს ეზოთერულ-ფილოსოფიურ ტრაქტატთა კრებულსაც, რაც განპირობებულია ინდოელი ხალხის ნაციონალური თვითშეგნების ისტორიოსოფიური<sup>34</sup> გენეზისისა და ასტრო-ფილოსოფიური მისტიციზმის ბუნებითი საფუძვლების იდეურ-საგნობრივი კომბინირებით. ვედები წარმოადგენს მათემატიკისტურ<sup>35</sup>-ისტორიოგენურ<sup>36</sup> კოდირების ერთ-ერთ განსაცვიფრებელ ნიმუშს-კერძოდ, ვედები შესდგება სამი ინკრომონიული<sup>37</sup> ნაწილისგან-რიგვედა, ათარვავედა აშარვავედა. პირველი თავი გამოხატავს საწყის-ბუნებით სიბრძნეს, მეორე მეტაფიზიკურ ცოდნას ხოლო მესამე აზრობრივ ურთიერთქმედებას სიბრძნისა და ცოდნისა. ვედები უაღრესად საინტერესო ფილოსოფიური იდეების წყაროა, რომელსაც დღემდე ეწაფება ინდური ფილოსოფიური კულტურა. ვედები-1-რწმენა აზრისა, 2-სიბრძნე სამყაროს ხედვისა, 3-ძალა ქმედებისა და 4-განხორციელება იდეალისა. ვედებში არსებობს მითეკა-უძველესი კონცეპცია, რომელიც გულისხმობს აზრის და ფიქრის მედიტაციურ მართვას.

---

<sup>32</sup> მარჩენკო გვ.3.

<sup>33</sup> კულტუროგენისტურ.

<sup>34</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>35</sup> ზემათემატიკური.

<sup>36</sup> ისტორიულ-გენეტიკური.

<sup>37</sup> აზრისმიერი.

ბატონი მარჩენკოს<sup>38</sup> აზრით, მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს ფილოსოფოს ვ.ფ. კასატკინის წიგნი-ვედური კულტურა როგორც ისტორიული ტიპი.<sup>39</sup> კასატკინი უდიდეს ფუნქციურ დატვირთვას ანიჭებს შორეული აღმოსავლეთის კულტურის კვლევისას ვედების ფილოსოფიას, რადგან, ძველი ინდოეთი სავსებით შესაძლებელია აღმოსავლური ფილოსოფიის ერთ-ერთ უძველეს კერად მივიჩნიოთ. კასატკინი და მარჩენკო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ იურიდიულ-დოგმატურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მსოფლმხედველობრივი საფუძვლების მასშტაბურ კვლევას, რაც გაამარტივებს ძველი ინდური სამართლებრივი აზროვნების ობიექტური შემეცნების პროცესს. მარჩენკოს შეხედულებით, სამართალი ერთდროულად უნივერსალური და უნიკალურია, არსებობენ ზოგადი საერთო ნიშნები<sup>40</sup> ხშირად, სამართლის ლოკალურობა წარმოჩინდება უნივერსალურობის მასაზრდოებელ წყაროდ, რომელსაც ზოგჯერ სხვადასხვა გრადაციები გააჩნია.

სამართლებრივი აზროვნება სისტემურად უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურ განვითარებასა და ღრმა სოციოკულტურულ გარდაქმნებთან ცივილიზაციის კულტუროგენეტიკური გონის მეტაფიზიციისტური<sup>41</sup> თავსებადობის მიზნობრივ მოწესრიგებას. სამართლებრივი სისტემა საზოგადოებრივ აზრობრივ სივრცეში ინდივიდუალის<sup>42</sup> მსოფლმხედველობის ინტეგრაციის საფუძველი, ხოლო ინდივიდის ცნობიერ სამყაროში კონვერციონალური<sup>43</sup> მორალის შემეცნების უპირველესი საწყისია. მარჩენკოს შეხედულებით,<sup>44</sup> მთელი სოციუმის ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ ფუნდამენტს სამართლებრივი სისტემის ჩათვლით წარმოადგენს ვედური კორპუსი, რაც დასტურდება ისტორიოსოფიური<sup>45</sup> და მეტაფიზიციისტური<sup>46</sup> კვლევებით

.ვედების ფუნქციური თვისებრიობა წარმოადგენს ინდური კულტურის საფუძველს და დრავიდულ-არიანური ცივილიზაციის ექოს, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს. ვედები ტრინიტარული სტრუქტურული განსაზღვრულობაა, რომელიც აღიწერება ამგვარად-ნებითი მიზეზობრიობ-სამყაროს შემეცნების სურვილი, ფსიქოგენეტიკური აზროვნება-აზრის მოძრაობა წარსულიდან მომავლის მიმართულებით და ადამიანური აზრის აღქმის ინტუიციური გზა-მიზეზობრიობისა

<sup>38</sup> რუსი მეცნიერი.

<sup>39</sup> დონის როსტოვი 1999 წელი.

<sup>40</sup> სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის მაცნე-გვ.14.

<sup>41</sup> ზემეტაფიზიკური.

<sup>42</sup> ინდივიდი.

<sup>43</sup> საზოგადოებრივი.

<sup>44</sup> გვ.6.

<sup>45</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>46</sup> ზემეტაფიზიკური.

და მიზნობრიობის სისტემური ანალიზი, რაც საწინდარია საკაცობრიო აზროვნების მრავალმხრივ განვითარებისა და სრულქმნისა.

ვედებში ასახულია უძველესი დრავიდული სიბრძნე, რომელიც ეპოქამ დაფარა და დაიცვა. დრავიდული ცივილიზაცია სავსებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ღვთიურ ცეცხლად, რომელმაც ასევე უდიდესი ზეგავლენა იქონია ზოროასტრიზმზე-უძველეს ირანულ რელიგიასა და ფილოსოფიურ მოძღვრებაზე. კერძოდ, ირანი წარმოადგენდა უძველესი დრავიდული სამყაროს კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შტოს, რომელიც განიცდიდა ინდური ფილოსოფიის აშკარა გავლენას, რაც დასტურდება ისტორიულ-ფილოსოფიური და ზემეტაფიზიკური კვლევებით. ირანი-ირეკი ოვიზე ატრე ჰუმ-დრავიდულ ენობრივ სამყაროში იმიგრება როგორც ატრას<sup>47</sup> ღვთიური სიბრძნის მემკვიდრეთა ქვეყანა. ირანელი ხალხის კულტუროგენეტიკური თვისებრიობა უადრესად მძლავრ კავშირს ავლენს ინდურ ფილოსოფიურ სისტემებთან. კერძოდ, ირანული რელიგია-ზოროასტრიზმი<sup>48</sup> ეფუძნება რწმენას ღვთიური ცეცხლის უძლეველობის შესახებ-უძველეს ინდო-დრავიდულ მითოლოგიაში არსებობს ჰანიდეს სამეფო რომელიც ღვთაებრივი ძალების საუფლოა და რომელსაც ოთხივე მხრიდან იცავს ცეცხლის რკალი-1-ადმოსავლეთით წითელი ცეცხლი-ბრზოლის სიმბოლო, 2-დასავლეთით ცისფერი ცეცხლი-მშვიდობის განსახიერება, სამხრეთით-ყვითელი ცეცხლი- სიბრძნის ნიშანი და 4-ჩრდილოეთით-ლურჯი ცეცხლი-სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ეპოქალური მისტერიის განსრულების გზის დასასრული. ირანული ფილოსოფია-ცანზანდეს<sup>49</sup>, ოკენას<sup>50</sup>, ხაიამის<sup>51</sup>, ასევე მუსიკალური კულტურა-აზიდი<sup>52</sup>, ბარბადი<sup>53</sup>, ნაგიზა<sup>54</sup>, რამტინი<sup>55</sup> სარქაში<sup>56</sup>-სწორედ ინდურ ფილოსოფიურ საფუძვლებზე გახლავთ აღმოცენებული.

ზოროასტრიზმის წმინდა წიგნი-ავესტა სრულიად სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის ფილოსოფიური იდეური სისტემების კულტუროგენური ურთიერთქმედების ნიმუშად. ავესტა განადიდებს აჰურამაზდას-აჰენუ მაზე რაჰმაჰ-უძველეს სანსკრიტზე ძალა რომელმაც შეექმნა. ბოროტების ღმერთი-არიმანი-არეი მანე ოკინეჰ-ძალა რომელიც დაგლუპავს. ავესტა-ავენუ ივეს აჰტეჰ-სიბრძნის მემკვიდრეთა სამეფო. ირანული რელიგიური და სამართლებრივი ფილოსოფია იკვებებოდა უძველესი ინდური სიბრძნით, რაც

<sup>47</sup> დრავიდეთი.

<sup>48</sup> იგივე ატრომანი მაზდეანობა.

<sup>49</sup> ზოროასტრიზმის სიმბოლიზმი.

<sup>50</sup> სასანიანთა ირანის იდეური რკალი.

<sup>51</sup> სახელოვანი ირანელი პოეტი და ფილოსოფოსი.

<sup>52</sup> ირანელი მუსიკოსი.

<sup>53</sup> ირანელი მუსიკოსი.

<sup>54</sup> ირანელი მუსიკოსი.

<sup>55</sup> ირანელი მუსიკოსი.

<sup>56</sup> ირანელი მუსიკოსი.

მტკიცდება განსაკუთრებით წინანტიკური ეპოქის ირანული კულტურის დეტალური შესწავლით.

კერძოდ, ინდური ცივილიზაცია მანას სამეფოს, ელამელთა კულტურად ირეკასკების სამფლობელოს სიბრძნის დასავლურ სავანედ თვლიდა, რაც დასტურდება ლინგვისტური და ისტორიულ-ფილოსოფიური კვლევებით. პირადად, ცემი აზრით, არაბულ ფილოსოფიაში დამკვიდრებული ცნებები-იბლისი, კუზანი ოპენა სწორედ ინდური დრავიდული კულტურის ზეგავლენის შედეგად გახლავთ შექმნილი. ამჟამად ირანული ფილოსოფია დამოუკიდებლად განაგრძობს განვითარებას, თუმცა ჰინდო-დრავიდული ცივილიზაციის კვალი აშკარად შესამჩნევად რჩება. ყურადღება მივაპყროთ შემდგომ უმნიშვნელოვანეს ფაქტს-ინდური ფილოსოფია ეფუძნება მათემატიცისტურ<sup>57</sup> აზროვნებას, რომელიც განიმარტება ამგვარად-სამყარო რიცხვული ასტროსოფიური<sup>58</sup> ციკლების, ციფრული გრადაციების, ლექსიკოლოგიური სტრუქტურული გარდაქმნებისა და აზრისმიერი ვარიაციების მუდმივი ურთიერთქმედების არეალია, რომელიც დროისა და სივრცის აზრობრივ მატერიალისტურ გაგებაზე მაღლა დგას და რიცხვულ მეტაფიზიკაზე აგებულ სტრუქტურულ განსაზღვრულობათა მთელს ეფუძნება.

მათემატიცისტური<sup>59</sup> ფილოსოფია სავსებით შესაძლებელია იდეურ-საგნობრივი მსჯელობისა და აზრისმიერი მთლიანობის ცვლილებების აღწერის სისტემურ მოძღვრებად ჩავთვალოთ. როგორ განიმარტება რიცხვული მეტაფიზიკა აღმოსავლური ფილოსოფიის მიხედვით-სამყაროს თვისებრივ-რაოდენობითი სიმრავლეების ასტროსოფიური<sup>60</sup> ურთიერთქმედება, რომელიც დროის სივრცისა და მატერიის ფარულმითოგრაფიულ პარიტეტსა<sup>61</sup> და იდეის საგნობრივი საფუძვლების ციკლურ ბუნებით გარდაქმნებზეა აგებული.

ინდური მათემატიცისტური<sup>62</sup> ფილოსოფია წარმოადგენს ჰინდო-დრავიდული კულტურის კვალს, რომლის შემეცნებით გვეხსნება გზა საკაცობრიო აზროვნების აპოფატიკური<sup>63</sup> მწვერვალებისკენ. ინდური მათემატიკური ფილოსოფია გახლავთ საფუძველი სამართლებრივი აზროვნების მეტაფიზიკური კანონებისა, რაც მტკიცდება სინსოლოგიცისტური<sup>64</sup> კვლევების სწორად წარმართვის წყალობით.

---

<sup>57</sup> ზემათემატიკური.

<sup>58</sup> ზეაზრობრივი.

<sup>59</sup> ზემათემატიკური.

<sup>60</sup> ზეაზრობრივი.

<sup>61</sup> იდეოსოფიური წონასწორობა.

<sup>62</sup> ზემათემატიკური.

<sup>63</sup> შეუცნობელი.

<sup>64</sup> ზელოგიკური.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა არგუმენტირების ხარისხის ასამაღლებლად მიზანშეწონილად ვთვლი კონკრეტულ ფაქტთა ფილოსოფიური ანალიზის განხორციელებას-კერძოდ, არიაბხატის<sup>65</sup> მიერ შექმნილი ეპიციკლების<sup>66</sup> სისტემა ეფუძნება უძველეს ჰარო-ინგედრავიდთა კულტურის მიღწევებს-არიაბხატმა გააერთიანა მათემატიკური ფილოსოფია ასტროფიზიკური გამოთვლები და ასტრონომიული ციკლები, რაც ინდური მათემატიკურ-ფილოსოფიური და ასევე იურიდიული აზროვნების განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად იქცა. არიაბხატმა მოახერხა ფიზიკის ისტორიულ-ფილოსოფიური საფუძვლების შექმნა და განვითარება, რაც ინდური კულტურის უმთავრეს რევოლუციურ მიღწევად მოევლინა კაცობრიობას. არიაბხატის ეპიციკლები განიმარტება შემდეგი სახით-მათემატიკური რიცხვობრიობა ეფუძნება ასტროსოფიურ<sup>67</sup> გარდაქმნებს, ასტრო-გარდაქმნები დროისმიერ-ასტროფიზიკურ ციკლებს, ხოლო აღნიშნული ციკლები ციფრულ ვარიაციებს, რომელთა დახმარებით აღიწერება სამყარო როგორც მთლიანობა ელემენტში და ელემენტი მთლიანობაში. არიაბხატი<sup>68</sup> ელემენტს თვლიდა სამყაროს ცენტრო-ვარიაციულ საფუძვლად, ხოლო სამყაროს ელემენტთა ზოგადფილოსოფიურ სისტემად, რომლის სათავე მათემატიცისტურად<sup>69</sup> მოდელირებული გონი, ხოლო სხეული აზრების სივრცეა, რომელიც ვითარდება რაოდენობრივ ფორმათა, სივრცულ თანაფარდობათა და აზრისმიერ ესტრეტთა<sup>70</sup> კომბინირების გზით.

არიაბხატი სამყაროს მიიჩნევდა დოგმათა მათემატიცისტურ სიმრავლეთა მსოფლმხედველობრივ სისტემად, რომელიც ეფუძნებოდა 3 ზაზის-1-აზრობრიობა, 2-იდური საგნობრიობა და 3-ფიქრი. არიაბხატმა უდიდესი როლი შეასრულა ინდური სამართლებრივი აზროვნების მრავალმხრივ განვითარების მართლაც ზეეპოქალურ პროცესში. არიაბხატმა საოცრად საინტერესო როლი ადასრულა ინდური მათემატიკური ფილოსოფიური ლოგიკური და სამართლებრივი აზროვნების სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და მრავალმხრივ პროგრესირების ურთულეს პროცესში. არიაბხატი სავსებით შესაძლებელია ინდური აზრობრივი ტრადიციების სივრცულ ფორმებში გამოხატვის დიდოსტატად მივიჩნიოთ. არიაბხატის ეპიციკლები ემყარება 3 საწყის-ფილოსოფიური ცნებითობა, 2-ლოგიცისტური<sup>71</sup> კავშირები და 3-იდურ-ნებითი აზროვნება. არიაბხატის ფილოსოფიის წარმოშობის მიზეზობრიობა აღიწერება ამგვარად-მათემატიცისტური მინიმუმი აზროვნებისა განსხეულდა აზრისმიერ სტრუქტურაში, აზრობრივი სტრუქტურული განსაზღვრულობა იქცა

<sup>65</sup> დიდი ინდოელი მათემატიკოსი.

<sup>66</sup> დროისმიერი რიცხვულ-მეტაფიზიკური ციკლები.

<sup>67</sup> ზეაზრობრივ.

<sup>68</sup> დიდი ინდოელი მათემატიკოსი.

<sup>69</sup> ზემათემატიკური.

<sup>70</sup> სივრცული რიცხვობრიობა.

<sup>71</sup> ზელოგიკური.

რიცხვულ-მეტაფიზიკისტურ მთლიანობად, რიცხვულ-მეტაფიზიკისტური სტრუქტურა გარდაიქმნა ლექსიკოლოგიურ სისტემად, ხოლო ლექსიკოლოგიურმა სისტემამ შექმნა ცივილიზაცია. განუზომელია არიაბხატის წვლილი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების კულტუროსოფიური<sup>72</sup> პროგრესირების ზეპოქალურ პროცესში. არიაბხატმა უზარმაზარი ფუნქცია შეითავსა ჰინდო-დრავიდული სიბრძნის მათემატიკურ სიბრტყეში ასახვის უაღრესად საინტერესო ზეპოქალურ პროცესში. არიაბხატის მათემატიკურმა ფილოსოფიამ განსაზღვრა ინდური იურიდიული აზროვნების განვითარების გეზი. ზემოთხსენებულმა უდიდესმა ინდოელმა მოაზროვნემ საოცარი სიბრძნისმიერი სისტემა შექმნა, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია ინდური მტკიცებითი სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების კომპლექსურ პროცესზე-კერძოდ, მტკიცებულების სხვა ფაქტოლოგიური მოცემულობისგან თვისებრივი განცალკევება, მტკიცებულებათა ერთობლიობის შესწავლა, რაოდენობით თანაფარდობათა სივრცულ განზომილებებში განხილვის სტრატეგია, რიცხვული მეტაფიზიკის ინონომია<sup>73</sup> და აზრობრივი ასტრანკიზირება<sup>74</sup>-შემეცნება. არიაბხატის<sup>75</sup> მათემატიკური ფილოსოფია სამართლებრივ კონტექსტში აღიწერება შემდეგი სახით-მტკიცებულება როგორც ელემენტი და მცირე კომპონენტთა თვისებრივი კავშირის გამოვლინება, პროცესი როგორც აზროვნების ქმედითობა და აზრთა შემეცნება ლოგიკისტური<sup>76</sup> თვალსაზრისით როგორც ჭეშმარიტების დადგენის წინაპირობა მთლიანობაში. არიაბხატის ეპიციკლები<sup>77</sup> სრულიად შესაძლებელია გამოვიყენოთ საქმის გამოძიების პროცესში-როგორც გზა მიზეზთ და მიზანთა გარკვევისა და შემეცნებისა. არიაბხატი სავსებით შესაძლებელია ასტრო-ფილოსოფიური აზროვნების ინდური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად მივიჩნიოთ.

ასევე უდიდეს ყურადღებას იმსახურებს მეორე ინდოელი მოაზროვნე-ბრაჰმაგუპტა,<sup>78</sup> რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ინდოსოფიური მათემატიციზმის<sup>79</sup> განვითარების პროცესში, კერძოდ, ზემოთხსენებულმა დიდმა მათემატიკოსმა შექმნა თეორემების სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინდური ინტროთეოსოფიური<sup>80</sup> აზროვნების მრავალმხრივ პროგრესირების ზეპოქალურ პროცესში. ბრაჰმაგუპტას მათემატიკისტური<sup>81</sup> ფილოსოფია აღიწერება ამგვარად-რიცხვი ციფრის მემკვიდრე,

---

<sup>72</sup> კულტუროსტრენული.  
<sup>73</sup> ურთიერთქმედება.  
<sup>74</sup> შემეცნება.  
<sup>75</sup> დიდი ინდოელი მათემატიკოსი.  
<sup>76</sup> ზელოგიკური.  
<sup>77</sup> ასტროსოფიური ფაზები.  
<sup>78</sup> დიდი ინდოელი მოაზროვნე.  
<sup>79</sup> ინდური ფილოსოფიური აზროვნება.  
<sup>80</sup> ზეთეოსოფიური.  
<sup>81</sup> ზემათემატიკური

ხოლო ციფრი ღვთიური ძალების გზავნილია, რომელიც გამოხატავს ასტრო-ფილოსოფიურ შიფრს-მორალურ-ასტროსოფიურ აქცეპტალს-<sup>82</sup>ადამიანის აზროვნება მათემატიკურ კანონზომიერებათა მისტერიული სიმეტრიულობის პრინციპზე აგებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება გონს, ქმედითობას და იდეურ საგნობრიობას. ბრაჰმაგუპტას იდეებმა დიდი ზეგავლენა იქონია ღვთის მათემატიკური სკოლის <sup>83</sup> მათემატიკურ მსოფლმხედველობაზე, განსაკუთრებით კი ალგებრისა და ფუნქციების მიმართულებით. ბრაჰმაგუპტას სავსებით შესაძლებელია ინდური საიზმის-ნათელხილვითი აზროვნების ერთ-ერთი გიგანტი ვუწოდოთ. ჩემს მიერ შემოტანილია სრულიად ახალი ტერმინი-ინდური მათემატიკისტური საიზმი, რომელიც განიმარტება შემდეგი სახით-მათემატიკა რიცხვთა სამეფოა, რომელსაც ციფრები მართავენ, საზღვარი თეორემებია, ხოლო სისტემა აგებულია ეზოთერულ ელემენტებზე დაყრდნობით. ბრაჰმაგუპტა და არიაბხატი გახლავან ინდური მათემატიკური ფილოსოფიის კორიფეები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ადამიანური აზროვნების მატერიალისტური შემეცნების ტყვეობაში მოქცევისგან დამცველი ფორმულების ჩამოყალიბების განმაცვიფრებელ პროცესში. მათემატიკური ინტუიციზმის<sup>84</sup> იდეოლოგიური დოქტრინა სწორედ დრავიდ ქურუმთა მიერ გახლავთ შექმნილი, რაც დასტურდება ისტორიოსოფიური<sup>85</sup> და მეტაფიზიკისტური<sup>86</sup> კვლევებით.

ინდური მათემატიკური ფილოსოფიის ინტუიციისტური ბუნებითობის გამოყენება სავსებით შესაძლებელია იურიდიული აზროვნების პრაქტიცირების პროცესში-კერძოდ, სისხლის სამართლისა და ცივილისტიკის<sup>87</sup> დოქტრინალური პროგრესირების მიმართულებით.

ინდური მათემატიკისტური ფილოსოფიის გავლენა შეინიშნება მანუს კანონებზეც-კერძოდ, აღსანიშნავია კუდინოვის სტატია-მანუს კანონები-<sup>88</sup> ძველი ინდური სამართლის თავისებურება ვლინდება წყაროებში, განსაკუთრებით კი რელიგიურ-ზნეობრივი სამართლებრივი დანაწესების დჰარმა-კრებულების და ართჰაშასტრების-სამართლებრივ-პოლიტიკური ტრაქტატების ნიმუშები.

განსაკუთრებით საინტერესოა დჰარმაშასტრები და ნიბადჰაზები-ძველი დრავიდული აზრობრივი ტრაქტატები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ინდური სამართლებრივი და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ზეეპოქალურ

<sup>82</sup> რიცხვული კოდი.

<sup>83</sup> პოლონური მეცნიერული სკოლა.

<sup>84</sup> გონებრივი კონსტრუქციები.

<sup>85</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>86</sup> ზემეტაფიზიკური.

<sup>87</sup> სამოქალაქო სამართალი.

<sup>88</sup> ხაბაროვსკის უნივერსიტეტის მაცნე-2013წ.

პროცესში. დჰარმამასტრები იქმნებოდა რელიგიური ტრადიციების მცველი მასტრინების-ბრაჰმანების მიერ. არნიშნული ტრაქტატი მოიცავდა ცხოვრების სწავლებებს ყველა ვარნისთვის<sup>89</sup>. აღნიშნული წესების დარღვევა იწვევდა უბედურებას როგორც ამქვეყნად ასევე სულეთშიც.

მანუს კანონები დაწერილია ლექსებად-ე.წ შოლკებად- 12 თავისა 2685მარცვლის შეერთებით. 12 მეტაფიზიკური სიბრძნის სრულყოფილების სიმბოლოა, ხოლო 2685 კი სიბრძნის განვრცობის.

სამართლებრივი ნორმები ძირითადად თავმოყრილია მე8 და მე9 თავებში . უძველეს დჰარმამასტრებში თუ ძირითადად განიხილებოდა დელიქტები ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, გვიანდელ დჰარმამასტრებში უკვე დიდი ყურადღება ეტმობა საოჯახო და სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგების სფეროს. არსებობდა სასამართლო განხილვის 18 საბაზი. პირველი-ჯგუფი მოიცავდა სახელშეკრულებო ურთიერთობებს, მეორე-ჯამაგირის გადაუხდელობას, შემდეგ ვალდებულებითი ნორმებიდან კონკრეტულ დელიქტებზე. ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა მემკვიდრეობითი სამართლისა და აზარტული თამაშების მოწესრიგებას.

კ.გ ფიოდოროვი, ე. ლისნევესკი<sup>90</sup>ერთობლივ ნაშრომში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ძველ ინდოეთში რელიგიური აღმსარებლობისადმი შემწყნარებლობას, რაც ხელს უწყობდა სინდისის და აზროვნების თავისუფლებას ჯერ კიდევ მეფე აშოკას დროიდან. ასევე აშკარად ვლინდებოდა რელიგიური და პოლიტიკური შემწყნარებლობა, პოლიტიკური შედარებით ნაკლები დოზით, გარკვეულწილად დაშვებული იყო შეხედულებათა პლურალიზმი-ინდოეთი გახლდათ შორეული აღმოსავლეთის ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც არსებობდა რესპუბლიკები. ინდოეთში სრულად ფეხი ვერ მოიკიდა დესპოტიამ, მრავალი ტრადიცია დღემდე შემორჩენილია ინდოეთში.

ინდური რესპუბლიკური წყობა ეფუძნებოდა აშლანამის<sup>91</sup> და ჰეხშუს<sup>92</sup> ფილოსოფიურ დოქტრინებს, რომლებიც შექმნეს ინდოელმა გურუებმა-ჰაშვეს სამმოს წარმომადგენლებმა ძვ.წ მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში. ინდური დემოკრატია ემყარებოდა რელიგიურ შემწყნარებლობასა და პოლიტიკურ პლურალიზმს, რაც დღემდე გაოცებას იწვევს დასავლურ სამეცნიერო ასპარეზზე.

ინდური პოლიტიკური ფილოსოფიის არქიტექტორები დრავიდები და არიელები გახლდნენ, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს შორეული აღმოსავლეთის

<sup>89</sup> კასტა.

<sup>90</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია როსტოვის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1999 წელი.

<sup>91</sup> აზრობრივი თავისუფლება.

<sup>92</sup> რელიგიური ტოლერანტობა.

სულიერ-მატერიალური და ისტორიულ-ფსიქოგენეტიკური თვალსაზრისით განვითარების ზეეპოქალურ პროცესში.

ინდური პოლიტიკური და იურიდიული ფილოსოფია სავსებით შესაძლებელია დავაკავშიროთ ფსიქოგენეტიკურ კულტუროსოფიურ და იდეურ-საგნობრივ სისტემებთან, რაც გაამარტივებს წინაანტიკური პერიოდის ინდური ცივილიზაციების კულტურულ მიღწევათა გაცნობას გააზრებასა და ტრანსცენდენტურ შემეცნებას.

უშუალოდ, ჩემი ხედვით, მანუ გახლდათ მითოსოფიური ბრძენი, რომელიც გამოხატავდა დრავიდულ-იბერიული ცივილიზაციის ფსიქომეტრიულ<sup>93</sup> და ფსიქონომიურ<sup>94</sup> სიბრძნეს.

ინდოარიელებმა უდიდესი როლი შეასრულეს ინდის ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზეეპოქალურ პროცესში. ინდე არიგენ ოვე უპტუ-ღვთიური ქვეყნიდან მოსული ტომი-ჰინდის ენაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-არიული კულტურა შუმეროიდულ-ატლანტიდური გეოკულტურული სამყაროს განუყოფელი ნაწილია, რაც მტკიცდება ისტორიოსოფიური<sup>95</sup> და მეტაფიზიკისტური<sup>96</sup> კვლევების კომბინირების გზით.

ინდისა და სარასვატის ხეობებში ჩამოყალიბდა უძლიერესი კულტურა, რომელმაც ასახვა ჰპოვა საქალაქო ცხოვრების განვითარების პროცესზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ინდის ცივილიზაციამ განსაზღვრა ინდური კულტურის განვითარების გეზი. ინდური ცივილიზაცია გახლავთ აღმოსავლური სოფიზმის<sup>97</sup> პროდუქტი. ჰარაპის კულტურა იქცა აღმოსავლეთის ხალხთა განმავითარებელ კულტუროტროპულ ელემენტად. ჰარაპის ცივილიზაცია ინდური კულტურის ხერხემალია და წყაროა.

ინდოეთის ისტორიაში ჰარაპის ცივილიზაციამ გააერთიანა ჰინდუსური ტომები და სათავე დაუდო ერთიან ინდურ ცივილიზაციას. სამართლის ისტორიაში არაერთხელ იურიდიულმა მეცნიერებამ განსაზღვრა ცივილიზაციის განვითარების ორიენტირი. ინდის ცივილიზაცია გარდაიქმნა ერთგვარ კატალიზატორად, რომელმაც მოახერხა ინდუსურ ტომთა კონსოლიდირება და ჩამოაყალიბა ერთიანი ინდური სახელმწიფო.

<sup>93</sup> ფსიქოგენურ.

<sup>94</sup> სულიერ.

<sup>95</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>96</sup> ზემეტაფიზიკური.

<sup>97</sup> ფილოსოფიის მიმდინარეობა შეისწავლის სიბრძნეს.

ჰარაპის ცივილიზაცია წარმოადგენდა ისტორიულ გენერატორს, რომელიც ახორციელებდა ინდური კულტურის პროგრესირების პროცესის სტიმულირებას. ინდის კულტურამ შეძლო ინდუსურ ტომთა ზეეპოქალურ ცივილიზაციად გარდაქმნა. ჰარაპი-გახლდათ ინდური ცივილიზაციის პერპენტუმობილე<sup>98</sup>. ინდის ცივილიზაციას მოჰყვა ვედური პერიოდი, რომელიც გრძელდებოდა ძვ.წ მეხუთე საუკუნემდე. ვედური პერიოდი გამოირჩეოდა სამართლებრივი რევოლუციით. კერძოდ, დაიწყო რელიგიური ტრადიციებისა და იურიდიული შეხედულებების შერწყმა, რასაც თან დაერთო პოლიტიკურ მოვლენათა წყება. ვედური ცივილიზაცია წარმოადგენდა ინდოარიულ კულტურას, რომელმაც ჩამოაყალიბა ინდუიზმი როგორც დოქტრინალური ისე რელიგიური კუთხით. ინდოარიელებმა შექმნეს რელიგიური სამართლის ცნება, რაც იქცა

იურიდიულ მეტამორფოზათა<sup>99</sup> ისტორიული ციკლის მნიშვნელოვან ნაწილად. ეს ფაქტი უტყუარი ჭეშმარიტებაა. ინდოარიელებმა აითვისეს დრავიდული კულტურის მიღწევები და სათავე დაუდეს ინდური სამართლის სკოლებს-დჰარმამასტრებს და ნიბადჰაზებს.

ინდოარიელებმა მოახერხეს კულტურათა სინთეზირება და ამ გზით უნიკალურ კულტუროტროპულ ნაკადთა ჩამოყალიბება. სამართალი ქმნის კულტურას, ხოლო კულტურა ავითარებს სამართალს. ინდოარიული კულტურა დრავიდული ცივილიზაციის მემკვიდრე. ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნება აღმოცენდა სწორედ დრავიდული და ინდოარიული კულტურების სინთეზით.

ვედიზმმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინდური სამართლებრივი კულტურის განვითარების პროცესში. ვედებში აღწერილია თეოგენია, კოსმოგონია, მორალი, სამართალი და ასე შემდეგ. ვედებში კერძოდ რიგვედაში ინდუიზმი დასახულია ჭეშმარიტების გამოვლინებად და მისი უარყოფა მიჩნეულია ღვთიური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლად. ინდუიზმმა და ინდუისტურმა სამართალმა განაპირობა ინდოელი ხალხის იურიდიული აზროვნების ევოლუცია. ვედებმა ფაქტობრივად განსაზღვრა ინდუიზმის საფუძველი-რელიგიური ტრადიცია და ფაქტოლოგიური აზროვნების დოგმატური სტილი.

ვედებში მოცემულია იურიდიული აზროვნების საწყისი-ემპირიული ფაქტოლოგია და იურისპრუდენცია განხილულია ღვთიურ მეცნიერებად. ინდუიზმი გახლავთ რელიგია, რომელმაც ინდური სამართალი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ვედიზმში იურიდიული აზრი განხილულია ღვთიურ მარცვლად, რომელსაც

---

<sup>98</sup> მარადიული ძრავა

<sup>99</sup> გარდასახვა

გაღვივება სჭირდება. ვედიზმმა შეძლო ახალი იდეოლოგიის შექმნა, რომელიც ფაქტობრივად იქცა ინდური სამართლებრივი აზროვნების ქვაკუთხედად. თავისუფლად შეიძლება ითქვას ინდუიზმმა განავითარა ინდური ეგზეციციტური<sup>100</sup> აზროვნება. ინდურ სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ ინტუიციას, როგორც იურიდიული იდეის ჩამოყალიბების საფუძველს.

ინტუიცია კონიუნქციური ფენომენია, რომელიც ერთგვარ მოტივატორად გვესახება იურისპრუდენციის განვითარების პროცესში. იურიდიული ინტუიცია ინდოეთში კონკრეტული შემთხვევის შესწავლის გზა გახლდათ. ინტუიციურმა აზროვნებამ შექმნა სამყარო, რომელიც კოსმიურ სისტემად იქცა ინდოეთში. ვედიზმი უნიკალური მოძღვრებაა, რომელმაც შეძლო უძველესი ინდოარიული სამართლებრივი შეხედულებების ერთიან სივრცეში მოქცევა. ინდოარიელებმა მოახერხეს კომპარატივობა<sup>101</sup> და შექმნეს გასოცარი იურიდიული სისტემა. აღმოსავლეთში სწორედ ინდოარიელებმა განახორციელეს ტომობრივ იურიდიულ საზრისთა ერთიან სიბრტყეში მოქცევა.

ინდოარიელებს ღრმა კავშირი ჰქონდათ დრავიდებთანაც. ფაქტობრივად, სწორედ ინდოარიელებმა მოახერხეს სახელმწიფო იერარქიაში მეფის როლის და სტატუსის სამართლებრივი თვალსაზრისით განსაზღვრა. ინდოარიელი მონარქი იქცა ხალხის ნამდვილ წინამძღოლად და ქვეყნის უმაღლეს მეთაურად. ინდოარიელებმა შემოიღეს ინდოეთში აბსოლუტური მონარქია. ეს მოვლენა სამომავლოდ გარდამტეხ ფუნქციას შეიძენს-ინდოეთის ისტორიაში. მეფის ინსტიტუტი ინდოარიელებმა უაღრესად განავითარეს და ახალი როლიც შესძინეს სახელმწიფოს ცხოვრებაში.

ინდოარიელები იმორჩილებენ ჰარაპის ცივილიზაციას, რომელსაც დასიუსს უწოდებდნენ. ჩრდილო ინდოეთი ინდოარიელთა გავლენის ქვეშ ექცევა. ინდოარიული მოდგმა ასიმილაციის გზით იმორჩილებს დრავიდებს და ქმნის ახალ ცივილიზაციას, რომელიც ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა მოდელზეა აგებული. ინდოარიული სამეფო გახლდათ რელიგიურ-პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც მოიცავდა სამეფო ხელისუფლებასა და ქურუმთა კასტას. ქურუმები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ სამართლებრივ პროცესებში. ინდოარიული სამართალი ეყრდნობოდა არიულ ტრადიციებს და რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ სისტემებს. აღნიშნულმა ხალხმა ინდოეთი ერთიან ძლიერ იმპერიად აქცია.

ინდოარიული სამართალი ეფუძნებოდა ემპირიულ ფაქტოლოგიასთან შეზავებულ იურიდიულ ინტუიციას. ინდოარიელების მოძღვრების თანახმად ფაქტი

<sup>100</sup> ზეთეოგენიური

<sup>101</sup> შედარებითობა

და ინტუიცია ერთობლივად ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის წინაპირობა გახლდათ. ინდოარიელებმა მოახერხეს სამართლებრივ შეხედულებათა გარდაქმნა და ეპოქასთან მისადაგება. ამ მოვლენამ კი დიდად შეუწყო ხელი იურიდიული აზროვნების პროგრესს.

აღსანიშნავია მანუს კანონები, რომელიც ინდოარიული და დრავიდული იურიდიული შეხედულებების ნაერთს წარმოადგენს. მანუს კანონები ფოკუსირებულია ძირითადად სისხლის და სამოქალაქო სამართალზე. მაგალითად ეს კანონი კრძალავს ქურდობას, მკვლელობას და ასე შემდეგ. ეს კანონი პირადად ჩემი აზრით კონსტიტუციური სამართლის წინარესახედ შეგვიძლია მივიჩნიოთ. მანუს კანონები გახლავთ ინდოარიელი ხალხის დამცველი უმაღლესი იურიდიული მექანიზმი, რომელიც იბრძვის ინდოარიული სამეფოს მოსახლეობის ინტერესთა დასაცავად. ასევე მანუს კანონები იღვწოდა ინდოარიელთა სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ეს კანონინდური სამართლებრივი აზროვნების ნიმუშია, რომელშიც ასახულია უძველესი დრავიდული და ინდოარიული სამართლებრივი ტრადიციები. მანუს კანონები გახლავთ პირველი იურიდიული ნორმების კრებული, რომელმაც განახორციელა შედარებითი ანალიზი დრავიდული და ინდოარიული ხალხების სამართლებრივი ტრადიციებისა. მანუს კანონები იქცა ინდუსურ ტომთა გამაერთიანებელ სისტემად, რომელმაც ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნება ახალ ლოგიკურ საფეხურზე ადამაღლა. მანუს კანონები წარმოადგენს აღმოსავლურ კონსტიტუციას. მას სავსებით შესაძლებელია პირველი კოსმოცენტრული<sup>102</sup> კოსტიტუცია ვუწოდოთ.

ინდოეთში მანუს კანონებმა ახალი სული შთაბერა აღმოსავლურ სამართალს, კერძოდ, შეიქმნა პრეცედენტი განსხვავებულ ტომთა იურიდიულ-აზრობრივი გაერთიანებისა, რაც იქცა ინდოელი ხალხის ცნობიერ სამყაროში ახალი იურიდიული ევოლუციის დაწყების პროცესის მამოძრავებელ ძალად. მანუს კანონებმა გარკვეულწილად განახორციელეს სამართლის დარგთა დიფერენცირება<sup>103</sup> და მათი მეტალოგიკური<sup>104</sup> შესწავლა.

მანუს კანონებში ასახულია ვედიზმის სიბრძნე, რომელიც სათავეს იღებს დრავიდული ტრადიციებიდან. აზროვნება წარსულის გააზრებით იწყება და შესაბამისად მანუს კანონებიც გახლავთ ნიმუში წარსულის გაცნობიერების გზით

<sup>102</sup> ღვთიური სამართალი ეყრდნობა კოსმიურ და თეოლოგიურ ცოდნას

<sup>103</sup> გარკვეულ თვისებათა მიხედვით დაყოფა

<sup>104</sup> ისტორიულ-ლოგიკური

ღირსეული აწმყოს შექმნისა და და საბოლოოდ ნათელი მომავლის პერსპექტივის შექმნისა.

ინდური სამართალი მანუს კანონებმა ერთგვარ სისტემად აქცია, სისტემად, რომელმაც სინქრონული<sup>105</sup> განვრცობა დიაქრონულ<sup>106</sup> პროგრესს შეუხამა. ინდურმა სამართალმა განვითარების მაღალ ნიშნულს მიაღწია მანუს კანონებით. მანუს კანონები ჩემი სუბიექტური ხედვით მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის წინარესახეა, რადგან მან გააერთიანა ინდურ ტომთა ტრადიციები და საფუძველი შეუმზადა აღმოსავლურ იურიდიულ პროგრესს. ინდოარიელთა განვრცობამ მთელ ინდოეთში განაპირობა ახალი სოციალურ-პოლიტიკური რეალობის შექმნა. ინდოეთში ვედიზმმა ფაქტობრივად შეცვალა მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ინდური ტრადიციები. მოხდა ინდოარიულ ჩვეულებებთან დრავიდული ტრადიციების შერწყმა. ორმხრივმა ურთიერთობამ კვალი დატოვა ინდოეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ინდოარიელთა გაბატონებამ დაახლოებით ძვ.წ მესამე-მეორე ათასწლეულთა მიჯნაზე წარმოშვა ინდური საზოგადოება, მაგრამ სამწუხაროდ ჟამთა სვლამ ბევრი უძველესი არტეფაქტი წაშალა. აღნიშნული გარემოება კი გვაკარგვინებს შესაძლებლობას დრავიდული კულტურის სრულფასოვნად შესწავლასთან დაკავშირებით.

თუმცა, უტყუარი ჭეშმარიტება გახლავთ დრავიდული კულტურის ინდური ცივილიზაციის წყაროდ განხილვა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-დრავიდული და ინდოარიული კულტურების შერწყმამ განაპირობა წინაანტიკური ხანის ინდოეთის აღმავლობა. პირადად ჩემი აზრით დრავიდები ინდოელთა უძველესი წინაპრები არიან, რომლებიც შემდგომ მოსულ ინდოარიელებს შეერწყნენ. ინდოარიული სამეფო წყობილება იქცა იურიდიული აზროვნების ახალ მწვერვალად, რომელიც ინდოელმა ხალხმა წარმატებით დაიპყრო.

ზოგადად, ინდური სამართლებრივი აზროვნება ოდითგანვე გამოირჩეოდა კოსმოცენტრული ხასიათით. დრავიდები კოსმოცენტრიზმის მიმდევრები გახლდნენ. ინდოარიელებიც სამართლებრივი აზროვნების ქვაკუთხედად თვლიდნენ ღვთიურ ნებას, რომელიც ერწყმოდა ემპირიულ ფაქტოლოგიას. ინდოარიელები და დრავიდები წარმოადგენდნენ ინდური სამართლებრივი აზროვნების შემოქმედთ.

ვედიზმი აღმოცენდა დრავიდული და ინდოარიული შეხედულებების შერწყმის შედეგად. ვედანაჰ-დრავიდულად ნიშნავს არ წახვიდე-ეს ფაქტი მიუთითებს დრავიდულ გენეზისს ვედიზმისა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ვედიზმი

---

<sup>105</sup> სივრცე

<sup>106</sup> დრო

დრავიდული და ინდოარიული კულტუროტრიპული ელემენტების ნაერთი გახლავთ. ვედიზმი ეფუძნება დრავიდულ მისტიკასა და ინდოარიულ ფილოსოფიას.

ინდოარიელებმა ჩამოაყალიბეს ვარნასთა სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა საზოგადოების სოციალურ კლასებად დაყოფას, კერძოდ შეიქმნა 4 კლასი-1- ბრაჰმანები-უმალესი სასულიერო არისტოკრატია, 2-ქშატრიები-სამხედრო არისტოკრატია, 3-ვაიშიები და 4- შუდრები. შუდრები პრაქტიკულად უუფლებო ფენას წარმოადგენდნენ. ზემოთხსენებულ სისტემაში მთავარი ადგილი უჭირავთ ბრაჰმანებს, რომლებიც სასულიერო რიტუალებს აღასრულებდნენ და ქვეყნის მმართველობით ფუნქციას ითავსებდნენ. ბრაჰმანები თავს ამქვეყნიური სამყაროს მოძღვრებად თვლიდნენ და ინდოარიელთა ღმერთებთან - სულეთის განზომილებასთან კავშირს მიიჩნევდნენ ხსნის ერთადერთ გზად. ბრაჰმანთა კასტა აერთიანებდა დრავიდ და ინდოარიელ ქურუმებს. ბრაჰმანი<sup>107</sup> ნიშნავს უზენაეს-ღმერთ ბრაჰმას სულს და მის მუტაბელურ<sup>108</sup> განსხეულებას ამქვეყნად. ბრაჰმანებმა მოახერხეს ვარნასთა სისტემის სათავეში მოქცევა და მრავალი საუკუნის განმავლობაში ინდური კულტურის განვითარების პროცესის მესაჭის როლის შესრულება. ბრაჰმანი როგორც სასულიერო იერარქი მართავდა სამართლებრივ სივრცესაც და გარკვეულწილად აკონტროლებდა პოლიტიკურ მოვლენათა წყებასაც. ბრაჰმას მსახური ქურუმი დიად მისიას ასრულებდა, კერძოდ იგი აკავშირებდა მაღალ სოციალურ კლასს სულეთთან. პრაქტიკულად ბრაჰმანი გახლდათ არა მხოლოდ გამორჩეული სასულიერო ფიგურა არამედ იგი გვევლინებოდა ქშატრიათა-სამხედრო არისტოკრატის იდეურ მეთაურად. ბრაჰმანთა კლასი აკონტროლებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგალითად, ბრაჰმანთა მიერ ჩატარებულ სასულიერო რიტუალებს ხალხის მასებზე დიდი გავლენა ჰქონდა. ბრაჰმანები სამართალს განიხილავდნენ კოსმიური გონის აზრობრივ ნაწილად და ღვთიურ საქმედ. ბრაჰმანი შესაძლებელია კოსმოცენტრისტ მოსამართლედაც მივიჩნიოთ.

ეს კასტა იურისპრუდენციას სამართლებრივ ინტერესთა სამყაროდ თვლიდა. ბრაჰმანთა კასტამ შექმნა უძველესი თქმულება სამყაროს ოქროს ძროხის-ფაშისგან შობის შესახებ. ინდოარიელები თაყვანს სცემდნენ ძროხას, ეს ცხოველი მათი ტოტემი გახლდათ. სახეზეა ადრესამიწათმოქმედო დრავიდულ კულტურათა თითქოს დაკარგული კვალი ინდურ სამართალსა და მითოსში.

კულტურა უკვალოდ არ იკარგება. ხშირად იგი საუკუნეთა განვლის შემდგომ იჩენს თავს. კულტუროტრიპული კვალი დრავიდებისა არც თუ მკრთალად ჩანს ბრაჰმანთა მსოფლმხედველობაში. ბრაჰმანები წარმოადგენდნენ ინდოარიელთა სულიერ ელიტას, რომელიც გახლდათ ინდოელი ხალხის ინტელექტუალური განვითარების

<sup>107</sup> ქურუმთა კასტა

<sup>108</sup> სულიერ-სხეულებრივ

პროცესის მმართველი ძალა. ბრაჰმანი გახლავთ ინდოარიული ინსტიტუტი, იგი მხოლოდ სოციალური კუთვნილება არ არის.

ბრაჰმანი სამართლებრივი ინსტიტუციის აღმოსავლური ნაირსახეობაა. ინდური სამართალი ვედიზმის ეპოქაში ვითარდებოდა ბრაჰმანთა იდეოლოგიის მიხედვით. უნდა აღინიშნოს ბრაჰმანთა ძლიერების წყარო გახლდათ ინდოარიული კრედო ინდუსური არისტოკრატის ღვთიური წარმოშობის შესახებ. ასევე აღსანიშნავია -ბრაჰმანთა იდეოლოგია ეფუძნებოდა პროვიდენციალიზმს<sup>109</sup>. ბრაჰმანები უძველეს იურიდიულ ინსტიტუციათა შემოქმედნი არიან ინდოეთში. ბრაჰმას მიმდევრებს ჰქონდათ უაღრესად საინტერესო სამართლებრივი იდეების შექმნის უნარი.

მაგალითად, ვედიზმში ოჯახი წარმოსახულია როგორც თითოეულ ადამიანში არსებული ღვთიური თესლის გაღვივების პროდუქტი. ვედიზმი ადამიანს თვლის მიწიერ ღმერთად, რომლის შინაგან ცნობიერ სამყაროში არსებულ სულიერ ნაპერწკალს აღვივებს სწორედ ბრაჰმანული<sup>110</sup> სამართალი. ბრაჰმანთა სამართლებრივი იდეები სათავეს იღებს რელიგიიდან-კერძოდ ინდუიზმიდან. ეს რელიგია შექმნეს ინდოარიელებმა და განავითარეს გუჯარებმა<sup>111</sup>. ვედიზმის მრწამსი რეალიზდა ინდუს ბრაჰმანთა მოძღვრებაში, კერძოდ ვედებში დაფარულია უძველეს ხალხთა სამართლებრივი კრედო.

ვედებში კოდირებულია იურიდიულ-ისტორიულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელმაც ასახვა ჰპოვა ბრაჰმანთა იდეოლოგიაში. საინტერესოა ღვთაება შივას ფენომენი-იგი ხასიათდება უზარმაზარი სიბრძნით და წარმოუდგენელი მრისხანების უნარით. ესე იგი, არსებობს იურიდიულად ფორმულირებადი სიბრძნე, რომელიც მოიცავს სამართლებრივ ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემას და რომელთან ბრძოლაც იწვევს ქაოსს და უბედურებას. ბრაჰმა-უზენაესი სულია, რომელიც ავსებს სამყაროს სიკეთით და ბედნიერებით. ბრაჰმას მიმდევრები თვლიდნენ ადამიანს-ინდოარიელ ინდუსს მიწიერ ღმერთად, რომლის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა მშვიდობიანი ცხოვრება და მრავალმხრივი განვითარება.

ინდოარიელი ბრაჰმანები იღვწოდნენ უპირველეს ყოვლისა ინდოარიელთა უფლებების დასაცავად. ბრაჰმანთა სისხლისსამართლებრივი შეხედულებები უაღრესად საინტერესოა, მაგალითად ღვთაების ქანდაკების წაბილწვა წამებით სიკვდილით ისჯებოდა. ასევე ადამიანის -ამ შემთხვევაში ინდოარიელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება მიიჩნეოდა ღვთაებათა

<sup>109</sup> ისტორიულ მოვლენათა მიზეზად სახავს ღვთიურ ნებას.

<sup>110</sup> ზესულიერი

<sup>111</sup> ტომი ინდოეთში

წინააღმდეგ განხორციელებულ აქტად, რაც უპატიებელი ცოდვა გახლდათ. ბრაჰმანები ინდოარიელებს თვლიდნენ უმაღლეს რასად, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ სხვა ტომები.

ბრაჰმანთა სამართლებრივი იდეოლოგია ეყრდნობოდა ვერტიკალს და არა ჰორიზონტალურ დეფინიციას. ბრაჰმანები არც თუ მრავალრივზოვანნი იყვნენ, თუმცა ისინი ახერხებდნენ ინდური საზოგადოების მართვას. აღნიშნული კასტა ფაქტობრივად წარმოადგენდა ინდური სამართლებრივი აზროვნების კონცეპტუალურ ცენტრს. ბრაჰმანები საკუთარ თავს მიიჩნევდნენ გამორჩეულ რასათა მოძღვრებად. მართლაც ბრაჰმანებმა და ბრაჰმას იდეოლოგიამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულია ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. ბრაჰმანთა სოციალური კლასი მართავდა ინდოელ ხალხს და ქმნიდა ინდური სახელმწიფოს ხერხემალს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ბრაჰმანთა კასტამ შექმნა ინტუიციური სამართალი-დჰარმული<sup>112</sup> იურისპრუდენცია, რომელმაც დიდი ისტორიულ-გენეტიკური პოტენციალის ათვისების წყალობით მოახერხა ორიგინალური სამართლებრივი აზროვნების სტილის ჩამოყალიბება. ინდოეთში ინტუიციის სულიერი აზროვნების საწყისი გახლდათ. ეს სრული აქსიომაა<sup>113</sup>. ბრაჰმანთა ინტუიციურმა სამართალმა დიდი ზეგავლენა იქონია მეოცე საუკუნის სოციოლოგიურ სკოლაზე-კერძოდ საშიში მდგომარეობის ცნება ბრალის ინდივიდუალური შერაცხვისას თეორეტიკულ სამყაროში სწორედ ინდოეთიდან იღებს სათავეს. ბრაჰმანთა აზრით მრავალგზის ჩადენილი დანაშაულის შემოქმედი პირი საზოგადოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს დანაშაულის ჩადენამდეც. მაგალითად, თუ პირმა ერთხელ მოკლა ადამიანი, მაშინ იგი უკვე ბოროტი სულის-საავანის იდეური მონაა და საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის. ბრაჰმანთა იურიდიული მოძღვრება მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს მიიჩნევს პოტენციურ საფრთხედ, რადგან ბრაჰმანთა აზრით დანაშაულებრივ სურვილს ახასიათებს განმეორებადი გამოვლინება. კერძოდ, ბოროტი სურვილი შესაძლოა გაუჩნდეს კეთილ ადამიანსაც-მომენტალურად, მაგრამ თუ იგი ახორციელებს ამ ბოროტ ნებას, მაშინ იგი წყდება ღვთიურ გონს და ექცევა ბოროტების გავლენის ქვეშ. ბრაჰმანთა აზრით ამ შემთხვევაში პირს სჭირდება განწმენდა, ხოლო თუ ამ აქტმაც შედეგი არ გამოიღო, იგი მიიჩნევა დაღუპულ სულად და იკვეთება საზოგადოებიდან. ბრაჰმანებმა შემოიღეს დანაშაულის მიზეზთან ბრძოლის ხელოვნება-ისინი ცდილობდნენ აღმოეფხვრათ დანაშაულის აბსტრაქციული მიზეზი და ადამიანი ეხსნათ სულიერი ტანჯვისგან. მაგალითად მკვლელობა უმძიმეს ცოდვად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა. ბრაჰმანებმა სამართლებრივი ინტუიციის აქციეს ერთგვარ რეგულატორად, რომელიც აწესრიგებდა ურთიერთობებს საზოგადოებრივ ფენებს შორის. ბრაჰმანის მოკვლა

<sup>112</sup> ენერგია

<sup>113</sup> უდავო არასაკამათო

დაბალი კლასის წარმომადგენლის მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ისჯებოდა. ბრაჰმანთა კასტა ერთგვარ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც ხშირად ითავსებდა საზოგადოებისადმი რეპრესიული ქმედებების განხორციელების უფლებასაც. ბრაჰმანი გახლდათ ღვთის მსაჯული, რომელიც იყო მედიატორი, შუამავალი ხალხსა და ღვთაებებს შორის. ბრაჰმანებს განვითარებული ჰქონდათ ზეგრძნობადი შემეცნებაც. ისინი შეიმეცნებდნენ სამყაროს და ცდილობდნენ მიზეზთა ამოცნობას. ბრაჰმანთა აზრით- მიზეზი არის ის, რაც იწვევს ხოლო მიზეზი ის რაც ქმნის. მიზეზობრივი კავშირის დადგენა სამართლებრივ მოვლენებს შორის ბრაჰმანთა აზრით ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საფუძველი გახლდათ. ბრაჰმანი ქურუმი ეძიებდა მიზეზს და ამგვარად სწავლობდა შედეგს. ბრაჰმანთა მოძღვრების მიხედვით მიზეზი იწვევდა შედეგს, ხოლო შედეგი ქმნიდა ახალ მიზეზობრივ ბმას სხვადასხვა მოვლენებს შორის. მიზეზი ხშირად ქმნიდა იურიდიულ მოცემულობას, რომელიც გარდაიქმნებოდა მიზეზობრივ კავშირთა წარმომშობ პირობად. ბრაჰმანი დანაშაულს თვლიდა სენად, რომლისგანაც განკურნება გახლდათ საჭირო. ისევე როგორც პროფესიონალი ექიმი ებრძვის დაავადების მიზეზს და ამგვარად სკობს დაავადების შედეგს, ასევე სამართლის მცოდნე ებრძვის დანაშაულის მიზეზს და ამგვარად ანეიტრალებს შედეგს. ბრაჰმას მოძღვრება ავითარებდა თეორიას ადამიანური სურვილების- მატერიალიზებული სულიერი ენერჯისგან წარმოშობის შესახებ. ბრაჰმანი ებრძვის ბოროტებას და სამართალს მიიჩნევს იმ აზრობრივ იდეალად, რომელიც აღასრულებს ღვთის ნებას და იცავს კეთილ ადამიანს. მიზეზთა მიზეზი მიზეზი არ არის-მიზეზია, ხოლო მიზეზთა მიზეზი მიზეზი არ არის მიზეზია-გვმოდღვრავდნენ ბრაჰმანები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ბრაჰმანები ინდოარიული სამართლებრივი ტრადიციების საფუძველთა შემქმნელები არიან. ბრაჰმას მოძღვრება ეფუძნებოდა არიულ ხედვას სამართლისა, რაც განპირობებული გახლდათ ინდოარიული აღქმით სამყაროსეული სიბრძნისა. ბრაჰმან-ეს უპირველეს ყოვლისა სულიერი იდეალია და არა დოგმატური ფაქტოლოგიის თეოლოგიური განსახიერება. პირადად, ჩემი აზრით, ინდოარიულ ბრაჰმანთა იდეოლოგია სათავეს იღებს მსოფლიო ხალხთა კონტინუუმისტური<sup>114</sup> აზროვნებისგან. ბრაჰმანებმა დიდი როლი შეასრულეს ინდუსურ ტომთა გაერთიანების პროცესში. ზემოაღნიშნულმა კასტამ განსაზღვრა ინდოარიული ცივილიზაციის განვითარების გეზი. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ინდოარიელებმა შეძლეს დრავიდულ ტომთა სამართლებრივი ტრადიციების სისტემატიზება და ამ გზით უნიკალური იურიდიული იდეალების ჩამოყალიბება. დრავიდული კულტურა არ გამქრალა, მან ასახვა ჰპოვა ინდოარიულ ცნობიერებაში. ბრაჰმანთა კასტის მისია გახლდათ უპირველეს ყოვლისა, ინდოელი ხალხის ინდოარიული სეგმენტის ზეეპოქალური განვითარება და ინდური ეთნოსის ერთ მუშტად შეკვრა. ბრაჰმანული სისტემა

<sup>114</sup> სისტემური

მოიცავდა აზრობრივ გარდაქმნებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქვეყნის მომავალს. ბრაჰმანები ამყარებდნენ აზრობრივ დიქტატურას, რომელიც მოიცავდა სამართლებრივ დიქტატსაც. ბუნებრივია, ბრაჰმანები იმდროინდელი ეპოქის უდიდესი ინტელექტუალები იყვნენ, თუმცა მათ მიერ შექმნილი იდეოლოგია იურიდიული თვალსაზრისით სრულფასოვნად მხოლოდ ბრაჰმანთა და ქშატრიათა ინტერესებს იცავდა. არსებობდა უფლებო ფენა-შუდრები, რომლებიც სიდატაკეში ცხოვრობდნენ. ინდური გადმოცემით, ბრაჰმანის ფეხსაცმლის ლანჩის მტვერიც კი არ უნდა მოხვედროდათ უწმინდურ შუდრებს. ბუნებრივია, თანამედროვე სამართლის გადმოსახედიდან აღნიშნული იდეოლოგია ადამიანის უფლებებს არღვევს, თუმცა მაშინ ბრაჰმანთა პოლიტიკამ და სამართლებრივმა შეხედულებებმა კულტურული განვითარების ახალ სიმაღლეზე აიყვანა ინდური საზოგადოება. ინდოეთში ბრაჰმანებმა სათავე დაუდეს პურიფიცირებულ<sup>115</sup> სამართალს. ბრაჰმანები კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფფიგურებად იქცნენ. ბრაჰმა იმიფრება როგორც -უზენაესი სული, ესე იგი, მამათამამა. ბრაჰმანული იდეოლოგია საუკეთესო ნიმუშია სხვადასხვა ხალხთა ნააზრევის სისტემატიზებისა. ბრაჰმანები ინდოარიელებს თვლიდნენ საკაცობრიო აზროვნების საუნჯის მცველებად. ევროპელები ბრაჰმანებს ხშირად უწოდებდნენ აღმოსავლეთის ბრძენ მოძღვრებს. ბრაჰმანი გახლდათ სულიერ-ნომანისტური<sup>116</sup> ტიტული, რომელიც ასახავდა იურიდიულ ინსტიტუციებსაც. ბრაჰმანი ინდოელ გურუთა კლასის ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ. ინდოარიელმა ბრაჰმანებმა შექმნეს სამი ცენტრალური ღვთაების იდეალისტური<sup>117</sup> თეორია-ბრაჰმა, შივა და ვიშნუ. ისინი წარმოადგენდნენ ინდური სამართლებრივი აზროვნების იდეურ ქვაკუთხედს. სავსებით შესაძლებელია, ამ ტრიუმვირატს-აზრობრივი ტრიმალიტანსი -ანუ მთლიანობა ვუწოდოთ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-აღნიშნული ღვთაებანი ინდოარიული ცივილიზაციის ტრანსცენდენტური -ინდურად პრაჯნა-ნაირსახეობები გახლდნენ. პირადად ჩემი აზრით, ეს საკითხი მეტ შესწავლას საჭიროებს. ძვ.წ პირველ ათასწლეულში ბრაჰმანიზმი დომინანტ რელიგიად იქცა ინდოეთში, მაგრამ ძვ.წ პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მისი პოზიციები შეასუსტეს ბუდიზმმა და ჯაინიზმმა. ინდუისტური მოძღვრება ეყრდნობა 3 თეზისს-1დჰარმა-კანონი, 2-ართა-მიზანი და 3- კამა-ადამიანური ენერგია. ინდუიზმში არსებობს ორი ძირითადი მიმართულება-ვიშნუიზმი და შივაიზმი. პირველი ქადაგებს ვიშნუს სიბრძნეს-სიმშვიდეს, ხოლო მეორე კი შივას სიბრძნეს-აქტიურ მოძრაობას სულიერი ენერგიისა. შივაისტებს შორის გამოირჩევა მაკტისტა-ქალური საწყისის თაყვანისმცემელთა სკოლა. ძველ ინდოეთში რელიგიურ-ლოგიკურ პრინციპ-ვადამისთან მიმართებაში გამოიყოფოდა 2 სკოლა-1-ასტიკა-თეიზმი და 2-ნასტიკა-ათეიზმი. მე-19 საუკუნეში

<sup>115</sup> წმინდა გაწმენდილი

<sup>116</sup> მატერიალიზებადი

<sup>117</sup> ზეგრძნობადი

გაჩნდა რეფორმატორული ინდუისტური მოძრაობა-არია სამაჯი. მას დღემდე უამრავი მიმდევარი ჰყავს. ინდუიზმმა ინდოელი ხალხის სიბრძნე ერთიან სისტემად გააერთიანა. ინდუისტები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ინდოეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე აღნიშნას იმსახურებს შემდეგი საინტერესო ფაქტი-უპანიშადები გახლავთ ვედების მნიშვნელოვანი ნაწილი და იგი აერთიანებს უძველეს ინდურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრაქტატებს. უპანიშადები წარმოადგენს გასაოცარ ნიმუშს ინდური ფილოსოფიური აზროვნებისა. იგი მოიცავს სამართლებრივ თეზისებსაც. უპანიშადების მიხედვით ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობაა სიკეთის ქმნა და ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ. ამ ტრაქტატთა კრებულში ყურადღება ფოკუსირებულია ადამიანის შინაგან თვისებებსა და მის ეტემენერალურ<sup>118</sup> მსოფლხედვაზე. უპანიშადები გახლავთ რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა, რომელმაც დაგვანახა ინდური მორალი, ესთეტიკურ სილამაზესთან შერწყმული ეთიკა და დიდსულოვნება. პირადად, ჩემი აზრით, უპანიშადები აზიური ცივილიზაციის იდეოლოგიური ღერძია, რომელიც დაიწერა კავკასიური წარმოშობის ინდოარიელ და მოსოხური გენეზისის დრავიდ ქურუმთა მიერ. სიტყვა უპანიშადები ითარგმნება როგორც-ჯდომა ქვედა სიახლოვეს-აქ ჩემი აზრით უნდა ვიგულისხმოთ კავკასიელ ქურუმთა მისიის ხატოვანი ალეგორია-ესე იგი აქ ნაგულისხმევია კავკასიელ ასპერელ ანუ მთიელ ქურუმთა მიერ ზეციური სამყაროდან მიღებული სიბრძნის მატერიალური შემეცნების გზით მთელ მსოფლიოში გავრცელება. ინდოეთის ძველი სახელწოდებაა დიდოეთი და იგი მიუთითებს მედიტერიანული<sup>119</sup> ცივილიზაციის კვალზე შორეულ აღმოსავლეთში. ინდუისტური სამართალი განიცდის იბერიულ-კავკასიური რასის გავლენას. მაგალითად, თვალშისაცემია კოლხურ-იბერიული კვალი რიგვედაში, რომელიც იმიფრება როგორც მკაცრი დოგმატიკა-ძვ.კოლხურ ენაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-დრავიდები და ინდოარიელები გენეტიკურად ენათესავენ იან კოლხ-იბერთ, მეტიც მინდა გამოვთვაო მოსაზრება პოემა რამაიანაში-ე.წ ბირთვული ომის დღევანდელი შავი ზღვის ტერიტორიაზე გამართვის შესახებ. რაც შეეხება არგუმენტს-რამა იბერიულად იმიფრება როგორც მზის ღმერთ რასგან მომდინარე ენერჯის ინდივიდუალიზება „კოლხეთი მზის ღმერთ ჰელიოსის ქვეყანაა, აიეტი ჰელიოსის ვაჟია, ეგვიპტის ფარაონებიც თავს მზის ღმერთ რას შვილებად მიიჩნევენ, ასევე კოლხეთის მეფეებიც თავს ჰელიოსის შთამომავლებად თვლიან. მეტიც, მეცნიერთა მიერ შეუსწავლელია შავი ზღვის სიღრმე-200 მეტრის ქვევით, სადაც გოგირდის და აირის უზარმაზარი ფენაა, ნაკლებად სავარაუდოა ეს ფენა ბუნებრივად გაჩენილიყო. ჩემი აზრით ეს შრე დიდი ელექტრული ენერჯიების შეჯახებამ წარმოშვა, ამიტომაც იძენს ეს ზღვა პერიოდულად შავ ფერს, შემდგომ თეთრ ფერს-ანუ წყალმა შემოინახა თავის

<sup>118</sup> მედიტაციური

<sup>119</sup> სმელთაშუაზღვისპირული

სინსომოტორულ<sup>120</sup> მეხსიერებაში ატლანტურ ტომთა ბრძოლის ეპოპეა, კავკასია კი გადაარჩინა მისმა კოსმოგონიურმა ენერგიამ, რადგან ჩემი აზრით კავკასია იყო ატლანტიდის ცივილიზაციის სულიერი ცენტრი-წალკოტი, რომელსაც პერიოდულად სტუმრობდნენ ატლანტი ქურუმები, რადგან მიეღოთ ინფორმაცია სულეთის სამყაროდან, ვინაიდან არამქვეყნიურ განზომილებებში გადამყვანი კარიბჭე სწორედ კავკასიონის მთათა სისტემაა. რაც შეეხება ვედურ სამართალს-ვედიზმი საკმაოდ მკაცრი და ასკეტური მოძღვრებაა. ვედური სამართალი ეყრდნობა ვედიზმის წმინდა წერილებსა და ტრაქტატებს. რასაკვირველია, ცივილისტიკის სამშობლო რომია, თუმცა სავსებით შესაძლებელია, წინარეცივილისტური სამართლის შემქმნელად ვედიზმი მივიჩნიოთ. ვედიზმმა ოჯახის სიწმინდის დაცვა დაისახა მიზნად და ჩამოაყალიბა სამემკვიდრეო და საოჯახო სამართლის წინარესახენი. მაგალითად, ვედიზმმა ოჯახის ღერძად ქალისა და მამაკაცის სიყვარული დაადგინა, განქორწინების შემთხვევაში ქონება ნაწილდებოდა. ვედიზმმა და ვედურმა სამართალმა ინდური იურიდიული აზროვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ასევე საინტერესოა -პურანები, რომელიც ასახავს ბოროტების-დევეების ანუ მოძალადეების და რამაკრიშნას ანუ კანონიერი და სამართლიანი ადამიანების ბრძოლას, რომელიც სიკეთის გამარჯვებით სრულდება. ამ პოემაში სამართლიანობასთან შერწყმული კანონიერება იმარჯვებს. ინდური სამართალი განსაცვიფრებელი ფენომენია, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ხალხთა სამართლებრივ ტრადიციებს. ძვ.წ. მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული ინდოეთის ტერიტორიაზე გაჩნდნენ წვრილი სამთავროები-მაჰაჯანაპადები, რომლებიც ერთმანეთთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული. ძვ.წ მესამე საუკუნეში სამხრეთ აზიის უმეტესი ნაწილი გაერთიანდა მაურიების იმპერიაში-ჩანდრაგუპტა მაურიას მმართველობის ქვეშ. იმპერიამ განვითარების ზენიტს ბუდისტი მეფის-აშოკას მმართველობისას მიაღწია. ძვ.წ მეორე საუკუნეში ინდოეთმა გადაიტანა შემოსევათა სერია-წარმოიშვნენ ინდო-ბერძნული, ინდო-ბაქტრიული და ინდო-სკვითური სამეფოები. ბუდიზმი შექმნა პრინცმა სინთჰართჰა გაუტამა შაკიამუნმა. ბუდიზმის წმინდა წიგნია-ტიპიტაკა-იყოფა 3 ნაწილად-1-სუტა პიტაკა 2-ვინაია პიტაკა და 3- აჰიდჰამა პიტაკა ასევე 2 დამატებისგან-დჰამაპადა-ბრძნული აფორიზმების კრებული და ჯატაკა-ბუდას დაბადებათა ციკლი. ძვ.წ 480 წელს ქალაქ რაჯაგრიჰაში გაიმართა კრება, რომელსაც კაშიაპა ხელმძღვანელობდა. კრებაზე ბუდას უსაყვარლესი მოწაფის-ანანდას მონათხრობზე დაყრდნობით დადგინდა ტიპიტაკას ტექსტი. ბუდიზმი და სამართალი მძლავრ ურთიერთკავშირს ავლენენ-კერძოდ არსებობს ცნება-ვიშვავაჯრა-ორმაგი ვაჯრა ესე იგი სულიერება, რომლის ნაწილია სამართლებრივი ცნობიერებაც. ბუდისტები ქმნიან თანგკას-რიტუალურ ხალიჩას და მანდალას- მისტიკურ სქემატურ ნახაზს.

<sup>120</sup> თავისთავადი

ბუდისტური სამართალი აღმოსავლური სამართლის მიმართულებაა და იგი ვითარდება შაოლინის ბერთა დოგმატური ნააზრევის მიხედვით.

ასევე ჩამოყალიბდა ჯაინისტური ბრაჰმანიზმის ოპოზიციური დოგმატური მოძრაობა-ვარდჰამანა მაჰავირა. აღნიშნულმა რელიგიურ-ფილოსოფიურმა მოძრაობამ თავი იჩინა ვედიზმის კრიზისის ხანაში, კერძოდ, ამ ეპოქაში გაჩნდა ე.წ. ერეტიკული მიმდინარეობათა ცნება-წარმოიშვა ასკეტური და თეოლოგიური მოძღვრებების კომპლექტი. გამოჩნდა მოგზაური ფილოსოფოსი-ახალი თეოლოგიური ინსტიტუტი. უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი-კერძოდ, მოგზაური ფილოსოფოსი ქმნიდა არა მხოლოდ ახალ იდეოლოგიურ მოძრაობას, არამედ იგი სათავეს უდებდა ახალ სამართლებრივ ტრადიციასაც. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ახალი მოძღვრება-ასკეტური სამართალი ანუ ასკეტთა მიერ შექმნილ იდეათა იურიდიულ-თეოლოგიური ფორმულირებანი. ასკეტი გახლდათ მოაზროვნე, რომელიც ავითარებდა თეოლოგიასა და მასთან შერწყმულ სამართალს. ასკეტი გახლდათ ბერი, რომელიც აზროვნებდა უამრავი მიმართულებით. კერძოდ, იგი აყალიბებდა-ფორმულას- რელიგია და სამართალი. ასკეტიზმი იდუმალების ბურუსში გახვეული მოძღვრებაა, რომელიც აზროვნებას მიიჩნევდა თითოეული ადამიანის განმავითარებელ საწყისად. ასკეტიზმის მიხედვით, სამართალი გახლავთ არა მხოლოდ მეცნიერება, არამედ აზროვნების ფორმა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს არულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ასკეტიზმი აღმოსავლური სამართლის ერთგვარი ბაზისია, რომელიც იქცა აზროვნების დეონტურ<sup>121</sup> საწყისად და და იურიდიული ინტუიციის განმავითარებელ ინსტრუმენტად. ასკეტი ბერები ინდოეთში დაუპირისპირდნენ ვედიზმის დოქტრინას და შექმნეს მრავალფეროვანი იდეური სისტემა. სწორედ მაშინ წარმოიშვა ინდოეთში განსხვავებული იდეოლოგიურ საწყისთა გამომხატველი აზრობრივი მოძრაობების წყება. ასკეტიზმმა ინდოეთში უძველესი რელიგიური დოგმატიკის სისტემატიზება მოახერხა და დაასრულა ვედიზმის დიქტატი. კერძოდ, ასკეტმა ბერებმა შექმნეს იდეური სამყარო, რომელმაც ასახვა ჰპოვა ინდურ სამართალში. მაგალითად, ცნობილია ინდოელ ასკეტ ბერთა ფორმულირება-ვინც აზროვნებს, ის არ მართავს, ხოლო ვინც პრაქტიკირებად მართავს ახორციელებს არ აზროვნებს. ინდოელ ასკეტთა მიხედვით-სამართალი გახლავთ ასკეტიზმის ნაირსახეობა, რომელიც ვითარდება დროსა და სივრცეში. ასკეტი ბერის აზრით-სამართალი აბალანსებს ადამიანთა მატერიალიზებად ფსიქოგენურ მისწრაფებებსა და საზოგადოების მენტალურ თავისებურებებს. ასკეტიზმი არ გახლავთ მხოლოდ მედიტაციურ პრაქტიკაში ჩაბმის ნიმუში-იგი თავისუფალი აზროვნების წარმომშობი ისტორიული ფენომენია. ასკეტურმა მოძრაობამ ინდური სამართალი ახალ საფეხურზე აღამაღლა და ინდოელ

<sup>121</sup> იურიდიული ლოგიკა.

ხალხის სულიერ-მატერიალური განვითარების ახალი ორიენტირები დასახა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ასკეტიზმმა პოსტვედურ პერიოდში განახორციელა იურიდიული ევოლუცია და სათავე დაუდო სამართლებრივი შეხედულებების ახალ სისტემას. მაგალითად, ინდურ სისხლის სამართალში ბუდიზმმა რევოლუციური ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, ბუდას მოძრაობამ ინდური სამართლის ჰუმანიზება განახორციელა. ბუდისტები ადამიანის მოკვლას უზარმაზარ ცოდვად თვლიდნენ, მეტიც დიდ ცოდვად მიიჩნეოდა მწერთა განადგურებაც კი. ბუდიზმი იქცა ჰუმანიზებლ რელიგიად, რომელმაც მიზნად დაისახა ადამიანის და საზოგადოების, როგორც მთლიანობისა და ელემენტის მყარად შეკავშირება. ინდური სამართლის ისტორიაში ბუდიზმმა სულიერ ტრადიციათა გაერთიანების გზით მონუმენტური კულტურა შექმნა-მაგალითად, ბუდიზმის წმინდა წიგნი-ტიპიტაკა იქცა ერთგვარ სტიმულატორად ინდოელი ხალხის მრავალმხრივ პროგრესირების პროცესში. ტიპიტაკამ აღმოსავლეთში პირველად მოახერხა წინარე რელიგიათა სიბრძნის სისტემატიზება და სულიერი ტრადიციების სამართლებრივ ფორმულირებებში ასახვა. ამ წიგნმა უაღრესად საინტერესო როლი შეასრულა წინარევედური ვედური და პოსტვედური ინდოეთის კულტურულ მიღწევათა განვრცობის პროცესში. ტიპიტაკა იქცა არა მხოლოდ წმინდა ტრაქტატად, არამედ მრავალი ინდოელის ყოველდღიური ცხოვრების სახელმძღვანელოდ.

ზოგადად, ბუდიზმი და სამართალი საინტერესო იდეალთა სამჭედლოდ იქცნენ. ბუდისტური აღქმით სამართლისა -იგი გვევლინება საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელ კულტურულ რეგულატორად. ბუდისტი ბერები აცხადებდნენ - ყოველ ადამიანში მიწიერი ღმერთის არსებობის შესახებ. ბუდიზმში ადამიანის სული ითვლება უზენაესი გონის სულიერ-სხეულებრივ გამოვლინებად და სამართლებრივ სუბსტანციად. შესაბამისად, ბუდიზმი ილაშქრებს ადამიანთა ჩაგვრის და ძალადობრივი ბატონობის წინააღმდეგ. ბუდიზმი ადამიანს მიიჩნევს უმაღლეს იდეალად, რომელსაც ბოროტებისგან დაცვა სჭირდება. ეს რელიგია მიზნად ისახავს ადამიანის ყოფიერების მიღმა არსებული სამყაროს თვითშემეცნებას და ამ სიბრძნის ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოყენებას. ბუდიზმი და მისი დამაარსებელი-სინთჰართჰა გაუტამა შაკიამუნი იქცნენ ინდური რენესანსის მთავარ შემოქმედებად. ბუდამ და მისმა მოძღვრებამ ადამიანი შინაგან სულიერ სამყაროს დაუკავშირა და ამ გზით წამოიწყო რეფორმატორული მოძრაობა- რელიგიური დოგმატიკის ანტისამართლებრივი დიქტატის წინააღმდეგ. ბუდამ ინდოეთი სიბრძნის სავანედ გარდაქმნა. ბუდისტებმა შემოიღეს ბოდჰისატვას ცნება-რაც განათლებულ გონს ნიშნავს. ასევე დამკვიდრდა ტიტული-ბოდჰიდჰარმა ანუ ოსტატი. ბუდა - გასხივოსნებულს ნიშნავს. ბუდისტური სიბრძნის მიხედვით ბუდამ მიაღწია ნირვანას- უნივერსალურ ბედნიერებას. ნირვანა მოიცავს სამართლებრივ მართლწესრიგს, რომელსაც ახასიათებს ჰუმანიზმი და დიდსულოვნება.

მაგალითად, ბუდიზმი ქალი და კაცი ღვთიური სულის ორ ფორმალურად განსხვავებულ, მაგრამ არსობრივად მთლიან სულიერ-სხეულებრივ გამოვლინებად დასახა. სავსებით შესაძლებელია ეს ფაქტი თეონომიური<sup>122</sup> ჰუმანიზმის უძველეს ჩანასახად ჩავთვალოთ. ბუდიზმი და ბუდისტური ლიტერატურა ქადაგებს თანასწორობასა და სიკეთეს, ასევე მოთმინებასა და კანონმორჩილებას-ეს სრული ჭეშმარიტებაა. ბუდისტი ბერები გვმოდვრავდნენ-კანონთა მორჩილება და სიკეთის ქმნა საუკეთესო გზაა ბედნიერებისკენ. სამართალი ბუდისტებისთვის გახლდათ იდეური სისტემა, რომელიც აკავშირებდა ამქვეყნიურ სამყაროს სულეთთან. ბუდისტური ცნება სამართლისა გახლავთ კოსმოცენტრიზმის დედუქციურ-აქსიომატურ<sup>123</sup> სისტემად გარდაქმნის ნიმუში. ბუდისტური სამართალი არის სისტემური აზროვნების ორიგინალური სტილი, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს-ადამიანსა და საზოგადოებას შორის. სამართლებრივი სისტემა ბუდიზმისა წარმოადგენს ზეფაქტოლოგიურ ბაზისზე აღმოცენებულ მძლავრ კავშირს ემპირიულ მოცემულობასა და ინდივიდუალიზებულ ანალიტიკურ კაპიტალს შორის. ანალიტიკური აზროვნებისა და ზეგრძნობადი ინტუიციური აზროვნების კომბინაცია ბუდისტთა აზრით სამართლებრივ საიდუმლოებათა წვდომის კონომინიური<sup>124</sup> მეთოდიკაა. სამართალი ბუდისტურ სამყაროში აღიქმებოდა სახელმწიფოს და ხალხის შემაკავშირებელ იდეურ რგოლად.

მაგალითად, როდესაც ვედიზმის კრიზისი დაიწყო- შაკიამუნის მიმდევრებმა ხალხს სთხოვეს აზრის გამოთქმა მომავალ აზრობრივ მოდელეზე. წარმოიშვა მრავალი იდეური მიმდინარეობა. ხალხის დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ინდოეთში ისურვა ვედების რეფორმირება და ამ გზით ახალი რელიგიურ-სამართლებრივი ფუნქციონალურ-სტრუქტურული სისტემის შექმნა. ბრაჰმანიზმის პოზიციები მკვეთრად შესუსტდა. ძვ.წ პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აქტიურად იწყება ბუდიზმის გავრცელება ინდოეთის ტერიტორიაზე. ინდოელმა ხალხმა მოახერხა ვედიზმისა და ბუდიზმის კულტუროტროპულ სისტემათა გაერთიანება და ამგვარად რელიგიურ-სამართლებრივ იდეათა პროგრესირება. რელატიურმა შეხედულებებმა სამართლის სფეროში განაპირობეს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა კულტურული მიღწევების სინთეზირება და ამ გზით იურიდიული მოძღვრების ახალი სტრუქტურირებული მოდელის ჩამოყალიბება, რაც იქცა გარკვეული სახის სტიმულატორად ინდური საზოგადოების მრავალმხრივ პროგრესირების პროცესში. ბუდიზმის სიბრძნე მოიცავდა მძლავრ კავშირს წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. არსებობს ბუდისტური გამოთქმა-როდესაც მომავლის კარს აღებთ, წარსულის კარები დახშენით, რადგან ორპირმა ქარმა აწმყო არ გაფანტოს-

<sup>122</sup> რელიგიური

<sup>123</sup> კონკრეტიზებულ ჭეშმარიტებად.

<sup>124</sup> ფარდობითი

აღნიშნული ფრაზა მიესადაგება სამართალსაც, კერძოდ, იურიდიულ სამყაროში მიზეზი როგორც წარსული საფუძველია მოვლენის როგორც აწმყოსი, ხოლო მოვლენა, როგორც აწმყო საწყისია სამომავლო პერსპექტივისა. წარსულის გააზრება ქმნის სწორად მართვად აწმყოს, ხოლო ღირსეული აწმყო აყალიბებს ნათელ მომავალს. მაგალითად, სისხლის სამართლის ინდურ მოდელში დანაშაულის შესწავლისას მიმდინარეობს მისი გამომწვევი მიზეზის კვლევა, რაც აადვილებს ქმედების-აწმყოში ჩადენილი დანაშაულის სისტემურ შემეცნებას, ხოლო აწმყოში ჩადენილი ქმედების შესწავლით ყალიბდება ობიექტური აზრი-დამნაშავის მომავლის-სასჯელის ზომის სწორად შერჩევის შესახებ. ინდურ სამართლებრივ ტრადიციათა სამყაროში ბუდიზმმა უამრავი სასიკეთო ცვლილება განახორციელა. კერძოდ, ბუდისტურმა მოძღვრებამ ინდურ სამართალში ჰუმანისტური ელემენტები საკმაოდ დიდი დოზირებით შეიტანა. მაგალითად, ბუდისტები დაუშვებლად მიიჩნევდნენ ადამიანის მხოლოდ გადაუმოწმებელი ინფორმაციის საფუძველზე დასჯას. მათი აზრით, ინფორმაცია დანაშაულის და მით უმეტეს მძიმე კატეგორიის დანაშაულთა შესახებ აუცილებლად უნდა დაქვემდებარებოდა გონივრულ ფარგლებში გადამოწმებას. პირადად, ჩემი აზრით, სახეზეა თანამედროვე სისხლის სამართალში არსებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის წინარესახე. ინდურმა სისხლის სამართალმა შეცვალა მრავალი დეფინიცია, კერძოდ, გარკვეულწილად მომზადდა საფუძველი ახალი იურიდიული ევოლუციის დასაწყებად.

მაგალითად, ბუდისტებმა ინდოეთში შემოიღეს ასევე მითოსის სამართლებრივი კვლევის ხელოვნება. ბუდისტები მითოლოგიას და მითოგენურ ექსპერიმენტებს თვლიდნენ იურიდიული შემთხვევის შესწავლის ერთ-ერთ საუკეთესო გზად. ქალის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ფასებოდა ქალური გადმოსახედიდან მტკიცებულებათა გაანალიზების საშუალებით. მაგალითად, სქესობრივი დანაშაული მძიმე კატეგორიის ნაწილად ითვლებოდა, რადგან იგი მიმართული იყო არა მხოლოდ კონკრეტული ქალის არამედ საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ. ბუდისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ზოგადეროვნული ეთიკის პრინციპთა დაცვასა და მათ იდეურ ინდივიდუალიზაციას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ბუდისტური მორალი სათავეს იღებდა ნოვატორული<sup>125</sup> იდეებიდან და ავითარებდა ხალხის მასებს. ბუდისტთა აზრით, მაღალი მორალური ფასეულობებისადმი ერთგულება გამორიცხავდა ადამიანის შინაგან სამყაროში დანაშაულებრივ განზრახვათა მაღალი სიხშირით გაჩენას. მორალი ბუდისტურ მსოფლმხედველობაში უმაღლეს იდეალად ითვლებოდა თავისუფლებასთან კომბინაციაში. ბუდისტური სამართლის თანახმად ყოველივე იწყება აზრით, რომელიც გამოიხატება სიტყვით და დაგვირგვინდება ქმედებით. ბუდისტური სამართალი დანაშაულს ებრძოდა მიზეზობრივ დონეზე და ცდილობდა მის

<sup>125</sup> სიახლის შემოტანი

ჩანასახშივე აღმოფხვრას. ბუდიზმმა გარკვეულწილად გააძლიერა სხვადასხვა ხალხთა უფლებრივი მდგომარეობა და მკვეთრად დაუპირისპირდა ბრაჰმანიზმის ვარნასთა კასტურ სისტემას, რომელიც არღვევდა მრავალრიცხოვან სოციალურ კლასთა უფლებებს, ლახავდა მათ პატივსა და ღირსებას. ბუდიზმმა გაილაშქრა ხალხის მასათა ჩაგვრის წინააღმდეგ და სათავე დაუდო სამოქალაქო თანასწორობის რელიგიურ იდეოლოგიას-დჰარმულ ანუ ენერგიულ აქტივობას გამყარებულს იურიდიული აზრობრივი კატეგორიებით. იურისპრუდენცია ინდოეთში ვითარდებოდა რელიგიური აზროვნების კვალდაკვალ. ინდური სამოქალაქო სამართალი ბუდისტებმა საკმაოდ განავითარეს, კერძოდ საოჯახო სამართალში შემოიტანეს იურიდიული ნებელობის იდეა, რომლის თანახმად ქალისა და მამაკაცის ქორწინება ემყარებოდა მათ ნებასა და ღვთიური გონის ერთგულებას. ჩემი სუბიექტური ხედვით, ევროპულ ცივილისტიკაზე დიდი ზეგავლენა იქონია ბუდიზმმა, კერძოდ, საოჯახო სამართალზე, მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში ქონება ნაწილდებოდა ყოფილ მეუღლეებს შორის. ბუდისტებმა საოჯახო სამართალს დიდი დატვირთვა შესძინეს. ბუდისტები ოჯახს თვლიდნენ ყოველთვის არსებულის და ყველგან არსებულის მიწიერ განხორციელებად და სულიერი ნებელობის მატერიალიზებულ აზრობრივ განსხეულებად. ბუდისტური საოჯახო სამართალი ღრმა კავშირს ავლენდა სამემკვიდრეო და სანივთო სამართალთანაც. ბუდისტები მემკვიდრეობით სამართალს განიხილავდნენ როგორც სულიერი ნებელობის გამომხატველ აზრობრივ სისტემას, რომელიც ადამიანთა გენეტიკურ კავშირს ღრმა იურიდიულ ვალდებულებათა და უფლებათა იერარქიის წარმომშობ სამყაროდ ესახებოდათ.

ინდური სანივთო სამართალი წარმოადგენდა ასოციაციურ კავშირთა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებდა ურთიერთობებს სამოქალაქო თვალსაზრისით და აღწერდა ნივთზე, როგორც მატერიალიზებულ სამართლებრივ სიკეთეზე ადამიანთა ზემოქმედების წესებს. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ინდური სანივთო სამართალი ნივთს განიხილავდა ადამიანის მიერ საკუთარ შესაძლებლობათა განხორციელების წყაროდ. ინდოელმა ბრძენებმა ბუდიზმის გავრცელების შემდეგ სანივთო სამართალი განავითარეს და ადამიანებს საკუთარ ნივთებზე ზემოქმედების წესები დაუდგინეს. კერძოდ, დაუშვებელი გახლდათ ადამიანის მიერ საკუთარი ნივთის გამოყენებას გამოეწვია სხვა პირის დაზარალება-როგორც ფიზიკური ისე ქონებრივი სახით. ქონების მითვისება მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა. ინდური სანივთო სამართალი გარდაიქმნა სხვადასხვა აზრობრივ სისტემათა გამაერთიანებელ სილოგურ<sup>126</sup> სტრუქტურად. სანივთო სამართალი ძვ. ინდოეთში ერთ-ერთი წანყვანი დარგი გახლდათ. აღნიშვნას იმსახურებს შემდგომი ფაქტი- ბუდისტებმა ინდოეთში შეძლეს სამართლებრივი

<sup>126</sup> იურიდიული აგებულება

განვითარების პროცესის სწორ კალაპოტში მოქცევა და ამ გზით ინტელექტუალური პროგრესის უზრუნველყოფა. ინდური სანივთო სამართალი მეტად საინტერესო მოძღვრებად გარდაისახა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ინდური სამართალი უაღრესად საინტერესო გზას დაადგა-ბუდისტური სიბრძნის უკიდევანო ოკეანეში. ეს თეორემა მარტივად მტკიცდება ბუდისტური რელიგიის ისტორიითა და მიღწევებით. ბუდიზმი გარდაიქმნა სამართლებრივ რეგულატორთა წარმომქმნელ მარადიულ იდეურ ძრავად, რომელმაც ინდური სამართალი ძლიერ აღამაღლა. ბუდა 16 წლის გახლდათ, როდესაც მამამ ცოლად შერთო იასოდჰარა, რომლიგანაც ეყოლა ვაჟი - რაჰული. ბუდიზმი გახლავთ იდეოლოგიური რელიგია- კონცეპტუალური ელემენტებით, რომელიც ჩემი აზრით ღრმა კავშირს ავლენს ჯაინიზმთან. რაც შეეხება ჯაინიზმს, ეს რელიგია შექმნა ჯინო მაჰავირამ-ძვ.წ მეექვსე საუკუნეში, როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლება.

ჯაინიზმმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ინდოეთის ისტორიაში, კერძოდ ამ რელიგიამ შემოიღო უსასრულო გათვითცნობიერების ხელოვნება, რომელმაც ასახვა ჰპოვა პოსტვედურ სამართალში. მაგალითად, ჯაინიზმმა შექმნა ცნება-დჰარმაჩაკრა-გარდასახვათა ციკლი და ჯივა-მარადიული სული. მარადიული არსება ჯაინიზმის მიხედვით გახლავთ სუბსტანტი<sup>127</sup>, რომელიც სამართლიანობით გამოირჩევა. სამართლიანობა კი ჯაინიზმის მიხედვით სამართლის ქვაკუთხედიანა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ჯაინისტმა ბერებმა შექმნეს იდეალური სამართლის კონცეპცია-ჯანამარაჰი, რომელმაც გააერთიანა რელიგიური შეხედულებები და უძველესი ტრაქტატები. ჯაინიზმი ჩემი აზრით ამგვარად იშიფრება -ჯაინუს ნილს ინესიმე-რაც სიბრძნისთვის მებრძოლს ნიშნავს. ჯაინისტი იბრძვის ჭეშმარიტების შესაცნობად და მარადიული სულის-ჯივას დასაცავად.

ჯაინიზმი, როგორც რელიგია წარმოიშვა ინდოეთში და იგი არ აღიარებდა უზენაესი არსების ცნებას. ჯაინიზმის მიხედვით ადამიანი იბრძვის ჯაინამურის-სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად. ჩემი აზრით, ჯაინიზმი იქცა ერთგვარ სამშობლოდ ინდური ცნობიერებისა.

ჩემი სუბიექტური შეხედულებით, ჯაინიზმი და ბუდიზმი -ერთი აზრობრივი საწყისისგან წარმოიშვა, რადგან მიუხედავად გარკვეული სახის განმასხვავებელი ნიშნებისა, მაგალითად, უზენაეს სინსონერულ გონთან მიმართებით უნდა აღინიშნოს ჯაინიზმის მიერ მისი ნაწილობრივი უარყოფა, ისინი ერთიან დჰარასტრანულ<sup>128</sup> მოძღვრებას წარმოადგენენ.

<sup>127</sup> სუბსტანციის შემქმნელი

<sup>128</sup> ზესულიერ

ჯაინიზმმა ინდური სამართლებრივი აზროვნების განვითარების პროცესის სტიმულირებას შეუწყო ხელი. ჯაინიზმში ჯივა როგორც მარადიული სული ცოცხლობს ყოველ ადამიანში და სწორედ იგი ქმნის სამართლებრივ იდეალსაც. ჯივარაჰ ესე იგი სულთა გონი-ეს ჯაინიზმის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ჯაინიზმმა ბუდიზმთან ერთად ჩამოაყალიბა ერთგვარი ალიანსი, რომელმაც ვედიზმის აბსოლუტური დიქტატის ეპოქას წერტილი დაუსვა. ჯაინიზმი ცდილობს თითოეულ ადამიანში მარადიული სულის დანახვას და ამ გზით რელიგიურ-სამართლებრივი პროგრესის უზრუნველყოფას. ჯაინიზმი გახლავთ მოძღვრება სულთა გონის შესახებ. ამ რელიგიამ ინდოეთში მოახერხა ინტელექტუალური მოღვაწობის გაჩაღება და ამგვარად ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების განვითარება. ჯაინიზმმა შეძლო ინდური სამართლის ისტორიაში საკუთარი კვალის აღბეჭდვა. მაგალითად, ჯაინისტებმა შექმნეს არაგარის ცნება-ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობისა, რაც მაშინ რევოლუციური იურიდიული გარღვევა გახლდათ. ჯაინიზმმა შექმნა დეტერმინიზმის აღმოსავლური კონცეპცია და სათავე დაუდო ბუდას სიბრძნისმიერ ნაკადსაც.<sup>129</sup>

ჯაინიზმმა სამართალი განიხილა საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად და პოლიტიკური ძალაუფლების წყაროდ. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას-ჯაინისტებმა ინდურ სამართალში შემოიტანეს მეტი ალტრუიზმი<sup>130</sup> და განვითარება, რაც დასტურდება ინდურ ფილოსოფიასა და თეოლოგიაში არსებული შრეებით, რომლებიც თვალნათლივ ასახავენ ინდოელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მისწრაფებებს.

ჯაინიზმი როგორც მოძღვრება სულთა გონისა და მათი ცნობიერი თვალსაზრისით უკვდავების შესახებ აისახა ინდური საზოგადოების მრავალათასწლოვან ისტორიულ-სამართლებრივ მეხსიერებაში. ჯაინიზმმა, როგორც აღმოსავლური სიბრძნის უკიდევანო ოკეანეში მიმავალმა ხომალდმა, როგორც სულიერი თავისუფლების სიმბოლომ არაერთხელ იხსნა ინდოეთი ბარბაროსული-ნომადური სამყაროს გაალმასებული ცნობიერი შეემოტევებისაგან.

ჯაინიზმი სამართლებრივი მოძღვრებაცაა და იგი ვითარდება თავისთავადად, რაც დიდად უწყობს ხელს ინდუსურ ტომთა შეკავშირებასა და განვითარებას.

ინდოეთს შეუტია ალექსანდრე მაკედონელმა და ჰიდასპეს ბრძოლაში დაამარცხა მეფე პურავი, თუმცა ჩრდილო-დასავლეთის ტომებმა მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მიუხედავად დიდი გამარჯვებებისა ალექსანდრემ ლაშქრობა შეაჩერა. დაიწყო ბერძნული და ინდური სამყაროს დაახლოება, წარმოიშვნენ ინდო-

<sup>129</sup> ფილოსოფიის მიმდინარეობა განსაზღვრებადობა

<sup>130</sup> კაცთმოყვარეობა

ბაქტერიული და ინდო-ბერძნული სამეფოები. ელინურმა სამყარომ დაიწყო ინდური სიბრძნისა და რესურსების ათვისება. ინდოეთში გავრცელდა ძველბერძნული ენის ზედიალექტი-კოინე, რაც დიდი კულტურული დაახლოების საწინდარი გახდა. მაჰაჯანაპადებსა და ბერძნებსა შორის მიმდინარეობდა მუდმივი ბრძოლა, ბერძნებმა სცადეს ინდოეთში საკუთარი სამართლებრივი ტრადიციების გავრცელება. ინდო - ბერძნულ სამეფოში გაბატონებული კლასი ელინები იყვნენ. სწორედ ამ დროს დასახლდნენ ხუნძები ინდოეთში, რომლებიც ალექსანდრეს ჯარის ნაწილი გახლდნენ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ეს პროცესი მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახლდათ. დასავლეთმა-მაკედონიის იმპერიამ განახორციელა ინდოეთის დიდი ნაწილის ოკუპაცია, შეიქმნა ინდო-ბერძნული სახელმწიფო. ამ მოვლენამ კვალი დატოვა ინდური სამართლებრივი აზროვნების ისტორიაშიც, კერძოდ, ხელახლა იჩინა თავი მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების ინდოარიულმა მოდელმა. ინდო-ბერძნული სახელმწიფოს მმართველ კლასს-ელინები წარმოადგენდნენ. დაიწყო ინდუსურ ტომთა ელინიზაციის პროცესი, რაც გამოიხატა ბერძნული ტრადიციების გაბატონების მცდელობით. ამ პროცესს წინ აღუდგნენ ინდოელები და ელინები განდევნეს.

ანტიელინური მოძრაობის სათავეში მოექცნენ მაურიები და შეიქმნა უპრეცედენტო მოდელი-ვარნით ანუ კლასით შუდრამ-მაგადჰიმ შექმნა უძლიერესი იმპერია, რომელშიც განვითარებული იყო მეცნიერება, ხელოვნება და სამართალი. იმპერატორ ჩანდრაგუპტა მაურიას მემკვიდრეები იყვნენ-ბინდუსარა და აშოკა.

დევანამპრიად-ღმერთათავის საყვარელი-ასე მოიხსენიებდნენ პირველ ძლიერ ბუდისტ იმპერატორს ინდოეთის ისტორიაში. ასევე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი-მაურიების იმპერიაში ძლიერი მართვის სისტემა ჩამოყალიბდა. სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ მაურიები-ისინი საიმპერატორო დინასტიად იქცნენ. მაურიებმა განავითარეს ინდური კულტურა ძლიერ აღამაღლეს იგი. მაურიების მმართველობა სავსებით შესაძლებელია ინდოეთის ოქროს ხანად მივიჩნიოთ.

ინდო-ბერძნულმა სამეფომაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინდოეთის ისტორიაში. ინდური სამართალი განვითარების მწვერვალს სწორედ ამ ეპოქაში აღწევს. განხორციელდა დასავლური და აღმოსავლური სამართლებრივი იდეების შერწყმა, საბოლოოდ კი ინდურმა ეროვნულმა სულმა დაამარცხა ელინური იმპერიალიზმი და სათავე დაუდო ეროვნულ იურისპრუდენციას.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- ძვ.წ პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში ინდოეთი კულტურული განვითარების ზენიტს აღწევს. პირადად, ჩემი აზრით, ინდურმა სულმა სძლია ელინურ იმპერიალიზმს და ინდოელ ხალხს

თავისუფალი განვითარების მშვიდობიანი პირობები შეუქმნა-ეს ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის თვალნათელი შედეგია. პირადად, ჩემი აზრით, ინდოეთმა ამ პერიოდში დაძლია დიდი სამართლებრივი გამოწვევა და სათავე დაუდო იურიდიული პროგრესირების ურთულეს პროცესს. ცნობილი ფაქტია- მაურიების დინასტია დიდ პატივს სცემდა იურისტებს, რადგან მაურიები მათ სახელმწიფოს განვითარების პროცესის წარმართველ ძალად თვლიდნენ. მაურიების იმპერია მონოლითური სახელმწიფო გახლდათ. ამ სოციოკულტურულ წარმონაქმნს ახასიათებდა ტრადიციათა ძალიან მდგრადი კავშირი თანამედროვეობასთან.

მაურიებმა შექმნეს ძალიან ძლიერი მმართველობა, რომელიც ეყრდნობოდა იურიდიულ ბაზისებს. ზემოაღნიშნული სახელმწიფო გახლდათ შორეული აღმოსავლეთის გიგანტი, რომელმაც მთელი ინდოსტანური სივრცე ერთ მთლიანობად შეკრა და სინათლის სიჩქარით განავითარა. მაურიებმა სახელმწიფოს მართვას შეუხამეს იურიდიული აზროვნება და ინდოეთი უდიდეს ცივილიზაციად აქციეს. მაურიებმა ისეთივე როლი შეასრულეს ინდოელი ხალხის ისტორიაში, როგორც ბურბონებმა საფრანგეთისა და ესპანეთის, ჰაბსბურგებმა ავსტრიის, ოსმანებმა ოსმალეთის და ბაგრატიონებმა საქართველოს ისტორიაში. თავისუფლად შეიძლება ითქვას- მაურიებმა სათავე დაუდეს ინდურ რენესანსს და უდიდესი კვალი დატოვეს მსოფლიო მატრიანეში.

აღნიშვნას იმსახურებს შემდგომი მნიშვნელოვანი ფაქტი-მაურიების იმპერია სავსებით შესაძლებელია შორეული აღმოსავლეთის კულტურულ მექად მივიჩნიოთ. მაურიები ჩემი სუბიექტური შეხედულებით უძველესი დრავიდული გვარია, რომელმაც ჟამთა სვლას გაუძლო და ათასწლეულთა შემდგომ ინდოეთის სათავეში მოგვევლინენ. რაც შეეხება არგუმენტ-მაურია იგივე მაურაჰ-ესე იგი გამარჯვებული დრავიდულად, მეტიც, მაურიას სახელი-ჩანდრაგუპტა იშიფრება როგორც ჩანვარდაჰ გურ პტაჰ-ღვთის გული ამქვეყნად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-მაურიების იმპერია თავისი განვითარების დონით არ ჩამოუვარდებოდა რომისა და ჰანის იმპერიებს. პირადად, ჩემი აზრით მაურიებმა შეძლეს ინდოეთის სულიერი და ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით გაერთიანება, რაც დიადი პანეროვნული მისიის განხორციელების ნიმუში გახლდათ. მაურიებმა ოქროს კვალი დატოვეს ინდოეთის და მეტიც, ზოგადად მსოფლიო ისტორიაში.

მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში იწყება ისლამურ შემოსევათა ეპოქა და ჩრდილოეთ ინდოეთი გადადის დელის სულთანატის გავლენის ქვეშ. ამ დროს იწყება ინდოეთში ისლამის გავრცელება და ინდური საზოგადოების გახლეჩა. ისლამმა ინდოეთის ჩრდილოეთში სწრაფად დაიწყო გავრცელება და დაიწყო ინდური საზოგადოების მენტალური დაშლის პროცესი. აღნიშნულმა მოვლენამ ინდოელი

ხალხი ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დააყენა. ეს საფრთხე სამწუხაროდ რეალურია დღესაც.

მოგოლთა იმპერია ისლამური სახელმწიფო გახლდათ, რომელიც აკონტროლებდა ტერიტორიას, აღმოსავლეთით ბენგალიდან დასავლეთით ბელუჯისტანამდე, ჩრდილოეთით ქაშმირიდან სამხრეთით კავერიმდე. ეს იმპერია შეიქმნა 1526 წელს და ძლიერების მწვერვალს მიაღწია მე-17 საუკუნის ბოლოს. აქ გავრცელდა ისლამური სამართლის სკოლა-ფიყჰი, ასევე მაზჰაბი, პოპულარობა მოიხვეჭა ხარიჯიტების, იზადიტების და სუფრიტების იდეოლოგიებმა. ისლამური იდეოლოგია ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ადგილობრივ მოსახლეობაში.

მაგალითად, იმპერატორი აურანგზები ანგრევდა ინდუისტურ ტაძრებს და მეჩეთებს აშენებდა. მუსლიმმა მოგოლებმა ინდური პოეზია და ლიტერატურა განავითარეს. ცნობილი ფაქტია-აქბარ დიდი უდიდეს პატივს სცემდა პოეტებსა და იურისტებს, ხშირად აჯილდოებდა და მფარველობდა მათ.

ისლამმა წარმოშვა განხეთქილება ინდურ საზოგადოებაში, რაც აისახა კიდევ სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაზე. ისლამმა შექმნა მოგოლთა იმპერია, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანა გახლდათ.

მოგოლების იმპერიამ დიდი დისონანსი შეიტანა რელიგიური კუთხით ინდოეთში, რაც მეოცე საუკუნეში დაგვირგვინდა პაკისტანის და ბანგლადეშის სახელმწიფოთა ინდოეთისგან გამოყოფით. ეს დღესაც მნიშვნელოვანი პრობლემაა ინდოეთისთვის.

ინდოეთით დაინტერესებული იყვნენ ევროპული იმპერიები-ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი და ინგლისი. დაიწყო ბრძოლა ინდური სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად. 1600 წელს შეიქმნა ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია, 1756-1757 წლებში რობერტ კლაივმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები მოიპოვა ინდოელებზე, დაიწყო ინგლისური ბატონობის ხანა.

ინდუისტური ჩვეულებები ქრისტიან ბრიტანელთათვის მიუღებელი გახლდათ. ინგლისი ცდილობდა ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელებას. რასაკვირველია, ინგლისელებს მათი რელიგია იდეოლოგიურ დასაყრდენად სჭირდებოდათ.

ამ დროს დაიწყო გავრცელება ინგლისურმა სამართალმაც, პრეცედენტულმა იურისპრუდენციამ. ამ მეცნიერებამ მაშინვე მიიპყრო ინდოელთა ყურადღება და ინდოელმა ახალგაზრდებმა დაიწყეს მისი დეტალური შესწავლა.

ინგლისურმა ენამ ნელ-ნელა დაჩრდილა ჰინდი და ინგლისური ინდოეთის ელიტის სასაუბრო ენად გარდაიქმნა. ინგლისური ენისა და იურისპრუდენციის ექსპანსიამ ინდოეთს მისი კვალი დაატყო.

მაგალითად, ინგლისელებმა უზარმაზარი კაპიტალის დაგროვება შეძლეს ინდოეთზე ბატონობის შედეგად.

ინდური სამართალი განიცდიდა ბრიტანული იურისპრუდენციის გავლენას და ინდოეთი, როგორც კოლონია ბრიტანეთისა სწორედ მეტროპოლიის სამსახურში იდგა.

ინგლისური სამართალი ლოგიკურ ბმებს იყენებდა ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, რაც ნიშნავდა ემპირიული ფაქტოლოგიის ჩართულობის ხარისხის ამადლებას სამართლებრივ პროცესებში.

ინგლისელებმა მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე დაიწყეს ბრიტანული იურიდიული შეხედულებების გავრცელება და დანერგვა მთელ ინდოეთში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ინგლისურმა სამართალმა დიდი ზეგავლენა იქონია ინდურ არისტოკრატიაზე. თავის მხრივ ინდურმა სიბრძნემ ალაფრთოვანა ინგლისური საზოგადოება.

თავისუფლად შეიძლება ითქვას-ინდურმა სამართლებრივ-ფილოსოფიურმა ნააზრევმა არა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის, არამედ მთელი ევროპის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა შეიტანა. მაგალითად, დაიწყო ინდუისტური სამართლის შესწავლა და ხელახალი გააზრება, რაც ფრიად საჭირო მოვლენა გახლდათ.

ინგლისურმა იურისპრუდენციამ ბევრი საინტერესო გაკვეთილი მიიღო ინდური სიბრძნიდან. ჩამოყალიბდა სიმბიოზური კულტურული დამოკიდებულება მეტროპოლიასა და კოლონიას შორის.

აღნიშნული საკითხი მოიცავს ეთნოლოგიურ<sup>131</sup> თავისებურებებსაც. ინდოეთი როგორც უძველესი ცივილიზაცია და ბრიტანეთი როგორც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი იმპერია გასაოცარ კავშირს ავლენდნენ იურიდიულ სამყაროშიც.

ინგლისური იურისპრუდენციის სკოლა აქტიურად მუშაობდა ინდური კულტურის ათვისების მხრივ. ევროპაში გაძლიერდა ინტერესი ინდური სამართლის ძეგლთა მიმართაც.

ინგლისელებმა მოახერხეს ინდური ინტელექტუალური სიმდიდრის დანახვა, მაგრამ ვერ შეძლეს ამ უზარმაზარი სულიერი საუნჯის შეცნობა, რაც სრული ჭეშმარიტებაა. ასევე, ინგლისელებმა მოახერხეს ინდური სამართლებრივი

---

<sup>131</sup> ხალხთმცოდნეობა

ლიტერატურის ნაწილობრივ შეცნობა. ამ ფაქტმა კი მათ გზა გაუხსნა უძველეს იურიდიულ-ფილოსოფიურ საიდუმლოებათა წვდომისკენ.

ინდური სამართალი მძაფრ ინტერესს იწვევდა ინგლისურ სამეცნიერო წრეებში, კერძოდ, იურისტთა კლასში. ინგლისელმა იურისტებმა მე-19 საუკუნეში მოახერხეს ინდური სამართლისათვის ახალი სულის შთაბერვა. ინგლისელებმა ინდოეთისგან უზარმაზარი გონებრივი და ბუნებრივია, ინტელექტუალური სიმდიდრე მიიღეს, რაც იქცა ინდოელი და ინგლისელი ხალხების განვითარების ორმხრივი პროცესი კონცეპტუალურ ცენტრად. ინდოელები-როგორც უძველესი ხალხი და ინგლისი როგორც მსოფლიო იმპერია გარდაიქმნენ ერთიან კულტუროტროპულ სისტემად, რომელიც ახორციელებდა კულტურათა სინთეზს და ამ გზით ავითარებდა მსოფლიო ცივილიზაციას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ინდური ცივილიზაციის დამსახურებით ევროპა აღმოსავლური კულტურის სიდიადეს ეზიარა. ამ ფაქტმა განაპირობა ევროპული და აზიური კულტურების იურიდიული თვალსაზრისით დაახლოება, რადგან ერთი შეხედვით განსხვავებულ კულტურათა შერწყმას ხშირად სასურველი შედეგი ნამდვილად მოაქვს.

პირადად, ჩემი აზრით, ინგლისმა განახორციელა ანგლო-საქსონური და აზიური სამართლებრივი კულტურების სისტემატიზება და ამ გზით ნამდვილი პროგრესის მიღწევა. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ევროპას ნამდვილი ინდოეთი სწორედ ინგლისმა გააცნო და ეს პროცესი შემთხვევით არ დაწყებულა, იგი განვითარდა იურიდიულ იდეალთა და მორალურ ნორმათა ორმხრივი კავშირით.

პირადად, ჩემი აზრით, ინდოელების იურიდიული კულტურა სწორედ ინგლისმა გახადა მეტწილად ფაქტოლოგიური და სწორედ ბრიტანელებმა დაასრულეს ტელეპატიური აზროვნების დიქტატი -ინდურ სამართალში.

ინდოელი ხალხი მიუხედავად გარკვეული სარგებლისა მუდამ იღვწოდა სრული დამოუკიდებლობისკენ-ეს ბუნებრივი მისწრაფება გახლდათ ნებისმიერი ერისთვის, მით უმეტეს ისეთი მაღალგანვითარებული ხალხისთვის-როგორც ინდოელი ერია.

მეოცე საუკუნეში გაძლიერდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში მაჰათმა განდი ჩაუდგა. განდიმ შეიმუშავა პოლიტიკურ-სამართლებრივი ბრძოლის აბსოლუტურად მშვიდობიანი ფორმა-სატიაგრაჰა და იხსნა სამშობლო ბრიტანელთა ბატონობისგან.

შემთხვევითი არ გახლავთ მაჰათმა განდის პროფესიაც-მან იურიდიული განათლება ინგლისში მიიღო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- განდიმ სწორედ

ინდური სამართლებრივი აზროვნებით მოახერხა ინგლისელ დამპყრობელთა განდევნა.

განდის ტაქტიკა პოლიტიკურ-სამართლებრივი ბრძოლისა უდიდეს წარმატებას მიაღწევს მომავალშიც, რადგან მშვიდობიანი ბრძოლით სისხლისღვრის გარეშე მოპოვებული გამარჯვება ძალიან მყარი მონაპოვარია და მას დიდი დაფასება სჭირდება.

მაჰათმა განდის იდეოლოგიამ განსაზღვრა ინდოეთის განვითარების გზა და ინდოელ ხალხს დაუსახა მიზანი-საკუთარ ინტერესთა დასაცავად მშვიდობიანი ბრძოლისა. განდის აზრით, მშვიდობიან ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

განდი მეოცე საუკუნის უდიდესი იურისტი და განმანათლებელია, რომელმაც მშვიდობიანი გზით მოიპოვა უპირველეს ყოვლისა, იურიდიული გამარჯვება ინგლისის იმპერიაზე.

ფაქტობრივად, აღნიშნული გამარჯვება განპირობებული გახლდათ განდის გენით და ინდოელი ხალხის დაუღალავი ბრძოლით დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. პირადად, ჩემი აზრით განდის გზა ნამდვილად მიდის სამართლიანი სამყაროსა და სწორი მართლწესრიგისკენ.

განდი გახლავთ ადამიანი, რომელმაც იურიდიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი შექმნა-მშვიდობიანი გზით უძლიერეს იმპერიაზე გამარჯვებისკენ. განდის იდეოლოგია ძირითადად ეფუძნებოდა ინდუისტურ ჰუმანიზმს შეზავებულს ჯაინისტურ და ბუდისტურ რწმენასთან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- განდი გახლდათ მეოცე საუკუნის უდიდესი იურიდიული გენია, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიაში.

განდი ოქროს ასოებით შევიდა ინდოეთის მრავალათასწლოვან მატიანეში და მსოფლიო ხალხთა ისტორიაში-ეს უტყუარ ჭეშმარიტებად გვესახება.

განდი მსოფლიო გენიაა, რომელმაც მილიარდიანი მოსახლეობის პატრონ ქვეყანას ბედნიერება მოუტანა- არა, აქ არც სიმდიდრე იგულისხმება და არც ბირთვული ქობინი, მან ინდოელებს ბედნიერება და თავისუფლება მოუტანა.

განდი იქცა მეოცე საუკუნის იურისტ-ქურუმად, რომელმაც ინდოელ ხალხს განვითარების ახალი შესაძლებლობები შეუქმნა და აღნიშნული დამსახურება განდისა ყოველთვის ემახვირებათ ინდოეთში და არა მარტო ინდოეთში.

1947 წლის 15 აგვისტოს ინდოეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და მთავრობის პირველი თავმჯდომარე გახდა ჯავაჰარლალ ნერუ.

1953 წელს გატარდა რეფორმა-ინდოეთი დაიყო ეროვნულ-ენობრივი პრინციპით შტატებად.

ინდოეთი დღეს ზესახელმწიფოა და იგი უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ინდოეთმა არაერთი კონფლიქტი გადაიტანა მეზობელ სახელმწიფოებთან, თუმცა იგი დღემდე რჩება ძლევამოსილ სახელმწიფოდ, რომელიც ფლობს ბირთვულ ბომბს და აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო პროცესებში.

ინდოეთში უამრავი ერი ცხოვრობს. უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი- ინდოეთი მრავალეროვანი სახელმწიფოა და იგი მნიშვნელოვან ამოცანებს სახავს მსოფლიო მასშტაბით.

ინდოეთი ბევრად უფრო განვითარებულ ტექნოლოგიათა მქონე სახელმწიფოებსაც არ ჩამორჩება ამბიციებითა და მისწრაფებებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- დღევანდელი ინდოეთი მრავალ ერს მოიცავს, რომლებიც თავს ინდოეთის შვილებად თვლიან.

ინდოეთმა გარკვეულწილად შეასუსტა მეოცე საუკუნეში ჩინეთის გავლენა შორეულ აღმოსავლეთში და ამ გზით განიმტკიცა სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება.

ინდოეთმა ჩაახშო სიკვების აჯანყება და უზრუნველყო ქვეყნის ძლიერება.

თანამედროვე ინდური სამართალი განიცდის ევროპული იურისპრუდენციის მყარ გავლენას და საკუთარ თავს მიიჩნევს ანგლოიდური სამართლის ქვეყნად.

ინდოეთმა საკუთარი სამართალი სისტემად გარდაქმნა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სამხრეთ აზიის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირადად, ჩემი აზრით, თანამედროვე ინდური სამართალი განიცდის ინგლისური და გარკვეულწილად ფრანგული იურისპრუდენციის გავლენას.

ინდოეთს აქვს 1950 წლის 26 იანვრის კონსტიტუცია, რომლის თანახმად იგი წარმოადგენს რესპუბლიკას. ინდოელი ხალხი ოდითგანვე მისწრაფოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ, რაც დაგვირგვინდა რესპუბლიკის შექმნით.

ინდოეთის კონსტიტუცია იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს და ადასრულებს სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს.

ინდოელი ხალხის უმთავრესი დამსახურებაა მაღალგანვითარებულ ცივილიზაციათა შექმნა და მათი პროგრესირების გზით მსოფლიო ხალხთა ინტელექტუალური ევოლუციის შესაბამისი ხარისხით უზრუნველყოფა.

ინდოეთმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მსოფლიო ისტორიაში და განავითარა საკაცობრიო კულტურა, ეს დიადი მისიის აღსრულებაა.

ინდოეთი დიდი ცივილიზაციაა, რომელმაც უაღრესად საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ისტორიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ინდური კულტურა გახლავთ მსოფლიო სამართლებრივი ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი და მექა. პირადად, ჩემი აზრით, ინდური ცივილიზაცია არის მსოფლიო სიბრძნის საუნჯე, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება.

ინდურმა კულტურამ შეასრულა ერთგვარი მედიატორის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ინდური სამართალი მსოფლიო იურისპრუდენციის განვითარების საფეხური არ გახლავთ, იგი საკაცობრიო იურიდიული აზროვნების ერთ-ერთი მწვერვალია.

ინდური სამართლებრივი აზროვნების ისტორია მოიცავს ეპოქალურ გარდაქმნებს, იურიდიულ მეტამორფოზებს<sup>132</sup>, რომლებიც აყალიბებდნენ შორეული აღმოსავლეთის ხალხთა მსოფლხედვებს.

ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია ისტორიულ-ტრანსცენდენტური<sup>133</sup> გზაა ეთნოსისა, რომელსაც დიდი, განუზომელი წვლილი აქვთ შეტანილი მსოფლიო ხალხთა პროგრესირების პროცესში.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ-ინდური იურიდიული აზროვნება საკაცობრიო გონის მარგალიტია და იგი მატერიალისტური აზრობრივი შემოტევებისგან დაცვას საჭიროებს.

ინდური სამართალი აერთიანებს ცნებას, ფაქტს, ინტერესს და ნორმას. შესაბამისად იგი საკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენია და ერთგვარი წყაროა ჩვენი დროის დოგმატიკოსთათვის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ინდურმა სამართალმა გააერთიანა დრავიდული, ინდოარიული, ელინური, მაურიული, ისლამური და ინგლისური იურიდიული ტრადიციები და ამ გზით სათავე დაუდო მსოფლიო ერთა იურიდიული თვალსაზრისით გაერთიანების ზეეპოქალურ პროცესს.

---

<sup>132</sup> გარდასახვები

<sup>133</sup> ყოფიერების მიღმა არსებული

ინდოეთი დიადი კულტურის ქვეყანაა და იგი მუდამ მარადიული სული იქნება აღმოსავლური სამართლებრივი ცივილიზაციისა. ინდოეთი საკაცობრიო სიბრძნის საცავი გახლავთ და იქნება მომავალშიც.

## II თავი

### ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია

ჩინეთის ცივილიზაცია უდიდეს კულტურათა ნაერთს წარმოადგენდა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა შორეული აღმოსავლეთის ისტორიაში. ჩინური კულტურა გახლავთ უდიდესი ისტორიულ-სამართლებრივი ფენომენი, რომელმაც მოახერხა მონღოლოიდურ ტომთა გაერთიანება და პროგრესირება. ჩინელი ხალხი ოდითგანვე გახლდათ კულტურული და პოლიეთნოგენური<sup>134</sup> კავშირი, რომელიც აერთიანებდა აზიურ ტომებსა და ეთნოსებს.<sup>135</sup> ჩინელებმა განახორციელეს საკაცობრიო მნიშვნელობის რეფორმები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა. ჩინეთის ისტორია კულტურული რევოლუციისა და ისტორიულ-სამართლებრივი ევოლუციის თვალნათელი ნიმუშია. ჩინეთი გახლდათ უდიდესი ცივილიზაცია, რომელმაც განავითარა შორეული აღმოსავლეთი და სათავე დაუდო ინტელექტუალურ გარდასახვათა ციკლს. ჩინეთმა მოახერხა იურიდიული სამყაროს გარდაქმნა და ამ გზით გასაოცარი სამართლებრივი სისტემების შექმნა. კერძოდ, ჩინელებმა ჩამოაყალიბეს სამართლისა და ფილოსოფიური სიბრძნის სისტემატიზების ხელოვნება, რაც იქცა ნამდვილ გარდამტეხ მოვლენად შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში.

ჩინეთის ისტორია იწყება დაახლოებით 3500 წლის წინ-ამ ფაქტს ადასტურებენ უძველესი ხელნაწერები. მაგალითად, აღმოჩენილია კუს ბაკანზე არსებული ხელნაწერები, რომლებიც ძვ.წ 1500 წლით თარიღდებიან. ამ დოკუმენტებში კარგად იკითხება უძველეს მონღოლოიდურ ტომთა რელიგიურ-სამართლებრივი შეხედულებები, რაც გვეხმარება ჩინელი ხალხის იურიდიული და ისტორიულ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პროცესის მმართველ კანონზომიერებათა შესწავლაში.

უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი ფაქტი- ჩინური ცივილიზაცია ძვ.წ მეორე ათასწლეულიდან აქტიურად იწყებს სამყაროს შემეცნების ნაციონალურ აზრობრივ სისტემათა შექმნას, კერძოდ, ვითარდება თეოლოგია, ფილოსოფია და სამართალი.

<sup>134</sup> მრავალეროვანი.

<sup>135</sup> ხალხი, ერი.

ჩინელები ქმნიან იმპერიული აზროვნების მოდელს და ავითარებენ კოსმოგონიურ შეხედულებებს სამყაროს შექმნის შესახებ. მაგალითად, ჩინელი ქურუმები საკუთარ მოძღვრებათა საწყისად მიიჩნევენ ცას, როგორც უმაღლეს მმართველს კაცობრიობისა, ასევე, ისინი ქმნიან ე.წ ციური სამეფოს კონცეპციას, რომლის თანახმად ჩინური სახელმწიფო გახლდათ ერთგვარი დამაკავშირებელი იურიდიულ-პოლიტიკური ხიდი სულეთსა და ამქვეყნიურ განზომილებებს შორის. ჩინური სამართალი ვითარდებოდა სახელმწიფოსთან ერთად. კერძოდ, ჩინეთში სამეფო ძალაუფლების მფლობელი ადამიანი ითვლებოდა ცის შვილად და უზენაესი სულის ხელდასმულ პირად ამქვეყნიურ სამყაროში. ზემოაღნიშნულ ხელნაწერებში საუბარია ქალაქ-სახელმწიფოებზე, რომლებიც ჩამოყალიბდნენ თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე. შორეულ აღმოსავლეთში ქალაქ-სახელმწიფოს განვითარებული მოდელის შემოქმედნი-სწორედ ჩინელები არიან. ჩინური ქალაქ-სახელმწიფოები იდეოლოგიური თვალსაზრისით ეყრდნობოდნენ ღვთიური ხელისუფლების იდეას და ავითარებდნენ სამართლებრივად ფორმულირებულ ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას- დიადი კოსმიური მისიის შესახებ. კოსმიური მისია მოიცავდა ღვთაებრივი სიბრძნის შეცნობას და მის პრაქტიცირებად აზრობრივ მოცემულობად გარდაქმნას. ჩინური ქალაქ-სახელმწიფო გახლდათ მძლავრი იურიდიული სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის ისტორიულ-სამართლებრივ განვითარებას. ჩინური ქალაქ-სახელმწიფო წარმოადგენდა ინტელექტუალურ განვითარებასა და პოლიტიკურ გავლენათა გაფართოებაზე ორიენტირებულ სისტემას. ჩინური ქალაქ-სახელმწიფოები ავითარებდნენ ე.წ მფრინავი დრაკონის კონცეპციას, რომლის თანახმად სახელმწიფო მმართველობის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ხალხის ნებისა და ღვთიური გონის კორელაციას.<sup>136</sup>

ჩინური ქალაქ-სახელმწიფოები ცდილობდნენ კულტურული განვითარებისა და სამართლებრივი პროგრესის ერთიან სიბრტყეში მოქცევას. შორეულ აღმოსავლეთში პირველად სწორედ ჩინელებმა დაუდეს სათავე მმართველობის ფილოსოფიურ ნაირსახეობებს. კერძოდ, ჩინურმა ქალაქ-სახელმწიფოებმა მოახერხეს სამართლისა და ფილოსოფიური ტრადიციების გაერთიანება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ზემოაღნიშნულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა განსაზღვრეს ჩინელი ხალხის ისტორიულ-სამართლებრივი მსოფლმხედველობა და ამ გზით ჩამოაყალიბეს ჩინური ეროვნული იურიდიული ტრადიცია, რომელიც მეტწილად სწორედ ჩინურ ფილოსოფიას ეფუძნებოდა. ჩინურმა ქალაქ-სახელმწიფოებმა შეძლეს სამართლის ფილოსოფიის ჩინური მოდელის შექმნა. იმდროინდელ ჩინეთში ჩამოყალიბდა პოლიტიკისა და სამართლის მძლავრი კავშირის თეორია, რომლის მიხედვით პოლიტიკური მართვა უნდა განხორციელდეს სამართლებრივი ნორმებისა

<sup>136</sup> აზრობრივ დაკავშირებას.

და ტომობრივი ტრადიციების საფუძველზე. მაშინდელ ჩინეთში ცენტრალური ადგილი სახელმწიფოს მართვის პროცესში ეჭირათ უხუცესებს, ბრძენთ. ისინი ფლობდნენ უზარმაზარ ცოდნას და განუზომელ ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც საზოგადოების განვითარებას დიდად უწყობდა ხელს. უხუცესთა ინსტიტუტი ჩინურ ქალაქ-სახელმწიფოებში უძლიერესი იურიდიული ინსტიტუცია გახლდათ. იგი ფაქტობრივად ზემოქმედებდა ხალხის მასების ცნობიერ სამყაროზე და მეტიც ავითარებდა საზოგადოებრივ მართლშეგნებაზე დამყარებულ ინდივიდუალურ ცნობიერებას. უხუცესნი მაშინდელ ჩინეთში ფლობდნენ უძლიერეს ასტრონომიულ ცოდნასაც და იურიდიულ ფორმულირებათა კონტენპლაციურ<sup>137</sup> ხელოვნებასაც. ჩინელი ქურუმები ასტრონომიას აქტიურად იყენებდნენ სამართლებრივ სისტემებში. ჩინელი უხუცესები ეთაყვანებოდნენ ვარსკვლავებსა და პლანეტებს. მაგალითად, ჩინელებმა შექმნეს პლანეტა ვენერას გამომხატველი ორი ტერმინი-ქიმიკი და სენძიაკი. ქიმიკი დილის ვარსკვლავს ნიშნავდა- პოზიტიური ენერჯის გაზრდის გზით დანაშაულის აღმკვეთ ციურ სხეულად ითვლებოდა. სენძიაკი კი-საღამოს ვარსკვლავი აქტიურ კოსმიურ ენერჯიას გამოსახავდა, რომელიც ხშირად იწვევდა ადამიანთა აღზუნებას და მათი გონების ქაოტურ დაბინდვას, რაც წარმოშობდა დანაშაულებრივ სურვილს, რომელსაც ჩინელ ქურუმთა რწმენით შეეძლო ფიქრის სახითაც კი დაეზიანებინა კონკრეტული ადამიანი და საზოგადოება.

ჩინელი ქურუმები ასტრონომიულ მოვლენებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ და სამართლებრივ პროცესთა განმსაზღვრელ პირობად თვლიდნენ. ჩინელები მაგალითად-მზის დაბნელებას ძველი ეპოქის დასასრულად და ახალი იდეების კოსმიური ენერჯიისგან მისაღებად ბრძოლის მიმანიშნებელ მოვლენად თვლიდნენ. პირადად, ჩემი აზრით, ჩინელი უხუცესები კოსმოცენტრიზმის<sup>138</sup> პრაქტიციზმის საუკეთესო გზებს სახავდნენ. ასტრონომია ჩინელთათვის სამართლებრივი ნებელობისა და იურიდიული ინტერესის წარმომშობი მეცნიერება გახლდათ. მაგალითად, ჩინურ სისხლის სამართალში დამნაშავის ვინაობას მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის გართულების შემთხვევაში-არკვევდნენ 3 ხერხით-ქირომანტია,<sup>139</sup> ნეკრომანტია<sup>140</sup> და აუსპიციები<sup>141</sup>. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ჩინურ სამართალში აშკარად იგრძნობოდა ფილოსოფიისა და ემპირიული ფაქტოლოგიის ერთიან სისტემაში მოყვანის სურვილი, კერძოდ, მაგალითად, ჩინურ სამოქალაქო სამართალში ოჯახი აღიქმებოდა ინდივიდუალიზებულ იურიდიულ ინსტიტუტად, ასევე, ოჯახის წევრებს ეკისრებოდათ ვალდებულებები ერთმანეთისადმი, მოხუც მშობელთა ან შრომისუუნარო შვილთა პატრონობა და

<sup>137</sup> წინასწარხედვითი

<sup>138</sup> ღვთიური სამართალი

<sup>139</sup> ხელისგულზე მკითხაობა

გვამზე მკითხაობა

<sup>141</sup> შიგნეულზე მკითხაობა.

მათზე ზრუნვა-სამართლებრივი ვალდებულების ხასიათს იძენდა. ყოველი მოქალაქე ჩინური ქალაქ-სახელმწიფოსი უნდა დამორჩილებოდა კანონს და ეზრუნა მისი შესაძლებლობის ფარგლებში სამშობლოს ინტერესთა დასაცავად. ჩინელები ავითარებდნენ მესიანისტურ თეორიას-შიზან ძუ, რომლის თანახმად ადამიანი უნდა ყოფილიყო იდეალისკენ ანუ მაქსიმუმისკენ სწრაფვით აღსავსე არსება, ხოლო სახელმწიფოს უნდა ეზრუნა მოქალაქეებზე, როგორც მატერიალური დოვლათისა და ინტელექტუალური სიმდიდრის შემქმნელ ძალაზე. ჩინელი ქურუმის აზრით, სახელმწიფო იყო ბედნიერების წყარო, ხოლო მოქალაქე ინდივიდუალიზებული სიკეთის განსახიერება. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ჩინელები საკუთარ სახელმწიფოს მიიჩნევდნენ სამართლიანობისკენ მიმავალ პიროვნებათა ჰომოფასტირულ<sup>142</sup> ერთობად. ჩინელი უხუცესები ავითარებდნენ შეხედულებას ადამიანისა და სახელმწიფოს ერთ სამართლებრივ ორგანიზმად განხილვის შესახებ. ზემოაღნიშნული სისტემა სათავეს იღებდა უძველესი ჩინური ფილოსოფიიდან. ჩინური ქალაქ-სახელმწიფო განსხვავდებოდა ელინური პოლისისგან, კერძოდ, თუნდაც ათენისგან განსხვავებით- აქ ჩინეთში ბევრად უფრო დიდი მოცულობით იყო წარმოდგენილი სახელმწიფოს მართვის სისტემაში ფილოსოფიური ელემენტი. მრავალი ევროპელი მეცნიერი ფილოსოფიის და მათ შორის სამართლის ფილოსოფიის სამშობლოდ ელადას თვლის. ჩემი სუბიექტური შეხედულებით კი აღმოსავლურმა სამყარომ შექმნა უამრავი სულიერი ტრადიცია, რომელმაც ასახვა ჰპოვა ბერძნულ ფილოსოფიაში, ჩემი აზრით, ფილოსოფიის საწყისთა კვლევას მივყავართ სწორედ ჩინეთამდე, რომლის მიერ შექმნილმა ისტორიულ-სამართლებრივმა იდეებმა ჩამოაყალიბეს ჩინური სულიერი ტრადიცია, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა იქონია სხვადასხვა ხალხთა მსოფლმხედველობაზე და სწორედ მისი წყალობით მომზადდა საფუძველი ევროპაში მეცნიერული ფილოსოფიის, მათ შორის, სამართლის ფილოსოფიის შესაქმნელად. ჩინური სამართლებრივი აზროვნება უდიდეს მნიშვნელობას იძენს შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი შეხედულებების კვლევის ურთულეს პროცესში, რაც დასტურდება ისტორიულ-მეტაფიზიკური და თეოსოფიური აზრობრივი ტრადიციების შემეცნების გზით.

ძველი ჩინური ფილოსოფია ეფუძნება სამ პოსტულატს-ნებითი აბსოლუტი,ქმედითი აზროვნება და განსჯა. ჩინელები გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოგემას<sup>143</sup>-მებრძოლ სულს რომელიც მოგზაურობს უნივერსალური სიმშვიდის განზომილებებსა და ასტრო-ფილოსოფიური აზროვნების იდეურ სტიქიას შორის. ჩინელები ცნობდნენ კოსმიური სტიქიის ფენომენს, რომელსაც უწოდებდნენ მშვიდ სულს, რომლის კოდირებული აღწერა მოცემულია უდიდესი ჩინელი

<sup>142</sup> კოსმიურ

<sup>143</sup> სული.

ფილოსოფოსის ლაო-ძის<sup>144</sup> წიგნში-დაო დენ-ძინი.<sup>145</sup> კოსმიური სტიქია ჩინური ფილოსოფიის მიხედვით აერთიანებს შვიდ სამყაროს-1-ნებელობა, 2-აზროვნება, 3-სიყვარული,4-საგნობრიობა,5-ცოდნა,6-ისტორიოსოფია და 7-კულტურონომია. აღნიშნულ სამყაროებს მართავს 3 განზომილება-სინი-ძალა ჰსინი-ფორმა და ანები-გონი. ჩინური ფილოსოფიის მიხედვით ზემოთხსენებული სამყაროები მოძრაობენ და ვითარდებიან სივრცულ ფორმათა და მათემატიკურ რაოდენობრივ-თვისებრივ თანაფარდობათა გაერთიანების გზით.

ჩინელი ქურუმები ადამიანს თვლიდნენ ღვთიური ზებუნებრივი სულიერი ქმედითობის მატერიალურ განსხეულებად, რომელსაც მართავს ნება სიბრძნე და სიყვარული. კოსმიური სტიქია აერთიანებს ზემოაღნიშნულ 7 სამყაროს და ავითარებს განზომილებებს როგორც კვანტო-სტრემულ აზრისმიერ ელემენტთა სისტემურ სივრცეებს და დროისმიერ ცნობიერ ველებს. ჩინურ ფილოსოფიაში კოსმიური სტიქია სულთა სამყაროა, რომელიც ასრულყოფილებს ინდივიდთა მსოფლმხედველობასა და საზოგადოებრივ მორალს. კოსმიური სტიქია უდიდეს კავშირს ავლენს უძველეს ჩინურ ცხენძიანის ფილოსოფიურ სისტემასთან, რომელიც აღიწერება ამგვარად- გონი მართავს პროცესს, პროცესს ქმედით ფაზაში გადაჰყავს აზროვნება, აზროვნება აღძრავს შემეცნების სურვილს, შემეცნების სურვილი ავითარებს ისტორიულ-ფილოსოფიურ ქმედით სულიერებას, ხოლო უკანასკნელი ელემენტი ადამიანს გარდაქმნის სულთა და გონთა სამყაროს ცენტრად. ჩინელი ფილოსოფოსები კოსმოსს თვლიდნენ უმძლავრეს პროცესთა განვითარების ზეცნობიერ არეალად, რომელიც შემოქმედებით იმპულსს ანიჭებდა კაცობრიობას და საზოგადოდ სამყაროს. როგორ განიმარტება კოსმოსი უძველესი ჩინური ფილოსოფიის მიხედვით-სულიერ-ტრანსცენდენტურ<sup>146</sup> ენერჯიათა მასალიმური<sup>147</sup> განვრცობის და იდეურ-საგნობრივი სისტემატიზების ურთულესი არეალი, რომელიც ქმნის აზრს, ავითარებს ბუნებით გონს და გვთავაზობს ასტროგენურ<sup>148</sup> მსოფლმხედველობრივ კონცეპტუალურ მატრიცას.<sup>149</sup>

კოსმოსს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩინელი ქურუმები ჯერ კიდევ ძვ.წ მეოთხე ათასწლეულში. სწორედ შორეული აღმოსავლეთის ზემოთხსენებულ ქვეყანაში შეიქმნა ფილოსოფიური სანქტიფიკაციის<sup>150</sup> ორიგინალური დოქტრინა, რომელიც გულისხმობს ადამიანის მიერ სამყაროს როგორც ბუნებითი ტრანსცენდენტური<sup>151</sup> სივრცის თვისებრივ შემეცნებას, ღვთიურ სულთან ჰარმონიულ

<sup>144</sup> უდიდესი ჩინელი მოაზროვნე.

<sup>145</sup> ლაო-ძის ტრაქტატი.

<sup>146</sup> ყოფიერების მიღმა.

<sup>147</sup> აზრისმიერი.

<sup>148</sup> ასტროგენეტიკურ.

<sup>149</sup> ცხრილი.

<sup>150</sup> განწმენდა.

<sup>151</sup> ყოფიერების მიღმა.

თანაარსებობას და სულიერი მხედველობის მაქსიმალურ განვითარებას. აღნიშნული დოქტრინა განიცდის ატლანტიდური<sup>152</sup> ცივილიზაციის ზეგავლენას, რაც მტკიცდება ისტორიოსოფიური<sup>153</sup>, ეზოთერული და რელიგიურ-ლოგიცისტური<sup>154</sup> კვლევების სწორად წარმართვის გზით. ჩინური ფილოსოფია გვთავაზობს სამყაროს წარმოშობის მეტად საინტერესო თეორიას, რომლის მიხედვით დრო სივრცე და მატერია შექმნა პირველადმა გონმა, რომელმაც სული შთაბერა მასას და სამყაროს აჩუქა ქმედით ფაზაში გადაყვანილი სულიერი ხედვის დიადი სივრცე.

ჩინელი ქურუმები სანქტიფიკაციას ხშირად უკავშირებდნენ აზროვნების ისტორიულ-ფილოსოფიური სტრუქტურის მრავალმხრივ განვითარებასა და სრულქმნას, რაც მტკიცდება ლაოიზმის კონცეპტუალური საფუძვლების სრული და ობიექტური შემეცნების პროცესის სწორად წარმართვის დიადი მისიის განსრულების გზით. როგორ შეიქმნა სამყარო-თეოგენიური გონისმიერი ენერგია წარმოშობს კოსმოგონიურ საწყისს, რომელიც ქმნის მატერიას და ავითარებს გონებას. საინტერესო თეორეტიკულ შეხედულებას გვთავაზობს ძვ.წ მეოთხე ათასწლეულის ჩინური ეზოთერული ფილოსოფია, რომლის მიხედვით სამყარო წარმოადგენდა ცეცხლოვან მატერიას, რომელსაც შემდეგ ფლოგისტონი<sup>155</sup> უწოდეს. აღნიშნული მატერია ავრცელებს გონისმიერ ენერგიას, რომელიც თავის მხრივ განსხვავებულ ფორმებს წარმოშობს და ინდივიდუალიზებული სულიერი ქმედითი ენგინის გაფართოებას იწვევს. ზემოაღნიშნული პერიოდის ჩინური ფილოსოფიური შეხედულებების სისტემა ავითარებს კონცეპციას-ვარსკვლავთა გონის-იგე მო ნიმეს<sup>156</sup> შესახებ, კერძოდ, ნათელი ანუ სინათლე ააქტიურება აზროვნების პროცესს, სინათლის ნაკლებობა კი წარმოშობს ორგვარ განცდას-ბრძოლისა და აზროვნებისა. შესაბამისად, ჩინელი ქურუმები უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სინათლისა და წყვიადის იდეურ ბრძოლას, რომელიც მარადიულ დაპირისპირებად იქცა. ჩინელების აზრით, უკუნი არ იყო მდგრადი აზრისმიერი მატერია, სინათლე კი გახლდათ აზრისმიერი ჰეკუ-მექესი-ჩემი ხედვით, უძველესი გონისმიერი ნათელი კეკუ-მექესი მეტად მძლავრ და სიღრმისეულ კავშირს ავლენს ძველევგვიპტურ ღვთაება-ჰექასთან<sup>157</sup>, რომელსაც ხშირად ეგვიპტურ წმინდა სულად მოიხსენიებენ, რომელიც იცავს ჰამამთან<sup>158</sup> ერთად რას<sup>159</sup> ნავს იფაფისგან<sup>160</sup>.

<sup>152</sup> ატლანტიური.

<sup>153</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>154</sup> ზელოგიკური.

<sup>155</sup> ცეცხლოვანი მატერია.

<sup>156</sup> ვარსკვლავთა გონი.

<sup>157</sup> სულიწმინდა.

<sup>158</sup> ბრძენი.

<sup>159</sup> ეგვიპტელთა შუის ღმერთი.

<sup>160</sup> ბოროტი გველი.

უძველესი ჩინური ფილოსოფია არ იკეტებოდა კონკრეტულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, არამედ ამყარებდა კავშირს მსოფლიოს წამყვან სულიერ-მატერიალურ ცივილიზაციებთან-კემეტიკურ, ქალდეურ, თუბალურ, კასკურ და ელინურ კულტურებთან. ჩინურ ფილოსოფიაში ცეცლოვანი მატერიის უძველესი ცნებითი მოძღვრების დამკვიდრების ზეეპოქალურ პროცესში პირადად მე იბერიულ დიდ კვალს ვხედავ-მაგალითად, აინთა იბერიული კულტურა ცეცხლოვან მატერიას სამყაროს მაცხოვრებელ უდიდეს ენერგიად თვლიდა, რომელიც აწესრიგებდა 4 სტიქიის-მიწის, ჰაერის, წყლის და ცეცხლის აზრობრივ ურთიერთკავშირს. ზემოთხსენებულ მოსაზრებას ამყარებს შემდგომი უმნიშვნელოვანესი გარემოება-ასტრო-ფილოსოფიის ჩინურ სკოლაში არსებობს დღემდე იდუმალებით მოცული სივრცე-გოკურაკუ-ბედნიერების მიწა, რომელსაც პირადად მე ატლანტიდას ვუკავშირებ. გოკურაკუ მითოსის მიხედვით არის ცენტრი სამყაროსა და აზროვნებისა ზეცაშიც ანუ კოსმოსშიც და დედამიწაზეც. გოკურაკუ-დასავლეთით და აღმოსავლეთით წყლით სამხრეთით და ჩრდილოეთით კი მთებით გახლავთ დაცული. გოკურაკუს მიწაზე ცხოვრობს ბრძენი ხალხი, რომელსაც შინგონის ბუდისტური სკოლა მასწავლებლებს და ბრძენ მოძღვრებს უწოდებს. გოკურაკუ ბრძენთა საუფლოა, რომელსაც მართავენ ღვთიური ძალები-ეზენონები, რომლებიც წარმოადგენენ ერთდროულად ბელადებსაც და პატრიარქებსაც. უძველეს იბერიულ-კავკასიურ სამყაროში დაფიქსირებულია მსგავსი კულტუროგენეტიკური მახასიათებლების ანალოგი, რაც გეოგრაფიული მდებარეობის იდენტურობის გარდა აღნიშნულ თეორიას ანიჭებს არსებობის არგუმენტირებულ უფლებას.

უძველესი ჩინური ფილოსოფია სწრაფად ვითარდება ძვ.წ მესამე ათასწლეულში-იქმნება აზრისმიერი მოძღვრება-იგებე,<sup>161</sup> რომლის თანახმად სამყაროს მთლიანი სულია-ვხვდებით ე, წ. ჰილოძოიზმის<sup>162</sup> ძველადმოსავლურ საწყისს. ცინელი ქურუმები ქმნიან ე.წ სამძობებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სამყაროს შემეცნებასა და სწორი საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბების ზესულიერი ისტორიოსოფიური<sup>163</sup> მისიის განსრულებას. ჩინელი მოაზროვნეები იწყებენ ფილოსოფიური კონცეპციების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის ხარისხობრივი ზრდის ტემპის გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს ტომობრივ კავშირთა განვითარებასა და განმტკიცებას. სწორედ აღნიშნულ ეპოქაში ვითარდება აზროვნების ისტორიის კვლევის მეთოდოლოგია, რაც აისახება კიდევ ე.წ კონვერციონალური<sup>164</sup> მორალისა და

<sup>161</sup> სულთა სამეფო.

<sup>162</sup> მოძღვრება, რომლის თანახმად სამყარო მთლიანი სულია, გამორცეული წარმომადგენელი გახლდათ დიდი ინგლისელი მოაზროვნე-რალფ კადუორთი.

<sup>163</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>164</sup> საზოგადოებრივი.

პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების პროგრესირების ზეეპოქალურ პროცესზე მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით.

ჩინელი ქურუმები ძვ.წ მესამე ათასწლეულის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობენ პოლიტიკის და სოციალურ ფილოსოფიას-პირველ ხანებში ძირითადად ეზოთერული თვალსაზრისით. ვითარდება შამანიზმი, ოგეპა, ტოტემიზმი, ანიმიზმი, მაგია და ასე შემდეგ.

ძვ.წ მეორე ათასწლეულის ბოლოს ჩინელი ქურუმები ქმნიან მაგეშას მისტიცისტურ ნახაზებს, რომელიც აღწერდა სამყაროს მმართველი გონისმიერი ენერჯის მოძრაობასა და ფორმას, სამწუხაროდ, აღნიშნული ნახაზები უკვალოდ ქრება. ძვ. წ პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩინური ფილოსოფია განვითარების მწვერვალს აღწევს, რაც ვლინდება დაოს მოძღვრების შექმნით. ლაო-ძი უცნობი ამოუცნობი ფენომენი, რომლის სახელი მოხუც მასწავლებელს ნიშნავს. ლაო-ძის ზესულიერ-არაამქვეყნიური სიბრძნით განმსჭვალული ტრაქტატი-დაო-დენ ძინი აინ-მენტ-ჩოსონის უძველესი ოსტ-იბერიული ცივილიზაციის გონის პირმშოა, რაც დასტურდება სიმშვიდის მდგომარეობის პროტოიბერიული კონცეპციის-ამენუ-ეტეს ლაო-ძისეულ ფილოსოფიაში მიზეზობრივ საწყისად და მიზნობრივ მოცემულობად გარდაქმნის პროცესის ისტორიულ-მეტაფიზიკური კვლევების ობიექტურად წარმართვის ზეეპოქალური უდიადესი მისიის მრავალმხრივ განსრულების გზით.

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ ჩინურ სამართლებრივ ფილოსოფიას-სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით 1995 წელს გამოცემულ ნაშრომში-ცინის იმპერიის და დასავლეთ ხანის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი-საინტერესო <sup>165</sup>შეხედულებებს ვხვდებით. ავტორთა აზრით, კანონშემოქმედებითი პროცესის სრულყოფილი სახე გვხვდება ცინის და ხანის პერიოდებში-რომელიც უნდა ჩაითვალოს ჩინური კანონმდებლობის ათვლის წერტილად.<sup>166</sup>აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან, ზვ. წ მესამე ათასწლეულში უძველეს ჩინურ ხელნაწერებსა და წყაროებში ვხვდებით მაღალი დონის ნორმატიულ ბაზისებს-მაგალითად, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით-შენდინი, სიაონი, ასტრებუ და სხვები.

ცინის და ხანის ეპოქაში ვხვდებით ძველჩინურ კანონთა ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ავტორთა აზრით, გამოიხატებოდა რესპექტიულობაში-სასჯელთა საჯაროობა და სიმკაცრე.ფილოსოფიური შემადგენლობა- სასჯელთა გამოყენების დროსა და ადგილზე ფილოსოფიური შეხედულებების უზარმაზარი

<sup>165</sup> გვ 1-3.

<sup>166</sup> სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ცინის იმპერიისა და დასავლეთ ხანის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი გვ-1-3.

გავლენა, ხალხისა და დამნაშავეს კომუნიკაცია, სამართალწარმოების პროცესში უბრალო ხალხის აქტიური მონაწილეობა და ასე შემდეგ-აღნიშნულ მოსაზრებას ნაწილობრივ არ ვიზიარებ, რადგან როდესაც ვსაუბრობთ ფილოსოფიის ჩართულობაზე სამართლის ქმედით პროცესში, აუცილებლად გვჭირდება სამართლის ფილოსოფიისა და იურიდიული მეტაფიზიკის ზელოგიკურ სიბრტყეში განხილვა ეპოქის ისტორიოსოფიურ<sup>167</sup> თავისებურებათა გათვალისწინებით.

ჩინური სამართლის განვითარების ზემოაღნიშნულ პერიოდში ნატურალური ფილოსოფიის და პოლიტიკურ-ისტორიული ფონის ურთიერთქმედება დიდ ზემოქმედებას ახორციელებდა სამართალშემოქმედების ურთულეს პროცესზე. მაგალითად, ხანის იმპერიის ეპოქაში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებამ გაამყარა საკანონმდებლო სისტემა, თუმცა ავტორები უყურადღებოდ ტოვებენ ფილოსოფიური კონცეპციების როლს დროსა და სივრცეში სამართლებრივი აზროვნების სრულქმნის ისტორიულ-მეტაფიზიკურ პროცესში. ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა სისხლის სამართალს-კერძოდ, წარმოიშვა არისტოკრატიული წრეებისთვის ცინის და რანგის ჩუქების ინსტიტუტი-თუმცა გვსურს ავტორებს შევახსენოთ აღნიშნული ეტემინური ინსტიტუციის არსებობა ჯერ კიდევ ქინის სახელმწიფოში. ასევე შემოიღეს თემების კოლექტიური პასუხისმგებლობა და დასმენების სისტემა, რომელმაც გარკვეულწილად გააძლიერა სისტემა, თუმცა შეზღუდა ფილოსოფიური კონცეპტუალიზმის თავისუფლების ხარისხი.

დიდ მნიშვნელობას იძენს კონფუციანელთა და ლეგისტთა როლი ერთიანი კანონმდებლობის ფორმირებასა და მშვიდობის დაცვაში. კონფუციანელობა გახლდათ უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის ფუძემდებელი გახლდათ დიდი ჩინელი მოაზროვნე-კუნ-ფუნ-ძი ანუ კონფუცი. კონფუცი ავითარებს კონცეპციას სახელმწიფოს ფილოსოფიური საფუძვლების განვითარებისა და წესრიგის დაცვის შესახებ-კონფუციის აზრით სიბრძნის შეძენის სამი გზა არსებობს-1-ყველაზე მარტივი მიზაძვა, 2-ყველაზე მწარე-გამოცდილება და 3-ყველაზე კეთილშობილური-ფიქრი. კონფუცი ინტენომიური ასტროსოფიის <sup>168</sup>საპირისპიროდ ქმნის ქმედითი სულიერების კონცეპციას, რომლის თანახმად სამყაროს არსებითობის საფუძველი მუდმივი ფიქრი და მარადიული ბრძოლაა.

ლეგისტები ინკე ვუ-ვენის ფილოსოფიური სისტემა გახლდათ, რომელიც ქადაგებდა სულის და ნების კავშირს, სიკეთეს, დიდსულოვნებასა და ფსიქოემოციური აზროვნების მართვას. კონფუციანელების და ლეგისტების კამათის საგანი გახლდათ-იმპერიის მართვის პრინციპები-მორალურ-ეთიკური ნორმების უპირატესობა თუ

<sup>167</sup> ისტორიულ-ფილოსოფიურ.

<sup>168</sup> სიბრძნისმიერი სისტემა.

მკაცრი სავალდებულო საკანონმდებლო ბაზისი. ჩემი ხედვით, აღნიშნული ბრძოლა მეტად აქტუალურია თანამედროვე ეპოქაშიც.

ხანგრძლივმა პოლემიკამ გამოიწვია ორი ფილოსოფიური მიმდინარეობის შერწყმა-ორთოდოქსული კონფუციანელობის ჩამოყალიბება ხანის ეპოქაში. აღნიშნული კონცეპციის თანახმად, მმართველი ეყრდნობოდა თანაბრად კანონსაც და მორალურ-ეთიკურ ნორმებსაც.

განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ფაქტი-ავტორთა აზრით, მრავალი მოპოვებული იურიდიული და ადმინისტრაციული დოკუმენტების აღმოჩენამ მოგვანიჭა შესაძლებლობა არა მხოლოდ ადრეული იმპერიის საკანონმდებლო სისტემების, არამედ სოციალური<sup>169</sup> სტრუქტურის, სახელმწიფოსა და არისტოკრატის ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლისა. ამჟამად კი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტრადიციული ჩინური სამართლებრივი სისტემისა და თანამედროვეობის კვლევითი შედეგების აუცილებლობა-მეცნიერ ო.ვ შებაროვის<sup>170</sup> აზრით, ჩინეთის სამართლებრივი სისტემა შერეული ხასიათისაა, კერძოდ, ზემოთხსენებული სივრცე აერთიანებს ჩინურ სამართლებრივ კულტურას, ბრიტანული დოქტრინის ელემენტებსა და რომანულ-გერმანული სამართლის პრინციპებს. ჩინელები სამართლებრივ ნორმებთან შედარებით გაცილებით დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ მორალურ ნიშნებს საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების სფეროში. ზემოაღწერილი თავისებურება ჩინური სამართლებრივი კულტურისა განაპირობა კონფუციანური მოძღვრების მზარდმა გავლენამ.

ჩინეთში, რელიგია და სამართალი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავდა. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში განმტკიცდა რელიგიური ფასეულობებისა და სამართლებრივი კულტურის მჭიდრო კავშირი. ჩინეთში განსაკუთრებით განვითარდა დაოსიზმი, კონფუციანელობა და ბუდიზმი. განვიხილოთ დაოსიზმი- ლაო-ძის<sup>171</sup> მიერ შექმნილი ფილოსოფიური მოძღვრება-ინი და იანი-დუალისტური ფილოსოფია, რომლის თანახმად სამყაროს მართავს ორი საწყისი-თეთრი და შავი-სიკეთე და ბოროტება.

დაოსიზმის მოცემულ კონცეპციაში იკვეთება კჰმერის<sup>172</sup> კულტურის კვალი-კერძოდ, კხამერების მითოსის მიხედვით, სამყაროს მართავს კეთილი გონი 7 ათასი წლით, ხოლო შემდეგ იწყება სამათასწლოვანი ბრძოლა-ამბოხებული მისტერიების

<sup>169</sup> სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი- ცინის იმპერიისა და დასავლეთ ხანის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი ავტორი ტერენსო ანტონ ელუარდის ძე, რიბაკოვი ვიარესლავ მიხაილის ძე და მეოთხე კურსის სტუდენტი ბელჩენკო ვერონიკა.

<sup>170</sup> შებაროვი-ტრადიციული სამართლებრივი სისტემა ჩინეთში და თანამედროვეობა. გვ-1.

<sup>171</sup> დიდი ჩინელი ფილოსოფოსი.

<sup>172</sup> კხამერები.

ანუ ბოროტების წინააღმდეგ შემდეგ მთავრდება, კვლავ იწყება და ასე გრძელდება სამარადჟამოდ. დაოსიზმმა უდიდესი როლი შეასრულა ჩინური სამართლებრივი კულტურის მრავალმხრივ განვითარებისა და სრულქმნის ზეეპოქალური პროცესის განსრულების მხრივ. დაო-კაცობრიობის სულია, რომელსა სამყაროს გონი მართავს და იცავს ბოროტებისგან. დაოსიზმი უმძლავრესი სისსტემაა, რომელმაც უდიდესიფუნქცია შეითავსა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის განვითარების ზეეპოქალურ პროცესში.

კონფუციანელობის ფილოსოფიური მოძღვრება გულისხმობს სახელმწიფოს წესრიგის საზოგადოებრივი წყობის დასაცავად ბრძოლასა და განვითარებას. კონფუცი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს წესრიგს, დისციპლინასა და მრავალმხრივ აზროვნებას.

კონფუცი სავსებით შესაძლებელია ასტრო-ფილოსოფიის ეზოთერული საფუძვლებისგან თვისებრივი დიფერენცირების პროცესის მესამირკველედ მივიჩნიოთ ძველ ჩინეთში. კონფუცის ფილოსოფიური მოძღვრება დაოსიზმის მსგავსად რელიგიად იქცა, რომელიც მათემატიცისტურ ლოგიციზმს ეფუძნება-კერძოდ, სამყარო გახლავთ რიცხვული მეტაფიზიკის პროდუქტი, ხოლო რიცხვი ციფრის პირმშო, ციფრი კი ღვთიური ძალების გზავნილი, რომელიც ასევე სულიერი ენერჯის საცავად ძალგვიძს მივიჩნიოთ. კონფუციანელობამ უზარმაზარი როლი შეასრულა ჩინური ფილოსოფიისა და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისა და მრავალმხრივ განვითარების ზეეპოქალურ პროცესში.

დაოსიზმი და კონფუციანელობა წარმოადგენს უძველესი ჩინური ცივილიზაციის ორსახოვან ბუნებას, რომლის ერთი მხარე სიმშვიდის, ხოლო მეორე წესრიგის განმადიდებლად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ასევე უდიდეს ყურადღებას იმსახურებს ჩინური ბუდიზმი, რომელმაც ორიგინალური სიბრძნისმიერი სისტემები შექმნა, კერძოდ, სანსეს<sup>173</sup> ოგიბეს<sup>174</sup>, ონტეს<sup>175</sup> კონცეპციები. პირველი განადიდებს აზრთაქმნადობის მოვლენას, მეორე ქმედითობასი განცხადებულ ჭეშმარიტებას, ხოლო მესამე სულიერ ხედვას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ჩინური ბუდიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში უდიდესი როლი შეასრულა უნგეს ცივილიზაციამ, რომელიც აინთა შტოა. უშუალოდ, ჩემი ხედვით, აინებმა განუზომელი წვლილი შეიტანეს პროტოჩინური კულტურის ჩამოყალიბებისა და მრავალმხრივ პროგრესირების ზეეპოქალურ პროცესში.

---

<sup>173</sup> აზრი.

<sup>174</sup> ქმედება.

<sup>175</sup> სული.

ბუდიზმი ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა, რომელიც უარყოფს სამყაროს ერთიანი გონის მიერ შექმნის თეორიას და განადიდებს სულიერ ხედვას, რომლის თანახმად ყველა ადამიანში სახლობს ღმერთი. პირადად, ჩემი აზრით, ბუდიზმი გახლავთ შორეული აღმოსავლეთის-იბერო-არიული ტომების მიერ შექმნილი სისტემა, რომელიც განადიდება აღმასის თვალს-ე,წ დორჯ თეპე.<sup>176</sup>

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს შემდგომი უმნიშვნელოვანესი ფაქტი-ბუდიზმი სამსახოვან ბუდას ცნობს-ბუდა დიპანკარა-წარსული, სინთჰართჰა გაუტამა შაკიამუნი-აწმყო და ბუდა მაიტრეა-მომავალი.

ჩემი სუბიექტური შეხედულებით, ბუდიზმი შექმნეს იბერმა ბრძენებმა-მასტრინებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქრისტოს რჯულის გამარჯვებამდე შორეული აღმოსავლეთის ხალხების იდეოლოგიურ მომზადებას პოლითეიზმისგან განთავისუფლების მრავალათასწლოვანი მისიის განსახორციელებლად. ბუდიზმის გარდა ასევე მნიშვნელოვანი რელიგია გახლავთ ჯაინიზმი, რომელიც ჯაინუს სულს სცემს თაყვანს და განადიდებს საკაცობრიო გონის სულიერ ენერგიას-ჯემან ოვე ოგენუპ. ჯაინიზმმა უდიდესი როლი შეასრულა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ფილოსოფიური სამართლებრივი და სოციალური აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების ზეეპოქალურ პროცესში. ჯაინიზმი სავსებით შესაძლებელია იბერიოსოფიის ასტროცენტრული გამოვლინების ეპოქალურ ნიმუშად მივიჩნიოთ.

ბუდიზმი ჯაინიზმი და სევა გეჯენი<sup>177</sup> საუკეთესო თეორეტიკული ბაზისია შორეული აღმოსავლეთის ხალხთა კულტუროტროპული და იურიდიულ-დოგმატური თვალსაზრისით განვითარების პროცესის ისტორიოსოფიური<sup>178</sup> და სინსომეტაფიზიკისტური<sup>179</sup> თვალსაზრისით შესასწავლად, კერძოდ, ჩინური სამართლებრივი ფილოსოფია ეფუძნება შემდგომ არსისმიერ საფუძველს-ძალა, სიმართლე, კანონი. ჩინელი ფილოსოფოსების მიერ შექმნილი ფილოსოფიური მოძღვრებები სავსებით შესაძლებელია ასტროსოფიური<sup>180</sup> აზროვნების უმთავრეს საფუძველად მივიჩნიოთ.

ჩინური გონის ფილოსოფია განიმარტება ამგვარად- გონი წარმოშობს ნებას, ნება აღძრავს ფიქრს, ფიქრი შობს აზრს, ხოლო აზრის წყალობით ვიძენთ ცოდნას-როგორც საზოგადოებრივ-ასტროსტრეტიული გამოცდილებით დადასტურებულ სინამდვილეს, რაც აისახება ადამიანის შიდა ცნობიერ ველში აზრების თეორიების და მსჯელობების სახით.

<sup>176</sup> სულის აღმასის გზა.

<sup>177</sup> ნეპალური ფილოსოფია.

<sup>178</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>179</sup> ზემეტაფიზიკური.

<sup>180</sup> ასტრო-ფილოსოფიური.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ჩინური გონის ფილოსოფია იკვებებოდა აინურ-არიულ-ასტრალური სიბრძნით, რომელიც ეფუძნებოდა ატლანტიდურ ისტორიოსოფიურ<sup>181</sup> გამოცდილებას. გონის ფილოსოფია სამართლებრივი მსოფლმხედველობის საფუძველია, რომლის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გონის, მეხსიერებისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების გამოწვევის დამლევას.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- გონის ფილოსოფია გონებას განიხილავს მეხსიერების ცნობიერ სისტემას, რომელიც ასულდგმულებს ასრულყოფილებს და ავითარებს როგორც ინდივიდუმს<sup>182</sup>, ასევე კომუნიტარუმს<sup>183</sup>. ჩინელმა ფილოსოფოსებმა თეოსოფებმა და მეტაფიზიკოსებმა უდიდესი შეუფასებელი და განუზომელი წვლილი შეიტანეს აღმოსავლური გონის ფილოსოფიის ჩამოყალიბებისა და მრავალმხრივ განვითარების ურთულეს ზეეპოქალურ პროცესში. ჩინური ლოგიკური ფილოსოფია მეტად მძლავრ და უაღრესად საინტერესო კავშირს ავლენს აზრისა და ფიქრის ტრანსცენდენტური ურთიერთქმედების მოვლენასთან-კერძოდ, ჩინური ლოგიციზმი<sup>184</sup> სავსებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ასტრო-ფილოსოფიურ იდეათა კრებულად, რომელიც ნებით აქტივაციასა და აზრობრივ ურთიერთქმედებაზეა აგებული. ასევე დიდ მნიშვნელობას იძენს ჩინური სამართლებრივი ლოგიკა, რომლის ფუძემდებელი ჩემი აზრით ლაო-ძი<sup>185</sup> გახლავთ. მაგალითად, ძველი ჩინური სამართალი არ ცნობდა პიროვნებას, ინდივიდს, მოქალაქის სუბიექტური უფლებების ევროპულ კონცეპციას. ჩინელთა აზრით, ადამიანი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი თანხმობა და დაივიწყოს ყველაფერი პიროვნული.

ძველ ჩინეთში საუკუნეთა განმავლობაში სასამართლო საქმიანობას ახორციელებდნენ არა პროფესიონალი იურისტები, არამედ ადმინისტრატორები, რომლებიც აზარებდნენ გამოცდებს ლიტერატურული ხასიათის თემატიკის შესახებ. ჩინური სამართლებრივი აზროვნების ისტორია აღმოსავლური ფილოსოფიის სპეციფიკური მიმართულებაა, რომელიც სავსებით შესაძლებელია ძველადმოსავლური სამართლის აღმა-მატერად<sup>186</sup> მივიჩნიოთ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ასტროსოფიური ფილოგენიზმი<sup>187</sup> როგორც ჩინური სამართლებრივი ფილოსოფიის ამოუცნობი დოქტრინა ლოგიცისტურ<sup>188</sup> და

<sup>181</sup> ისტორიულ-ფილოსოფიურ.

<sup>182</sup> ინდივიდი.

<sup>183</sup> საზოგადოება.

<sup>184</sup> ლოგიკა.

<sup>185</sup> დიდი ჩინელი ფილოსოფოსი.

<sup>186</sup> მაცოცხლებელი დედა.

<sup>187</sup> ჩინური ფილოსოფია.

<sup>188</sup> ზელოგიკურ.

მათემატიკისტურ<sup>189</sup> საფუძვლებზე აგებული უმძლავრესი ციხესიმაგრეა, რომელიც იცავს საკაცობრიო აზროვნება მატერიალისტური ცნობიერების გააღმასებულ შემოტევათაგან.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინურმა ფილოსოფიამ უდიდესი ზეგავლენა იქონია ევროპულ ცივილიზაციაზე, რაც მტკიცდება გერმანული და ბრიტანული სამართლებრივ-ფილოსოფიური დოქტრინების ისტორიული წანამძღვრების შესწავლისა და ობიექტური შემეცნების გააქტიურებით.

ჩინურმა ფილოსოფიამ განუზომელი წვლილი შეიტანა ბრიტანული ნატურალიზმის, გერმანული იდეალიზმისა და ფრანგული ენციკლოპედიზმის ჩამოყალიბებისა და მრავალმხრივ სრულქმნის ურთულეს ზეეპოქალურ პროცესში. ჩინური ფილოსოფია აისახა დასავლური სისხლის სამართლის, ცივილისტიკისა და ადმინისტრაციული სამართლის დოგმატიზმის მსოფლმხედველობრი საწყისთა მიზეზ-შედეგობრივ პროცესზე, რაც დასტურდება ლოგიკურ, ისტორიული, მეტაფიზიკური და რელიგიურ-ფილოსოფიური კვლევების აქტივაციის ხარისხის ზრდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიზნის განხორციელების პროცესში. პირადად, ჩემი აზრით, კანტის<sup>190</sup>, ჰეგელის<sup>191</sup>, სმიტის<sup>192</sup>, ნიუტონის<sup>193</sup> ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე წარუშლელი ზეგავლენა იქონია ლიუ ჰილონ<sup>194</sup> ვონის, ლაო-ძის<sup>195</sup>, კონფუცის<sup>196</sup>, ბუდას<sup>197</sup>, შოტოკუს<sup>198</sup>, სონგდეს<sup>199</sup> იდეებმა. ევროპული სამართლის ფილოსოფია სავსებით შესაძლებელია დასავლურ გეოპოლიტიკურ სივრცესი აღმოსავლურ სიბრძნესთან დასავლური რაციონალიზმის ზიარების პირდაპირ შედეგად მივიჩნიოთ.

ჩინელი ფილოსოფოსები ავითარებენ საკაცობრიო მნიშვნელობის ტრადიციებს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს მსოფლიო ერთა მრავალმხრივ განვითარებისა და სრულქმნის ზეეპოქალური ისტორიოსოფიური<sup>200</sup> მიზნობრიობის განსრულების ურთულეს პროცესში. ჩინურმა სამართლებრივმა ფილოსოფიამ ასევე დიდი როლი შეასრულა ევროპეიდული სამართლის სოციოლოგიისა და მეტაფიზიკის განვითარების მიმართულებით. მაქს ვებერი, ემილ დიურკემი გეორგ ზიმელი

<sup>189</sup> ზემათემატიკურ.

<sup>190</sup> დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.

<sup>191</sup> დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.

<sup>192</sup> სახელოვანი ბრიტანელი მოაზროვნე.

<sup>193</sup> სახელოვანი ბრიტანელი მოაზროვნე.

<sup>194</sup> დიდი კორეელი მოაზროვნე.

<sup>195</sup> დიდი ჩინელი ფილოსოფოსი.

<sup>196</sup> დიდი ჩინელი ფილოსოფოსი.

<sup>197</sup> ბუდიზმის დამაარსებელი.

<sup>198</sup> იაპონელი ბუდისტი პრინცი.

<sup>199</sup> დიდი ტიბეტელი ბერი.

<sup>200</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღმოსავლურ სიბრძნეს.<sup>201</sup> პირადად, ჩემი აზრით, ცინური ფილოსოფია ევროპული მტკიცებითი სამართლის ქვაკუთხედადაც იქცა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას-ევროპული სამართლის ფილოსოფია სათავეს იღებს ჩინური სულიერი ტრადიციიდან და სწორედ, ჩინეთმა დაუდო სათავე სამართლებრივი პრობლემატიკის ფილოსოფიურ ჭრილში კვლევას. ძვ. ჩინური სამართალი გახლდათ იურიდიული იდეების სისტემა, რომლის საფუძველს ფილოსოფია წარმოადგენდა. მაგალითად, ადამიანის მოკვლა ჩინეთში მიიჩნეოდა ცის წინააღმდეგ მიმართულ აქტად და მკაცრად ისჯებოდა გარდა აუცილებელი მოგერიებისა. აღნიშნული შემთხვევა გამამართლებელ გარემოებად ითვლებოდა, რადგან მოკვლა ადამიანისა, რომელმაც თავად უარყო ცა-ღმერთი და მიზნად დაისახა სხვა ადამიანის მოკვლა-ცოდვა და დანაშაული არ გახლდათ. სახეზეა იურიდიული იდეების განვითარების მაღალი ხარისხი. ასევე, ჩინელები საინტერესო შეხედულებებს ავითარებდნენ სქესობრივ დანაშაულთან მიმართებით. კერძოდ, თუ ქალი მასზე მამაკაცის მხრიდან ძალადობის განხორციელების მცდელობისას მოკლავდა მოძალადეს, იგი ამ ქმედებისთვის პასუხს არ აგებდა.

პირადად, ჩემი აზრით, აღნიშნული იურიდიული მოცემულობა რევოლუციური გარღვევა გახლდათ ჩინური სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. ჩინელებმა მოახერხეს სამართლებრივი იდეების სისტემატიზება და ამგვარად იურიდიული სახელმწიფოს ცნების ჩამოყალიბება, რაც გამოიხატა ჩინური ქალაქ-სახელმწიფოების განვითარების ხარისხის ამაღლებით. კერძოდ, ჩინელმა უხუცესებმა შექმნეს უნიკალური სტილი სამართლებრივი აზროვნებისა, რომელმაც ასახვა ჰპოვა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ცნობიერ სამყაროში. ჩინური ქალაქ-სახელმწიფო წარმოადგენდა სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც ემყარებოდა მოსახლეობის სურვილებისა და ხელისუფლების ინტერესების მდგრად ბმას. ჩინური სამართლის მიხედვით შეიქმნა სამართლებრივი სახელმწიფო, რომელმაც მიზნად დაისახა ჯერ კიდევ ათასწლეულთა წინათ ხალხის ინტერესთა დაცვა და ამ გზით პოლიტიკურ მისწრაფებათა კონკრეტულ შედეგში რეალიზება. ჩინური ქალაქ-სახელმწიფო გახლდათ სისტემა, რომელმაც ჩამოაყალიბა ინდივიდუალურ-შეფასებით კატეგორიათა წყება, რომელმაც მეტად საინტერესო როლი შეასრულა ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. მაგალითად, სწორედ ამ ეპოქაში იწყება სავაჭრო ურთიერთობათა დამყარება და განვითარება ჩინეთში, რაც მოითხოვდა ახალ იურიდიულ რეგულატორთა შექმნას და

<sup>201</sup> სოციოლოგიის მამამთავრები.

ეკონომიკური აზროვნების სამართლებრივ კომპონენტთა ახალ პანეროვნულ გააზრებას.

კერძოდ, ჩინეთში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებამ გამოიწვია სასაქონლო-ფულად ერთეულთა შეცვლა. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ამ პერიოდში დაახლოებით ძვ.წ მესამე-მეორე ათასწლეულებიდან დაგროვდა უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რაც საჭიროებდა ამ საქონლის მოქალაქეებს შორის სამართლიან განაწილებას და ასევე დარჩენილი მარაგის ხარისხობრივ დაყოფას-უცხო სახელმწიფოებში რეალიზაციისთვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- მაშინდელი ჩინეთი სწრაფი განვითარების გზას დაადგა, მიუხედავად ერთიანი სახელმწიფოს არარსებობისა ჩინელმა ხალხმა მოახერხა მრავალმხრივ განვითარების პროცესის წორად წარმართვა.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინური ქალაქები უზრუნველყოფდნენ საქალაქო ცხოვრების განმტკიცებასა და განვითარებას. იმდროინდელი ჩინეთი მიუხედავად მრავალი წვრილი სახელმწიფოს არსებობისა-მსოფლიოს წარუდგა დიდი პოტენციალისა და ამბიციების მქონე ქვეყნად, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ჩინურ ქალაქ-სახელმწიფოებში უაღრესად განვითარებული გახლდათ მეცნიერება და ხელოვნება. ჩინური ასტრონომიის, იურისპრუდენციისა და მათემატიკის საკრალურ ძირთა კვლევას სწორედ ამ ეპოქის ჩინურ საზოგადოებასთან მივყავართ. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, ჩინურმა ქალაქ-სახელმწიფოებმა, მაგალითად ლუმ, ქინმა, ვუძიუმ და სხვა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. ზოგადად, ჩინური სამართლის გენეზისის კვლევა შეუძლებელია აღნიშნული ეპოქის კულტურულ მიღწევათა გაანალიზების გარეშე. ჩინურმა ქალაქ-სახელმწიფოებმა სათავე დაუდეს ფილოსოფიურ მმართველობას, რომელიც ეფუძნებოდა იურიდიულ იდეალებსა და სხვადასხვა ტომთა რელიგიურ-თეოლოგიურ შეხედულებებს, რაც სრული ასახვაა მაშინდელი ჩინური იურიდიული რეალობისა. ჩინური კულტურა მოიცავდა მრავალი ხალხის რელიგიურ-ფილოსოფიურ იდეებსა და სამართლებრივ შეხედულებებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ჩინური სამართალი წარმოშვა ქალაქ-სახელმწიფოს ჩინურმა მოდელმა, რომელმაც დემოკრატიზებული მმართველობის სისტემა შექმნა და სათავე დაუდო სამართლის ფილოსოფიის პოლიტიკური მართვის ხელოვნების განუყოფელ ნაწილად აღქმის კონცეპციას. ჩინური იურიდიული კულტურა გახლდათ აღმოსავლური სიბრძნის უკიდევანო ოკეანის ძლიერი ტალღა, რომელმაც არაერთხელ დაანგრია ბარბაროსთა იდეური ხომალდი.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინური კულტურის აღმა-მატერი<sup>202</sup> გახლავთ კომბინაცია სამართლისა და ფილოსოფიისა, რაც გამარჯვების ფორმულად ესახებოდათ ჩინელებს. ჩინური სამართალი ფაქტოლოგიურ ბაზისზე დაყრდნობით ეძიებდა ობიექტურ ჭეშმარიტებას და ავითარებდა ეროვნულ კულტურას. ჩინურმა სამართალმა შორეული აღმოსავლეთის ხალხებზე უზარმაზარი ზეგავლენა იქონია. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ჩინურმა სამართალმა შეასრულა მედიატორის როლი სხვადასხვა ხალხებს შორის და ამგვარად გარდაიქმნა ჩინეთის აზრობრივ მარგალიტად.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინეთმა შექმნა ე.წ-კვანდიუნგი ანუ 7 ვარსკვლავის კონცეპცია, რომლის თანახმად ქვეყნის მოვალეობაა მოსახლეობაზე ზრუნვა, ხოლო ხალხის ვალდებულებაა მატერიალური დოვლათისა და ინტელექტუალური სიმდიდრის შექმნა-ეს ერთგვარი უძველესი სამართლებრივი და ფილოსოფიური ფორმულირებაა, რომელიც შეიქმნა ლუს სახელმწიფოს ქალაქ ციუიფუსში და გავრცელდა მთელ ჩინეთში. აღნიშნულ პროცესებში დიდი როლი შეასრულა ქინის სახელმწიფოს ქალაქმა იონგმა. კერძოდ, აქ განვითარდა ბელიუნიუს კონცეპცია-რომლის თანახმად სამეფო ხელისუფლება უნდა განაწილდეს მმართველსა და ხალხს შორის. ამ ხედვამ დროს გაუძლო და თანამედროვე ევროპის იდეოლოგიურ ქვაკუთხედად იქცა, ჩემი აზრით ამ კონცეპციამ დიდი ზეგავლენა იქონია ფრანგ და ინგლისელ განმანათლებლებზე.

ეს კონცეპცია ჩინეთში საკმაოდ პოპულარული გახლდათ, რადგან იგი პირდაპირ იყო ორიენტირებული ხალხის ინტერესებზე, სამართლიანობასა და კანონის უზენაესობაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ამ კონცეპციამ განსაზღვრა ჩინური სამართლის განვითარების გეზი-ამ ნაკრებმა იდეებისა განავითარა ჩინური ფილოსოფია და სამართალი. პირადად, ჩემი აზრით, იგი წინაანტიკური ხანის ჩინეთის სამართლის უმთავრეს ქვაკუთხედად ძალგვიძს წარმოვიდგინოთ. სამართლებრივმა კონცეპციებმა ჩინეთში მეტწილად განაპირობეს ხალხის მასათა დაახლოება და ერთ მუშტად შეკვრა. ჩინეთმა ქალაქ-სახელმწიფოთა ეპოქაში უდიდეს პროგრესს მიაღწია. ჩინურმა კულტურამ ახალი სიმაღლე დაიპყრო მსოფლიო აზროვნებისა, რაც აისახა ჩინური სახელმწიფოებრიობის განვითარების ხარისხზე. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ჩინეთმა მოახერხა აღნიშნული სამართლებრივი კონცეპციებით მრავალმხრივ პროგრესირება. ჩემი აზრით, ქალაქ-სახელმწიფოთა ეპოქაში ჩინურმა სამართლებრივმა აზროვნებამ განსაზღვრა ერთიანი ჩინური ცნობიერების ჩამოყალიბების გზა.

ჩემი სუბიექტური შეხედულებით, კულტურის განვითარების ხარისხს უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს სამართალი. ვინაიდან სამართლებრივი შეგნების

<sup>202</sup> მაცოცხლებელი დედა

განმტკიცება საზოგადოებაში საუკეთესო გზაა განსავითარებლად. პირადად, ჩემი აზრით, წარსულის გააზრება ქმნის აწმყო, ხოლო წარმატებებით აღსავსე აწმყო ქმნის ღირსეულ მომავალს. თავისუფლად შეიძლება ითქვას- სამართლებრივი პროგრესი განაპირობებს სახელმწიფოს სწრაფ განვითარებას. მაგალითად, განვითარებული იურისპრუდენციის წყალობით რომი მსოფლიო იმპერიად იქცა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთმა მიაღწია კულტურული განვითარების მწვერვალს. ასევე აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტი- ჩინეთი ცდილობდა სხვადასხვა ხალხთა დაახლოებას კულტურული თვალსაზრისით. პირადად, ჩემი აზრით, ჩინური კულტურა გახლავთ მსოფლიო ფენომენი, რომელმაც სამართლებრივი იდეების მთელი წყება შეუქმნა სამყაროს.

ჩინეთში შეიქმნა კონცეპცია-სიბეილუ-რომელიც ასახავდა სამეფო ხელისუფლების ძლიერების აუცილებლობას. იგი შექმნა ბრძენმა ციბაუმ და შემდგომ განავითარა სუნ-ძიმ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ჩინური ქალაქ-სახელმწიფოები გარდაიქმნენ ჩინელი ხალხის ცნობიერი სამყაროს განვითარების მასტიმულირებელ პოლიტიკურ სუბიექტებად.

ჩინური ქალაქ-სახელმწიფოები განვითარებული სამართლისა და ეკონომიკის დამსახურებით შორეული აღმოსავლეთის განმავითარებელ ძალად გარდაისახნენ. პირადად, ჩემი აზრით, ჩინური ქალაქ-სახელმწიფოები პროგრესირების დონით არ ჩამოუვარდებოდნენ ელინურ პოლისებს. აღნიშნული პოლიტიკური ერთეულები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ მთელი აზიის სოციალურ-პოლიტიკურ სამართლებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ჩინური სამართალი განვითარების პიკს აღწევს ძვ.წ პირველ ათასწლეულში, როდესაც ნელ-ნელა იწყება ერთიანი ჩინეთის სახელმწიფოს ფორმირება.

ჩინელები საკუთარ კულტურულ მიღწევათა გარკვეულ ნაწილს მალავდნენ, მაგალითად, ზემოაღნიშნული ცივილიზაცია მრავალი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა არ გაემხილა უცხოელთათვის აბრეშუმისა და ფაიფურის დამზადების საიდუმლო ხერხები, მეტიც, ისინი იბრძოდნენ დენტის დამზადების ტექნოლოგიის საიდუმლოდ შენახვისთვის. პირადად, ჩემი აზრით, ზემოაღწერილი თავისებურება ჩინური ცივილიზაციისა განპირობებული გახლდათ ჩინელი ხალხის ძლიერი სურვილით- მსოფლიო კულტურულ-ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე ნაციონალური პროგრესის ხარისხის მიხედვით დამკვიდრებასთან დაკავშირებით.

ჩინური სამართლებრივი კულტურაც ვითარდებოდა ჩინური სახელმწიფოს მრავალმხრივ პროგრესირების კვალდაკვალ. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ჩინური სამართალი გახლდათ ჩინური პოლიტიკური სისტემის ხერხემალი, რომელიც

განსაზღვრავდა სახელმწიფოს განვითარების დონეს და აწესრიგებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას უამრავი მიმართულებით. ჩინურმა სამართლებრივმა ტრადიციებმა დიდი ზეგავლენა იქონიეს ჩინელი ხალხის სამოქალაქო მართლშეგნების განვითარების მრავალსაუკუნოვან პროცესზე, რაც გამოიხატა ჩინური საზოგადოების მიერ საკაცობრიო მნიშვნელობის სულიერ-მატერიალური პროდუქტის შექმნის პროცესის გააქტიურებითა და მისი მიმდინარეობის ტემპის სისწრაფის დონის ამაღლებით. მაგალითად, ჩინელებმა შექმნეს ცნება-გუაინჯუ-რომელიც ასახავდა ერის განვითარების პროცესში ხალხის აქტიურად ჩართვას. ეს იდეალი იურიდიული იდეისა იქცა ჩინელი ერის პროგრესირების პროცესის მასტიმულირებელ კონცეპტუალურ ხედვათა სისტემად. გუაინჯუ გახლდათ აზრობრივი მთლიანობა, რომელმაც მოახერხა ჩინელების იურიდიული შეხედულებების სინათლის სიჩქარით განვითარება და ამ გზით ჩინური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების უზრუნველყოფა.

გუაინჯუ გახლდათ ჩინური აზროვნების ენიგმა<sup>203</sup>, რომლის გაშიფვრა ვერ შეძლო დასავლურმა მატერიალიზმმა.<sup>204</sup> ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული მოძღვრება გამოხატავს სახელმწიფოს, როგორც ხალხზე მზრუნველი და სამართლებრივად სრულქმნილი პოლიტიკური სისტემის ყოფიერების მიღმა არსებული სულიერი პრობლემატიკის რელიგიურ თვალთახედვათა ნაზავად გარდამქმნელ სოციალურ-ეკონომიკურ სამყაროს. გუაინჯუს მიხედვით-ქვეყანა ხილული ქვეყნიერების ნაწილია, რომელიც განგვამტკიცებს მომავლის რწმენაში და გვამზადებს ციურ სამეფოში-ესე იგი სულეთის განზომილებაში გადასასვლელად. ჯერ კიდევ ათასწლეულთა წინათ ჩინელმა ხალხმა შექმნა კონცეპცია, რომელიც მიზნად ისახავდა საერო და სასულიერო წრეების ჰარმონიულ თანაარსებობას. ჩემი აზრით, სეკულარიზმის<sup>205</sup> იდეის საკრალური<sup>206</sup> საწყისიც სწორედ შორეულ აღმოსავლეთში და ჩინურ სამყაროში უნდა ვეძიოთ. პირადად, ჩემი აზრით, ჩინური კულტურა იქცა აღმოსავლურ ცივილიზაციათა განმავითარებელ ძალმოსილებად. ეს სრულ ჭეშმარიტებაად ესახებათ მსოფლიო სამართლის ისტორიის მკვლევარებს. უძველეს დინასტიად ჩინეთში ითვლება სიას დინასტია-ძვ.წ 2200- 1750 წლები. სამწუხაროდ, ამ დინასტიის არსებობის მყარი მტკიცებულება არ მოგვეპოვება და მისი სახელი მითიურ ბურუსში გახლავთ გახვეული. შანის დინასტია შემდგომი მმართველი გვარია- ძვ.წ 1750-1040 წლები. იგი ითვლება ყველაზე განვითარებულ ბრინჯაოს ცივილიზაციად. სწორედ, შანის ხანას მიეკუთვნება ჩინური დამწერლობის უძველესი ნიმუში. პირადად, ჩემი აზრით, ჩინელებმა აღნიშნული ცოდნა-განსაკუთრებით ბრინჯაოს

<sup>203</sup> დამიფრული აზრი

<sup>204</sup> ფილოსოფიური მიმდინარეობა ხასიათდება მატერიალური შემეცნებით.

<sup>205</sup> სასულიერო და საერო ხელისუფლების გამიჯვნა

<sup>206</sup> იდუმალი

დამზადების ტექნოლოგიებთან მიმართებით- კავკასიური წარმოშობის აინურ ტომთაგან აიღეს.

ისტორიულად დადასტურებულია ლითონის ტექნოლოგიათა იბერიულ-კავკასიური მოდემის ერთა მიერ შექმნა. ჩინელებს აქვთ ლეგენდა, რომლის მიხედვით მათი წინაპრები თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე დასავლეთის შორეული კუთხიდან მოვიდნენ, რომელსაც უწოდებდნენ კაუს, მართლაც თუ ჩინეთიდან დასავლეთით ვიმოგზაურებთ მივადგებით ახლო აღმოსავლეთს, უფრო კონკრეტულად მცირე აზიასა და კავკასიას-მითიური ქვეყანა კაუსი-კავკასიაა და მსურს გამოვთქვა მოსაზრება ჩინურ მითოსში უძველეს კავკასიურ ხალხთა უხსოვარი მიგრაციის ნაკვალევს აზრობრივი ასახვის შესახებ. კერძოდ, ჩინელთა გადმოცემით, მათი უპირველესი წინაპრები გახლდნენ ქერა თმის და ცისფერ თვალთა მქონე ხალხი-სახეზეა კოლხური გენეტიკა. ჩინური დამწერლობა წარმოადგენს უნიკალურ სისტემას, რომელიც შეიქმნა აინთა<sup>207</sup> და კხამერთა<sup>208</sup> 209სიბრძნის გაერთიანებით. აღნიშნული დამწერლობა შეიქმნა აინ ქურუმთა მიერ აზრობრივი ნაკადის გრაფიკულად იდემენტაციის<sup>210</sup> და სინასიმურად<sup>211</sup> გამოსახვის შედეგად.კერძოდ, ჩინური დამწერლობა გამოხატავს კავკასიურ ასოციაციურ ბმათა მონოლოიდურ ტომთა ცნობიერ სამყაროსთან დამაკავშირებელ მოცემულობას. იბერმა ანუ აინმა ქურუმებმა ჩინურ დამწერლობაში ერთ გრაფიკულ ასოს უამრავი მნიშვნელობა მიანიჭეს, რაც განპირობებული გახლდათ აზრობრივი იმაჰსუნციით.<sup>212</sup> რაც შეეხება შანის დინასტიის სამართალს-იგი საკმაოდ მკაცრი გახლდათ. კერძოდ, გაძლიერდა სასულიერო ხელისუფლების გავლენა და დამკვიდრდა ადამიანთა ღვთაებებისადმი მსხვერპლშეწირვის პრაქტიკა. ჩინურ ქალაქ-სახელმწიფოთა ეპოქისგან განსხვავებით, შანის ეპოქაში სამართალი იქცა ხელისუფლების ხალხზე მეტწილად ძალადობრივი ბატონობის შემზარავ ინსტრუმენტად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-შანის სამართალი ამყარებდა დიქტატურას და მიზნად ისახავდა მმართველი რელიგიურ-პოლიტიკური კლასის ინტერესთა გატარებას-სწორედ ამ ეპოქის ჩინეთში იქცა ადამიანი საშუალებად და არა მიზნად. ადამიანთა მსხვერპლშეწირვა გამოხატავდა არა მხოლოდ რელიგიურ აქტს, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების ბოროტ ნებასაც, ვინაიდან, მმართველი კლასის ნების გარეშე აღნიშნული ქმედების განხორციელება ირეალური გახლდათ. კერძოდ, პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ გზით ცდილობდა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას და შიშის დათესვას. პირადად, ჩემი აზრით, შანის დინასტია წარმოადგენდა ტირანულ რეჟიმს, რომელმაც უამრავი ჩინელის

<sup>207</sup> უძველესი კავკასიური ტომი შორეულ აღმოსავლეთში

<sup>208</sup> არამონოლოიდი კავკასიური ტომი შორეულ აღმოსავლეთში

<sup>209</sup> გადმოცემა

<sup>210</sup> განსხვავებულ ნიშანთა იდეური გაერთიანება

<sup>211</sup> ერთ ასოში მრავალი ბგერის ჩართვა

<sup>212</sup> გრაფიკული და ბგერითი გაერთიანება

სიცოცხლე შეიწირა. შანის ეპოქა ხასიათდებოდა მუდმივი რეპრესიებითა და სისხლისღვრით. რაც შეეხება შანის ეპოქის სამართლებრივ ანალიზს, აღნიშნული ერა ჩემი აზრით ჩინური სამართლის გამკაცრებისა და ტირანიის სამსახურში ჩაყენების ეპოქაა. ადამიანის მსხვერპლშეწირვა ყოველმხრივ დასაგმობი და შემადრწუნებელი მოვლენა გახლდათ ნებისმიერ მონაკვეთში ისტორიისა. ვინაიდან, მაშინდელი ჩინური სამართალი ხელს უწყობდა ამ ბოროტებას, იგი სავსებით შესაძლებელია ამგვარი ტირანიის მსახურად მივიჩნიოთ. როდესაც, იურისპრუდენცია შორდება მის უმთავრეს მიზანს-ხალხის ინტერესებისა და სამართლიანობის მოთხოვნათა ბალანსირებისა-მაშინ, იგი არსობრივ კრიზისს განიცდის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- შანის ეპოქამ უმძიმესი კვალი დატოვა ჩინეთის ისტორიაში, კერძოდ დაშალა ჩინურ ქალაქ-სახელმწიფოებში ჩამოყალიბებული დემოკრატიული სამართლებრივი ინსტიტუციები და სათავე დაუდო ბოროტებას. შანის დინასტიის მმართველობა გამოირჩეოდა სისხლისღვრითა და ომიანობით. რასაკვირველია, შანის ეპოქას ჰქონდა ინტელექტუალური და სამხედრო-პოლიტიკური მიღწევებიც, თუმცა აღნიშნული სიკეთე გააბათილა ადამიანთა მსხვერპლშეწირვის რიტუალის შემოღებამ და ხალხის მასებზე ძალადობრივმა ზემოქმედებამ. შანის დინასტიას ჰქონდა პატრილინეარული სისტემა,კერძოდ, მამა შვილს ტახტს არ უტოვებდა, არამედ ძალაუფლება უფროსი ძმიდან უმცროსზე გადადიოდა. შანის ეპოქაში ჩინეთმა მრავალ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ამ დინასტიამ ვერ შეძლო მთავარი მიზნის განხორციელება-უძველესი ჩინური დემოკრატიული სამართლებრივი ინსტიტუციების შენარჩუნება.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- შანის ეპოქა მიუხედავად გარკვეული სახის სამხედრო-პოლიტიკური წარმატებებისა-ცალსახად არ უნდა შეფასდეს დადებით პერიოდად, რადგან სწორედ მაშინ დაინგრა მრავალი ჩინური სამართლებრივი კონცეპცია და დასაბამი მიეცა იმპერიულ დიქტატს. დიქტატურა კი ქვეყნის პროგრესირებას ყოველთვის ხელს უშლის, რაც აისახა კიდევ იმდროინდელ სახელმწიფო მმართველობის სისტემასა და სამართლებრივ შეხედულებებზე. ჩემი აზრით, შანის დინასტიის ტირანულმა ეპოქამ სისხლიანი კვალი დატოვა ჩინეთის და ზოგადად შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. პირადად, ჩემი აზრით, დასავლური ჭოუს დინასტია, რომელიც შანის გადაგვარების შემდეგ გაჩეფდა, ბევრად პროგრესული აზროვნების მიმდევარი გახლდათ. მან იარსება ძვ.წ 1100- ძვ.წ 256 წლებში. ჭოუს დინასტია ჩინელ ისტორიკოსთა აზრით, გაცილებით ახლოს იდგა ჩინურ მსოფლმხედველობასთან ვიდრე შანი. ამ დინასტიის მმართველობის პერიოდი იყოფა 2 ნაწილად-დასავლური ჭოუ- ძვ.წ1110-ძვ.წ 771 წლები და აღმოსავლური ჭოუ-ძვ.წ 771- ძვ.წ 256 წლები. დასავლური ჭოუს მმართველობა უადრესად პროგრესული გახლდათ,კერძოდ, სამეფო

ტახტი მემკვიდრეობით მამიდან შვილს გადაეცემოდა, თუმცა, ბრინჯაოს იარაღის ხმარების მხრივ შანის დინასტიას აშკარად ჩამოუვარდებოდნენ. ბევრად უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა ადამიანთა მსხვერპლშეწირვასაც. დაიწყო უძველესი ჩინური იურიდიული შეხედულებების შესწავლა და გადამუშავება, მაგალითად, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდა, კერძოდ, ადამიანის მკვლეელი და საკვების ქურდი ერთნაირი სასჯელის შეფარდებით არ ისჯებოდა. დასავლური ჭოუს დინასტია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ჩინური საზოგადოების ცხოვრებაში. აღნიშნულმა დინასტიამ დიდი ყურადღება მიაპყრო სამართლებრივი პრობლემატიკის ისტორიულ-ფილოსოფიურ ჭრილში კვლევას. გამძაფრდა უძველეს ჩინურ ხელნაწერთა შესწავლისა და ეპოქალური კანონზომიერებების შესბამისად გააზრების პროცესი.

დასავლური ჭოუს დინასტიის მმართველობის ხანა გამოირჩეოდა განსაკუთრებით ჩინური სამართლის ისტორიის განვითარებით. კერძოდ, აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა უამრავი უძველესი ჩინური სამართლებრივი ტრაქტატი. აღნიშნული ლიტერატურის გაანალიზება სწორედ დასავლური ჭოუს დინასტიას უკავშირდება. პირადად, ჩემი აზრით, ზემოაღნიშნულმა ეპოქამ უდიდესი როლი შეასრულა ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. დასავლური ჭოუს დინასტია არ მართავდა მთელ ჩინეთს, იგი მართავდა ე.წ შუა სამეფოს-იმდროინდელი ჩინეთის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს, რომელსაც ჩინელები იამს უწოდებდნენ. ძვ.წ 771 წელს ბარბაროსებმა დაიპყრეს დასავლური ჭოუს სამეფო და ამ დინასტიამ აღმოსავლეთით გადაინაცვლა.

აღმოსავლური ჭოუს დინასტიის ეპოქა ჩინური სამართლისა და ფილოსოფიის ოქროს ხანად იქცა. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ჩინური ფილოსოფიის მრავალი სკოლა-კერძოდ, კონფუციანელობა, დაოსიზმი, ფაძია იგივე ლეგიზმი, ნატურფილოსოფია და ნომინალიზმი. დაოსიზმი წარმოიშვა უდიდესი ჩინელი ფილოსოფოსის-ლაო-ძის ნააზრევის მიხედვით, რომელიც ცხოვრობდა ძვ.წ მე-6 საუკუნეში. ლაო-ძი ჩინური ფილოსოფიის მამამთავრად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ლაო-ძი გახლდათ პიროვნება, რომელიც სულიერ სიმშვიდეს თვლიდა ნებისმიერი სახის ინტელექტუალური განვითარების უპირველეს წყაროდ. ამ აზრმა დიდი ზეგავლენა ჩინურ სამართალზეც. დაოსიზმის მთავარი წიგნია- ტაო დე ჯინგი-ანუ გზა და სათნოება, რომლის ავტორი გახლდათ ლაო-ძი. ტაოიზმი გახლდათ უნიკალური მოძღვრება, რომელმაც აღმოსავლური ჭოუს დინასტიის ხანაში განსაზღვრა ჩინური სამართლის განვითარების გეზი. ტაო გახლავთ გზა, რომელიც მიდის ჭეშმარიტებისკენ, მაგრამ იგი არასდროს მთავრდება. დაოსიზმი სათნოებას მიიჩნევს ნებისმიერი სახის პროგრესის უმთავრეს წინაპირობად. დაოსიზმი გახლავთ მოძღვრება - სულიერების შეუცნობელი მწვერვალებისკენ მიმავალი იდეური ბილიკის წარმატებით განვლის შესახებ. დაოსიზმი ტაოს, როგორც გზას მიიჩნევს

დაუსრულებელი განვითარების პროცესად, რომელი ინდივიდუალიზებული სულიერი ბალანსის მიღწევის გზით კონკრეტული ადამიანის ცნობიერების უნივერსალური სიმშვიდის მდგომარეობაში გადასვლას გულისხმობს. დაოსიზმი ლაო-ძის მიერ შექმნილი მოძღვრებაა, რომელიც უკავშირდება სამართალსაც. კერძოდ, სიმშვიდე და გონებრივი უნარების განვითარების პროცესების მართვას ტაოს მიმდევრები თვლიდნენ საუკეთესო გზად დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. ტაოს მიხედვით არ არსებობს დანაშაულებრივი სურვილი-არ არსებობს დანაშაული. ტაოს მიხედვით სამართალი გახლავთ ბრძოლა ბოროტების აზრობრივ საწყისთა წინააღმდეგ. არ არსებობს მიზეზი, არ არსებობს შედეგი-გვმოდღვრავდა ლაო-ძი.

პირადად, ჩემი აზრით, ტაო გახლავთ მოძღვრება სამართლებრივი აზროვნების თეოსოფიურ საწყისთა შესახებ. ტაო სამართალს მიიჩნევს ფილოსოფიური აზროვნების განმავითარებელ აზრობრივ ძალმოსილებად. ზემოაღნიშნული მოძღვრება იურიდიულ იდეას თვლიდა თეოსოფიურ მოცემულობად. დაოსიზმი ახორციელებდა ჩინური ფილოსოფიური და თეოსოფიური წარმოდგენების იურიდიულ აზრობრივ განსაწმენდელში განწმენდას. ლაო-ძის აზრით, მშვიდი ადამიანი აკონტროლებს გონებას და ავითარებს ცნობიერ სამყაროს, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა იურიდიული თვალსაზრისით ანტიჰუმანური აზრების წარმომშობ საწყისთა დათრგუნვისა. ლაო-ძი სამართალს კოსმიურ ენერჯიათაგან წარმოქმნილ ინდივიდუალიზებულ იდეათა პრაქტიკულ ყოფიერებასთან დამაკავშირებელ ლოგიკურ იდეათა სისტემად მიიჩნევდა. ტაოს მოძღვრების მიხედვით, ფილოსოფიური განსჯა კონკრეტული ქმედებისა და მისი დაკავშირება დედუქციურ სამართლებრივ შემთხვევასთან გახლავთ საფუძველი ობიექტური ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე აზრობრივი ბურუსის გაფანტვის. ლაო-ძი ავითარებს შეხედულებას უნივერსალური სიმშვიდის განუზომელი არსობრივი დანიშნულების შესახებ. ლაო-ძი ჩინური ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ფუძემდებელია, რომელსაც ხშირად დიდი სიბრძნის მისანიშნებლად უწოდებენ თეთრ დრაკონს. ზემოაღნიშნული მოაზროვნე სამყაროს ხედავდა არსობრივად, ეძებდა არსს და ამგვარად, აღწერდა ფორმას, რაც ავითარებდა ჩინელი ხალხის აზროვნება სხვადასხვა მიმართულებით. ლაო-ძი სამართლებრივ აზროვნებას თვლიდა თეოსოფიური სიბრძნის ნაირსახეობად, რაც გამოიხატებოდა ემპირიული ფაქტოლოგიისა და ინტუიციური უნარების გაერთიანებით. ლაო-ძი იურიდიულ აზროვნებას ფილოსოფიური განსჯის სახედ თვლიდა. ლაო-ძიმ განავითარა შეხედულება ე.წ ფილოსოფიური სამართლის შექმნის შესახებ, კერძოდ, სამართლებრივი ინტუიცია ითვლებოდა კონკრეტიზებადი ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პროცესის შემადგენელ ურთულეს კომპონენტად. ლაო-ძი ინტუიციურ უნარებს მიიჩნევდა ზოგადად, ადამიანური აზროვნების ღვთიურ

გონთან დამაკავშირებელ დესუნქციურ<sup>213</sup> ელემენტებად. ჩინური ფილოსოფიის კორიფე- ლაო-ძი ქმნის შეხედულებათა სისტემას- აზრობრივი ნაკადების გაერთიანების გზით სიკეთის ანუ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ეთიკის და ბოროტების-დანაშაულებრივი სურვილის საწყისის ურთიერთბრძოლის შესახებ. ლაო-ძის აზრით ადამიანის ცნობიერ სამყაროში მოძრაობს ორი იდეური ინფორმაციული ნაკადი -კეთილი და ბოროტი, რომელთა ბრძოლა ყოველთვის სიკეთის გამაჯვებით სრულდება. შესაბამისად, აზრთა ბრძოლა ადამიანთა შინაგან სამყაროში წარმოადგენს ინფორმაციულ ნაკადთა თვისობრივი დაყოფის გაამომხატველ მოვლენას. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ლაო-ძი გახლავთ უდიდესი ფილოსოფოსი, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა ადამიანისა და სამყაროს ურთიერთკავშირის თავისებურებანი.

ლაო-ძის ფილოსოფია იქცა რევოლუციურ მოძღვრებად, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია ჩინური და მსოფლიო აზროვნების განვითარების პროცესზე. დაოსიზმი გახლდათ სამართლებრივად ფორმულირებადი ფილოსოფიური იდეალის შემქმნელი მიმდინარეობა ჩინური ფილოსოფიისა, რომელმაც ინტუიციასა და ზეგრძნობად შემეცნებაზე დამყარებული აზროვნება წარმოსახა ზოგადსაკაცობრიო ეტალონად.<sup>214</sup> ლაო-ძის ფილოსოფია და იდეალური სამართლებრივი აზროვნება ეფუძნებოდა კაცთმოყვარეობასა და წიგნიერებაზე დამყარებულ ინდივიდუალიზებულ სიკეთეს, როგორც კოსმიური ენერჯისგან მომდინარე აზრობრივ ნაკადს. ლაო-ძის მსოფლმხედველობა გახლდათ საუკეთესო ნიმუში ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალთა დაპყრობისა. შესაბამისად, ლაო-ძიმ შექმნა საწყისი იმ საფუძვლისა, რომელზეც განვითარდა მსოფლიო ფილოსოფია. ზემოაღნიშნული ჩინელი მოაზროვნე გახლდათ უმნიშვნელოვანესი ფიგურა ჩინური კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ლაო-ძი ქმნიდა იდეებს, რომლებიც მარტივ და სადა ენაზე დაწერილ ნააზრევად ესახებოდათ ჩინელებს მრავალი საუკუნის განმავლობაში. პირადად, ჩემი აზრით, ლაო-ძი იყო ადამიანი, რომელმაც ინტუიცია დასახა ძალად მსოფლიო ხალხთა კავშირის შექმნის პროცესში. ლაო-ძი ჭეშმარიტებას თვლიდა მარად მიუწვდომელ გონად, რომლის შეუცნობლობის აღიარება მისი შეცნობის ტოლფასი გახლდათ. ლაო-ძიმ სამართალსა და ფილოსოფიას შორის არსებული ღრმა კავშირი დაანახა ადამიანებს. ზემოაღნიშნული მოაზროვნე ესთეტიკასა და სულიერებას თვლიდა ურთიერთბალანსირებად ცნებებად. კერძოდ, მისი აზრით, სილამაზე, გონიერება და რწმენა ადამიანს აყალიბებდა ღვთიური თვალსაზრისით იდეალურ ქმნილებად. თავისუფლად შეიძლება ითქვას- დაოსიზმი ადამიანს განიხილავდა მიწიერი სამყაროს ცენტრად, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, დამოუკიდებლად უფრო დიდი წარმატების მიღწევა შეეძლო ვიდრე სხვებთან ერთად.

<sup>213</sup> ზელოგიკურ

<sup>214</sup> საუკეთესო ნიმუში

პირადად, ჩემი აზრით, ლაო-ში კომუნიტარული<sup>215</sup> აზრობრივი იდეოლოგიის თვისობრივი დაყოფის მომხრე გახლდათ. კერძოდ, იგი უდიდეს პატივს სცემდა ზოგადად, ადამიანს როგორც ინდივიდს და საზოგადოებას როგორც ინდივიდთა ერთობას. ლაო-ძის აზრით ადამიანის ინდივიდუალური ტალანტი ხშირად იკარგებოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, რადგან ძლიერნი ამა ქვეყნისანი ნიჭიერ ადამიანს საფრთხედ მიიჩნევდნენ. მეტიც, საზოგადოება და ე.წ ბრბოს ფსიქოლოგია მეტად ხშირ შემთხვევაში ანადგურებდა ასეთ ინდივიდს და თავადვე სპობდა მისი განვითარების შესაძლებლობას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ლაო-ში გახლდათ ადამიანი, რომელმაც მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებანი სააშკარაოზე გამოიტანა და ამ გზით მოახერხა განვითარების ახალ შესაძლებლობათა შექმნა. ლაო-ში მაშინდელ საზოგადოებას მიიჩნევდა ძალადობრივ იდეოლოგიაზე დამყარებულ წყობად. ლაო-შიმ ადამიანთა ბედნიერების ამოსავალ წერტილად წარმოაჩინა ინდივიდუალური განვითარება, რომელიც იყო საფუძველი საზოგადოების პროგრესისა. პირადად, ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული მოაზროვნე უსწრებს დროს და აყალიბებს მოძღვრებას, რომელიც გარდაიქმნება ერთგვარ კონცეპტუალურ მატრიცად. ჩემი ხედვით, ლაო-ში გახლდათ ჩინური კულტურის ტიტანი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ლაო-ში სიბრძნისმიერი რაინდია, რომელმაც შექმნა ინტელექტუალური ბაზისი, რომელსაც დაეყრდნო ჩინელი ხალხის მრავალმხრივ განვითარების ისტორიული პროცესი. ამ ადამიანმა სამართლებრივი აზროვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა და ამგვარად სათავე დაუდო ჩინური იურისპრუდენციის მრავალმხრივ პროგრესს. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ლაო-ში ინტუიციური აზროვნების პატრიარქია, რომელმაც ჩინეთს განვითარების ახალი გზა დაუსახა. ლაო-ში თითქოს ლეგენდაა, რომელიც ასულდგმულებს ჩინურ და საბოლოოდ, მსოფლიოს ფილოსოფიურ-თეოსოფიურ-სამართლებრივ სამყაროს. ეს სრული ჭეშმარიტებაა და მინდა ვისურვო კაცობრიობის მიერ ამ ნააზრევის სწორად გააზრება და იურიდიულად გამართული ცივილიზაციის შექმნა. ლაო-ში არ გახლავთ წარსული, იგი ჩვენი საზოგადოების მომავალია და მწამს მას დროთა მდინარეა ვერაფერს დააკლებს.

კონფუციანელობა გახლავთ რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც სათავეს იღებს ძვ.წ მეხუთე საუკუნის უდიდეს ფილოსოფოს-კონფუციის იდეებიდან. კონფუცი ლაო-ძისგან განსხვავებით უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ადგილს საზოგადოებაში ხედავდა და ინდივიდთა ერთობას მიიჩნევდა ადამიანის განვითარების საუკეთესო გზად. კონფუცი გახლდათ დიდი მოაზროვნე, რომელმაც ადამიანთა მთლიანობა, რომელიც გარკვეულ წესებსა და ნორმებს ეფუძნებოდა დასახა

<sup>215</sup> საზოგადოებრივი

კაცობრიობის განვითარების ერთადერთ სწორ მოდელად. კერძოდ, კონფუცის აზრით, ყოველ ადამიანში არის სათნოებისა და დიდსულოვნების მარცვალი, მას უბრალოდ გაღვივება სჭირდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- კონფუცის კონცეპცია ითვალისწინებდა სამართლიანი სახელმწიფოს იდეას. კონფუცის აზრით, სამართალი უნდა გახლდეთ სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული ერთობლიობა ნორმებისა, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობებს ადამიანთა შორის. პირადად, ჩემი აზრით, სამართლის კონფუცისეული ხედვა ემყარება სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთკავშირს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- კონფუცი გახლდათ მომხრე სახელმწიფოსა, როგორც სამართლიანობის წყაროსი და აღნიშნული აზრი აირჩია შორეულმა აღმოსავლეთმა მართვის სისტემათა შემუშავებისას.

პირადად, ჩემი აზრით, კონფუცი სამართლიან სახელმწიფოს მიიჩნევდა ადამიანთა ძლიერების წყაროდ. იგი ავითარებდა შეხედულებას მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთბალანსირებადი კავშირის შესახებ. კონფუცი იყო ადამიანი, რომელმაც ჩინურ სამართალში დიდი ცვლილებები განახორციელა.

კერძოდ, გაძლიერდა მესიანისტური იდეოლოგია და იმპერატორის კულტი, კონფუცი მეფეს თვლიდა ცის შვილად, რომელსაც ეკისრა უზარმაზარი დაა უმძიმესი მისია ხალხზე ზრუნვისა. კონფუცის აზრით, სამყარო ერთი დიდი სახელმწიფოა, რომელსაც ცის ნებით ადამიანები მართავენ. ადამიანი ცის ნებას ასრულებს და მიზნად ისახავს სამყაროს დაცვას ბოროტებისგან.

პირადად, ჩემი აზრით, კონფუცი სახელმწიფოს აღიქვამდა ადამიანთა გამაერთიანებელ ძალად, რომელიც ქმნიდა სამართალს, სწორედ აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება. თავისუფლად შეიძლება ითქვას- კონფუცი იქცა პოლიტიკისა და სამართლის ფილოსოფიის უძველეს მოძღვრად, რომელმაც სიკეთე, სათნოება და წინდახედულება დასახა ერთგვარ ფორმულად წარმატებისა. ჩემი ხედვით, კონფუცი წარმოუდგა მსოფლიოს ბრძენი ტიტანის სახით, რომელმაც გაილაშქრა ანარქიზმის წინააღმდეგ და ადამიანებს სახელმწიფოს ცნების არსი სრულიად ობიექტურად გააცნო.

კონფუცი გახლდათ ადამიანი, რომელმაც შექმნა მოძღვრება სახელმწიფოსა და მოქალაქის მძლავრი სამართლებრივი ურთიერთკავშირის შესახებ, რაც გამოიხატა ერთიანი იურიდიული სივრცის ჩამოყალიბებით. კერძოდ, კონფუცის აზრით, ადამიანი გახლდათ საზოგადოების ნაწილი, ხოლო ქვეყანა და პოლიტიკური სისტემა იყო ბაზისი მოქალაქის განვითარებისა. კონფუცი სამართალს თვლიდა აზრობრივ სისტემად, რომელსაც უნდა დაეთრგუნა ბარბაროსული ზრახვა და ადამიანი მრავალმხრივი თვალსაზრისით აემაღლებინა ინტელექტუალური კუთხით. კონფუცი სახელმწიფოს მიიჩნევს სამართლიანობის წყაროდ და ადამიანის იდეურ სახლად. ზემოაღნიშნული მოაზროვნე სასიცოცხლო აუცილებლობად თვლიდა პოლიტიკური

სისტემის იურიდიულ სრულქმნას, რაც განსაზღვრავდა მოსახლეობის ინტერესებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ნებელობის ჰარმონიულ თანაარსებობას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-კონფუცი ქადაგებდა ფაქტოლოგიისა და ნორმის გაერთიანებას. კერძოდ, კონფუცის აზრით, სახელმწიფო უნდა ჩამდგარიყო სამართლიანობისა და ხალხის სამსახურში. კონფუცი კრიპტოსტრატოსი<sup>216</sup> გახლდათ ჩინელი ხალხისა. კონფუცის იდეებმა დიდი ზეგავლენა იქონია ჩინელი ერის მრავალმხრივ პროგრესირების მრავალსაუკუნოვან პროცესზე, კერძოდ, მან შეძლო პოლიტიკის განვითარების საწყისად-იურიდიული იდეის დასახვა და ამ გზით ერთი შეხედვით, განსხვავებულ მეცნიერებათა დაკავშირება. შედარებითი მეცნიერების უპირველესი შემოქმედი შორეულ აღმოსავლეთში სწორედ -კონფუცი გახლდათ.

კონფუციანელობა წარმოადგენდა იდეოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მყარ შეკავშირებას. კონფუცი დანაშაულს მიიჩნევდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აქტად, შესაბამისად, იგი დამნაშავეში ხედავდა სახელმწიფოს მტერს. ფაქტობრივად, კონფუციმ და მისმა მიმდევრებმა სამართალი დასახეს არა მხოლოდ იურიდიულ იდეათა სისტემად, არამედ სამართლიანობისკენ სწრაფვით აღსავსე მეცნიერებად. რადბრუხის<sup>217</sup> ცნობილი ფორმულის შექმნამდე ათასწლეულებით ადრე ამ იურიდიული ცოდნის საწყისთა ძიებას სწორედ კონფუცისთან მივყავართ. კონფუცი ანარქიზმს მიიჩნევს უდიდეს ბოროტებად, რადგან იგი იწვევს ქაოსსა და არეულობას, რაც ცუდად აისახება მოსახლეობის ცნობიერ სამყაროსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კონფუციანელობა ჩინეთის მთავარ ფილოსოფიურ და სამართლებრივ იდეოლოგიად იქცა. პირადად, ჩემი აზრით, კონფუციანელობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩინეთის მრავალათასწლოვან ისტორიაში. ეს ერთგვარი თეორეტიკული შეხედულებაა, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ ფაქტებსა და ისტორიულ-სამართლებრივ მოცემულობათა შემქმნელ გასაოცარ იდეებს. თავისუფლად შეიძლება ითქვას- კონფუცი გარდაიქმნა მოაზროვნედ, რომელმაც ფილოსოფია და იურისპრუდენცია ერთიან სიბრტყეში მოაქცია, რაც იქცა ჩინური კულტურის განვითარების მასტიმულირებელ მოვლენად. კონფუციმ მოახერხა კონცეპცია-კუნ მიუნის შექმნა, რომლის მიხედვით ოთხი ჩინური ღვთაება- ლუ ტონგბინი<sup>218</sup>, ჟონგ ლიქუანი<sup>219</sup>, ლუ ტიეგუაი<sup>220</sup> და ჰან ქსიანძი<sup>221</sup> გაერთიანდნენ საიმპერატორო კონცეპტუალურ სისტემაში. კერძოდ, კონფუციმ შეძლო მონარქი კოსმიურ ფიგურად

<sup>216</sup> სულიერი მოძღვარი.

<sup>217</sup> ეს ფორმულა ასახავს სამართლიანობისა და კანონიერების ურთიერთმიმართებას.

<sup>218</sup> უკვდავი სწავლული, რომელსაც ხელთ ხმალი და მათრახი უპყრია, იგი ამარცხებს ყვითელ დრაკონს.

<sup>219</sup> დღეგრძელობის ღვთაება, რომელმაც აღმოაჩინა სიცოცხლის ელექსირი.

<sup>220</sup> დატაკთა ღმერთი, რომელიც დიდ სიბრძნეს ფლობდა.

<sup>221</sup> მუსიკოსთა მფარველი ღვთაება.

დაესახა და იგი სამოთხის შვილად წარმოეჩინა. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო ჩინური ტომებისა და სამთავროების გაერთიანების იურიდიული ნიადაგის მომზადებას. პირადად, ჩემი აზრით, კონფუციანელობამ და დაოსიზმმა უაღრესად საინტერესო იდეური პაექრობა გამართეს და ამ დავაში გამარჯვებულად თავი ჩინელმა ხალხმა იგრძნო.

მაგალითად, ტაოს მოძღვრება ამოსავალ წერტილად თვლიდა ადამიანის ინდივიდუალურ ნებელობასა და ინტელექტუალურ ასპექტიზმს, ხოლო კონფუციანელობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოების ფენომენს და ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა საზოგადოების განვითარების პროცესში აქტიურ მონაწილეობას. ინტელექტუალურმა ასპექტმა განაპირობა მთელ ჩინეთში მოგზაური ბრძენის ინსტიტუტის გაჩენა. რასაკვირველია, ამ ეპოქაში გამძაფრდა აზრობრივი ბრძოლა სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის. შესაბამისად, წარმოჩინდა უამრავი ახალი მოაზროვნე, რომელთაც განსხვავებული ხედვები ჰქონდათ. აზრთა ჭიდილმა წარმოშვა იდეების ნაკადი, რომლის ორ ნაპირად-სწორედ დაოსიზმი და კონფუციანელობა იქცნენ. თავისუფლად შეიძლება ითქვას- მოგზაურმა ბრძენებმა ჩინელ ხალხს დაუტოვეს მრავალი სვეტი სიბრძნისა, რომელთაგანაც ყველაზე მაღალნი-დაოსიზმი და კონფუციანელობა გახლდნენ. დაოსიზმის და კონფუციანელობის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს- დაოსიზმი იყო უფრო ინდივიდის განმადიდებელი სისტემა, რომელიც ადამიანის ინდივიდუალურ ინტელექტუალურ ასპექტს მიიჩნევდა სამყაროს განვითარების პროცესის დამწყებ ბიძგად, კონფუციანელობა კი ამყარებდა კომუნიტარულ ანუ საზოგადოებრივ გონებრივ პროგრესირებაზე დაფუძნებულ სამართლებრივ შეხედულებათა განმავითარებელ ციკლს. დაოსიზმი გახლდათ უძველესი მიმდინარეობა, რომელმაც ჩინეთის წარსულისა და აწმყოს ერთობლივად გააზრების გზით სათავე დაუდო ნათელ მომავალს. დაოსიზმის სამართლებრივ ასპექტთა კვლევას მივყავართ უძველეს ჩინურ რელიგიურ წარმოდგენათა სისტემამდე, რომლის თანახმად ადამიანი არც დამნაშავედ იბადება და არც გმირად-აღნიშნულ ისტორიულ ტიტულს იგი მოიპოვებს მის მიერ განვლილი ცხოვრებით. დაოსიზმი იღვწოდა დანაშაულის-როგორც ამქვეყნიური ბოროტების გონებრივ საწყისთა გასანეიტრალეზად. კერძოდ, დაოსიზმი ადამიანს მიიჩნევს მიწიერ სამყაროში უმაღლეს შემოქმედად, რომელიც ვალდებულია იზრუნოს სიბრძნის დასაგროვებლად და ამ ხერხით ინდივიდუალურ შემეცნებით გონზე გასაბატონებლად. დაოსიზმის სამართლებრივი კონცეპცია მოიცავს იდეას, როგორც საწყისის საზრისად გარდაქმნის შედეგს და აზრს როგორც პირობას არსებობისა. პირადად, ჩემი აზრით, დაოსიზმი დანაშაულებრივ სურვილთა ჩამოყალიბების საფუძვლად სულიერ არასრულყოფილებას მიიჩნევს. დაოსიზმის მიხედვით, ადამიანი ჭეშმარიტ პროგრესს აღწევს მხოლოდ ინტელექტუალური ასპექტიზმით. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, გერმანულ ფილოსოფიაში შელინგის

მიერ დაკვიდრებული თეორია-ინტელექტუალური ინტუიციის ყოვლისმომცველობის შესახებ სწორედ დაოსიზმისგან იღებს სათავეს.

კერძოდ, ინტელექტუალური ინტუიციის არსი ადამიანის შინაგანი გონებრივი ასკეზაა, რომელიც სუბიექტს ეხმარება ობიექტის შემეცნების პროცესში და სხვა სუბიექტთა გონისმიერი ნებელობის მიზეზობრივ წვდომასა და მიზნობრივ გააზრებაში. მაგალითად, სისხლის სამართალში არსებობს სოციოლოგიური სკოლა, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ინტელექტუალურ ინტუიციას, რომელიც ამ სკოლის ნააზრევს თანახმად მთავარი ფუნდამენტია დანაშაულის მიზეზობრივ საწყისებთან ბრძოლაში. პირადად, ჩემი აზრით, სისხლის სამართალი სისტემურ აზროვნებაზე დაფუძნებული მეცნიერებაა, რომელიც ხშირად, მართლაც მოითხოვს სამართლებრივი ინტუიციის განვითარების მაღალ ხარისხს, რადგან ის, რაც კონკრეტული იურისტისთვის უტყუარი ფაქტია, სხვა იურისტისთვის შესაძლოა მხოლოდ ჰიპოთეზა გახლდეთ.

ჩემი სუბიექტური შეხედულებით, მეოცე საუკუნის სისხლის სამართალში უაღრესად ძლიერი ნაკადი იგრძნობოდა აღმოსავლური სიბრძნისა, კერძოდ, დაოსიზმისა სისხლის სამართალში და კონფუციანელობისა კონსტიტუციურ სამართალში, მაგალითად, 1787 წლის ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით, სახელმწიფო ვალდებული გახლდათ ეზრუნა თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ-აღნიშნულ იურიდიულ ფორმულირებას ქადაგებდა კონფუცი -დაახლოებით 2500 წლის წინათ. პირადად, ჩემი აზრით, კონფუციანელობამ ცნობიერი თვალსაზრისით უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების სინათლის სისწრაფით განვითარების ურთულეს პროცესში. ჩემი აზრით, აღმოსავლური იურიდიული აზროვნების განვითარების პროცესზე ყველაზე დიდი აზრობრივი გავლენა ამ იდეურმა სისტემამ იქონია, რაც დასტურდება ჩინური სამართლის ძეგლების ტექსტუალური შესწავლითა და ცნობიერ დონეზე გაანალიზების პროცესის განსრულებით-ეს სრული ჭეშმარიტებაა სამართლის ისტორიის თანამედროვე მკვლევართათვის.

პირადად, ჩემი აზრით, ლეგალიზმმა მკვეთრად უარყოფითი როლი შეასრულა ჩინეთის ისტორიაში, კერძოდ, იგი სათავეს იღებს კონფუცის მოწაფის-ხუნ-ძის იდეებიდან, რომლის თანახმად დასაშვებად მიიჩნეოდა ძალადობრივი ბატონობა მოსახლეობაზე, დასმენა, არასასურველი წიგნების დაწვა, საიდუმლო პოლიციის არსებობა და ასე შემდეგ. აღნიშნულმა იდეოლოგიამ ჩინელი ხალხი დაამორა დაოსიზმისა და კონფუციანელობის დემოკრატიულ ტრადიციებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ლეგალიზმმა ჩამოაყალიბა აღმოსავლური დესპოტიზმი.

პირადად, ჩემი აზრით, ლეგალიზმი გახლდათ ტოტალიტარული იდეოლოგია, რომელმაც მრავალი ადამიანი შეიწირა, კერძოდ, განმტკიცდა ძალადობრივი მართვის

სტრატეგია და ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირების ნაცვლად სახელმწიფომ აქცენტი გადაიტანა-პოლიტიკურ ექსპანსიასა და რეპრესიებზე. სწორედ ეს გზა გაკვალა ხუნ-ძიმ, რომელმაც უარყო ლაო-ძისა და კონფუცის იდეოლოგია და სათავე დაუდო ტოტალიტარული მმართველობის აღმოსავლურ მოდელს.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- ამ პიროვნებამ მმართველობითი სისასტიკე და კანონს ამოფარებული მზაკვრობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა. ხუნ-ძის იდეები ანტიდემოკრატიულ და ანტიჰუმანისტურ ხასიათს ატარებდნენ. პირადად, ჩემი აზრით, ხუნ-ძიმ ჩინური სამართალი ტირანულ ორბიტაზე გადაიყვანა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ამ პიროვნების იდეოლოგიამ ჩინურ არისტოკრატიულ წრეებში დიდი პოპულარობა მოიპოვა, რადგან ამ საზარელი იდეური სისტემის საშუალებით მაღალმა სოციალურმა კლასმა მიზნად დაისახა დაბალი ფენების ძარცვის გზით გამდიდრება, რაც განხორციელდა კიდევ.

დაიწყო მართვის ამ მოდელის საწინააღმდეგო ფილოსოფიური ტრაქტატების განადგურება, სწორედ მაშინ გაანადგურეს უძვირფასესი ტაოისტური და კონფუციანური ხელნაწერები.

პირადად, ჩემი აზრით, ამ ეპოქაში -კერძოდ, საიმპერატორო ტირანიისას-ძვ.წ მეორე-პირველ საუკუნეებში განადგურდა დაოსიზმის დოქტრინისა კონფუციანური ფილოსოფიურ-სამართლებრივი იდეების ამსახველი უმდიდრესი ლიტერატურა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- ხუნ-ძიმ მრავალი ჩინური მიმდინარეობა მიიჩნია მტრულ ძალად და მისმა მიმდევრებმაც არ დააყოვნეს-უძველესი ჩინური ტრაქტატები პირწმინდად გაანადგურეს. ამ იდეურმა რეგრესმა<sup>222</sup> ჩინელი ხალხის სულიერ-ინტელექტუალური სიბრძნის ათვისების საშუალება მოუსპო მრავალ თაობას, რაც უარყოფითად აისახა მრავალსაუკუნოვანი ჩინური კულტურის მრავალმხრივ განვითარების ზეეპოქალურ პროცესზე.

ძვ.წ 221 წელს ჩინეთის პირველი იმპერატორი გახდა-ში-ხუანცი, რომელმაც მოახერხა რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში დაშლილი ჩინური სამთავროების ერთიან ჩინურ სახელმწიფოდ გაერთიანება, რაც უდიდესი წარმატება გახლდათ. იგი თავგანწირული ლეგალისტი გახლდათ. იმპერატორის წარმატება საომარი მოქმედებებისას სწორედ მისმა სიმამაცემ, დაუნდობლობამ და რკინის იარაღის დამზადების ტექნოლოგიათა ფლობამ განაპირობა. პირადად, ჩემი აზრით, რკინის იარაღის დამზადების მეტალურგიული ცოდნა ჩინელებმა იბერიულ-კავკასიური სამყაროსგან ისწავლეს. უძველეს ხალიბთა მიერ რკინის გამოგონება იბერიული რასის-მედიტერიანული<sup>223</sup> მოდგმის აღმოჩენა გახლდათ. ცნობილია შუმერულ-

<sup>222</sup> უკუსვლა

<sup>223</sup> ხმელთაშუაზღვისპირული

აქადური წყაროებიდან იდუმალი სიბრძნის ქვეყანა-აიადუ, იგივე კოლხა, რომელსაც შუმერები, ბაბილონელები და ელინები რკინის სამშობლოდ თვლიდნენ. ისტორიულად დადასტურებულია აღმოსავლეთში ვერცხლისა და ოქროს კავკასიიდან შეტანა, კერძოდ, ვერცხლი ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის მიხედვით შექმნეს ჰალიდონებმა-ტავროსის მთიანეთში-მცირე აზიაში, ასევე ნათლად ჩანს ოქროს მეტალის კოლხთა მიერ გამოდნობაც, რადგან აპოლონიოს როდოსელის, ქსენოფონტის და სხვათა მიერ დამტკიცებულია კოლხაში-ოქროცურვილი კვირბების დამწერლობის არსებობა, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია მსოფლიო ანბანურ სისტემებზე. ჩინელმა ხალხმა ზემოაღწერილი მიღწევა აითვისა კავკასიური სამყაროდან და მეტიც, ჩინელები საკუთარ სამშობლოდ თვლიდნენ მითიურ ქვეყანას-კაუსს, რომელიც ჩემი აზრით, კავკასიაა.

ში-ხუანდის მმართველობა გამოირჩეოდა სწავლულთა დევნითა და მასობრივი პოლიტიკური რეპრესიებით. პირადად, ჩემი აზრით, ცი-ხუანდის მმართველობამ მიუხედავად ერთიანი ჩინური სახელმწიფოს შექმნისა-მძიმე დაღი დაასვა ჩინურ სამართალს, კერძოდ, იგი ბევრად უფრო სასტიკი გახდა. გახშირდა ადამიანთა სიკვდილით დასჯაც. აღნიშნულმა ფაქტმა უკან დახია ჩინური სამართლებრივი აზროვნების განვითარების პროცესი, რაც აისახა ჩინურ კულტურათა განვითარების ხარისხზე.

პირადად, ჩემი აზრით, ცინის დინასტიამ მეტწილად გარდამტეხი როლი შეასრულა ჩინელი ხალხის ისტორიაში-სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ცინის დინასტია გამოირჩეოდა სამხედრო-პოლიტიკური წარმატებებით, მაგრამ, მოიკოჭლებდა იურიდიული და ფილოსოფიური აზროვნების მრავალმხრივ პროგრესირების კუთხით. ცინის დინასტიამ არსებობა შეწყვიტა და გამეფდა ხანის დინასტია. დაიწყო დიდი სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების დიადი ეპოქა.

ხანის დინასტიის დამცველი რელიგიურ-სამართლებრივი იდეოლოგია გახლდათ კუნგფუ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ეზოთერულ ასპექტთა ენერგიალურ დონეებზე ჭვრეტის ხელოვნება. გააქტიურდა ცინის დინასტიის მიერ დაწყებული დიდი კედლის მშენებლობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-კუნგპუ გახლდათ არა მხოლოდ საბრძოლო ხელოვნება, არამედ იურიდიულად ფორმულირებადი ფილოსოფია, რომელმაც გააერთიანა ტაოს პრინციპები და კონფუციანელობის სისტემური ხედვები. პირადად, ჩემი აზრით, კუნგპუ გახლავთ იდეოლოგიური მოვლენა, რომელიც არ ემორჩილება ეპოქათა ცვლის კანონზომიერებებს და უსწრებს დროს. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, კუნგპუ ავითარებს სულიერი მედიტაციების საშუალებით იურიდიულ აზროვნებასაც, მაგალითად, მეტოცის პატივისცემა, პატიოსნება, ოსტატისადმი სიყვარული,

მომავლის ძლიერი რწმენა და ასე შემდეგ. პირადად, ჩემი აზრით, კუნგპუ წარმოადგენს უაღრესად საინტერესო მოძღვრებას, რომელიც ავითარებს გონებრივ უნარებს და აკეთილშობილებს ადამიანს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-კუნგპუ ასრულყოფილებს ადამიანის ნებას და მის შინაგან ცნობიერ სამყაროს აკავშირებს სულეთთან.

პირადად, ჩემი აზრით, კუნგპუ-ჩინური სამართლის ნაირსახეობაა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს ადამიანებს შორის. მეტიც, კუნგპუ ავითარებს იურიდიულ უნარებს და ახორციელებს სრულქმნას სამართლებრივად ფორმულირებადი შეხედულებებისა, კუნგპუ გახლავთ მოძღვრება იურიდიული იდეალიზმის შესახებ. თავისუფლად შეიძლება ითქვას ზემოაღნიშნულმა ხელოვნებამ შეიძინა სამეცნიერო ხასიათი, რაც წარმოჩინდა კუნგპუს სულიერ-სხეულებრივი პროგრესირების უმაღლესი ხარისხით.

გარკვეული სახის საბრძოლო ხელოვნება შორეულ აღმოსავლეთში ხშირად გარდაიქმნებოდა ახალ მეცნიერებად, რომელიც ხელს უწყობდა სახელმწიფოს განვითარებას. კუნგპუ ავითარებდა ჩინურ სამართლებრივ აზროვნებასაც, კერძოდ, იგი ქმნიდა დეონტურ მატრიცას -ახალ სამართლებრივ იდეათა ჩამოსაყალიბებლად.

ჩემი სუბიექტური შეხედულებით, კუნგპუმ მეშვიდე-მერვე საუკუნეებში შექმნა გასაოცარი სისტემა, რომელიც ჩინური სამართლებრივი კულტურის მარადიულ ძრავად იქცა. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ხუნ-ძის აზრობრივი წყვილიანი გაანათა ზემოაღნიშნულ ეპოქაში კუნგპუს ფილოსოფიურ-სამართლებრივმა მოძღვრებამ, რაც ჩინელი ხალხის ისტორიაში გარდამტეხ მოვლენათა გამომწვევ მიზეზობრივ კავშირთა განსაცვიფრებელ სისტემად წარმოუდგა არა მხოლოდ ჩინეთს, არამედ შოეული აღმოსავლეთის კულტურებსაც. ეს რეალობა გახლდათ. ამგვარად დაიწყო ჩინური კულტურის ხელახალი აღმავლობა მრავალმხრივი თვალსაზრისით.

მეცამეტე საუკუნეში კერძოდ, 1211 წელს ჩინეთს შემოესივნენ მონღოლები-მსოფლიოს ერთ-ერთი უსასტიკესი და უძლიერესი დამპყრობლები. მათ აიღეს ქვეყნის დედაქალაქი-ხანიბილიქი ანუ პეკინი და ბოლო მოუღეს ძინის დინასტიას. 1260 წელს მონღოლმა ყაენმა-ხუბილაიმ იმპერიის დედაქალაქი-ყარაყორუმიდან პეკინში გადაიტანა. მან 1279 წელს დაიპყრო სამხრეთ ჩინეთი და გაანადგურა სუნის დინასტია. ხუბილაი ჩინეთის დიდი ყაენი გახდა და სათავე დაუდო იუანის მონღოლურ დინასტიას, რომელიც ჩინეთს მართავდა 1368 წლამდე.

მონღოლთა ბატონობა ჩინეთში საკმაოდ მძიმე უღელი გახლდათ. დამპყრობლები სრულად აკონტროლებდნენ დიდი აზრეშუმის გზას. მონღოლებმა შემოიღეს მრავალი ბარბაროსული იურიდიული ჩვეულება,მაგალითად, სამეფო

ტახტის პრეტენდენტთა ყაენის მიერ დახოცვა-დაპატიმრება და ასე შემდეგ. მონღოლებმა დაიწყეს ჩინური სამართლებრივი კულტურის ათვისებაც, კერძოდ, ისინი დაინტერესდნენ უძველესი ჩინური ხელნაწერებით, რომლებიც ასახავდნენ ჩინური სამართლის ეტაპობრივ განვითარებას.

მონღოლი ყაენი ავითარებდა რწმენას მისი ძალაუფლების ღვთიური წარმოშობის შესახებ, რაც მონღოლებს ესახებოდათ ჩინელებზე იდეოლოგიური ზემოქმედების უმთავრეს ინსტრუმენტად. მაგალითად, მონღოლი ნოინის და მით უმეტეს ყაენის წინააღმდეგ მიმართული ქმედება წამებით სიკვდილით ისჯებოდა. მონღოლთა ბატონობამ გამოიღო დადებითი შედეგიც, კერძოდ, განვითარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა სხვადასხვა ხალხებს შორის.

ვაჭრობის პროგრესირებას მონღოლი ყაენები დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რადგან ამ გზით უზარმაზარი მატერიალური რესურსების კონცენტრაცია ხდებოდა მათ ხაზინაში. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ჩინელი ხალხი ბუნებრივია განიცდიდა მონღოლთა ბატონობის სიმძიმეს, მაგრამ არ წყვეტდა იურიდიულ განვითარებას, რაც აისახებოდა კიდევ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინურ სამართალს მიუხედავად დამპყრობელთა ბატონობისა-პროგრესი არ შეუწყვეტია. მაგალითად, ძალიან დიდ სიმაღლეს აღწევს ჩინური სანივთო სამართალი, რომელსაც ჩინელები ვალდებულებით სამართალთან ერთად ერთიან სიბრტყეში მოიაზრებდნენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ჩინურმა სამართალმა თვით მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც მიაღწია განვითარების მაღალ ნიშნულს, რაც ალაფრთოვანებდათ მონღოლ ყაენებს.

საბოლოოდ, მათი ბატონობა დასრულდა 1368 წელს და დაიწყო ახალი ხანა განვითარებისა და იურიდიული პროგრესის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის ისტორიულ პროცესთან შერწყმისა.

1368 წელს გამეფდა ძინის დინასტია, რომელმაც იუანის მონღოლური დინასტიის დამხობის შემდგომ დაამყარა კონტროლი ჩინეთის ტერიტორიაზე. ძინმა დაიწყო ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარება, კერძოდ მიიტაცა ვიეტნამი და ევროპელებს მაკაოს გარდა ყველა ნავსადგურში შესვლა აუკრძალა. იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ ხელი შეუშალა ჩინური სამართლის განვითარების ურთულეს პროცესსაც. მოსახლეობის პროგრესირების დონე დაეცა. 1644 წლის ლიძიჩენის მეთაურობით მოწყობილმა აჯანყებამ დაამხო ძინი, თუმცა ჩინელ ფეოდალთა დიდი ნაწილი მანჯურიელებს მიემხრო, რომელთაც ჩაახშეს გლეხთა ამბოხი და სათავე დაუდეს ცინის მანჯურიულ დინასტიას.

ამ ეპოქაში ჩინური სამართლის განვითარების პროცესი გამუდმებულმა საომარმა მოქმედებებმა შეაფერხეს. დაიწყო მანჯურიელთა ბატონობის ხანა, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია ჩინეთზე. კერძოდ, განვითარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა უცხოეთთან. მეტიც, ჩინური აბრეშუმი და ფაიფური იყიდებოდა ევროპის ბაზარზე, რაც ხელს უწყობდა სავაჭრო კავშირების გაღრმავებას და ეკონომიკურ წინსვლას.

პირადად, ჩემი აზრით, მანჯურიელებმა ჩამოაყალიბეს მდგრადი სამართლებრივი სისტემა, რომელიც ღრმა კავშირს ავლენდა წარსულთან. მაგალითად, სწორედ ამ დროს შეიქმნა მძლავრი ინტერესი ლაო-ძისა და კონფუცის ნააზრევისადმი. კერძოდ მანჯურიელები ხელს უწყობდნენ მწიგნობრობის განვითარებას და ამ გზით სახელმწიფოებრივ წინსვლას.

მანჯურიელებმა საკუთარი პოლიტიკური და სამართლებრივი გავლენა გაავრცელეს ტიბეტზე, ვიეტნამსა და მონღოლეთზე. ფაქტობრივად, შეიქმნა დიდი იმპერია, რომელიც აერთიანებდა შორეული აღმოსავლეთის უძველეს ხალხებს. განმტკიცდა მანჯურიული ბატონობა, რომელმაც გარკვეულწილად მაინც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში, კერძოდ, აღსდგა ძლიერი საიმპერატორო ხელისუფლება და დამყარდა კულტი მონარქისა.

1900-იან წლებში მოხდა რევოლუცია-სუნ იატსენის მეთაურობით, რომელმაც უსისხლოდ ჩაიარა და იატსენი ჩინეთის პირველი პრეზიდენტი გახდა. ახალი მთავრობის დედაქალაქი-ნანკინი გახდა. გადადგა 6 წლის იმპერატორი-ასინგირუნ პუი.

დასრულდა ჩინეთის საიმპერატორო 2 ათასწლოვანი ისტორია და დაიწყო ჩინეთის რესპუბლიკის ერა.

ჩინეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა რესპუბლიკური ანუ სახალხო მმართველობის მქონე სახელმწიფოს. შეიცვალა სახელმწიფოს წყობილება პოლიტიკური და იურიდიული თვალსაზრისით. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას- ჩინური სახელმწიფო დაშორდა მანჯურიულ მჩაგვრელ რეჟიმს და დაიწყო რესპუბლიკური მმართველობის ეპოქა.

1916 წელს ქვეყანაში ქაოსი დაიწყო. ჩინელმა სამხედრო მეთაურებმა დაიწყეს ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად. ქაოსმა და ომმა უამრავი ჩინელის სიცოცხლე შეიწირა. მოიშალა სამართლებრივი სისტემა სახელმწიფოსა, რაც დიდ უბედურებად ექცათ ჩინელებს.

ჩან კაიშიმა მოახერხა გამხდარიყო ჩინეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, იგი გახდა ასევე პირველი მთავრობის თავმჯდომარე.

დაიწყო აბსოლუტურად მოშლილი ჩინური სამართლებრივი სისტემის აღდგენა. თუმცა ვერ მომზადდა შესაბამისი ნიადაგი ამ მიზნის განსახორციელებლად.

1931 წელს იაპონია შეიჭრა მანჯურიაში და შექმნა მარიონეტული სახელმწიფო-მანჯოუ-გო, რომელიც დიქტატორულად იმართებოდა. ჩინური კულტურა გახდა უდიდესი უცხოური დარტყმის მსხვერპლი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ჩინეთი ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დადგა.

იაპონიის იმპერიამ განახორციელა აგრესიული ქმედებების კომპლექტი, რომელმაც ჩინელი ერი გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა. პირადად, ჩემი აზრით, ჩინური სამართლებრივი სისტემის ეპოქასთან მისადაგების პროცესი სწორედ ამ მოვლენათა გამო ვერ დაჩქარდა.

ჩემი სუბიექტური შეხედულებით, ჩინეთის ისტორიაში ყველაზე მძიმე პერიოდი ჩინელმა ხალხმა 2 ურთიერთდაპირისპირებული, მაგრამ უძლიერესი ლიდერის-მაო-ძედუნისა და ჩან-კაიშის წყალობით დამძლია

აღნიშნულმა მეთაურებმა შექმნეს ორი განსხვავებული მოდელი-სამართლებრივი მართვისა, რაც ახალი დაპირისპირების მიზეზად იქცა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას-ჩინეთის ისტორიაში დაიწყო ორი გიგანტის ბრძოლა, რომელშიც სრული გამარჯვების მოპოვება ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო

1949 წლიდან ჩან კაიში და მისი მიმდევრები მართავენ ტაივანს, ხოლო ჩინეთის დანარჩენი ტერიტორია შედის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში. პირადად, ჩემი აზრით, ჩინური სამართლის ორი განსხვავებული მოდელი ჩამოყალიბდა-მეოცე საუკუნეში- დემოკრატიული-ტაივანი და კომუნიზმ-კაპიტალიზმის ნაზავი- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

კომუნიზმისა და კაპიტალიზმის გაერთიანებამ ჩინეთს დაუსახა განვითარების ახალი საშუალებები, კერძოდ, აქ ერთმანეთს შეერწყა ფინანსური კაპიტალის მართვის, ნაციონალური მატერიალური დოვლათის ტანაბარზომიერი განაწილებისა და სოციალურ-სამართლებრივი იდეები.

მეოცე საუკუნეში მაო-ძედუნმა განახორციელა კულტურული რევოლუცია, რომელმაც მოიცვა სამართლის სფეროც. კერძოდ, ზემოაღნიშნულმა პიროვნებამ მარქსის და ენგელსის იდეური გავლენით სამართალი მიიჩნია გაბატონებულ სოციალურ კლასთა ბატონობის დამცველ ინსტრუმენტად.

შესაბამისად, მათს აზრით, სამართალი უნდა ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში, რაც გაადვილებდა სახელმწიფოს მრავალმხრივ პროგრესირების პროცესის სწორად წარმართვას.

მაო-ძედუნი გახლდათ პიროვნება, რომელმაც ჩინური სამართალი გარდაქმნა ხალხზე მზრუნველ იურიდიულ სისტემად, რაც ნათელ იმედთა ჩასახვის საფუძვლად მოევლინა ჩინელ ხალხს.

აღნიშნულმა მოაზროვნემ შექმნა რასაკვირველია ტოტალიტარული ფორმის, მაგრამ არსობრივად და კონცეპტუალური თვალსაზრისით ხალხზე მზრუნველი სამართლებრივი სისტემა.

სწორედ მაო-ძედუნის კულტურულმა რევოლუციამ დაუდო სათავე ახალი ჩინური სამართლებრივი სისტემის შექმნას, რომელმაც განავითარა ტოტალიტარული მმართველობა, რაც იქცა კონფუციანელობის იდეოლოგიის ახალ სიცოცხლედ.

პირადად, ჩემი აზრით, კომუნიზმის სამშობლო არ არის ევროპა, იგი შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა და განვითარდა. კომუნიზმმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩინეთის და ზოგადად მსოფლიო ისტორიაში.

კომუნიზმის ჩინური მოდელის შემქმნელი გახლავთ მაო -ძედუნი და დენ სიაო პინი, რომლებმაც ერთი შეხედვით, მკაცრი იდეების სისტემა ხალხის სამსახურში ჩააყენეს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ჩინური მოდელი კომუნიზმისა გახლავთ უნიკალური სისტემა, რომელიც სათავეს ჩინური ფილოსოფიიდან იღებს.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინელებმა პოლიტიკური იდეოლოგია და სამართლებრივი სისტემა ურთიერთბალანსირებად ცნებებად გარდაქმნეს, მეტიც, უშუალოდ, ჩემი აზრით, ჩინური სამართალი უაღრესად განვითარებული კულტურის პროდუქტი გახლდათ.

თავისუფლად შეიძლება განვაცხადოთ- ჩინური კულტურა ინდურ ცივილიზაციასთან ერთად წარმოადგენდა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა განმავითარებელ აზრობრივ ძალმოსილებას, რომელიც რეალიზდა კონკრეტულ შედეგში-კერძოდ, ჩინური და ინდური სამართლის კოსმოცენტრულ თვისობრივ მახასიათებელთა წყებაში.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინურმა სამართალმა იურიდიული ინტუიცია, ინტელექტუალური ასკეზა და ემპირიული ფაქტოლოგია ერთიან სიბრტყეში მოაქცია.

ჩემი სუბიექტური შეხედულებით, ჩინურმა ფილოსოფიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩინური იურისპრუდენციის განვითარების მრავალსაუკუნოვან პროცესში.

კერძოდ, ტან შუს, ფან სიუან ძინის და ძინ ჩანის ძეგლთა შესწავლამ დაგვანახა უძველესი სამყარო იდეებისა, რომელიც ასაზრდოებდნენ ჩინელი ხალხის ისტორიულ-გენეტიკური მეხსიერების სახით წარმოდგენილ რწმენას დაფუძნებულს უზარმაზარ სპირიტუალიზებულ ანალიტიკურ კაპიტალზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ჩინური ფილოსოფია გახლდათ აღმოსავლური კულტურის ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული. ჩემი აზრით, დაოსიზმისა და კონფუციანელობის იდეურმა ბრძოლამ გარდამტეხი ფუნქცია შეითავსა ჩინური კულტურის ფორმირების პროცესში.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, ჩინური ფილოსოფია და სამართალი-უმძლავრეს ურთიერთკავშირს ავლენენ, რაც გამოიხატება იდეური ევოლუციითა და ინტელექტუალური პროგრესირების მაღალი დონით.

პირადად, ჩემი აზრით, ტაოს მოძღვრებამ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია შეითავსა ჩინური კულტურის მრავალმხრივ პროგრესირების ურთულეს პროცესში.

ტაო-დაუსრულებელი გზაა, რომელიც მიუყვება სულიერების აპოფატიკური<sup>224</sup> მწვერვალებისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს, რომლის ერთ მხარეს ფიზიკური განსჯითი აზროვნების ფლატეებია, ხოლო მეორე მხარეს-პირად განცდათა ასტრალური მორევი.

გადაუჭარბებლად ძალგვიძს განვაცხადოთ-ჩინური ფილოსოფია და სამართალი სათავეს იღებენ უძველესი პირველქმნილი ცივილიზაციიდან, რომელიც არ გამქრალა, უბრალოდ სახე იცვალა. პირადად, ჩემი აზრით, ჩინეთი გახლავთ აღმოსავლური სიდიადის მწვერვალი, რომლიდ დაპყრობა შეუძლებელია მის საკრალურ<sup>225</sup> ძირთა კვლევის გარეშე.

ჩინური სამართალი მსოფლიო კულტურის მარგალიტია, რომლის თვალისმომჭრელი სინათლე თრგუნავს აზრობრივ ბნელეთს. უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, ჩინეთი და მისი მრავალფეროვანი სამართლებრივი ტრადიციები დღემდე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საკაცობრიო აზრობრივ ცხოვრებაში.

პირადად, ჩემი აზრით, ჩინური სამართლის შესწავლა სასიცოცხლოდ აუცილებელია მსოფლიო ისტორიისა და კულტურების გენეზისის შესასწავლად.

ზოგადად, ჩინური სამართალი ფილოსოფიურ-თეოსოფიური ხარისხის კუთხით უმძლავრესი სისტემაა, რომელიც ავითარებს მსოფლიო ხალხთა ცნობიერ სამყაროს.

---

<sup>224</sup> შეუცნობელი

<sup>225</sup> იდუმალი

თავისუფლად შესაძლებელია განვაცხადოთ- ჩინელებმა ლომის წვლილი შეიტანეს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების ოქროს ფონდში.

ჩინური სამართალი გარდაიქმნა ერთგვარ სისტემატიზატორად- უძველეს არამონღოლოიდ ხალხთა მიერ შექმნილი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებებისა.

პირადად, ჩემი აზრით, ზოგადად სამართალი კულტურის ნაწილია, არ არსებობს ცივილიზაცია კულტურის და კულტურა სამართლის გარეშე.

ჩინელებმა შექმნეს ინტელექტუალური ასკეტიზმის იურიდიული ფორმა, რომელმაც განავითარა ჩინური კულტურა მრავალმხრივი თვალსაზრისით.

ჩინელებმა ასევე შექმნეს საზოგადოებრივი ცნობიერების სპირიტუალიზებულ ფორმათა შესახებ მოძღვრება, რომელიც ითვალისწინებდა სულიერების მატერიალურ სამყაროსთან დაკავშირებას-ანუ მატერიალური შემეცნების ჩამოყალიბებას.

მატერიალიზმი და ინტუიციური აზროვნება იქცა ორ სვეტად, რომელმაც განავითარა იურისპრუდენცია და სათავე დაუდო ჩინური კულტურის მრავალგვარ პროგრესირებას.

ეს რეალობაა, რომელმაც დროს გაუძლო და ამგვარად გარდაიქმნა იდუმალ ნიშანსვეტად, რომელმა განავითარა აღნიშნული კულტურა

ჩინური სამართლის არსი-ხალხის მსახურებაა და ამ გზით რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა პრაქტიცირებად აზრისმიერ ნაკადთა ერთობლიობად გარდასახვა. ჩინურმა სამართალმა რევოლუციური გარღვევა განახორციელა მსოფლიო კულტურულ ასპარეზზე, რამეთუ სწორედ მან დაიწყო ინდოეთთან ერთად სამართლებრივი აზროვნების საწყისთა ძიება.

პირადად, ჩემი აზრით, ინდოჩინური სამართალი გარდაისახა აღმოსავლური ცივილიზაციების აზროვნების კონცეპტუალურ მატრიცად. არსებობს მარადიული იდეა-თავისუფლებისა, განვითარებისა, ინტელექტუალური პროგრესისა, რომელიც არსებობას არასდროს წყვეტს.

პირადად, ჩემი ხედვით, ჩინურ სამართალს აქვს დიდი ისტორიული მისია, რომელსაც პირნათლად ასრულებს. ჩინურმა სამართლებრივმა ტრადიციებმა შექმნეს ის ფუნდამენტი, რომელსაც დაეყრდნო აღმოსავლური ცივილიზაცია.

ჩინელებმა გააერთიანეს ცოდნა, სიბრძნე და რწმენა სწრაფვად და იხილეს აბსოლუტური ჭეშმარიტების ანარეკლი აზრთა სარკეში.

ჩინეთი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ცივილიზაციაა, რომელმაც შექმნა მონუმენტური სამართალი და ამგვარად მიაღწია განვითარების მწვერვალს.

ჩემი დასკვნა ამგვარად გამოიყურება- ჩინეთმა შეასრულა განუზომელი მისია მსოფლიო ისტორიაში, კერძოდ ჩამოაყალიბა ლეგენდარული თეოსოფია, ფილოსოფია და სამართალი, რომელთა გაერთიანება ქმნის აუღებელ აზრობრივ ციხესიმაგრეს, რომლის იდეურ კარიბჭეს ვერასდროს შეანგრევს ბარბაროსული ნომადური ცნობიერება.

პირადად, ჩემი თვალთახედვით, ჩინური კულტურა უკვდავია მას დროთა მდინარება ვერაფერს დააკლებს.

ჩინური კულტურა სამომავლოდაც შეასრულებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიულ-სამართლებრივი გამაერთიანებლის დიად მისიას.

დაე ჩინურმა სამართლებრივმა აზროვნებამ კვლავ დაგვიოკოს სიბრძნის მიღების წყურვილი.

### III თავი

#### იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია

იაპონიის ტერიტორიაზე ძვ.წ 7500 წელს არსებობდა ნეოლითური<sup>226</sup> კულტურა, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა იქონია იაპონურ ტომთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესზე. ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გაიზარდა ტომობრივ კავშირთა დაშლის ხარისხი. გაჩნდნენ მონები. გამძაფრდა სოციალურ კლასთა ბრძოლა, რაც აისახა იაპონურ სამართალზეც. თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონური იურიდიული ტრადიცია სრულიად არ ჩამოუვარდებოდა მაშინდელ ევროპულ სამართლებრივ დონეს განვითარებისა. იაპონური სამართლის შემოქმედნი სწორედ იაპონური ტომობრივი კავშირები იყვნენ. პირადად, ჩემი აზრით, იაპონურმა იურისპრუდენციამ იაპონელი ხალხის მრავალმხრივ პროგრესირების პროცესს დიდად შეუწყო ხელი, კერძოდ შეიქმნა იაპონური კონცეპცია საიმპერატორო ძალაუფლების კოსმიური სამეფოს მმართველი დიადი ღმერთისგან- იძინაგისგან წარმოშობის შესახებ. იაპონელთა ისტორიულ-

<sup>226</sup> ახალი ქვის ხანა, ქვის ხანის ბოლო საფეხური.

სამართლებრივ მეხსიერებაში ღრმა კვალი დატოვა ლეგენდარული იმპერატორის-ძიმუს ეპოქამ. იგი გახლდათ მზის ღმერთ ამატერასუ ომიკამის შვილიშვილი, რომელმაც შექმნა იაპონური სახელმწიფო.

იაპონური ცივილიზაციის იგივე იამამოტოს კულტურის ფსიქოგენეტიკური და აზრობრივი საფუძვლები აინთა ეთნოგენეტიკურმა კავშირმა შექმნა. აინები შორეულ აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ხალხია, რომლებიც გახლდნენ თანამედროვე იაპონიის ტერიტორიაზე მცხოვრებთაგან უძველესი აბორიგენი ერი. აინური კულტურა და მითოსი მსოფლიო ერთა უნიკალურ ფსიქოსოფიურ ანუ ზესულიერ და ისტორიონომიურ ანუ ისტორიულ-მეტაფიზიკურ სიბრძნისმიერ სისტემათა პირველსაწყისს ასახავს. აინურ მითოსში ზემოთხსენებული ერის წარმომადგენელი ქურუმები განადიდებდნენ ენდირსებს-ანუ ღმერთებს ჰიკუნებს ანუ გმირებს და სებულებს ანუ ბრძენთ. აინთა წარმომავლობასთან დაკავშირებით უამრავი თეორია არსებობს-ბევრი მკვლევარი ემხრობა აინთა კავკასიურ გენეტიკასთან მიმართებით გამოთქმულ აზრებს, ზოგიერთი ზემოაღნიშნულ ერს მონღოლოიდებად მიიჩნევს. პირადად, ჩემი აზრით, აინები კავკასიური ტომია, რომელიც გახლავთ უძველესი იბერო-ატლანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მემკვიდრე როგორც გენეტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. მაგალითად, აინები ქერათმიანი და ცისფერთვალეა ხალხია-აღნიშნული ანთროპოგენის ტურ-ეგემენური მახასიათებლები კი მხოლოდ კავკასიური რასის წარმომადგენლებს-კოლხ-იბერებს, გერმანელ-სკანდინავიელებს, ევროპელ იბერებს, ბრიტანელებს და სხვა ატლანტიკიდ კულტურულ სისტემათა ნაწილ ხალხებს ახასიათებთ. აინურ მითოსში ვხვდებით უძველესი ასტრონომიულ-მათემატიკური სიბრძნის ასტრო-ფილოსოფიურ კოდირებულ ატლანტურ სიტყვას-იკირუ-აღნიშნულ რელიგიურ-ეზოთერულ ტერმინს განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ ქურუმები. იკირუ აინურ ენაზე აღნიშნავს მრავალმხრივ ინტესომიას-მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა-სიბრძნე, ხაზი, სვლა, აზროვნება, ცა, სული. აინურ მისტიფიკაციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ღმერთთა და ადამიანთა იდეურ-საგნობრივ კავშირთა ხაზებისა და გეომეტრიული ფიგურების მიხედვით გამოხატვას-კერძოდ, აინი ქურუმები განადიდებდნენ ხაზებს, როგორც ზეციური სიბრძნის 7 მითიური კუნძულის, აზრთა ოკეანე-იზების და ციური ენერჯის-ობენის ბმას სულიერ და აზრობრივ სიბრტყეში. მსოფლიოში უძველესი რუკა გახლავთე. წ. ბაბილონის მაგიდა, რომელზეც გამოსახულია უზარმაზარი ოკეანე, 7 მითოსოფიური კუნძული და ცა-იბერინუპი. ჩემი ღრმა რწმენით, ბაბილონელების კულტუროგენეტიკურმა წინაპრებმა-ატლანტ-შუმერებმა მონათესავე კავკასიელ შამანებთან- მათ შორის, შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციების შემქმნელ ლაზური გენეტიკის აინ ქურუმებთან ერთად ასახეს უძველესი იბერიულ-ატლანტიკური სიბრძნე, რომელმაც გააერთიანა ასტრონომია, მათემატიკა, ფსიქოქიმია და სხვა. მოძღვრებები. აინების, შუმერების ლანგუანგის ანუ ენობრივი

სტრუქტურის, პელაზგების, რაფსიდიელების, კოლხების, მითანელი ემენების, პირინეისა და კელტიბერების, ქარდე-კარდუხების სახელმწიფოების, ხალიბებისა და ჰალიძონების სივრცე ასევე ოლმეკ ატლანტთა სამყაროს-მაია-ტოლტეკთა, აცტეკთა ინკთა ეგენტთა ანსუსთა კულტუროგენეტიკური არეალის მმართველი სიბრძნისმიერი იდეური სისტემა-ასტროსოფიური მისტიციზმის, სამართლებრივი ფილოსოფიისა და პოლიტიკური აზროვნების შერწყმაზე ორიენტირებული აზრისმიერი მოდელირების ზესულიერ პრინციპს ეფუძნებოდა.

აინთა მისტიციზმისა და იურიდიული ფილოსოფიის შესწავლის პროცესში მიზანშეწონილად ვთვლი აინას ხალხის მათემატიცისტური მითოსოფიის გაშიფვრას-აინი შამანები ხაზს მიიჩნევდნენ ღვთაებათა სულების სიბრძნისმიერი ასტროგენეტიკური მოძრაობისა და ტრანსცენდენტური ურთიერთქმედების ზეგრაფიკულ მითოგენურ სიბრტყეში გამოსახვის მისიის აღმსრულებელ ელემენტთა სულიერ მთლიანობად. ხაზი საწყისი და სათავე, როგორც საფუძველი, ხოლო ფიგურა მითოსოფიური იდეოგრამების სახით წარმოდგენილი აზრობრივი ენერჯის გადაკვეთისა და გაერთიანების გამოხატულება გახლდათ. აინები ფიგურას მიიჩნევდნენ ძალების სულიერ სისტემად, ხოლო ხაზებს სათავედ-კერძოდ, ვერტიკალურთ ასტრო-გონისმიერ, ხოლო ჰორიზონტალურთ კი სულიერ-ინტელექტუალურ პროცესთა ინიცირების ფუნქციური თვისებრიობის გამოსახვის იდუმალ ხერხად. აინთა მათემატიცისტურ ფილოსოფიას პირადად მე ვუწოდებ ტასეოგესიმალურ სისტემას, რომლის კოდირების წყაროც და შედეგიც გახლავთ იკირუ-როგორც ფსიქოქიმიურ კულტუროსოფიაში გაერთიანებული კულტუროგენეტიკური საფუძველი და ფსიქოენერგეტიკული შრეების მითოსოფიური რეგულატორი.

როგორ განიმარტება ფსიქოქიმი-სულიერი სიბრძნის, ინდივიდუალური იდეების, საზოგადოებრივი მორალის, ფილოსოფიურ-მეტაფიზიციისტური აზრების ნებელობითი ურთიერთქმედების ფსიქოსოფიური სისტემური სივრცე, რომელიც წარმოადგენს ეზოთერული მოძღვრებებისა და მეცნიერული მიმართულებების დამაკავშირებელ ტრანსცენდენტურ ხიდსა და მიზეზობრივ ბმათა კულტუროსოფიურ სახეს. ტასეოგესიმალური ფილოსოფიური სისტემა სავსებით შესაძლებელია აინური ცივილიზაციის უდიდეს ნოვაციად და წინარეისტორიული პერიოდის უზარმაზარი ატლანტიდური კულტურის მემკვიდრეობის ათვისების საუკეთესო ბაზისად მივიჩნიოთ. აკირუ ლაზურ ენაზე შეკვრას, გაერთიანებას, შუმერულად აკირან ანუ განვრცობა, ატრაჰასის აქადური მითოსის მიხედვით ანანუნთა ანუ ანუნაკთა - მითიურ მოძღვართა სამეფოს მეფეთა წოდება, სვანურად აკარაჰ ანუ გაძლიერება მრავალმნიშვნელოვან ასოციაციურ კავშირებს წარმოშობს.

ასევე აღსანიშნავია აინთა ანთროპოლოგიური მონაცემი-კეხიანი ცხვირი, რაც აუერბახისა და ბლომენბახის მიხედვით კავკასიური ანთოსტრატიული სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია. აინები პოლინეზიელებიც და მარებიც კავკასიურ-ატლანტიდური კულტუროგენეტიკური არეალის განუყოფელი ნაწილებია, რაც მტკიცდება გენეტიკური, კულტუროლოგიური, ისტორიოსოფიური კვლევებით.

აინები ფლობდნენ გარდაცვლილთა მუმიფიცირებისა და მომაკვდინებელ შხამთა საიდუმლოს. აინებმა მსოფლიოს უძღვნეს ხელოვნების საოცარი ნიმუშები, ასევე უდიდესი როლი შეასრულეს შორეული აღმოსავლეთის ფოლკლორის განვითარების პროცესში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში იამამოტოს მონღოლოიდურმა ტომებმა დაიწყეს აინთა მიწების დაპყრობა და გარდაიქმნენ იაპონელი ერის საფუძვლად. იაპონელთა კულტურა მეტად გამდიდრდა ჩრდილოელი მოწინააღმდეგე აინების ხარჯზეც და აინ ქურუმთა ზეგავლენითაც.

ამჟამად ყურადღება მივაპყროთ აინთა სამართალწარმოების თავისებურებებს- აღნიშნული სისტემა სირთულით არ გამოირჩეოდა. დაზარალებული მიმართავდა საიმედო ავტორიტეტულ პიროვნებას, რომელიც გამოირჩეოდა სიბრძნითა და მჭევრმეტყველებით. ე.წ მომრიგებელი მოსამართლე ცდილობდა მხარეთა მორიგებას, რაც ხშირად გამოიხატებოდა ზიანის ანაზღაურების ანაზღაურებით- აპიბუთი. აღნიშნულ პროცესში გარკვეული გასამრჯელო ეკუთვნოდათ მოსამართლეებსაც და ადვოკატებსაც.

აინთა აღნიშნული ტრადიცია დიდ მსგავსებას ავლენს სვან ლუფხვილთა და ლაზ მერგეშთა სამართლებრივ კულტურასთან. ლაზეთსა და სვანეთში დღემდე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უხუცესთა სიტყვას და ორატორულ ნიჭს. აინთა სამართალწარმოება გამოირჩეოდა საჯაროობით, რაც აინთათვის სამართლიანობის საკმარის გარანტიად აღიქმებოდა. აინები კმაყოფილდებოდნენ საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკით. ცნობილ მეცნიერ პილსუდსკის აზრით ჭკვიან უხუცესთა ავტორიტეტი არ წარმოშობდა საჩივრების გაზრდის საჭიროებას. აინები ხშირად იღებდნენ ძალიან მკაცრ სასამართლო გადაწყვეტილებებსაც, განსაკუთრებით მკვლელობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. პილსუდსკის მიხედვით, მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში მკვლელი დაიჭირეს და მიუსაჯეს მოკლულის საფლავში ცოცხლად დამარხვა. დე ფრიზის თანახმად ჰოკაიდოს აინები გარყვნილებისა და მოძალადეობის შემოქმედთ უსწორდებოდნენ თავში თითების ჩარტყმით. მკაცრად სჯიდნენ ქურდებს, ბავშვებსაც კი თითებს აჭრიდნენ. მაგალითად, ბელელის გატეხვისთვის ქურდს თავდაპირველად ცემით სჯიდნენ, ხოლო შემდეგ განმეორების შემთხვევაში აჭრიდნენ

ცხვირს და ყურის ბიბილოს. გარყვნილების ჩამდენ მამაკაცს თმებით კიდებდნენ და აწამებდნენ.

დობროტვორსკის ჩანაწერების მიხედვით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა ეგენუჩი-აინური ხარაკირი, როდესაც შეურაცყოფილი აინი შურისძიების ნაცვლად თავს იკლავდა-მსხვერპლის ოჯახი კი შეურაცხმყოფელისგან იღებდა საზღაურს-ოსიმპეს,რაც მოიცავდა ორ-სამ ხმალს და ტანსაცმელს. განსხვავებული აინური ტრადიციის მიხედვით, ჩაგრული აინი კლავდა მოძალადეს, ხოლო შემდეგ სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებდა-ვეკო.

აინებში არსებობდა დუელის ფენომენიც-ღირსების შელახვაზე რეაგირების მიზნით.ორთაბრძოლები იმართებოდა ჯოხებით. დუელისთვის თავის არიდება დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ქალთა მდგომარეობა აინურ საზოგადოებაში მატერნიტეტის ანუ დედათა დედის სისტემით გახლდათ გამყარებული.გოგონა სრულად თავისუფლად ირჩევდა საქმროს.ქალის შვილები იყვნენ ბიძის-დედის ძმის მემკვიდრეები . ქმარი ცოლის სახლში გადადიოდა საცხოვრებლად ან პერიოდულად სტუმრობდა ცოლის სახლს.ქალი ხშირად იკავებდა მამასახლისის პოსტს,ბებია ითვლებოდა ყველაზე წმინდა წინაპრად,რომლისგან მომავალი თაობა ერთი მოდგმის წევრებად ითვლებოდნენ. მკვლევარებმა დააფიქსირეს მრავალცოლიანობაც და საპირისპირო მოვლენაც პოლიანდრია-მრავალქმრიანობა.

აინთა კულტურამ განუზომელი და დღემდე შეუფასებელი როლი შეასრულა შორეული აღმოსავლეთის ხალხების განვითარების ზეპოქალურ პროცესში. აინები სამართლებრივი შეგნებით, ფილოსოფიური სიბრძნით, მეტაფიზიკური ცოდნით, ტრადიციებითა და კულტუროგენეტიკური ძლიერებით ბევრად უსწრებდნენ მაშინდელი ეპოქის დასავლურ სივრცეთა წარმომადგენელ კულტურებს. აინების როლი განისაზღვრება ამგვარად-ზემოთხსენებულმა ხალხმა სათავე დაუდო იამამოტოს ცივილიზაციას, რაც დასტურდება თანამედროვე იაპონური ფილოსოფიის უმაღლესი მოძღვრების-კაზენის კვლევით.

კაზენი გახლავთ დროთა დინების მიმართულებით სამყაროს და კაცობრიობის მუდმივი გაუმჯობესების სისტემა, რომელიც შექმნეს სეკენას ტომის აინმა ქურუმებმა.კა-ზენინ-უგეკ ანუ მოძღვართა სიბრძნით წინ აინურ ენაზე. იაპონიის არაერთი იმპერატორი მაგალითად ძიმუ, შემოქმედნი მაგალითად, ისიკავა ტაკიბოკუ,სიუსაკი ენდო,რიუნოსკე აკუტაგავა და სხვები აინები გახლდნენ. აინთა კულტურა შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციის იბერიული წყარო და მარად უქრობი ცეცხლია ატლანტური სიბრძნისა, რომელიც არასდროს გაქრება.აინური ცივილიზაციის, ატლანტოიდური კულტურისა და უიმენტა სივრცის გაერთიანებით

მსოფლიო იურისპრუდენციის ერთი შეხედვით განსხვავებულ სისტემათა დიალოგი და გაერთიანება სრულიად რეალური ხდება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ძიმუ წარმოადგენს ისტორიულ პერსონას, რომელმაც ჩამოაყალიბა იაპონური სახელმწიფო და შექმნა უმძლავრესი სამართლებრივი სისტემა. ძიმუს ხანა იაპონიის ისტორიაში განვითარების უძლიერეს ეპოქად ითვლება. ძიმუმ კოდიკის<sup>227</sup> მიხედვით იაპონია ამომავალი მზის ქვეყნად აქცია. ბუნებრივია, აღნიშნული იდეური მოძღვრება არ გულისხმობს მხოლოდ გეოგრაფიულ მდებარეობას, იგი ასახავს სიბრძნისმიერი ნაკადის სათავედ აიანური იაპონიის განხილვის მესიანისტურ იდეოლოგიას, რომელიც აერთიანებდა სამართლებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ელემენტებს. რასაკვირველია, თანამედროვე იაპონური სამართლის კვლევას- კუნძულ ჰოკაიდოსა და კიუსიუზე მცხოვრებ აინთა კულტურასთან მივყავართ. აინური წარმოშობის გახლდათ ლეგენდარული იმპერატორი- ძიმუ და უძველესი იაპონური სამხედრო არისტოკრატიაც. იაპონური სამართალი სათავეს იღებს აინური მისტიფიკაციის<sup>228</sup> ხელოვნებიდან, რომელსაც აინები ძიმუსას უწოდებდნენ. სწორედ ამიტომ აირჩია პირველმა იმპერატორმა-აინური წარმოშობის მმართველმა საკუთარ საიმპერატორო სახელად-ძიმუ, რაც გამოხატავდა მის მიერ შექმნილი ცივილიზაციის ღრმა ისტორიულ-გენეტიკურ კავშირს აინურ კულტურასა და წეს-ჩვეულებებთან.

უძველესი იაპონური სამართალი ეყრდნობოდა მოვლენათა იდუმალი შემეცნების ხელოვნებასა და ინტელექტუალურ რესურსთა კონცენტრაციის გზით ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე ორიენტირებული აზრობრივი სისტემის ნაირსახეობათა კომპლექტს. თავისუფლად შეიძლება ითქვას- უძველესი იაპონური იურიდიული ტრადიციის წყარო გახლავთ აიანური კულტურა. კერძოდ, ცუნეო ინაკო გამოთქვამს შემდგომ აზრს- სამართლის წყაროები, რომელიც საფუძვლად დაედო ძველ იაპონურ სამართალს მიზნად ისახავდნენ იმპერატორის ავტორიტეტის ამაღლებას. ჩინურ წყაროთა თანახმად, ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში იაპონიის კუნძულებზე პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის შედეგად წარმოიქმნენ პატარ-პატარა სახელმწიფოები, რომლებიც მე-4 მე-5 საუკუნეებში ერთიან სახელმწიფოდ გარდაიქმნენ, რომელთა მმართველები იწოდებოდნენ ოკიმებ-ად.- აცხადებს ინაკო<sup>229</sup>. თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონელი იმპერატორები ერთიან დინასტიას წარმოადგენდნენ, რომელსაც სათავე დაედო ისტორიულ წყაროთა მიხედვით მეექვსე საუკუნეში, რომელთაც მოიხსენიებდნენ ჩინური ტერმინებით- ტენსი და ტენნო, რაც აზრობრივად ნიშნავდა იმპერატორს ცის ნებით.

<sup>227</sup> შინტოიზმის წმინდა წიგნი.

<sup>228</sup> მოვლენათა მისტიკურ სიბრტყეში განხილვა.

<sup>229</sup> ცუნეო ინაკო ; თანამედროვე იაპონური სამართალი-გვ. 28-29

ცუნეო ინაკოს მოსაზრება ეყრდნობა ჩინურ და იაპონურ ისტორიულ წყაროთა შედარებით ანალიზს, შესაბამისად, სახეზეა ორი ერთი შეხედვით, განსხვავებული კულტურის მძლავრი ურთიერთკავშირი. მაგრამ, ინაკოს ამ შეხედულებას აქვს გარკვეულწილად ვიწრო დიაპაზონი, რაც გამოიხატება ამ მეცნიერის მიერ იაპონური საიმპერატორო კონცეპციის აინურ საწყისებზე ყურადღების ნაკლებად გამახვილებით. მაგალითად, ამ პერიოდში ერთიანი საიმპერატორო ხელისუფლების არსებობა იაპონურ სამართალს მენდა სპეციფიკურ ხასიათს. ამ ეპოქის იაპონური სამართალი იკვებებოდა შამანიზმის სულიერი სიბრძნით, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ პირველყოფილ რელიგიას. იაპონიაში პირველი კოდექსი შეიქმნა მერვე საუკუნეში და მან განიცადა სუისა და ტანის ეპოქის ჩინური სამართლებრივი აზროვნების ძლიერი გავლენა. მეცამეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნენდე ძირითად იაპონურ კანონებს წარმოადგენდნენ იაპონიის მმართველი ფეოდალური კლანების მიერ მიღებული აქტები, რაც დასტურდება ისტორიული წყაროებითა და ლიტერატურის ისტორიით. კერძოდ, რიუნოსკე აკუტაგავა აღნიშნავდა იაპონური სამართლის კვლევისას ჩინური და აინური კულტუროტროპული ელემენტების გაერთიანების შესახებ. მაგალითად, უძველესი აინები ცას და მზეს ორ უდიდეს ღვთაებად მიიჩნევდნენ. იაპონელი ხალხის სტატუსი-ე.წ მზის ხალხი და ცისგან ხელდასმული იმპერატორის კონცეპტუალური სახე სათავეს სწორედ აინური კულტურისგან იღებს. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს სამართლებრივი კულტურის საწყისთა ძიების პროცესის სწორად წარმართვა.

მეცხრამეტე საუკუნემდე იაპონური სამართალი უაღრესად მდგრადი სისტემა გახლდათ, რომელიც თითქმის არ ექვემდებარებოდა ცვლილებებს. ამ თვალსაზრისით, მეტად საგულისხმოა იაპონიაში ტყვედ ნამყოფი მეცნიერის - გოლოვინის<sup>230</sup> გადმოცემა მე-19 საუკუნის იაპონურ სამართალზე. იგი აღნიშნავს-იაპონელები ამბობენ, რომ მათი კანონები მსგავსია რკინის პირამიდისა, რომელსაც ვერც კლიმატი, ვერც ქარიშხალი და ვერც დრო ვერ დაამსხვრევს, მათი შეცვლა შეუძლებელია.

ასეთი შიშნარევი მიდგომა განპირობებული იყო მისწრაფებით, რომ ხალხი არ მიჩვეოდა ცვლილებებს-კანონებში და არ გასჩენოდათ სურვილი ძველ ადათ-წესთაგან განდგომისა. მათ არ უნდა მიეღოთ უცხო ჩვეულებანი, რაც მიუთითებს იაპონური იურიდიული აზროვნების კონსერვატიზმზე. იაპონური იურიდიული კონსერვატიზმი გასაოცარი ფენომენია, რომელიც წარმოადგენდა იაპონელი ხალხის სამართლებრივი ცნობიერების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს. იაპონელებმა მოახერხეს მკვეთრი ინდივიდუალიზმით აღსავსე იურიდიული კულტურის

<sup>230</sup> ფლოტის კაპიტნის ჩანაწერები იაპონიაში ტყვეობისას 1812-1813წლებში მის თავგადასავლებზე, ხაბაროვსკი-1972, გვ. 327-328.

ჩამოყალიბება, კერძოდ ვაპინმა<sup>231</sup> იურისტებმა შექმნეს საიმპერატორო ხელისუფლების - ესე იგი, სულეთისა და მიწიერი ცხოვრების გამაერთიანებელი მეტალოგიკური კონცეპცია, რომლის თანახმად, იმპერატორი გახლდათ იმქვეყნიური სამყაროს წარმომადგენელი ამქვეყნად და მიწიერ ცხოვრებაში იაპონელთა დამცველი იმქვეყნად. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური საზოგადოების სამართლებრივი აზროვნება ეფუძნებოდა ნაციონალურ ტრადიციათა დაცვის დიად მისიას და მდგრადი იურიდიული აზრობრივი სისტემის ჩამოყალიბების მდგრად სურვილს. იაპონური სამართლებრივი აზროვნების ისტორია ხასიათდებოდა იურიდიულ ინტერესთა წარმომშობ საწყისად - მეტალოგიკური<sup>232</sup> მოცემულობის წარმოჩენის ძლიერი მცდელობით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- იაპონურ სამართლებრივ აზროვნებაზე დიდი ზეგავლენა იქონია-ჩინურმა სამართალმა, მეტიც, იაპონური დამწერლობა-ჰირაგანა და კატაგანა ყველაზე გავრცელებული შეხედულებით-სწორედ ჩინური დამწერლობის გავლენით შეიქმნა, თუმცა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ძალგვიძს განვაცხადოთ-იაპონურ სამართალს არ დაუკარგავს თვალშისაცემი ეროვნული თავისებურება-კერძოდ, იაპონელებმა მიიღეს და აითვისეს ჩინური სამართლის უდიდესი მიღწევები და აღნიშნული ისტორიული ქარტეხილის განვლის გზით შეძლეს ამ პროგრესულ იდეათა იაპონური სიბრძნის ეროვნულ აზრობრივ ბრძმედში<sup>233</sup> გამოწრობა.

პირადად, ჩემი აზრით, იაპონური იურიდიული კონსერვატიზმი იქცა იაპონიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის სოციოკულტურული თვალსაზრისით შემაკავშირებელ აზრობრივ სისტემად, რომელმაც განაპირობა იაპონური სამართლებრივი აზროვნების კულტუროტროპულ საწყისებთან იაპონელი ხალხის მდგრადი კავშირის შენარჩუნება მრავალი საუკუნის განმავლობაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- იაპონურმა სამართლებრივმა კონსერვატიზმმა განსაზღვრა იაპონელების განვითარების პროცესის წარმმართველ ორიენტირთა პროგრესირების გეზი. უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლისას ყალიბდება იაპონური საზოგადოების თავისებურებათა კვლევის სასიცოცხლო აუცილებლობა. კერძოდ, იაპონელი ხალხი საიმპერატორო ხელისუფლებას მიიჩნევს მის უპირველეს მფარველად, რაც განაპირობებს საზოგადოებისა და იმპერატორის რეგიუმის<sup>234</sup> მძლავრ ურთიერთკავშირს. ზემოაღნიშნულმა მოვლენამ შექმნა აზრობრივი ნიადაგი-იაპონელი ერის, როგორც მონოეთნოგენური<sup>235</sup> კავშირის მრავალმხრივ

<sup>231</sup> იგივე იაპონელი

<sup>232</sup> ამ შემთხვევაში ისტორიულ-ლოგიკური

<sup>233</sup> ღუმელი მეტალურგიაში.

<sup>234</sup> ძალაუფლება.

<sup>235</sup> ერთეროვანი

განსავითარებლად. იაპონური საზოგადოება გახლდათ უდიდესი იდეების სამკეცდლო, რომელმაც შორეულ აღმოსავლეთში განვითარების მწვერვალს მიაღწია.

იაპონელმა ხალხმა მოახერხა მდგრადი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება, რაც აისახა ზემოაღნიშნული საზოგადოების ცნობიერ სამყაროზე. მაგალითად, იაპონური სისხლის სამართალი რეგულირდებოდა კონკრეტული რეგიონის მმართველი ფეოდალური კლანის მიერ გამოცემულ იურიდიულ აქტთა მიხედვით. ბუნებრივია, მაშინდელ ეპოქაში შეიქმნა საერთო შეხედულებითი ბაზისი-მძიმე კატეგორიის დანაშაულთა შესახებ. გაიზარდა პრაქტიკულად უუფლებო მონათა ფენა. უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა მონის მხრიდან ბატონის ღალატი-რაც, წამებით სიკვდილით ისჯებოდა. გამყარდა მდიდარ ფეოდალურ კლანთა დიქტატი მშრომელ მოსახლეობაზე. რასაკვირველია, ფეოდალი მისი სამფლობელოს მიღმა არ მიიჩნეოდა აბსოლუტურად ხელშეუხებელ ფიგურად, მეტიც, კონკრეტული ფეოდალის მიერ კლანის ინტერესთა უფუვლებელყოფა დანაშაულად ითვლებოდა. ყოველი ფეოდალური კლანი საკუთარ კანონს გამოსცემდა და ამგვარად ზემოქმედებდა ე.წ დაბალ სოციალურ კლასთა წარმომადგენელ ხალხთა მასებზე. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართალი გარდაიქმნა ნაციონალური იდეური კონსევატიზმის საუკეთესო აღმოსავლურ მოდელად, რომელმაც იაპონური საზოგადოება მონოლითურად შეაკავშირა, მაგრამ ვერ შეძლო საუკუნეთა განმავლობაში ფეოდალურ კლანთა თვითნებობის აღკვეთა. ამ მოვლენამ კი გარკველწილად დააშორა იაპონელები კლასობრივი კუთხით ერთმანეთს.

პირადად, ჩემი ხედვით, იაპონური სისხლის სამართალი მდგრად აზრობრივ სისტემად იქცა, რომელიც ეპოქალურად ააქტიურებდა იაპონელთა შინაგან ცნობიერ სამყაროში უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისას ეროვნული თვალსაზრისით გამაერთიანებელ იდეურ მუხტს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-იაპონური სისხლის სამართალი განვითარების დონით არ ჩამორჩებოდა მაშინდელი ევროპის იურისპრუდენციას. კერძოდ, არსებობდა სასჯელთა შეფარდების უნიკალური სისტემა, რომლის მიხედვით ადამიანის მიერ განხორციელებულ ანტისამართლებრივ ქმედებათა სიმძიმის კოეფიციენტი გამოითვლებოდა არა რაოდენობრივი სიმრავლით ანუ ჩადენილ ქმედებათა ოდენობით, არამედ კონკრეტულ დანაშაულებრივ აქტში სხვადასხვა უკანონო ქმედებათა შედარებით-მაგალითად, ე.წ შთანთქმის პრინციპით, რომლის თანახმად ტუ პირმა მოიპარა ბრინჯი, შემდგომ კი რელიგიური ატრიბუტი, იგი ისჯებოდა რელიგიური ნივთის არამართლზომიერი დაუფლებისთვის და არა რამდენიმე ბრინჯის მარცვლის მოპარვისთვის, ესე იგი, უფრო მძიმე დანაშაული შთანთქავდა მსუბუქს-შორეულ აღმოსავლეთის სისხლის სამართალში ზემოაღწერილი იურიდიული დებულება რევოლუციური ხასიათის დოქტრინალური გარღვევა გახლდათ.

პირადად, ჩემი შეხედულებით, იაპონური სისხლის სამართალი უმძლავრეს კავშირს ავლენდა ჩინურ სამართლებრივ კულტურასთან, თუმცა იგი მაინც რჩებოდა ორიგინალურ ტიპოლოგიურ<sup>236</sup> ნაირსახეობად აღმოსავლური სამართლებრივი აზროვნებისა. იაპონელი ხალხის მიერ შექმნილი სისხლის სამართალი კონკრეტიზების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. კერძოდ, კონკრეტული დანაშაული განიხილებოდა ბოროტ სულთა ზემოქმედებით ანტისაზოგადოებრივი ნებელობის პრაქტიკულად ხორცშესხმაზე ორიენტირებული ადამიანის მიერ ფეოდალური კლანის ანუ ფაქტობრივად სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმათა წინააღმდეგ მიმართულ ფსიქიკურ მოვლენად. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია ბრალის ფსიქიკური თეორიის სამშობლოდ-იაპონია მივიჩნიოთ. იაპონელებმა დანაშაული წარმოსახეს ადამიანის ცნობიერ პრობლემად, რომლის განხორციელება სუბიექტის მიერ აღიქმებოდა საზოგადოებრივი მორალისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აქტად. თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონური სისხლის სამართალი გარკვეული დოზით აშკარად განიცდიდა იაპონელთა ეროვნული რელიგიის-შინტოიზმის გავლენას. კერძოდ, აღნიშნული რელიგია ეფუძნება სულთა თაყვანისცემასა და განდიდებას, შინტოიზმის წმინდა წიგნია კოძიკი ფურიფუთურუმი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ ტექსტად ითვლება. შინტოიზმი მის მიმდევართა რწმენით აკავშირებს იაპონიის წარსულსა და აწმყოს. იგი წარმოიშვა უძველესი რელიგიური კულტიდან, რომელიც ეთაყვანებოდა ბუნებას და განადიდებდა გარდაცვლილ წინაპართა სულებს. ზემოაღნიშნული რელიგიის მიხედვით-ყოველივე სათავეს იღებს სულიდან, რომელიც მარადიულ გონს წარმოადგენს. უზენაეს ღვთაებად ითვლება მზის ქალღმერთი ამატერასუ, რომელიც იძინავისგან- მარადიული სინათლის გონისმიერი სულისგან იშვა. შინტოიზმში 4 ცენტრალური ცნებაა-ჰარაი-განწმენდა, სინსეი-მსხვერპლშეწირვა, ნორიტო-მოკლე ლოცვა და ნაორაი-ზეთით კურთხევა. რაც შეეხება შინტოიზმის იურიდიულ ანალიზს, იგი უაღრესად საინტერესო მოძღვრებაა, რომელიც სამართალს განიხილავს სულეთიდან მომავალ კოსმიურ აზრობრივ ნაკადთა სულიერი ინდივიდუალიზაციის ხელოვნებად. შინტო -სულს ნიშნავს, რაც მიუთითებს ამ რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემის მიერ ამოსავალ წერტილად სულის მიჩნევაზე. თავისუფლად ძალგვიძს გამოვთქვათ მოსაზრება შინტოიზმის იაპონური იურიდიული ტრადიციის უპირველეს საწყისად მიჩნევის შესახებ. კერძოდ, აღნიშნული რელიგია ადამიანს თვლის არსებად, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს სამართლიანობასა და თანამოძმეთა კეთილდღეობაზე დამყარებული მართლწესრიგის შექმნას. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართლებრივი აზროვნების ისტორია ემყარება სწორედ რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების სისტემატიზების ხელოვნების არსს.

<sup>236</sup> ტიპობრივ იდეურ სახეობათა შემსწავლელი მეცნიერება.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონელი ხალხი შინტოიზმს მრავალი საუკუნის განმავლობაში მიიჩნევდა ზეციურ მოძღვრებად, რომელი ავითარებდა ზეეპოქალურ სამართლებრივ იდეებს და ამ გზით ახორციელებდა იურიდიულ სრულქმნას სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემისა. იაპონიის ისტორიაში შინტოიზმმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სამართლებრივი შეხედულებების მრავალმხრივ პროგრესირების თვალსაზრისით. კერძოდ, ზემოაღნიშნულმა რელიგიამ დიდი წვლილი შეიტანა იაპონური სამოქალაქო სამართლის განვითარების პროცესში, მაგალითად, სწორედ შინტოიზმმა ჩამოაყალიბა დაახლოებით მერვე-მეცხრე საუკუნეებში იაპონური საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი, რომლებიც მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. მაგალითად, მეუღლის დაღუპვის დიდ ცოდვად ითვლებოდა, ასევე, მემკვიდრეობა ნაწილდებოდა გარდაცვლილის შვილებს შორის, თუ ანდერძით სხვა რამ არ იყო დადგენილი. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი ურთიერთბალანსირებად იურიდიულ სისტემებად იქცნენ. ჩემი თვალთახედვით, იაპონური სამოქალაქო სამართლის თვისობრივი დაყოფის კულტუროტროპული პროცესის ინიცირების მისია-შინტოიზმმა წარმატებით შეასრულა. შინტოიზმი გარდაიქმნა იდეურ სისტემად, რომელმაც განაპირობა იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების სინათლის სიჩქარით განვითარება და ამ გზით იაპონური სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცება. ამ რელიგიამ შექმნა მატრიცა იდეებისა, რომელმაც მთელი 900-1000 წლის განმავლობაში განსაზღვრა ორიენტირი-იაპონური იურიდიული აზროვნების განვითარებისა. შინტოიზმის სამართლებრივმა ფილოსოფიამ ჩამოაყალიბა იაპონური იურიდიული აზროვნების დეონტური<sup>237</sup> საფუძველი-ეროვნული ტრადიციებისა და რელიგიური იდეალების კომბინაცია. შინტოიზმი გარდაისახა იურიდიული ტრადიციების გამაერთიანებელ აზრობრივ ძალმოსილებად. მაგალითად, შინტოიზმმა განახორციელა მდგრადი იურიდიული იდეური სისტემის ჩამოყალიბება, რომელმაც მიუხედავად ქვეყნის ფეოდალურ კლანთა სამფლობელოებად დაშლისა მოახერხა ერთიანი სამართლებრივი ცნობიერების შექმნა. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სახელმწიფო მოწყობის სისტემა შორეულ აღმოსავლეთში უაღრესად დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა მიუხედავად ფეოდალთა მიერ მჩაგვრელი რეჟიმის შექმნისა კონკრეტულ რეგიონებში. იმპერატორი ხშირად, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენდა და საკუთარ უფლებამოსილებას მეტწილად ვერ ახორციელებდა. უმრავლეს შემთხვევაში იაპონიის იმპერატორი ფეოდალთა გავლენის ქვეშ ექცეოდა. ფეოდალთა კლანები კი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებს მართავდნენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- იაპონელ ფეოდალთა დიდი ნაწილი ცდილობდა დამოუკიდებელი სამთავროს შექმნას და იმპერატორის ნების საკუთარი ინტერესისამებრ გამოეყენებინათ.

<sup>237</sup> სამართლებრივი ლოგიკა.

უშუალოდ, ჩემი ხედვით, იაპონიაში ფეოდალთა კლანებმა მოახერხეს ძალაუფლების გადანაწილება და ამ გზით სამართლებრივი სისტემის ახალ სახეობათა ჩამოყალიბება. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში რელიგიურ-ფილოსოფიურმა შეხედულებებმა დასაბამი მისცეს უდიდეს იურიდიულ გარდაქმნებს-კერძოდ, საიმპერატორო ძალაუფლების ღვთიური წარმოშობის მესიანისტური იდეის პრაქტიცირებად თეოსოფიურ ფენომენად გარდასახვის მრავალსაუკუნოვან პროცესს. უშუალოდ, ჩემი აზრით, იაპონური სამართალი გახლდათ ფაქტოლოგიისა და მატერიალური შემეცნების ერთობლიობა. თავისუფლად ძალგვიძს განვაცხადოთ- იაპონელმა ხალხმა თვითშემეცნება და დალოგიკური აზროვნება გააერთიანა. შესაბამისად, განხორციელდა დიდი ისტორიული მიზანი- იაპონიის კუნძულოვანი სახელმწიფოს სრულფასოვნად გაერთიანების საფუძვლის მომზადებასთან დაკავშირებით. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამოქალაქო სამართალი გახლავთ ნაერთი იურიდიული იდეებისა და რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებებისა. უშუალოდ, ჩემი აზრით, იაპონურ საოჯახო სამართალში დომინირებს ადგილობრივი იურიდიული ხედვა-ოჯახის სიწმინდის დაცვასა და ამ ინსტიტუტის პატარა სახელმწიფოს მოდელად აღქმის შესახებ. პირადად, ჩემი სუბიექტური ხედვით, იაპონური საოჯახო სამართალი გახლდათ ოჯახის წევრთა-ცოლ-ქმრის მდგრადი კავშირის უზრუნველმყოფი სისტემა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- იაპონიის საიმპერატორო კარზე დაფიქსირდა ტახტზე ქალის ასვლის არაერთი ფაქტი. მაგალითად, ბოლო ქალი იმპერატორი გახლდათ გო-საკურამატი, რომელიც იყო იაპონიის მერვე და უკანასკნელი ქალი იმპერატორი. ზემოაღნიშნული მოვლენა მიუთითებს იაპონიის სამეფო კარზე ქალისა და კაცის უფლებრივი თანასწორობის იდეის არსებობის შესახებ. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართალი წარმოადგენდა უძლიერეს სისტემას, რომელმაც განავითარა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნება და მოახერხა იურიდიული იდეალების გაერთიანება. კერძოდ, იაპონურ სამეფო კარზე აშკარად იგრძნობოდა ქალებისადმი დიდი პატივისცემა. ამ მოსაზრებას ადასტურებს იაპონიის საიმპერატორო კარის ისტორიაში რვა ქალი იმპერატორის არსებობა. პირადად, ჩემი ხედვით, იაპონელები თანაწორად თვლიდნენ ქალსა და კაცს. შესაბამისად, იაპონური სამართლებრივი აზროვნება ეფუძნებოდა ემპირიულ შემეცნებასა და ფაქტოლოგიას. ჩემი აზრით, იაპონური სისხლის სამართალი გახლდათ სისტემური აზროვნების ნიმუში, რომელიც ემყარებოდა უტყუარ მტკიცებულებებსა და ალბათობის გონივრულად დასაბუთების მაღალ ხარისხს.

პირადად, ჩემი აზრით, ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტის სათავე სწორედ იაპონურ სამართალში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, იაპონელებმა განახორციელეს სისხლის სამართალში გარდაქმნათა სერია, რომელმაც გარდამტეხი მნიშვნელობა შეიძინა მსოფლიო ხალხთა იურიდიული აზროვნების ისტორიაში. უშუალოდ, ჩემი

აზრით, იაპონური სისხლის სამართალი გახლდათ გასაოცარი მოძღვრება, რომელმაც განაპირობა იაპონელი ხალხის მრავალმხრივ პროგრესირება. თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონელებმა აზიურ სისხლის სამართალში განახორციელეს ფაქტისა და იდეის ერთიან სიბრტყეში მოქცევა. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სისხლის სამართალი გარდაიქმნა უნიკალურ აზრთა სამყაროდ, რომელმაც შექმნა კონცეპცია-მონძინაკი, რომლის თანახმად, ფაქტს სჭირდება კანონისმიერი ახსნა და იურიდიული განსჯა. პირადად, ჩემი აზრით, იაპონელები გარდაიქმნენ ერთგვარ სისხლისსამართლებრივი რევოლუციის შემოქმედებად. თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია ვითარდებოდა იმპერიის განვითარების კვალდაკვალ. პირადად, ჩემი ხედვით, იაპონურ სისხლის სამართალში მიმდინარეობდა ეროვნული კულტურის ნიადაგზე უმძლავრესი პროგრესირების პროცესი. გვაქვს საკმარისი საფუძველი განვაცხადოთ- იაპონური სისხლის სამართალი შორეულ აღმოსავლეთში ურთულესი ცვლილებების დაწყების მასტიმულირებელი მექანიზმი გახდა. ჩვენ ძალგვიძს მივიჩნიოთ-იაპონიაში იმპერატორი და ფეოდალი ემორჩილებოდა უძველეს იაპონურ კანონებს. კერძოდ, იაპონური სამოქალაქო სამართლის მიხედვით ადამიანი გახლავთ სუბიექტი, რომელიც ზემოქმედებს ობიექტზე, რომელიც რეალურად შესაძლებელია სუბიექტი გახლდეთ, მეტიც, ზოგადად, ურთიერთობა გახლავთ ადამიანის სხვა ადამიანთან კავშირში ყოფიერების წესი. იაპონური სამოქალაქო სამართალი ობიექტს მიიჩნევს სუბიექტის ბედნიერების წყაროდ, რომელიც შეიქმნა სუბიექტის ანუ ადამიანის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ურთიერთობა წარმოადგენს კავშირს, რომელიც ავითარებს სამართლებრივ რეალობას. პირადად, ჩემი აზრით, იურიდიული ტრადიციების ჩამოყალიბების და განვითარების პროცესზე დიდი ზეგავლენა იქონია იაპონურმა ფილოსოფიამ და რელიგიამ. თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონური სამართლის ისტორია წარმოადგენს იურიდიული იდეების განვითარების კანონზომიერებათა შემსწავლელ მეცნიერების მაგალითსაც. ჩემი აზრით, იაპონურმა სამართლებრივმა კულტურამ უდიდესი ფუნქცია შეითავსა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების სრულყოფის პროცესში. პირადად, ჩემი აზრით, იაპონიის სამართლის ისტორია მოიცავს უძლიერეს ლოგიკურ აზრობრივ ნაკადებს, რომლებიც გარდაიქმნებიან უმძლავრეს იდეურ მდინარედ, რომელთა დინების სათავე გახლდათ იაპონური ფილოსოფია. ჩემი ხედვით, იაპონიაში შეიქმნა კონცეპტუალური სისტემა-სამართლისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ზოგადად, სამართლის იდეურ ასპარეზზე- ფაქტოლოგიის გავლენის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ზეეპოქალურ პროცესში.

იაპონური სისხლის სამართლის კონცეპცია გახლდათ ურთულესი ფენომენი, რომელმაც მერვე საუკუნეში შექმნილი მონძინაკის და მეთერთმეტე საუკუნეში შექმნილი მოისუს იდეური ხედვა ერთიან სისტემად აქცია. გადაუჭარბებლად

შეიძლება ითქვას- იურიდიული თვალსაზრისით მონძინაკი და მოისუ წარმოადგენდნენ სისხლის სამართლის ორ მძლავრ მოძღვრებას, რომლებიც ავითარებდნენ იაპონურ სამართლებრივ ცნობიერებას. მონძინაკი დანაშაულს თვლიდა უპირველეს ყოვლისა, ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ანტისამართლებრივ ქმედებად, რომელიც გამოწვეული იყო დანაშაულის ცნობიერი არასრულყოფილებით. ზემოაღნიშნული იდეური სისტემა ავითარებს შეხედულებას ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ქმედების ანტისაკაცობრიო ხასიათის შესახებ. კერძოდ, მონძინაკი დანაშაულის პრიმორდიალისტურ<sup>238</sup> სათავედ თვლიდა- ინდივიდის დათრგუნვის სურვილის რეალიზებას, რაც წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტით<sup>239</sup> გამოწვეულ ნეგატიურ<sup>240</sup> მოვლენას. პირადად, ჩემი აზრით, მოისუს კონცეპცია ითვალისწინებდა ადამიანის და საზოგადოების ურთიერთბალანსირების იდეას. თავისუფლად ძალგვიძს განვაცხადოთ- მოისუს კონცეპცია ეყრდნობოდა იაპონელი ხალხის მსოფლმხედველობის აზრობრივ საწყისებს.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, ზემოაღნიშნულმა კონცეპტუალურმა სისტემებმა განაპირობეს იაპონელი ხალხის სამართლებრივი ცნობიერების სრულიად ახალ სულიერ-ინტელექტუალურ საფეხურზე აღმასვლა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- იაპონური სისხლის სამართალი შორეულ აღმოსავლეთში ერთ-ერთი პირველი სისტემა გახლდათ, რომელმაც მეცნიერული ხასიათი შეიძინა. კერძოდ, იაპონურმა სისხლის სამართალმა განსაზღვრა შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციების განვითარების ორიენტირები. ზემოაღნიშნული სამართლებრივი მოძღვრება იაპონიაში გახლდათ საიმპერატორო ძალაუფლების იურიდიულ სიბრტყეში განხილვადი იდეოლოგიური არსობრივი ტიპი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა იაპონელი ხალხის ცნობიერი თვალსაზრისით განვითარების ურთულეს პროცესში. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სისხლის სამართალი ამოსავალ წერტილად მიიჩნევა ადამიანის ცნობიერ სრულქმნას, რაც პირდაპირ გამომრიცხველი ფაქტორი იყო დანაშაულისა. სავსებით შესაძლებელია, კრიმინოლოგიის იდეურ სამშობლოდ შორეულ აღმოსავლეთში სწორედ იაპონია მივიჩნიოთ. სისხლის სამართლის იაპონური კონცეპცია ითვალისწინებს დანაშაულის შესახებ მოძღვრების განვითარებასა და ფაქტოლოგიის სისხლის სამართლის სფეროში ჩართულობის ხარისხის ამაღლებას.

იაპონური სამოქალაქო სამართალი არეგულირებდა საოჯახო, მემკვიდრეობით და ვალდებულებით ურთიერთობებს. მაგალითად, ვალთან დაკავშირებული დავა ვალდებულებითი სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა. იაპონურ სამოქალაქო

<sup>238</sup> თავდაპირველი

<sup>239</sup> სიმწირე

<sup>240</sup> უარყოფითი.

სამართალში ადამიანის კანონთან ჰარმონიაში მყოფ სურვილსა და ნებელობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იაპონელმა ხალხმა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად ჩამოაყალიბა ლოკალური კონცეპცია, რომელიც შეიქმნა მეცხრე საუკუნეში. იგი ითვალისწინებდა ძირითადად ფეოდალურ კლანთა ფინანსურ ინტერესებს და ყოველმხრივ ცდილობდა მაღალ სოციალურ კლასთა წარმომადგენლების მიერ განუზომელი სიმდიდრის დაგროვების ხელშემწყობ პირობათა შექმნას. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, ზემოაღნიშნული კონცეპტუალური სისტემა მაშინდელი ეპოქის თავისებურებათა გათვალისწინებით პროგრესულ იდეათა ნაერთად მივიჩნიოთ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-იაპონური სამოქალაქო სამართალი თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე გაბატონებულ სოციალურ კლასთა ინტერესებს ემსახურებოდა. მაგრამ, არსებობდა პიროვნება, რომელიც ამ პროცესს არეგულირებდა და იგი იმპერატორი გახლდათ. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართლის ისტორიაში დიდი როლი ადასრულეს ე.წ სამურაებმა-უშუალოდ სიტყვა სამურაი იაპონურად სამსახურს ნიშნავს. სამურაები ინტელექტუალური განვითარების დონით აღემატებოდნენ თვით ევროპელ რაინდებს, მეტიც, ისინი ბატონთა ბრძანებით ხშირად უძღვებოდნენ სამართალწარმოების პროცესს, რაც შუა საუკუნეებში კანონთა ცოდნასა და მაღალ გონებრივ უნართა ფლობას მოითხოვდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-შუა საუკუნეების იაპონიაში ადგილი ჰქონდა სამმაგ დელეგირებას<sup>241</sup>-კერძოდ, იმპერატორიდან წამყვან ფეოდალურ კლანთა წინამძღოლთა დმი და ფეოდალთაგან სამურაებისადმი. პირადად, ჩემი ხედვით, სამურაები ბრწყინვალე ინტელექტუალურ პოტენციალს ფლობდნენ, რაც მათ ეხმარებოდათ სამართლებრივი პროცესების სწორად გააზრებასა და იურიდიულ ხედვათა პრაქტიკულად განხორციელებაში. სამურაები იაპონელი ხალხის მიერ შექმნილი სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდნენ. თავისუფლად შეიძლება ითქვას-იაპონური სამართლის აღსრულების მექანიზმი ხელთ რეალურად სამურაებს ეპყრათ. მაგალითად, ედოს პერიოდის სამურაების უმრავლესობა ემორჩილებოდა ბუშიდოს-სამურაების კოდექსს- რომელიც იშიფრება ასე-მეომარი და გზა. სამურაების ხმალს-კატანა ერქვა, შუბს-ნაგინატა, ისარს კი-იუმი. ზოგადად, სამურაების საბრძოლო ხელოვნებას მოიხსნიებდნენ სახელით-იოროი ბიცუ. ზემოაღნიშნული მოძღვრება სამართლებრივ ელემენტებსაც მოიცავდა. კერძოდ, სამურაები სამართლის აღსრულების მექანიზმს ფლობდნენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-სამურაები ფფაქტობრივად, საბრძოლო ხელოვნების შესწავლისა და იაპონური იურიდიული ტრადიციების შემეცნების კომბინირებას ახორციელებდნენ. პირადად , ჩემი აზრით, სამურაები გახლდნენ შორეული აღმოსავლეთის სიბრძნისმიერი რაინდები,

<sup>241</sup> უფლებამოსილების გადაცემა.

რომელთაც გაცნობიერებული ჰქონდათ სამართლებრივი კულტურის განვითარების მნიშვნელობა.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, სამურაები შუა საუკუნეების მოაზროვნე მეზრძოლები იყვნენ, რომელთაც უამრავი მოვალეობა ეკისრებოდათ, რაც ხშირად მათ ფიზიკურ განადგურებას იწვევდა. ბატონის სიკვდილის შემთხვევაში, მით უმეტეს მისი ბრძოლაში დაღუპვის შემთხვევაში, სამურაის სულიერი ვალდებულება გახლდათ- თავად ან შეკვდომოდნენ მტერს ან ჩაეტარებინათ რიტუალი-სეპუკუ ანუ ხარაკირი-რიტუალური თვითმკვლელობა. აღნიშნული წესი სამურაების კოდექსისა მიგვანიშნებს მათუზომო თავდადებასა და მაღალ ერთგულებაზე ბატონისადმი. პირადად, ჩემი აზრით, სამურაები გახლდნენ უდიადესი მოაზროვნეები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ შორეულ აღმოსავლეთს. თავისუფლად ძალგვიძს განვაცხადოთ- სამურაები ატრიალებდნენ იაპონიის სამართლისა და კულტურის ისტორიის ჩარხს, რასაც ადასტურებს იაპონელი ხალხის ცნობიერ სამყაროში დაღეჭილი კვალი-დიადი მეზრძოლებისა.

დავასახელოთ რამდენიმე დიდი სამურაი, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს იაპონური სამართლის ისტორიაში, მაგალითად, ოდო ნობუნაგა, რომელიც გახლდათ დიდი იაპონელი მხედართმთავარი, იაპონიის გამაერთიანებელთაგან პირველი, იგი განაგებდა პატარა სამთავროს ოვარის პროვინციაში. 1573 წელს ჩამოაგდო ასიკაგას კლანის უკანასკნელი სიოგუნი და დაიწყო იაპონიის გაერთიანება-შესაბამისი იურიდიული ნიადაგის მომზადებით. 1582 წელს გააერთია იაპონიის თითქმის ერთი მესამედი. სწორედ მან დაიწყო ერთიანი იაპონური ხელისუფლების იურიდიული უპირატესობის იდეურად დასაბუთება, მაგრამ მან ვერ შეძლო მიზნის ბოლომდე მიღწევა, რადგან იგი მოკლა მისმა თანამეზრძოლმა-აკიმე მიცუჰიდემ.

მეორე დიდი სამურაი გახლდათ ტოიტომი ჰიდეიოსი, რომელიც ოდა ნობუნაგასთან ერთად იბრძოდა იაპონიის გასაერთიანებლად. მან განიმტკიცა ძალაუფლება და მხოლოდ ფორმალურად დაიკავა კანცლერის თანამდებობა, ასევე გაატარა რეფორმები ფეოდალური წესწყობილებისა და ბატონყმობის განსამტკიცებლად. იგი ესწრაფვოდა ძლიერი და ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნას. ჰიდეიოსიმ 1598 წელს სცადა კორეის დაპყრობა, მაგრამ დამარცხდა.

მესამე დიდი სამურაი გახლდათ იეიასუ ტოკუგავა, რომელმაც 1600 წელს სეკიგაჰარას ბრძოლაში დაამარცხა მტრები და დაარსა ტოკუგავათა კლანის შიოგუნატი. შემდგომ 1605 წელს ხელისუფლება გადასცა ვაჟს-ჰიდეტიდას, მაგრამ რეალურად იგი მართავდა იაპონიას. იეიასუმ დაამყარა მკაცრი რეჟიმი, რომელიც ანადგურებდა ტოკუგავათა კლანის ყოველ პოტენციურ მოწინააღმდეგეს. დაიწყო ყველაზე ძლიერი სიოგუნატის ეპოქა.

სეიი ტაისიოგუნი ნიშნავს მხედართმთავარს, რომელიც რეალურად მართავდა იაპონიას. ტოკუგავები გახლდნენ იაპონიის სიოგუნატის მესამე დინასტია, რომელთა მმართველობა დაიწყო 1603 წელს და დასრულდა 1867 წელს. ტოკუგავების პერიოდში საკმაოდ განვითარდა იაპონური იურიდიული კულტურა, თუმცა სამართალ კვლავ ბატონყმობის განმამტკიცებელ იარაღად დარჩა. ტოკუგავებმა განავითარეს ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყნის შიგნით და მოახერხეს იაპონური ინტელექტუალური პოტენციალის მეტ-ნაკლებად სწრაფად რეალიზება.

ტოკუგავები გარდაიქმნენ იაპონური სამართლის ცენტრალურ ფიგურებად, რომლებიც აკონტროლებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ ასპექტს. ტოკუგავათა სიოგუნატი დაემხო 1867 წლის ბურჟუაზიური რევოლუციის შედეგად.

დაიწყო ახალი ეპოქა იაპონური სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში, დასრულდა იაპონიის თვითიზოლაციის ეპოქა და დაიწყო ახალი ერა ზოგადად, იაპონელი ხალხის ცხოვრებაში.

მეიძის რესტავრაცია იაპონური სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში გახლავთ გარდამტეხ მოვლენათა ერთობლიობა, რომელმაც გაარღვია იაპონური იურიდიული კონსერვატიზმის მყარი კედელი და ზემოაღნიშნული უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა კვლავ აქცია მსოფლიო საზოგადოების განუყოფელ ნაწილად. მეიძის რესტავრაციის ხანაში- ასევე აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტი- იაპონიის თვითიზოლაციის პერიოდის დასასრულს იაპონური საზოგადოება დადებითად შეხვდა. კერძოდ, იაპონური სამართლებრივი აზროვნების სკოლამ დიდი გამოცდილება გაუზიარა იმდროინდელ მსოფლიოს, თავის მხრივ, იაპონელებმა დაიწყეს მეცხრამეტე საუკუნის ევროპასა და ამერიკაში დაგროვილი ტექნოლოგიური და არა მხოლოდ ტექნოლოგიური, მათ შორის იურიდიული ინტელექტუალური ბაზისის შესწავლა. სავსებით შესაძლებელია, ზემოაღნიშნული პროცესი მივიჩნიოთ იაპონური სამართლის განვითარების ზენიტად, რაც გამოიხატება მაშინდელ ევროამერიკულ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური და იურიდიული კავშირების გააქტიურებით.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- დაიწყო ევროპული იურიდიული კულტურის იაპონურ სამართლებრივ შეხედულებებთან შერწყმა, ამ მოვლენას დიდად უწყობდა ხელს იაპონიის საიმპერატორო კარი. იმპერატორი მეიძი განსაკუთრებით დაინტერესებული გახლდათ დიდი ბრიტანეთის იურისპრუდენციით. იმპერატორი აქტიურად ეცნობოდა ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურას და ამგვარად ცდილობდა მისთვის მისაღები სამართლებრივი მოდელების სამშობლოში დანერგვას. პირადად, ჩემი აზრით, მეიძიმ იაპონიას გაუჭრა გზა დასავლური ცივილიზაციისკენ, რაც დადებითი მოვლენა გახლდათ. მართლაც, თითქოს პერიოდულად იცვლებოდა როლები მოძღვრისა და მოსწავლისა ბრიტანეთსა და იაპონიას შორის. უშუალოდ, ჩემი

აზრით, იაპონური სამართლებრივი კულტურის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ ეპოქას, რადგან მეიძის რესტავრაციის ხანამ გადამწყვეტი ფუნქცია შეითავსა თანამედროვე იაპონური იურისპრუდენციის ჩამოყალიბების პროცესში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- მეიძის რესტავრაციის ეპოქაში იაპონური სამართალი ძალიან დაუახლოვდა დასავლურ იურისპრუდენციას. კერძოდ, იაპონიაში პოპულარული გახდა ფრენსის ბეკონის, ჰეგელის, კანტის იდეები, ევროპა კი განაცვიფრა მიამოტო მუსასის, რიუნოსკე აკუტაგავას და ჰიუმენ დაიდემინის შემოქმედებამ.

პირადად, ჩემი თვალთახედვით, იაპონურმა მხატვრულმა, სამართლებრივმა და რელიგიურმა ლიტერატურამ ევროპელებს გაუკაფა გზა აღმოსავლური სიბრძნის იდუმალებით მოცული მწვერვალებისკენ.

იაპონურმა ლიტერატურამ იურიდიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა შორეული აღმოსავლეთის ისტორიის ევროპაში პოპულარიზების მხრივ. იაპონური სამართალი გახლდათ აზრობრივი ძალმოსილება, რომელმაც განავითარა იაპონელი ხალხის ცნობიერი სამყარო. პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში სწორედ ამ ეპოქამ შეასრულა გადამწყვეტი როლი. უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, სრულიად გასაზიარებელია მეცნიერ ინაკოს მოსაზრება-თანამედროვე იაპონური იურისპრუდენციის მეიძის ეპოქაში ჩასახვის შესახებ. ინაკო თავის წიგნში -თანამედროვე იაპონური სამართალი- ნათლად წარმოგვიჩენს იაპონური საზოგადოების იურიდიული აზროვნების ტრანსფორმაციებს, კერძოდ, ბატონყმობის იდეურ შერყევასა და უბრალო მოსახლეობის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული იურიდიული სისტემის შექმნას. ინაკო მიიჩნევს მეიძის ხანას ახალი იაპონური სამართლის ფორმირების ხანად. მე აბსოლუტურად ვიზიარებ ამ შეხედულებას, რადგან, სწორედ ამ ერაში მოხდა დასავლური იურიდიული იდეების არსობრივი ჩანერგვა იაპონურ აზროვნებაში, მაგრამ არა ძველი სამართლის უკუგდებით, იაპონია გახლავთ გამორჩეული ქვეყანა, რომელმაც შეინარჩუნა ძველი, როგორც ნაციონალური კულტურული მონაპოვარი და მიიღო ახალი-როგორც განმანათლებლური იდეალი.

პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართლის განვითარების ისტორიაში მეიძის რესტავრაციის ხანამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. იმპერატორმა მეიძიმ შეაერთა ახალი და ძველი, წარსული და აწმყო-ღირსეული მომავლისთვის. იაპონური სამართლებრივი კულტურა გაერთიანდა მსოფლიოს იურიდიულ ცივილიზაციათა მთლიანობაში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონელმა ხალხმა დაძლია იზოლაციონიზმის პოლიტიკა და შეუერთდა მსოფლიო საზოგადოებრიობას, რაც

ახალ განმავითარებელ პროცესთა მასტიმულირებელ მოვლენათა ციკლად იქცა. პირადად, ჩემი თვალთახედვით, სწორედ იმპერატორმა მიჰურიტომ იგივე მეიძიმ მოახერხა იაპონიის ისტორიაში პირველად იაპონური სამართლებრივი ტრადიციების მაშინდელი ეპოქის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ჩვენ ძალგვიძს განვაცხადოთ- იაპონური სახელმწიფოებრივი პროგრესის ყველაზე ნაყოფიერი და პროდუქტიული ხანა-სწორედ მეიძიმის მმართველობის ეპოქა იყო, ერა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იაპონია უძლიერესი იმპერია გახლდათ. იაპონელებმა მოახერხეს იურიდიულ შეხედულებათა დახვეწა და სწრაფად განვითარება. იაპონური სამართლებრივი აზროვნება ძალიან დაუახლოვდა მატერიალურ შემეცნებასა და ფაქტოლოგიას. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იაპონიის იმპერია ახორციელებდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, მაგალითად ჩინეთის მიმართ. იაპონელებმა არაერთხელ მოახერხეს ჩინეთის დაპყრობა. პირადად, ჩემი აზრით, იაპონელების ექსპანსია მიზნად ისახავდა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა კულტუროტროპულ დამორჩილებასაც

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-იაპონელები დაპყრობილ ხალხებში ავრცელებდნენ საკუთარ კულტურასა და სამართლებრივ აზროვნებას, რაც იმპერიას ძალიან უმარტივებდა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროების გაფართოებას.

იაპონიის იმპერატორი-ჰიროჰიტო ოფიციალურ სახელმწიფო იდეოლოგიად გამოაცხადა შინტოიზმი და უძველესი იაპონური პრინციპი-ჰაეკ ტოკ ან კიუ-ესე იგი მსოფლიოს რვა კუთხის შემოკრება ერთი ქოლგის ქვეშ.

ჰიროჰიტოს მმართველობა ხასიათდებოდა იაპონელი ხალხის მესიანისტური ფუნქციის წარმოჩენით და იმპერიული პოლიტიკის გააქტიურებით, რაც გამოიხატა შორეული აღმოსავლეთის ერთა ერთია პოლიტიკურ-სამართლებრივ-სოციალურ სივრცეში მოქცევის მიზნის ჩამოყალიბების სახით. რასაკვირველია, არ ვიზიარებ თანამედროვე სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ შეხედულებას-აზიელი ჰიტლერად-ჰიროჰიტოს წარმოჩენის შესახებ. მაშინდელი იაპონია ავითარებდა მესიანისტურ და არა რასისტულ პოლიტიკურ-სამართლებრივ იდეალს. დაუშვებლად ვთვლი მესიანიზმისა და რასიზმის ერთიან სიბრტყეში განხილვას, რადგან, პირველი მშობლიური ერის სიყვარულითაა განპირობებული, ხოლო მეორე საზარელი ბოროტებით.

მიუხედავად იმპერიის აგრესიული საგარეო პოლიტიკისა , იაპონია მუდმივად ავითარებდა საკუთარ სამართალს, რაც აისახა კიდევ იაპონური იურისპრუდენციის

განვითარების ხარისხზე. პირადად, ჩემი აზრით, მაშინდელი იაპონური იურისპრუდენცია ინგლისური და გერმანული იურიდიული აზრისმიერი ნაკადების გაერთიანებისა და აზიურ სამართლებრივ სიბრძნესთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულ კონცეპტუალურ მატრიცას წარმოადგენდა.

იაპონურმა სამართალმა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში არაერთი გარდაქმნა განიცადა, რაც აისახა იაპონურ ცნობიერ სამყაროზე, კერძოდ, იაპონურ იურისპრუდენციაში გაძლიერდა ნეოკანტიანელობისა და ჰეგელის იდეების გავლენა.

მაგალითად, ინტელექტუალური ინტუიციის ბატონობა დაასრულა ჰეგელის გონების ფენომენოლოგიის თეორიამ და კანტის რაციონალურმა ფსიქოლოგიამ-პარალოგიზმების<sup>242</sup> მოძღვრებამ. გარკვეულწილად გაძლიერდა ჰიპოსტარიზებული იდეების ანუ რაციონალიზებული თეოლოგიის გავლენაც.

პირადად, ჩემი აზრით, იაპონურმა კულტურამ განიცადა გავლენა ევროპეიდული მატერიალიზმისა, რაც მეტწილად დადებითად აისახა იაპონელთა ცხოვრებაზე.

მაგალითად, იაპონურ სამართალში საბოლოოდ გაბატონდა ემპირიული ფაქტოლოგია. აღნიშნული მოვლენა კი ერთგვარ დამაკავშირებელ იდეურ ხიდად იქცა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, იაპონური იურისპრუდენცია საკმაოდ სწრაფი ტემპით განავითარა ზემოაღნიშნულ ცვლილებათა ნაკადმა.

ასევე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი- იაპონიის მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ შინტოიზმის პოპულარობა დაეცა, რაც განაპირობა დასავლურმა ზეგავლენამაც. ძალიან გაძლიერდა ბუდიზმი, რომელიც იაპონიაში ჯერ კიდევ ათასწლეულებით ადრე შევიდა ჩინეთიდან, მეტიც ბუდისტები საიმპერატორო ოჯახის წევრებიც იყვნენ, მაგალითად, ადრინდელი ეპოქის ფიგურა-პრინცი შოტოკუ.

ბუდიზმის გავლენის გაზრდამ იაპონური საზოგადოება დაყო შინტოისტურ, ბუდისტურ და ჯაინისტურ წრეებად. გავრცელდა ნაწილობრივ რელიგიური პლურალიზმი, რაც აისახა კანონმდებლობაზეც.

გადაუჭარბებლად, შეიძლება ითქვას- იაპონური იურისპრუდენცია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა.

დაიწყო მშვიდობის ერა, რომელმაც იაპონიის იმპერია ძლიერ განავითარა იურიდიული და პოლიტიკური თვალსაზრისით.

---

<sup>242</sup> ლოგიკური კავშირები.

პირადად, ჩემი აზრით, იაპონური სამართალი თანამედროვე ეპოქაში ერთ-ერთი უძლიერესი იურიდიული სისტემაა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს ადამიანსა და საზოგადოებას შორის.

მაგალითად, ბუდიზმმა იაპონურ სამართალზე საკმაოდ დიდი ზეგავლენა იქონია, რაც გამოიხატა ინდოჩინური სიბრძნის იაპონურ იურიდიულ ლიტერატურაში ასახვით.

ნიჰონ გოკუ კემპო-იაპონიის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1947 წელს. კონსტიტუციის თანახმად, იაპონია გახლავთ საპარლამენტო სისტემისა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანა.

კონსტიტუცია ცნობილია რამდენიმე განსხვავებული სახელით, კერძოდ, სენგო-კემპო- ომის შემდგომი კონსტიტუცია და ჰეივა კემპო-მშვიდობის კონსტიტუცია.

იაპონური კონსტიტუციურ-სამართლებრივი აზროვნება ეყრდნობა დასავლურ ფასეულობებსა და ეროვნულ ტრადიციებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- იაპონური კონსტიტუციონალიზმი განიცდის დასავლელ განმანათლებელთა და აღმოსავლელ ფილოსოფოსთა მძლავრ გავლენას.

პირადად, ჩემი აზრით, იაპონური კონსტიტუციური აზროვნება ეფუძნება იურიდიულ ფორმულირებებსა და აზრობრივ ინტროსპექტიულ<sup>243</sup> ნაირსახეობებს.

თანამედროვე იაპონური კონსტიტუციონალიზმი ჩემი სუბიექტური შეხედულებით გახლავთ ნაზავი იურიდიული იდეებისა და ფილოსოფიური შეხედულებებისა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონური სამართლებრივი აზროვნება თანამედროვე ეპოქაში არ გახლავთ არც მხოლოდ აზიის და არც მხოლოდ ევროპის საკუთრება.

ყუბილაის იგივე ხუბილაის თვლიდნენ ძალიან მკაცრ მმართველად, რომელიც აბსოლუტური ხელისუფლების მფლობელი გახლდათ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ხუბილაიმ დიდად შეუწყო ხელი ჩინური და მონღოლური სამართლებრივი აზროვნების დაახლოებასა და ხშირ შემთხვევაში, ჰარმონიული თანაარსებობის განმტკიცებას. ხუბილაიმ შექმნა იასას კანონების ქვეკატეგორია-იასა ენეგ-რომელიც 70 წლის განმავლობაში ფილოსოფიური თვალსაზრისით უცვლელ დოქტრინად ითვლებოდა ჩინეთში.

ზემოთხსენებულმა ძლიერმა მმართველმა უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო ერთა კულტუროტროპული და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცების ურთულეს მრავალსაუკუნოვან პროცესში. ხუბილაიმ შექმნა უმძლავრესი ჯამუშური ქსელი, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელ შორეულ აღმოსავლეთსა და საზოგადოდ, აზიას. ყუბილაის სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა შეიძინა შორეული აღმოსავლეთის ხალხების ფილოსოფიური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიულ-გენეტიკური საფუძვლების გადარჩენის ისტორიოსოფიურ<sup>384</sup> პროცესში.

ხუბილაის შემდგომ განვიხილოთ ჰულაგუ და აბაღა ყაენთა ეპოქა. ირანი ოდითგანვე წარმოადგენდა ზოგადატლანტიკური იბერიული გეოპოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საზრდოობდა ქალდეურ-კარდუხული და კოხურ-იბერიული სიბრძნით. ირანული ლიტერატურა, პოეზია, ისტორიოგრაფია მთლიანად ბმაშია კავკასიურ ცივილიზაციებთან, რაც დასტურდება ეზოთერულ-ფილოსოფიური სინსომეტაფიზიკისტური<sup>385</sup> და ინტროთეოსოფიური კვლევებით.<sup>386</sup> ირანი რელიგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურული და თეოსოფიური თვალსაზრისით წარმოადგენდა მიდიის<sup>387</sup> სამეფოს მემკვიდრეს ხოლო მიდია კი კოლხური სივრცის ნაწილი და ლეგენდარული მედეას<sup>388</sup> მიერ შექმნილი უძლიერესი სახელმწიფო გახლდათ. განვიხილოთ ირანის ისტორიის მონღოლური პერიოდი-ჰულაგუ ყაენი უძლიერესი მმართველი გახლდათ, რომელიც ებრძოდა ფუნდუყადარ ბეიბარსის<sup>389</sup> მამლუქთა ეგვიპტეს და ოქროს ურდოს სახელმწიფოს გარდამავალი

<sup>383</sup> ირანის მმართველი ყაენი.

<sup>384</sup> ისტორიულ-ფილოსოფიურ.

<sup>385</sup> ზემეტაფიზიკური.

<sup>386</sup> ზეთეოსოფიური.

<sup>387</sup> სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში.

<sup>388</sup> აიეტის შვილი, მედიცინის ფუძემდებელი.

<sup>389</sup> ეგვიპტის მმართველი.

უპირატესობით. ჰულაგუმ საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა ილხანთა<sup>390</sup> სახელმწიფოში-მიწათსარგებლობის, ჯარში გაწვევისა და ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების თვალსაზრისით.

ასევე დიდ მნიშვნელობას იძენს აბაღას მმართველობის ხანა, რომელიც მამლუქებთან არც თუ წარმატებული დაპირისპირებით ხასიათდება. აბაღან ირანული ესრეფ-იგესის აწ დაკარგულ წყაროთა მიხედვით რამდენიმეჯერ სხვათაშორის ქართველ მეომართა დიდი დამსახურებით მოიგერია ოქროს ურდოს ჯარების შემოტევა და დიდი წარმატებაც მოიპოვა.

ილხანთა სახელმწიფო დაიშალა მე14 საუკუნის დასაწყისში დაპყრობილ ხალხთა მუდმივი აჯანყებებისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების შედეგად. სიამაყით აღვსილი განვაცხადებთ- მსოფლიოში უპირველესი ქვეყანა, რომელიც განთავისუფლდა მონღოლთა ბატონობისგან საქართველო გახლდათ, გიორგი ბრწყინვალის წინამძღოლობით, რომელმაც გააძევა საქართველოს ნაცვალი ყურმიში ალინაყის ძის ურდო, გამოიყენა ჩობან ნოინისა და მისი ბიძის ახსირჩის სიკვდილი, თიმურთაშისა და ისაღ-ბასთის დაპირისპირება-განდევნა მონღოლი დამპყრობლები კავკასიიდან და აღადგინა დავით აღმაშენებლის კავკასიური იმპერია.

მონღოლთა ბატონობას კავკასიაში ბოლო სწორედ ქართველებმა მოუდეს, რაც დასტურდება ისტორიულ-ეთნოსოფიური და გეოსტრატეგიული კვლევებით. გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ საქართველოს სამეფოს 1386-1401 წლებში მრავალჯერ შემოესია გათურქებული მონღოლური ტომის-ბარლასების წარმომადგენელი უსასტიკესი დამპყრობელი, საჰერ ყერანის<sup>391</sup> ტიტულის მფლობელი-თემურ ლენგი. მიუხედავად სისასტიკისა თემურ-ლენგმა ვერ შეძლო საქართველოს განადგურება და ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს მოსპობა, რაც ქართველი ერის და სახელოვან მეფე გიორგი მეშვიდის თავგანწირული ბრძოლის შედეგი გახლდათ.

დავუბრუნდეთ დიდი იასის კანონებს-აღნიშნული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, ყოველი ერი რომელიც უარს აცხადებდა დიდი ხანის ავტორიტეტის ცნობაზე განიხილებოდა აჯანყებულად.

ერიკ ფოგელინი<sup>392</sup> აღნიშნავს-მონღოლთა სახელმწიფო ეწინააღმდეგება ჩვენს წარმოდგენებს საერთაშორისო სამართალზე, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოთა არსებობას გულისხმობს. მონღოლური კაგანატი<sup>393</sup> არ არის ქვეყანა სახელმწიფოთა შორის, არამედ გახლავთ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მსოფლიო იმპერია.

<sup>390</sup> მონღოლური იმპერია მოიცავდა ირანს კავკასიას და ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილს.

<sup>391</sup> ქვეყნიერების ხელმწიფე.

<sup>392</sup> ცნობილი ევროპელი მეცნიერი გვ.4-5.

<sup>393</sup> სახანო.

მონღოლი ხანების კარზე არსებობდა ელჩთა ხელშეუხებლობის პრინციპი, რომლის მტრის მიერ დარღვევა უმკაცრეს შურისძიებას იწვევდა. მონღოლთა იმპერიასთან დაკავშირებით ერიკ ფოგელინის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ვიზიარებთ, ვინაიდან ბატონი ფოგელინი ლოგიკური მსჯელობით ისტორიული ფაქტებითა და ფილოსოფიური ძიების საოცარი უნარების კომბინირებით გვთავაზობს ობიექტურ თეორეტიკულ შეხედულებას მონღოლთა იმპერიის როგორც სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურული განსაზღვრულობის ფუნქციური თვისებრიობის შესახებ. მონღოლური ფილოსოფიური აზროვნება წარმოადგენს ფსიქომეტრიული განზომილებების სოციოცენტრულ სამყაროს, რომელიც ეფუძნება სამ თეზისს-1-მუდმივი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ-2-მორალურ-ეთიკური ნორმებისა და პოლიტიკური ინტერესების ბალანსირება და 3-სამყაროს მრავალმხრივ შემეცნების ძლიერი სურვილი.

ფსიქომეტრია სავსებით შესაძლებელია დეონტურ-პროგნომისტური<sup>394</sup> აზროვნების სტრუქტურის საფუძვლად მივიჩნიოთ, კერძოდ, ზემოაღნიშნული მოძღვრება პირდაპირ კავშირს ავლენს სოციოგენური<sup>395</sup> აზროვნების მმართველ ფილოსოფიურ კანონზომიერებათა მორალურ და პოლიტიკისტურ<sup>396</sup> განსაზღვრებებში იმპლემენტირების<sup>397</sup> ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ისტორიოსოფიურ<sup>398</sup> პროცესთან, რაც გამოიხატება ისტორიულ-კულტუროლოგიური მოვლენების დროსა და სივრცეში ფორმოგენური განვრცობის სახით.

პირადად, ჩემი აზრით, აღმოსავლური ფსიქომეტრიის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის ისტორიული წანამძღვრების შესწავლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდოჩინური და მონღოლური ფილოსოფიური აზროვნების მმართველ ტრადიციათა შემეცნებას. უშუალოდ, ჩემი ხედვით, მონღოლური ფსიქომეტრიული აზროვნება აღმოცენდა აინური, კარმელუკური და დრავიდული ფილოსოფიური ტრადიციების სინთეზის შედეგად, რაც დასტურდება ისტორიოსოფიური<sup>399</sup> და სინსომეტაფიზიკისტური<sup>400</sup> კვლევების მრავალი მიმართულებით განვრცობის გზით

---

<sup>394</sup> ზეეთიკური.

<sup>395</sup> სოციოგენეტიკური.

<sup>396</sup> პოლიტიკურ-ფილოსოფიური.

<sup>397</sup> ჩანერგვა.

<sup>398</sup> ისტორიულ-ფილოსოფიურ.

<sup>399</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>400</sup> ზემეტაფიზიკური.

. მონღოლებმა ჩინელებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულეს შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ფილოსოფიურ-ტრანსცენდენტური<sup>401</sup> აქცეპტალის<sup>402</sup> ჩამოყალიბებისა და განვითარების ურთულეს პროცესში. განვიხილოთ სამი კონცეპტუალური სისტემა-1- მორალურ-ეთიკური ყოფიერება, რომელიც განიმარტება შემდეგი სახით- ადამიანი ვალდებულია იზრუნოს ოჯახის საზოგადოების დასაცავად და ქაოსის შექმნის თავიდან ასაცილებლად, ჩემი აზრით, აღნიშნულ თეორეტიკულ სისტემაზე დიდი ზეგავლენა იქონია დაოსიზმმა<sup>403</sup> და კონფუციანელობამ<sup>404</sup>, რაც მტკიცდება ისტორიულ-ფილოსოფიური და მეტაფიზიკური აზროვნების ტრადიციათა შერწყმით.2-ადამიანის მსახურება ღვთიური ენერჯისადმი, რომელიც აღიწერება ამგვარად- სამყაროს მართავს ზებუნებრივი გონი-აქსე მო, <sup>405</sup>რომელიც სამყაროს ასულდგმულებს სულიერი ენერჯით-ადამიანი კი გახლავთ გონისმიერი ენერჯის საცავი, რომელშიც აკუმულირებულია<sup>406</sup> უზარმაზარი დაფარული ტრანსცენდენტური<sup>407</sup> სიბრძნე დროისა და სივრცის ობიექტურ-კულტუროგენური<sup>408</sup> ურთიერთკავშირის შესახებ.3-ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების საიდუმლო-ბუნება კაცობრიობის მშობელი დედაა, რომლის ძალმოსილება ავითარებს ადამიანურ გონს და ქმნის საკაცობრიო აზროვნების კონცეპტუალურ კოსმიურ მატრიცას<sup>409</sup>.

პირადად, ჩემი აზრით, აღმოსავლური ფილოსოფიური აზროვნება ატლანტიდურ სამირკველზე აგებული დიდი ტაძარია, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.გერმანულ-სკანდინავიური და ანგლო-ბრიტანიკული მითოსოფიის მიხედვით სამყაროს ოთხი მხარე კოსმიური ველია-1-აღმოსავლეთი წყარო დასავლეთი შედეგი სამხრეთი გზა ხოლო ჩრდილოეთი კი დამცველი. მონღოლების იმპერიის ტარტარიად მოხსენიებაც არასწორად მიმაჩნია- ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თათრებისა და მონღოლების გაიგივება კონცეპტუალური დეკადანსის ფილოსოფიური ცთომილებისა და ისტორიულ-გენეტიკური პროცესების ცოდნის სიმწირის პირდაპირ ნიმუშად ძალგვიძს მივიჩნიოთ.

მონღოლთა იმპერია დასასრულს აღწევს მე14 -მე15 საუკუნეების ბოლოს, თუმცა, მონღოლური სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინა, ფილოსოფიური

---

<sup>401</sup> ყოფიერების მიღმა.

<sup>402</sup> მოცემულობა.

<sup>403</sup> ჩინური რელიგია. ფუძემდებელი ლაო-ძი.

<sup>404</sup> ჩინური რელიგია-ფუძემდებელი კონფუცი.

<sup>405</sup> მმართველი გონი.

<sup>406</sup> დაგროვილია.

<sup>407</sup> ყოფიერების მიღმა.

<sup>408</sup> კულტუროგენეტიკური.

<sup>409</sup> ცხრილი.

მეტაფიზიციზმი<sup>410</sup> და ისტორიონომიური<sup>411</sup> კონცეპტუალიზმი წარუშლელ კვალს სტოვეებს მსოფლიო ისტორიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- მსოფლიო იმპერიათაგან რომთან ბრიტანეთთან და სხვებთან ერთად მონღოლეთი ფენომენოლოგიური სისტემის შემოქმედი სახელმწიფოა, რომელმაც განუზომელი როლი შეასრულა კაცობრიობის სულიერ-ინტელექტუალური ძალმოსილების ისტორიოსოფიური<sup>412</sup> თვალსაზრისით განვითარების ზეპოქალურ პროცესში. უშუალოდ, ჩემი ხედვით, მსოფლიომ უდიდესი ცოდნა შეიძინა მონღოლთაგან სამხედრო-პოლიტიკური, ისტორიულ-ფილოსოფიური, სამართლებრივი, ლოგიკური და მეტაფიზიციზმის<sup>413</sup> თვალსაზრისით. თავისუფლად შეიძლება ითქვას- მონღოლთა იმპერია გახლდათ აღმოსავლური ატლანტური მონოლითი, რომელმაც ასწავლა კაცობრიობას სწორი გზა წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის.

პირადად, ჩემი ხედვით, მონღოლური სამართლებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორია გახლავთ ამოუწურავი ცოდნა, სიბრძნის უშრეტი წყარო, რომლის დამსახურებით ინდოჩინური ფილოსოფია ახალი ძალით და ენერგიით აღივსო, განვითარდა და განმტკიცდა. მონღოლური ფილოსოფია სავსებით შესაძლებელია ისტორიულ-გენეტიკური და სოციოსოფიური აზროვნების ურთულეს კონცეპტუალურ მდგრად არსებით ბმად ჩავთვალოთ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-კაცობრიობას ეკისრება ისტორიული მისია მსოფლიო ცივილიზაციების ურთიერთქმედების შემეცნების პროცესის გააქტიურებისა და კულტურათაშორისი კავშირების გაძლიერებისა, რაც საუკუნო მშვიდობისა და კეთილდღეობის საფუძვლად ძალგვიძს მივიჩნიოთ. მონღოლი ერი კვლავ აგრძელებს აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას და დაუღალავ ბრძოლას მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების მართლაც შეუცნობელი მწვერვალებისკენ.

მონღოლეთი შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამცველი უდიადესი მთაა, რომლის მისია არ ამოწურულა და არც ამოიწურება ათასწლეულთა განმავლობაში. მონღოლური ფილოსოფიის კვლევით ჩვენ ვიკვალავთ საოცნებო გზას კაცობრიობის გონის უნიკალური სიბრძნისმიერი საცავებისკენ, რომელთა დაცვით და შემეცნებით ადამის მოდგმა იხსნის სამყაროს ბარბაროსული ცნობიერი ქაოსისგან.

---

<sup>410</sup> მეტაფიზიკა.

<sup>411</sup> ისტორიული.

<sup>412</sup> ისტორიულ-ფილოსოფიური.

<sup>413</sup> ზემეტაფიზიკური.

## V თავი

### ტიბეტელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია

ტიბეტი გახლავთ უძველესი კულტურის ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ორი უძლიერესი აღმოსავლური ცივილიზაციის- ინდური და ჩინური კულტუროტროპული სივრცის ცენტრში. სწორედ ტიბეტი წარმოადგენდა საუკუნეების განმავლობაში ინდოჩინური ცივილიზაციების დამაკავშირებელ ნოტოსტროპიულ<sup>414</sup> სისტემას. ტიბეტელი ხალხის სამართლებრივი კულტურის უძველესი საწყისი გახლავთ ტიბეტის ეროვნული რელიგია-ბონი. ტიბეტური სახელმწიფოს სრულქმნილი სისტემის მისია აღასრულა მეფე სონგცენ გამპომ, რომელიც ითვლება ტიბეტის სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს შემოქმედად. იგი ითვლება იარლუნგის დინასტიის ფუძემდებლად. ტიბეტური გადმოცემით, სონგცენ გამპო გამოირჩეოდა იურიდიული შეხედულებებისადმი დიდი ინტერესით, რაც აისახა მაშინდელი ტიბეტის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე. კერძოდ, აღნიშნულმა მონარქმა შექმნა სახალხო ინტელექტუალური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ტიბეტელი ერის სოციალურ-სამართლებრივ პროცესებში ჩართულობის ხარისხის ამაღლებას. სონგცენ გამპო გახლდათ იარლუნგის დინასტიის მამამთავარი, რომელმაც მოახერხა ტიბეტური რელიგიურ-ფილოსოფიური დემოკრატიის ჩამოყალიბება, მაგალითად, იგი დაუშვებლად თვლიდა ქვეყნის ღალატს, სიცრუის მიზანმიმართულ გავრცელებასა და ბოროტების თესვის ცხოვრების წესად გარდაქმნას.

ტიბეტელთა ეროვნულმა რელიგიამ ბონმა უდიდესი ზეგავლენა იქონია ტიბეტური სამართლის განვითარებაზე, კერძოდ, ტიბეტური ტერმინი ბონ ნიშნავს რიტუალს და მართლაც, ზემოაღნიშნული რელიგია სამართალს ანიჭებდა რიტუალურ დატვირთვას. კერძოდ, ბონი სამართალს თვლიდა კონცეპტუალურ-დოგმატურ სისტემად, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოებისა და ინდივიდის ინტერესების მდგრად კავშირს, რაც რეალიზდებოდა კონკრეტულ შედეგში- შორეულ აღმოსავლეთში პირველად რელიგიურ- ანომენასური<sup>415</sup> სამართლის შექმნით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას -ტიბეტელმა ხალხმა ბონის რელიგიის პრინციპთა გათვალისწინებით ჩამოაყალიბა სულიერ მედიტაციათა ხელოვნების იურიდიული დოგმატიკის პრაქტიციკების უზრუნველმყოფ საშუალებათა კომპლექტად აღქმის თეორია. პირადად, ჩემი აზრით, ბონის რელიგიამ ტიბეტური სამართალი გარდასახა ინტელექტუალური ინტუიციისა და ფაქტოლოგიური მოცემულობის გამაერთიანებელ აზრობრივ სისტემად. მაგალითად, ბონის

<sup>414</sup> ზესულიერ.

<sup>415</sup> ზელოგიკური.

რელიგიური კონცეპციის მიხედვით ადამიანი გახლავთ ღვთიური გონის მატარებელი არსება, რომლის შინაგანი ცნობიერი სამყარო აერთიანებს უფლებებსა და ვალდებულებებს. კერძოდ, ამ რელიგიურ-სამართლებრივი სისტემის მიხედვით მოვალეობა უფლების გარეშე ტირანიის, ხოლო უფლება ვალდებულების გარეშე ქაოსის საწინდარია. აღნიშნული მოძღვრება ტიბეტში გავრცელდა უცხო ქვეყნიდან-ოლმო ლუნგრინგიდან, რომელიც ტიბეტური სამართლებრივი კულტურის სათავე გახლდათ. ტიბეტური სამართალი ზემოთხსენებულმა რელიგიამ გარდაქმნა ტრანსცენდენტურ<sup>416</sup> მოძღვრებად, რომელიც ეყრდნობოდა ფაქტს- როგორც სურვილის რეალიზები შედეგს და ნებას- როგორც ფაქტოლოგიური მოცემულობის წარმომშობ საწყისს. ტიბეტური სამართალ ამ პერიოდში წარმოადგენდა ეროვნული ცნობიერების დამცველ იურიდიულ მექანიზმს, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ტიბეტელი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა ორი სამართლებრივი ტრადიცია-დან ჯენუნი ანუ დანაშაულთან მიზეზობრივ დონეზე ბრძოლა და დან მიუ -ანუ შედეგის აღმოფხვრა. პირადად, ჩემი აზრით, ტიბეტის ზემოაღნიშნული ხანა ხასიათდება სამართლებრივ ასპარეზზე-იურიდიული ინტუიციის გამლიერებით. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ბონის მოძღვრება სამართლის თვისობრივ დაყოფას ახორციელებდა. სწორედ, ზემოაღნიშნულ ეპოქაში ტიბეტური სამართალი წარმოადგენდა ერთგვარ ხიდს რელიგიასა და მეცნიერებას შორის.

კერძოდ, ტიბეტური სამართალი ბონის მიხედვით გახლდათ გარკვეული სახის აზრობრივი რგოლი, რომელიც მოძრაობდა რელიგიურ და სამეცნიერო ორბიტებს შორის. ბონი დანაშაულს მიიჩნევდა ადამიანის ღვთიური მისიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, ხოლო დამნაშავეს ადამიანური ნებელობის დათრგუნვის გამო ბოროტების აზრისმიერ ჭაობში ჩაფლულ არსებად. რელიგია სამართალს ტიბეტში განიხილავდა როგორც საფუძველს, ხოლო მეცნიერება როგორც პოლიტიკურად სრულქმნილი სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ ჩამოყალიბებულ ფენომენოლოგიურ შეხედულებათა უკიდურეს საზღვარს.

პირადად, ჩემი აზრით, ბონი გახლდათ ინტელექტუალურ ინტუიციაზე დამყარებულ სულიერ მედიტაციათა განვითარების გზით სამართლებრივი პროცესების მართვის ხელოვნება. პირველად, შორეული აღმოსავლეთის ისტორიაში სწორედ ტიბეტში განხორციელდა უმძლავრესი სამართლებრივი სისტემის-ვაჯრასატვა შექმნა. კერძოდ, ტიბეტელმა ხალხმა ბონის მოძღვრების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა იურიდიულად სრულქმნადი პოლიტიკური სისტემის თეორემა, რომელიც ამგვარად გვესახება-არ არსებობს კულტურა სამართლის და სამართალი კულტურულ ელემენტთა ნაკრების გარეშე. ბონი

<sup>416</sup> ყოფიერების მიღმა არსებული

გარდაისახა უმძლავრეს იურიდიულ მოძღვრებად, რომელმაც ტიბეტური სამართალი მედიტაციურ მეცნიერებად აქცია.

ბონი გარდაიქმნა ურთულეს სისტემად, რომელმაც განავითარა ტიბეტური სამართლებრივი აზროვნება, კერძოდ, ჩამოაყალიბა ინტუიციური სამართლის ცნება, რაც გამოიხატა მედიტაციური პრაქტიკის იურიდიულ ტრადიციებში აქტიური ჩართვით. პირადად, ჩემი აზრით, ტიბეტური რელიგია- ბონი შორეული აღმოსავლეთის ხალხთა იურიდიული აზრისმიერი ტრადიციების გავლენით შეიქმნა. უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, ბონი გახლავთ რელიგია სიკეთის როგორც ღვთაებრივი მართლწესრიგის და ბოროტების, როგორც ქაოსის შესახებ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ბონი წარმოადგენდა რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემას, რომელმა მე-6 მე-9 საუკუნეებში განსაზღვრა ტიბეტური სამართლის განვითარების გეზი. პირადად, ჩემი აზრით, ბონის სისტემამ გარკვეულწილად ნიადაგი შეუმზადა ტიბეტური სამართლებრივი კულტურის პროგრესს. ბონი დღემდე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტიბეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ტიბეტური ბუდიზმი ჩამოყალიბდა უნიკალურ სამართლებრივ იდეათა სამჭედლოდ. კერძოდ, ტიბეტელმა ბუდისტებმა შექმნეს გუჰიასამაჯა-ანუ საიდუმლო საზოგადოების მანტრა, რომლის თანახმად, სამართლებრივ აზროვნებას აქვს რელიგიური საწყისი და კულტუროტროპული ფორმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- რელიგიური სამართალი ტიბეტური იურიდიული აზროვნების ქვაკუთხედი გახლდათ ბუდისტურ ეპოქაში. მაგალითად, განვიხილოთ დალაი ლამას რელიგიური ინსტიტუტი. დალაი ლამა ტიბეტურ ენაზე-მასწავლებელს ნიშნავს. დალაი ლამას წოდებაში მოიაზრებოდა ტიბეტელი ხალხის სულიერი და პოლიტიკური წინამძღოლობა. ლამა გახლდათ უნიკალური ინსტიტუტი ტიბეტის ისტორიაში, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტიბეტელთა სულიერ-მატერიალური პროგრესირების პროცესში. კერძოდ, დალაი ლამა განასახიერებს ტიბეტურ სულიერებას, რომელიც ასახვას ჰპოვებს ტიბეტურ სამართალში. დალაი ლამა კაცთაკვლასა და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას უდიდეს ბოროტებად მიიჩნევდა. პირადად, ჩემი აზრით, დალაი ლამას წოდება აერთიანებდა და ასრულებდა ტიბეტურ რელიგიურ-ფილოსოფიურ წარმოდგენებს სამყაროში კოსმიურ ენერგიათაგან წარმოქმნილ იურიდიულ იდეათა განვითარების შესახებ, რაც გულისხმობდა ტიბეტის სულიერი მისიისა და მატერიალიზებული მისწრაფებების სისტემატიზებას და ამ გზით სწორი მართლწესრიგის შექმნას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- დალაი ლამა გახლავთ სულიერი მეთაური ტიბეტელი ხალხისა, რომელიც მიზნად ისახავს ტიბეტური საზოგადოების წარსულის გააზრებას, აწმყოს შეცნობასა და მომავლის განჭვრეტას.

პირადად, ჩემი აზრით, დალაი ლამა ითვლება ტულკუს-ბუდისტი ოსტატის განსხეულებად. თავისუფლად ძალგვიძს განვაცხადოთ- დალაი ლამა სამართლებრივი სისტემური აზროვნების აღმოსავლური მოდელის შემოქმედიც გახლდათ. უშუალოდ, ჩემი აზრით, დალაი ლამას რელიგიური ინსტიტუტი გამორჩეულია სხვა ბუდისტურ სახელმწიფოთა მმართველობისგან, რადგან, სულიერი ძალაუფლებისა და პოლიტიკური მართვის სისტემის ასეთი ჰარმონიული თანაარსებობის მოდელი არსად არ გვხვდება. ტიბეტურმა ბუდიზმმა დალაი ლამას წინამძღოლობით მოახერხა მკვეთრი ინდივიდუალიზმით აღსავსე სამართლებრივი მოძღვრების შექმნა. დალაი ლამა წარმოადგენს ტიბეტური ბუდიზმის გამაერთიანებელ ძალას, რომელიც ქმნის შემოქმედებით მუხტს სამყაროს შემეცნების ახალ მწვერვალთა დასაპყრობად.

უშუალოდ, ჩემი აზრით, ტიბეტური ბუდიზმი გარდაიქმნა უნიკალურ აზრობრივ სისტემად, რომელმაც დაადგინა მრავალი იურიდიული ნორმატიული ბაზისი, რაც იქცა ტიბეტის განვითარების პროცესის მასტიმულირებელ მოვლენად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ტიბეტური ბუდიზმი გარდაისახა ტიბეტური სამართლის კონცეპტუალურ საფუძვლად. პირადად, ჩემი აზრით, დალაი ლამა და სანსკრიტული<sup>417</sup> პანდიტასა<sup>418</sup> ორი ურთიერთბალანსირებადი ფენომენია. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ტიბეტური ბუდიზმი გახლდათ ზემოაღნიშნული ქვეყნის იურიდიული სისტემის ბირთვად.

დალაი ლამას შემდეგ ყველაზე მაღალი წოდებაა პანჩენ ლამა, რომელიც ამიტაბჰასა<sup>419</sup> რეინკარნაციად<sup>420</sup> ითვლება. პანჩენ ლამა დალაი ლამასთან ერთად იღვწის ტიბეტური ბუდიზმის იდეურ ნიადაგზე აღმოცენებული სამართლებრივი აზროვნების სრულქმნის უზრუნველსაყოფად. პანჩენ ლამა გახლდათ ტიბეტური მეცნიერების მამამთავარი, რომელიც შემდგომ სულიერ წოდებად იქცა. პანჩენ ლამას ტიტული ფრიად პატივსაცემი გახლდათ. თავისუფლად შეიძლება ითქვას-პანჩენ ლამა იყო რელიგიური ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის განვითარებასა და ზომიერ განდიდებას.

პირადად, ჩემი აზრით, ტიბეტში განვითარებულმა იურიდიულმა კულტურამ გააერთიანა ინდური და ჩინური სამართლის კულტურული მიღწევები. აღნიშნულმა ფაქტორმა მეტწილად განსაზღვრა ტიბეტური სამართლის განვითარების გეზი. სავსებით შესაძლებელია, ტიბეტური კულტურის უმთავრეს კომპონენტად სწორედ იურისპრუდენციის რელიგიური გაგების ტიბეტური კონცეპცია მივიჩნიოთ.

---

<sup>417</sup> ძველი ინდური ენა

<sup>418</sup> მეცნიერი

<sup>419</sup> განათლებული გონი

<sup>420</sup> სულთა გადადგილება ადამიანიდან ადამიანში.

მონგჩენის ტიბეტური სწავლება გახლავთ თავდაპირველი ბუნებრივი გონისმიერი მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული აზრობრივი სისტემა, რომელიც იკვებება ბონისა და ტიბეტური ბუდიზმის სიბრძნით. მისი უმაღლესი ფორმა გახლავთ-მენგავდე. აღნიშნული ფილოსოფიური მოძღვრება ავითარებს სამოქალაქო მართლშეგნებასა და იურიდიულად ფორმულირებად ცნობიერ სამყაროს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-ტიბეტური სამართლის ღერძი სწორედ მონგჩენია. რაც შეეხება არგუმენტაციას, ტიბეტური სამართლებრივი ფილოსოფია დანაშაულს არ მიიჩნევს ბუნებრივ მდგომარეობად და თავდაპირველ ბუნებით აზრობრივ გარსთან მიახლოებას თვლის დანაშაულებრივი ნებელობის ჩანასახშივე აღკვეთის უმთავრეს საშუალებად. აღნიშნული მოძღვრება დანაშაულს აღიქვამს არა მხოლოდ საზოგადოებრივი მორალისა და წყობის წინააღმდეგ მიმართულ აქტად, არამედ ანტისულიერ და ანტიაზრობრივ მოვლენად,კერძოდ, მონგჩენის სწავლების მიხედვით, დანაშაულებრივი ნება აზრობრივი არასრულყოფილების ნიმუშია.

მაგალითად, ბოროტი აზრი არ არის დასრულებული სტრუქტურა, არამედ იგი არასრულყოფილი არასრულფასოვანი იდეური მოცემულობაა, რომელიც არ უნდა განხორციელდეს. პირადად, ჩემი აზრით, მონგჩენი გახლავთ დანაშაულებრივი ნებელობის არა მხოლოდ გამოვლინების, არამედ მისი მომენტალური ჩამოყალიბების აღმკვეთი აზრობრივი სისტემა.

მონგჩენი შესდგება სამი ნაწილისგან-1-სემდე- გონების ბუნების განაყოფი,2-ლონგდე- თავდაპირველი სივრცის განაყოფი და 3-მენგავდე- საიდუმლო ზეპირ დარიგებათა განაყოფი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ზემოაღნიშნული მოძღვრება სრულიად ნათლად ძალგვიძს ეზოთერიზებულ კრიმინოლოგიად<sup>421</sup> მივიჩნიოთ. პირადად, ჩემი აზრით, მონგჩენი წარმოადგენს ეტიოლოგიური <sup>422</sup>ხასიათის მოძღვრებას, რომელიც ებრძვის ბოროტებას ინდივიდუალურ-შეფასებითი და ობიექტურ-კვლევითი მეთოდით. უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, მონგჩენი უმძლავრეს იურიდიულ აზრობრივ ელემენტთა გამაერთიანებელი სისტემაა, რომელიც დღემდე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტიბეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- მონგჩენი გახლავთ ძალა, რომლის გამოყენების გზით შესაძლებელია იურიდიულ პროცესთა კონცეპტუალური თვითრეგულირების ფილოსოფიური მექანიზმის ჩამოყალიბება.

ტიბეტური სამართლებრივი კულტურა აერთიანებს ფაქტოლოგიურ მოცემულობებსა და ემპირიულ-შემეცნებით ბაზისებს. ტიბეტი შორეული

<sup>421</sup> შეისწავლის დანაშაულს.

<sup>422</sup> მიზეზს სწავლობს.

აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში გამორჩეული ქვეყანაა, რომელმაც შექმნა რელიგიურ სიბრძნეზე დაფუძნებული სამართალი და ამ გზით განახორციელა ზემოაღნიშნულ სივრცეში უზარმაზარ სამართლებრივ ცვლილებათა სერია.

ტიბეტი თანამედროვე ეპოქაში ჩინეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის და განიცდის ჩინური იურიდიული სისტემის გავლენას. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ტიბეტი გახლდათ უძველესი ინდოჩინური სამართლებრივი ტრადიციების გაერთიანების გზით ჩამოყალიბებული დეონტური<sup>423</sup> ცივილიზაცია. პირადად, ჩემი აზრით, ტიბეტელმა ბრძენებმა შექმნეს უნიკალური იურიდიული სისტემა, რომლის საფუძველი გახლავთ ზეგრძნობად ინტუიციური შემეცნება.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, ტიბეტური სამართალი აერთიანებს ლოგიკურ ბმებს, ფაქტოლოგიურ მოცემულობებს და სულერ მედიტაციებს.

აღნიშნას იმსახურებს შემდგომი მნიშვნელოვანი ფაქტი- ტიბეტური სამართალი გახლავთ უძლიერესი ნაკადი, რომელიც სათავეს იღებს უძველესი აღმოსავლური ფილოსოფიიდან.

ტიბეტური სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს პრაქტიკული ყოფიერების ადამიანური შემეცნების მიღმა არსებულ სამყაროსთან დამაკავშირებელ იდეურ რგოლს.

ტიბეტური სამართლებრივი აზროვნება გასაოცარი აზრობრივი მოვლენაა, რომელიც დღემდე უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ითავსებს შორეული აღმოსავლეთის ხალხთა იურიდიულ ისტორიაში

დასკვნა ამგვარია- ტიბეტური იურიდიული ცივილიზაცია გახლავთ ხან ბერიკაშკაშა სიბრძნისმიერი ვარსკვლავი, რომელიც ანათებს შორეული აღმოსავლეთის მოწმენდილ ცაზე.

თუ გვსურს შესწავლა შორეული აღმოსავლეთის სამართლისა აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ტიბეტს, რადგან ტიბეტურმა სამართალმა შექმნა სულიერ-ინტელექტუალური მოდელი იურისპრუდენციისა, რომელიც არ ემორჩილება დროს და მუდმივად ვითარდება.

ტიბეტი არის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც.

---

<sup>423</sup> იურიდიული ლოგიკა.

## VI თავი

### კორეელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია

კორეის ისტორია იწყება უძველესი ჩოსონის სახელმწიფოთი, რომლის ისტორია იყოფა სამ პერიოდად-ჩოსონ ტანგუს ლეგენდარული პირველი პერიოდი, რომელიც მითითურად ითვლება, რადგან ცნობები მხოლოდ მითოსიდან მოგვეპოვება. მისი დამაარსებელი გახლდათ მდედრობითი სქესის დათვის და მთავარი ღვთაების-ჰანუნის ვაჟი, რომელმაც დაარსა ჩოსონის იმპერია და დედაქალაქი-ფხენიანი. მეორე პერიოდი-ლეგენდარული ჩოსონ კიჯას მითითური ეპოქა, რომლის დროსაც მითის თანახმად, ჩინეთის იმპერატორმა კორეის ნახევარკუნძული სამართავად გადასცა მის მოხელეს-კიჯას, თუმცა შესაბამისი ისტორიული მასალა არ მოგვეპოვება. მესამე ხანავი მანი ჩოსონი კი გახლავთ ჩინური ბატონობისგან განთავისუფლების ეპოქა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ზემოაღნიშულ ეპოქაში ხელშესახები მასალა არ გვაქვს, თუმცა ჩოსონის სახელმწიფო ექვემდებარებოდა მითოსის მიხედვით, სამეფო ხელისუფლებას, რომელიც უძლიერეს პოლიტიკურ და სამართლებრივ ბაზისს ემყარებოდა. მეფე ჩოსონში უმაღლესი ფიგურა გახლდათ, რომლის ნება კანონის ტოლფასი იყო. თავისუფლად შეიძლება ითქვას-კორეის სამართლის ისტორიის საკვლევად ამ ეპოქას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პირადად, ჩემი აზრით, ჩოსონის იმპერია პროტოკორეული სახელმწიფო გახლდათ, რომელიც აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენდა-ძლიერი საიმპერატორო ხელისუფლებით.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, კორეის ისტორიის აღნიშნული მონაკვეთის იურიდიული ანალიზი სავსებით შესაძლებელია კორეული მითოსის შესწავლით. ჩოსონის იმპერია გახლდათ სახელმწიფო, რომელიც მონღოლოიდურ ტომთა ისტორიულ-გენეტიკურ ბაზაზე შეიქმნა და ჩამოაყალიბა აბსოლუტური მონარქიის აღმოსავლური სამართლებრივი მოდელი. ზემოაღნიშნული სამართლებრივი იდეური სისტემის მიხედვით, მეფე იყო უმაღლესი სასულიერო და საერო არისტოკრატის მეთაური და ქვეყნის უზენაესი წინამძღოლი. პირადად, ჩემი თვალთახედვით, ჩოსონის იმპერია კორეულ ტომთა გაერთიანების შედეგად შეიქმნა.

ზემოხსენებულ იმპერიულ მართვით სისტემაში განხორციელდა უძველეს კორეულ ტომთა იურიდიული შეხედულებებისა და რელიგიური წარმოდგენების შერწყმა.

კორეული სამართალი ძლიერ განვითარდა სამი ჰანის პერიოდში, რომლის დროსაც ჩამოყალიბდნენ კოგურე, პეკჩე და სილა. პირადად, ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული სახელმწიფოები წარმოიშვნე ჩოსანის დაშლის შედეგად, რაც

განაპირობა ეკონომიკური სისტემის მოშლამ და პოლიტიკური მმართველობის უკიდურესმა დასუსტებამ.

აღნიშნული პერიოდი დიდ მნიშვნელობას იძენს კორეული სამართლის ისტორიის შესწავლის პროცესში.

კორეული სამართალი ზემოხსენებულ ეპოქაში კერძოდ, ახალი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეებში საკმაოდ განვითარდა-განსაკუთრებით ჩინური სამართლის ზეგავლენით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- კორეულ სამართალს ამ პერიოდში ახასიათებდა ეროვნული ჩვეულებების სულიერ ბაზისად განხილვა. მეფე კვლავ უზენაესი მმართველი გახლდათ, რომელსაც ემორჩილებოდა არმია და ქურუმთა კლასი. კორეის ისტორიის ზემოაღნიშნული ხანა გახლდათ ერთგვარი აზრობრივი, ეპოპური ფუნდამენტი ახალი სულიერ-ინტელექტუალური განვითარების პროცესის დასაწყებად. ამ ეპოქის კორეა წარმოადგენდა სამ სამეფოდ დანაწილებულ ტერიტორიას, რომელიც ერთი შეხედვით, განსხვავებულ იურიდიულ სისტემებს აღიარებდა. კერძოდ, კორეა მაშინდელ ეპოქაში ავითარებდა რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრადიციებს, რომლებიც გარდაიქმნებოდნენ სამართლებრივ იდეათა წარმომშობ აზრობრივ საწყისებად. მაგალითად ზემოხსენებულ სამეფოებში მთავარი მსაჯული მონარქი გახლდათ, რომელიც ხშირად ახორციელებდა საკუთარი ძალაუფლების დელეგირებას<sup>424</sup>-უმადლესი ქურუმისადმი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-კორეული სახელმწიფოები ამ დროს-ახ.წ პირველ საუკუნეებში წარმოადგენდნენ მონარქის აბსოლუტური ძალაუფლების განხორციელების იურიდიულ მექანიზმთა ერთობლიობას.

918 წელს კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ თხეზონის კორეული სახელმწიფოს უმაღლესი პირები მეთაურად აირჩიეს ვან გონი, რომელმაც შექმნა სახელმწიფო კორესე და დედაქალაქი გადაიტანა ქალაქ სონაკში იგივე კეგეონში, ე.წ-ადმოჩენების ქალაქი.

პირადად, ჩემი აზრით, აღნიშნული ისტორიული მოვლენა კორეული იურიდიული სისტემის მდგრადი განვითარების მასტიმულირებელ პროცესად იქცა. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ვან გონის მიერ გადადგმული ნაბიჯი კორეული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის სწრაფად ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. პირადად, ჩემი თვალთახედვით, კორეული სამართლებრივი ცნობიერების ეროვნული მოდელი სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა. ვან გონი კორეული სამართლებრივი პროგრესის ერთ-ერთ შემოქმედად იქცა.

კორეული სამართლებრივი ტრადიცია ითვალისწინებდა მეფისა და ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან უმკაცრეს ბრძოლას,კერძოდ, სახელმწიფო

<sup>424</sup> უფლებამოსილების გადაცემა .

გადატრიალების მცდელობის შემთხვევაში ორგანიზატორი მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლით აგებდა პასუხს.

თავისუფლად ძალგვიძს განვაცხადოთ- კორეული სახელმწიფო ვან გონის მმართველობის ხანაში უდიდეს პროგრესს აღწევს. პირადად, ჩემი აზრით, კორეული სამართლის ისტორიაში გარდამტეხი მოვლენა სწორედ ვან გონის რეფორმა გახდა. უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, კორეული სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი აზროვნების პროგრესირების მდგრადი პროცესი სწორედ მეათე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- კორეული სამართლებრივი აზროვნების ისტორია აერთიანებს კორეელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ-გენეტიკურ მისწრაფებებსა და იურიდიულ ტრადიციებს.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, კორეული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი როლი შეასრულა ჩინურმა სამართალმა. იგი კორეულ იურისტებს ერთგვარ დამხმარე რგოლად მოეწვინა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას-კორეულ იურისპრუდენციაზე დიდი ზეგავლენა იქონია ბუდიზმმა და კონფუციანელობამ. ბუდიზმი კორეაში სწრაფად გავრცელდა და ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიად იქცა. კორეული ბუდიზმი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა კორეის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პირადად, ჩემი აზრით, ბუდიზმი გახლდათ იდეური სისტემა , რომელმაც კორეული იურიდიული აზროვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა. კორეული ბუდიზმი გარდაიქმნა ინდოჩინური რელიგიების მიერ შექმნილი სიბრძნის ნაირსახეობად.

უშუალოდ, ჩემი აზრით, კორეულმა ბუდიზმმა შექმნა კორეული სისხლის სამართლის კონცეპცია, რომლის თანახმად დამნაშავე საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანს, არამედ მთელ საზოგადოებას. თავისუფლად შეიძლება ითქვას-ზემოაღნიშნული ხედვის ჩამოყალიბება განაპირობა აღმოსავლურმა რელიგიურ-ფილოსოფიურმა ნაკადმა, რომელიც სათავეს იღებს ძველი ინდოჩინური კულტურიდან.

ჩვენ ძალგვიძს განვაცხადოთ- კორეული სამართლებრივი აზროვნების ისტორია ემყარება აღმოსავლურ ბუდისტურ მითოსურ სიბრძნეს, რომელმაც შორეული აღმოსავლეთის ხალხები ერთიან აზრობრივ სივრცეში გააერთიანა.

პირადად, ჩემი აზრით, კორეული იურიდიული სისტემა ბუდისტურ აზრობრივ რეალიათა მიხედვით ვითარდებოდა. თავისუფლად შეიძლება ითქვას- კორეული ბუდიზმი გახლდათ ზემოაღნიშნული ქვეყნის სამართლის წყარო და განმავითარებელი აზრობრივი ძალმოსილება.

კორეული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი როლი შეასრულა - სირჰაკვხას მოძრაობამ-რელიგიურ სამეცნიერო დაჯგუფებამ, რომელიც გარდაიქმნა უდიდეს ინტელექტუალურ მოძრაობად. პირადად, ჩემი აზრით, სირჰაკვხას ინტელექტუალურმა მოძრაობამ .

აღნიშნული მოძრაობის მიზანი გახლდათ რეალური საგნების შესწავლა და ათვისება. მაგალითად, სირჰაკვხა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებისმეტყველებასა და იურისპრუდენციას.

ლიუ ჰილონ ვონი გახლდათ ამ მოძრაობის პირველი დიდი წარმომადგენელი, რომელმაც განავითარა იურიდიული შეხედულებების სისტემა. სირჰაკვხა მიიჩნევდა სამართალს მატერიალური შემეცნების პროდუქტად.

მატერიალური აღქმა სამართლებრივი იდეებისა იქცა კორეული იურისპრუდენციის განმავითარებელ ძალმოსილებად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- მატერიალური იურიდიული შემეცნების იდეა კონცეპტუალური თვალსაზრისით სწორედ კორეასა და ჩინეთში ჩამოყალიბდა.

პირადად, ჩემი აზრით, კორეული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს კორეულ სანივთო სამართალს, რომლის თანახმად, ნივთი შექმნილია ადამიანის ინტერესების განსახორციელებლად, მაგრამ ის პირი, ვინც მიზანმიმართულად აზიანებს მის საკუთრებაში არსებულ ნივთს იგივე დანაშაულს ჩაიდენს ადამიანის მიმართაც.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, კორეული სანივთო სამართალი უადრესად ღრმა კავშირს ავლენდა ჩინურ ფილოსოფიასთან კერძოდ, დაოსიზმთან, რადგან, დაოს მიმდევრები ქადაგებდნენ უსულო საგნებისადმი ადამიანთა პატივისცემის მაქსიმალიზაციას.

თავისუფლად შეიძლება ითქვას- კორეულ სამოქალაქო სამართალზე უდიდესი ზეგავლენა იქონია ტაოს მოძღვრებამ, რომელიც ასაბუთებდა სულიერი და არასულიერი სამყაროს ჰარმონიული თანაარსებობის აუცილებლობას.

პირადად, ჩემი აზრით კორეული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი არევ-დარევა შეიტანა კორეის ორ ნაწილად გაყოფამ, რომლის ჩრდილოეთით კომუნისმი გაშეფდა , ხოლო სამხრეთი დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა.

კორეული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში მეოცე საუკუნე გარდამტეხი ეპოქა აღმოჩნდა. კერძოდ, ჩამოყალიბდა ჩრდილო კორეული-ტოტალიტარული კომუნისტური მმართველობა და სამხრეთ კორეული

დემოკრატიული იურიდიული სისტემა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- თანამედროვე სამხრეთ კორეა უძლიერესი დემოკრატიული სამართლებრივი მოდელია, რომელიც ჩრდილო კორეული ტოტალიტარული მმართველობისგან განსხვავებით- ხალხის ინტერესებზეა ფოკუსირებული

პირადად, ჩემი აზრით, სამხრეთ კორეა, რომელმაც უარყო კიმირსენის- კომუნისტი ჩრდილო კორეელი ლიდერის ანტიჰუმანური იდეოლოგია ვითარდება სწორი გზით. უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია ეკონომიკური განვითარების დონე სამხრეთში და სამხედრო რესურსების კონცენტრაციისა ჩრდილოეთში.

ზემოაღნიშნული ფაქტოლოგიური მოცემულობა ადასტურებს შეხედულებას კორეელი ხალხის ორი ნაწილის განსხვავებული მსოფლმხედველობის შესახებ.

კერძოდ, კორეული სამართლებრივი სისტემა გაიყო ორ ნაწილად, რაც ცუდად აისახა კორეულ ცნობიერ სამყაროზე, თუმცა ამ მოვლენამ დაამტკიცა დემოკრატიის უპირატესობა დიქტატურასთან შედარებით.

პირადად, ჩემი ხედვით, კორეული სამართლებრივი აზროვნების სფეროზე დიდი ზეგავლენა იქონია დასავლურმა სამართალმა, კერძოდ ანგლოამერიკულმა სივრცემ იურიდიული იდეებისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- კორეელი ხალხის იურიდიული აზროვნების ისტორიის შესწავლა ერთ-ერთი საუკეთესო გზაა აღმოსავლური იურიდიული სისტემებისა და ფილოსოფიური შეხედულებების შემეცნე ბის პროცესის სწორად წარმართვის თვალსაზრისით.

უშუალოდ, ჩემი ხედვით, კორეელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია ნაწილია შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციათა იურიდიული სისტემისა.

დასკვნა-გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- კორეული იურისპრუდენცია შორეული აღმოსავლეთის კულტუროტროპული სივრცის განუყოფელი ნაწილია, რომელიც არ წყვეტს პროგრესირებას და ავითარებს საკაცობრიო სამართლებრივ აზროვნებას.

## ბოლოთქმა

ჩემი შეხედულებით, სამართლის ისტორია წარმოადგენს ისტორიულ-მატერიალისტურ ბაზისს, რომლის საფუძველზეც ვითარდება საკაცობრიო გონისმიერი აზროვნება. თავისუფლად შეიძლება ითქვას- სამართლის ისტორია გახლავთ მეცნიერება წარსულის გააზრების გზით აწმყოს შემეცნებისა და აწმყოს გაანალიზების წყალობით ნათელი მომავლის განჭვრეტის შესახებ. პირადად, ჩემი აზრით, შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორია მოიცავს აზიური ფილოსოფიის, თეოსოფიისა და ლოგიკის განსაკუთრებულ მიღწევებს. კერძოდ, ინდური სამართალი გარდაისახა ინდოელი ხალხის მრავალათასწლოვანი მისწრაფებების სისტემატიზატორად. ინდოელმა ბრძენებმა მოახერხეს უძველესი დრავიდული და ინდოარიული რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების ერთიან იურიდიულ სისტემად გარდაქმნა.

ინდურ სამართალში იგრძნობოდა რელიგიის და ფილოსოფიის დიდი გავლენა, ჩემს მიერ გამოთქმულია მოსაზრება მანუს კანონების კონსტიტუციური აზროვნების უძველეს წინარესახედ მიჩნევის შესახებ, რაც დასტურდება ინდური სამართლებრივი იდეების გენეზისის შესწავლით. თავისუფლად შეიძლება ითქვას- ინდური სამართლებრივი აზროვნების საწყისთა მაღალმხატვრული აღწერა მოცემულია ინდური ლიტერატურის ძეგლებში. განსაკუთრებით გამოვყოფ მაჰაბჰარატასა და რამაიანას, რომელთა აზრობრივ კოდირებულ იდეათა ლოგიკურ გაშიფვრას მივყავართ ინდური სამართლის სათავეებამდე-დრავიდულ და ინდოარიულ ფილოსოფიურ მოძღვრებებამდე.

ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია ვითარდებოდა ინდური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ. ინდოელები იურიდიულ იდეას ქმნიდნენ საზოგადოებრივ ინტერესთა შესაბამისად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ინდურ იურიდიულ აზროვნებაზე უდიდესი ზეგავლენა იქონია რელიგიამ, განსაკუთრებით ინდუიზმმა, ბუდიზმმა და ჯაინიზმმა. პირადად, ჩემი აზრით, ინდური სამართალში ოდითგანვე იგრძნობოდა ინდოელთა მაღალი ინტერესი ერთიანი საზოგადოებრივი წესწყობილების განვითარებასთან დაკავშირებით. ინდოელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის წყალობით ბევრ საიდუმლოებას აეხდება ფარდა.

ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია მოიცავს ძირითადად, რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათა მძლავრ ურთიერთბრძოლას, განსაკუთრებით ძვ.წ მეორე ათასწლეულიდან. ჩინური სამართალი ვითარდებოდა დროსა და სივრცეში. შესაბამისად, ზემოთგანხილულმა ჩინურმა სამართლებრივმა კონცეპციებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჩინური იურიდიული აზროვნების

მრავალმხრივ პროგრესირების პროცესში. პირადად, ჩემი აზრით, ჩინელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია აერთიანებს უზარმაზარ სიბრძნეს. გავიხსენოთ თუნდაც ტაოსა და კონფუციანელობის იდეური დაპირისპირება.

ზემოაღნიშნულ ბრძოლაში გამარჯვება განვითარების დონის აწევით სწორედ ჩინელმა ხალხმა მოიპოვა. ამ იდეურმა მიმდინარეობებმა დიდად შეუწყვეს ხელი ჩინური სამართლებრივი სივრცის განვითარებას. ასევე აღსანიშნავია ბუდიზმისა და ჯაინიზმის დიდი გავლენა ჩინურ სამართალზე კერძოდ, ბუდისტ ბერთა მიერ რელიგიური შეხედულებების იურიდიულ პრიზმაში განწმენდის პროცესის ინიცირების მისიის აღსრულება.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, ჩინურ სამართალში ყოველთვის იგრძნობოდა რელიგიური სისტემების გავლენა. ზემოაღნიშნული თვისებურება ჩინური სამართლისა ასახვა ჰპოვებდა შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ცნობიერ სამყაროზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ჩინური სამართალი აერთიანებდა ინტელექტუალურ ინტუიციასა და ემპირიულ ფაქტოლოგიას. ზემოხსენებული თვისობრივი მახასიათებელი ჩინური იურიდიული სისტემისა აისახა მსოფლიო ერთა სამართლებრივი აზროვნების განვითარების მრავალსაუკუნოვან პროცესზე. პირადად, ჩემი აზრით, ჩინური სამართლებრივი აზროვნების ისტორიის სრულფასოვნად შესწავლა გზას გაგვიხსნის შორეული აღმოსავლეთის ხალხთა იურიდიულად სრულქმნადი ცნობიერი სამყაროს მმართველ ისტორიულ-ფილოსოფიურ კანონზომიერებათა სრულყოფილად გაცნობიერებისკენ.

ჩინური სამართლებრივი აზროვნების ისტორია წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია აერთიანებს უმძლავრეს აზრობრივ ნაკადებს, რომლებიც სათავეს იღებენ უძველესი იდეური სათავიდან-ძიმუს ხანიდან. იაპონური სამართალი გამოირჩეოდა იურიდიული კონსერვატიზმით, კერძოდ, იაპონელებმა როგორც ზემოთ მოგახსენეთ პირველი კოდექსი შექმნეს მერვე საუკუნეში. მეცამეტე საუკუნემდე რამდენიმე სამართლებრივი კონცეპცია შეიქმნა, მაგალითად მონძინაკი და ასე შემდეგ.

იაპონიის სამართლის ისტორია აერთიანებს სხვადასხვა ტომობრივ კავშირთა წარმოდგენებსა და შეხედულებებს. იაპონური სამართალი ფოლადის ხმალს ჰგავს, რომლის წინაშე უძლურია ადამიანური გონება.

იაპონურმა სამართლებრივმა კონსერვატიზმმა საუკუნეები გასტანა. მაგრამ, მას იაპონელთა ცნობიერ სამყაროში უარყოფითი ზემოქმედება არ გამოუწვევია.

მეიძის ეპოქამ იაპონიის თვითიზოლაციის ხანა დაასრულა და სათავე დაუდო იაპონელთა მიერ ახალი მსოფლიოს კულტურულ მიღწევათა სრულად შემეცნების პროცესს.

პირადად, ჩემი აზრით, იაპონიამ განვითარების ურთულესი გზა განვლო. თავისუფლად შეიძლება ითქვას- იაპონელმა ხალხმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა დამეოცე საუკუნის პირველ ნახევარში განვითარების მწვერვალს მიაღწია.

უშუალოდ, ჩემი თვალთახედვით, იაპონელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა მეტად პროდუქტიულს გახდის შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა შეცნობის პროცესს.

ტიბეტური იურიდიული სისტემა გახლდათ შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების იდეური მატრიცა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ინდოჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების კომბინირების ურთულეს პროცესში.

ტიბეტელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია მოიცავს იურიდიულ იდეებს, რელიგიურ ტრადიციებსა და ფილოსოფიურ იდეალებს.

ტიბეტური იურიდიული სისტემა ერთიანდება ორი ლიდერის-დალაი ლამასა და პანჩა ლამას გარშემო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას- ტიბეტურმა სამართალმა განახორციელა დიდი ისტორიული მისია-კერძოდ, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების კულტუროტროპული ინტეგრირებისა ერთიან მსოფლიო კულტურულ ასპარეზზე.

კორეელი ხალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორია ვითარდებოდა კორეული სახელმწიფოს განვითარების კვალდაკვალ. თავისუფლად შეიძლება ითქვას- კორეული იურისპრუდენცია აერთიანებს აზიურ და ევროპეიდულ სამართლებრივ ტრადიციებს.

პირადად, ჩემი აზრით, კორეელებმა მოახერხეს ევროპისა და აზიის იურიდიულ სისტემათა გაერთიანება და ამგვარად საკუთარ იქვეყნის განვითარება.

დასკვნის ძალმიძს განვიცხადოთ- შორეული აღმოსავლეთის ხალხთა სამართლებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა ურთულესი ამოცანაა სამართლის ისტორიკოსთათვის, მაგრამ აღნიშნული გამოწვევის დაძლევა შესაძლებელია პანეროვნული გონისმიერი პოტენციალის ათვისების გზით.

აღნიშნულ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ჩამოყალიბებულია ისტორიულ-ფილოსოფიური აზრობრივი ნაკადებისა და იურიდიული უნივერსალური<sup>425</sup> კონცეპტუალური ხედვების გაანალიზების გზით.

ჩემი სუბიექტური აზრით, სილოგური<sup>426</sup> თვალსაზრისით აღნიშნული პრობლემატიკის გადაჭრის პროცესში გარკვეული წვლილი შეტანილია.

დაე, მკითხველმა განსაჯოს ჩვენი ცდის წარმატების ხარისხი რამეთუ როგორც აღმოსავლეთში იტყვიან-ნაბიჯის გადადგმა მიზნისკენ მისი განხორციელების დასაწყისია.

---

<sup>425</sup> საყოველთაო

<sup>426</sup> თანმიმდევრული.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩერნილოვსკი-მსოფლიო ხალხთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია
2. გიორგი ნადარეიშვილი-მსოფლიო ხალხთა სამართლის ისტორია, მოკლე შესავალი
3. ცუენზო ინაკო-თანამედროვე იაპონური სამართალი.
4. მიამოტო მუსასი-5 რკალის წიგნი.
5. ჰეგელი-სამართლის ფილოსოფია.
6. სვამი ვივეკანანდა-ძვ. ინდური ფილოსოფია
7. მარიამ ცაცანაშვილი-სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია
8. მარინა გარიშვილი მარიამ ხოფერია-საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია.
9. ტაქსამი,კოსარევი-ვინ ხართ თქვენ, აინებო.
10. მუხამედოვი ფ.ფ ჩინგიზ-ხანის იასა სა მისი როლი მონღოლურ სამართლებრივ სისტემაში ჩელაბინსკის სახელმწიფო.  
უნივერსიტეტის მაცნე 2006-გვ54-71 გვ67-70
11. დუგაროვა ს.ჟ. ჩინგიზ ხანის დიდი იასის წყაროების ისტორიოგრაფიული მიმოხილვა ჰუმანიტარული ვექტორი 2012 წელი 5432,204-213,
12. ვერნანდსკი გ.ვ.მონღოლები და რუსეთი პეტერბურგი მონოგრაფია გამომცემლობა აგრფ,1997 გვ480

13. სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოსაშვები საკვალიფიკაციო ნაშრომი კულტუროლოგია 033000.ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა-ჩინური კულტურა.ავტორი- დასწრებული სწავლების მეოთხე კურსის სტუდენტი ვერონიკა ბელიჩენკო სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ანტონ ედუარდის ძე პერეხოვი.რეცენზენტი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვიაჩესლავ მიხეილის ძე რიბაკოვი. ცინის იმპერიისა და დასავლეთ ხანის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი გვ-3-4-5-6-7-8,
14. სოროკინი იური ვლადიმერის ძე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაცნე.რუსეთის ფედერაცია 394005 ვორონეჟიინეთის სამართლებრივი სისტემა ბ143-გვ55-66,
15. სახელმწიფო და სამართალი შუა საუკუნეების ჩინეტსა და იაპონიაში. მოსკოვის უნივერსიტეტი. ნაშრომთა კრებული1995
16. სახელმწიფო და სამართალი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში- პეტერბურგის უნივერსიტეტი ლექციების კრებული 2007 წელი-გვ-23-25, 24-34.
17. ნ.დ პივორავოვი-ძველჩინური სამართლის წყაროები გვ15-18.
18. ავტორთა კოლექტივი ჟინსკოვი ო.ა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი- პროფესორი-შესავალი,კრამენნიკოვა ა.ს თან ერეთად თავები 9,13,14,16,21,24,30.იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სა დოცენტი თავი 19 სტრუქტურული იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თავები 10-12. ჩირკინი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი-თავები 17 18 22 26. შესავალი საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში.

19. შუბარო-ო.ვ-ჩინეთის ტრადიციული სამართლებრივი სისტემა და თანამედროვეობა. გვ 1-4.

20. მარინჩევი მარჩენკო ძველი ინდოეთის სამართლის სისტემის კომპლექსური მიდგომების შესახებ 2012 წელი პეტერბურგის უნივერსიტეტის მაცნე სერია 14 გვ 3-6.

21. მანუს კანონები შემდგენელი კუდინოვა ნ.ტ. წყნარი ოკეანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა.